

ანეულო

ლიტერატურული ჟურნალი
N4 2024




მხატვარი — იიტა შამუგია

...ამ თვით
სიკვდილსაც
ბარდავქმნი
ლექსად!



რევაზ ინანიშვილის
სახელობის
„ერთი მოთხრობის“
კონკურსის
ახალი დაუხიანებელი



დავით გუჩამიშვილის
მუზეუმი


მირგოროდში – 55



მანატაძე
გიორგი (გიორგი)
ნაძე



მთაწარი გიორგი
ნაძე



ანაული

№4 (№45) დეკემბერი. 2024

ლიტერატურული ფუნქციონირი

სმა წაბსულისან...

| | |
|---|----|
| ლაპით ბუხაშიშვილი დავითიანი ამონარიდები | 3 |
| რევაზ ინანიშვილის სახ. „ერთი მოთხრობის“ კონკურსი – 2024 | 4 |
| სცენარისტული ნიმუშები | |
| ნინო მანძალაშვილი ასული | 5 |
| ბიოხიბი ჰაპაშვილი ჩუმი ნაბიჯების სმა | 10 |
| ქეთი ბაბინაშვილი ზოპარკის ავტობუსი | 15 |
| ნიმუშები „სამაგებო“ | |
| თინათინ ლომთაძე ბებო | 18 |
| ნაზა ახვლედიანი-ხაჩიანი ლეჩხუმის გენით ამღერებული პოეზია | 21 |
| თაბატაძე | |
| შენ სიძველესონი, დიან თომასი, ანა ახმეტია, ოსი მანძალაშვილი | |
| თარგმან ნინო დარბაისელმა | 23 |
| მაჩინა სვამბაძე თარგმან ქეთევან კოკოზაშვილმა | 28 |
| ბაბინაშვილი ნინო თარგმან გიორგი ვარამაშვილმა | 29 |
| პეტე | |
| ბიოხიბი ნელიძე | 31 |
| მანა ნინიაშვილი | 34 |
| მანა ნინიაშვილი | 36 |
| თამარ მანიაშვილი | 37 |
| ჯემალ აკიბაძე – 80 | |
| მანა მანიაშვილი და მიუბოძე სხვადასხვა წყალობა | 40 |
| „იქ მიტეხდები, აქ სავსეა“ | |
| თამარ მანიაშვილი დავით გურამიშვილის მუხეუმი მირგოროდში – 55 | 43 |
| თამარ მანიაშვილი მირგოროდის საგურამოდე | 44 |
| წაბსულის და თანამედროვეობა | |
| ქუჩა ლეონი პილარობა (ღვთისმშობლობა) | 45 |
| პეტე | |
| ნინო სინიაშვილი | 47 |
| ზინაბა შიშიშვილი | 49 |
| ნინიაშვილი ჰაპაშვილი | 51 |
| პეტე | |
| მანა ბაბინაშვილი | 52 |
| ნინიაშვილი ლეონიშვილი | 54 |
| ნინიაშვილი ნინიაშვილი | 55 |
| მედიის მთავარი დილა | |
| ნინიაშვილი-სინიაშვილი „ფერფლად მობარებული შთამომავლობა“ | 56 |
| მედიის მთავარი დილა | |
| ნინო ახვლედიანი ოთხი ამბავი | 61 |
| პეტე | |
| სინიაშვილი ბაბინაშვილი | 67 |
| ნინიაშვილი | 68 |
| სინიაშვილი | 69 |
| ბიოხიბი ჰაპაშვილი | 71 |
| მანა მანიაშვილი | 71 |
| მსაჯობა | |
| „ამ ტილოს პროტოტიპი ჰყავს“... | 72 |

ISSN 1987-9717

ენციკლედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ენციკლედ „ანელი“ ახსებელი
ლიტერატურული გაერთიანება:

რეზო (მემლიანე) აღამია
ნიწო არსენაშვილი

რეზოზ ბალანჩივაძე

თამარ ბაბროშვილი

თამარ მიქაძე

თენგიზ უთმელიძე

ლექილა ქიტოშვილი –

სახლთს უცნოშვილისა

თემურ ჩალაზაშვილი

მანანა ჩიტიშვილი

ნიწო ჩხიკვიშვილი

ჯუბა ლეგელი

თამაზ სმალაძე

თემურ ჯაბოღნიშვილი

ივანე ჯაფარიძე

მთავაჲი ჲედაქოჲი

თამარ შაიშმელაშვილი

გაჲეჯანის ჰიჲეეე გვეჲეზე: ჲიბა შამუბიანს ნამუშაჲიჲი

გაჲეჯანის ბოლო გვეჲეზე: მხატვაჲი – ნიწო ბობოღნიშვილი

ჲურნალ „ანელის“ ყველა ნომრის წაკითხვა შესაძლებელია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე: www.nplg.gov.ge – ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ვებგვერდზე.

ლოგოს ავტოჲი

ბიოჲიბი ზეჲეზიანი

ჲელაქიის ტელეფონი: 551 00 50 58


ჲელაქიის ინტერნეტოფი: aneuli@mail.ru; aneuli.inanishvili@gmail.com

ენციკლედში გამოქვეყნებულ მასალებზე ჰასუხისმგებელია ავტოჲი. გამოსაქვეყნებელი სტატიის მოცულობა აჲ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჲე გვეჲეს

ენციკლედ დანიბეჲეა გამოცემლობა „მნიგნობაჲში“

ხმა ნაოსოკლიდანი...

დავით გურამიშვილი



დავითიანი – ამონარიდები

ქორნიკონს ქრისტეს აქეთ ათას-შვიდას-ოც-და ერთსა
ცოდვა მათი უმეტესად ესმა, მოეხსენა ღმერთსა;
აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლავ სამხრეთსა,
ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს, ან კახეთსა!

ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა-მჭვერი!
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი.
ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწვერი.

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას ცემოს და თვით იცემოს, დაქორროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს, –
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!

კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს,
უწინდელი გათხუნვილი დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს;
ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, მტერთ კობალი თავში დასცხეს,
ორნივე ერთად შეხრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!

უკუღმართად ხვნა და ფარცხვამ ეს ნაყოფი გამოიღო:
მოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო!
თარჯ-თომრიან ჯილოანნი გაგვიხადა, ქმნა უჯიღო!
მხამს გიტყვებდე მეფის ბილით, ვარსამისა სავსე მჯიღო...

რევზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი – 2024



გამარჯვებული ავტორები

რევზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი წელს მეთხუთმეტედ გაიმართა. სტანდარტულ ნომინაციაში პრემიები ასე განაწილდა:

- I პრემია – ნინო მანძულაშვილი („ასული“);**
- II პრემია – გიორგი პაპუაშვილი („ჩემი ნაბიჯების ხმა“);**
- III პრემია – ქეთი გაბინაშვილი („ზოპარკის ავტობუსი“).**

ნომინაცია „საბავშვო“, გამარჯვებული ავტორია:
თინათინ ლომთაძე – „ბებო“.

უკვე მეოთხე წელია, რევზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსზე მხოლოდ ახალგაზრდა მონაწილეებისთვის, წახალისების მიზნით, გაიცემა ფულადი პრემია – 300 ლარი, რომელიც დააწესა იტალიის პავიის უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების დეპარტამენტის მოლეკულური ბიოლოგიის პროფესორმა, მწერალმა **სოლომონ ნერგაძემ**.

პრიზები დააწესეს რევზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის ქველმოქმედმა ხელოვანებმა: მხატვარმა **რეზო (ემელიანე) ადამიამ**, ხელნაკეთი სამკაულებისა და აქსესუარების სახელოსნოს „ზილფი ჰენდმეიდი“ დამფუძნებელმა **ფატი კახნიაშვილმა**, მხატვარმა – **ლელა ტაბლიაშვილმა**, საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების სახელით – **ბესიკ ღვინაშვილმა**.

პრიზიორის დიპლომები გადაეცათ: **ეკა უკლებას** („დსარება“), **ნათია ჯიქურაშვილს** („მამა“), **სანდრო უსტიაშვილს** („სალოცავი ნიში“), **ნათია ლურსმანაშვილს** („ბაბუაწვერა“).

ნომინაციაში – „საბავშვო“ საუკეთესო მოთხრობად დასახელდა **თეა ირემაშვილის** „ტყუპები და წივილა“.

ნომინაციაში – „ქართულ მწერლობაში შეტანილი წვლილისათვის“, დაჯილდოვდა მწერალი და პუბლიცისტი **ვანო ჩხიკვაძე**.

ჟიურის შემადგენლობა: მწერალი ნინო არსენაშვილი, პოეტი ჯუმბერ გოგრიჭიანი (ჯუბა დებელი), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო გიორგაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი (თავმჯდომარე).

2024 წლის კონკურსი თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ-საქმეთა საქალაქო სამსახურის დაფინანსებით ჩატარდა.

მხარდამჭერები არიან: საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ქვემოთ გთავაზობთ სამ პრემირებულ მოთხრობას „სტანდარტულ ნომინაციაში“ და „საბავშვო ნომინაციის“ ერთ გამარჯვებულ მოთხრობას.



სცენდარული ნოდინსკი

ნიკო მანკულაშვილი



ასული

I ადგილი

შავთვალწარბა ასული იყო ათრაქა შარაღანის ძის ქალი, გურანდუხტი, ტანადი და ეშხიანი. გაგრძელებული ნიშნობის მანძილზე ქართული ადათ-წესები და საუბარი ესწავლებინათ მისთვის, განათლება და აღზრდა არც ისე დაეკლოთ. გაიოცა სამეფო კარმა, როცა ველური, უწიგნური საპატარძლოს ნაცვლად კდემამოსილი და მოკრძალებული სადელოფლო მოაბრძანა მაყრიონად წარგზავნილმა ელჩობამ.

ჯვრისწერამდე მართლმადიდებლად მონათლეს. ბაგრატის ტაძარში დასწერა ჯვარი კათალიკოსმა იოანემ. სამეფო ქორწილი შვიდ დღეს გაგრძელდა, ილხენდა ერი. მწუხარე სახე ვერ მოიშორა დავითმა. თავადვე გრძნობდა, მის გულცივობას ხვდებოდა გამჭვირვალე პირსაბურავის შიგნიდან გამომაცქერალი პატარძალი. ახლოს არ ეკარებოდა სადელო პალატებს. საჯინბოს მიადგებოდა ხოლმე იდუმალ და მის სხვენზე უცდიდა ალიონს. გათენებამდე უბრუნდებოდა სამეფო პალატს და შემდეგი დღის საქორწილო ნადიმისათვის ემზადებდა. არ ჰქონდა თვალთმაქცობის ძალა. გელათის ხარაჩოდან ჩამოვარდნამ მართლაც შეუცვალა ხასიათი, თავის იძულებას ველარ ახერხებდა და უნდომის ქმნას. ნამდვილად არ ეწადა ყივჩაღთა ქალის რუსუდანიის სწორად ქცევა. არც სიყვარული და ვნება აწუხებდა და არც დაუცხრომელი გული სთქმა. ბერობაზე ფიქრობდა, ღამიანად, განმარტობისასა. ეგებ დროზე მოეშოთ გარეშე მტერი, ყოველი, დროზე დაეყენებინა საქართველო და დემეტრე ფეხზე, შეხიზნებოდა რომელიმე მონასტერს?

მეშვიდე დღესაც გვერდით ეჯდა მოოქროვილ ტახტრევეანზე დაბრძანებული დედოფალი. პირსაბურავიდან მალვით უმზერდა დავითს. გრძნობდა მეფე მის თვალთა მწველ შუქს. ზიზღს გვრიდა უნდომი სადელოფლო. ახსოვს, რუსუდანიის ცოლობაც არ ეწადა, მაგრამ მხოლოდ სიბრალულსა გრძნობდა ქალისადმი პირველ ხანებში. შეუცვლელად როდის ქცეულიყო, თავადაც ვერ ხვდებოდა.

ისევ საჯინბოს სხვენზე ათევდა ღამეს, მშენებარე ტაძრის სახილველად ეწადა წასვლა, მაგრამ შეუმჩნეველად ვერ დაუსწლტა კარიბჭის გუშაგებს. საიღუმლო გვირაბის ასეთ უმნიშვნელო საქმეზე გაცხადება არ ინება და დაელოდა ალიონს.

ქარიანი ღამე იყო. ნახევარმთვარე ქანაობდა ცაზე. ღრუბლებს მიერეკებოდა ბინდში მეცხვარე. ხეთა ჩრდილები ბარბაცებდნენ, ფოთოლს გაიღებდნენ მსხვეპლად. შემოდგომა იწყებდა შემობრძანებას. სხვენის იატაკზე, დაბალ სარკმელთან იჯდა და გასცქერდა. ისევ რუსუდანიის ტკივილი და თავგანწირვა არ აძლევდა მოსვენებას. სასახლისაკენ გახედვის სურვილს უქრობდა აჩირადღნებული სარკმელი სადელოფლო პალატისა.

„რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვნიერ სიძვისა და სხუად შეირთოს, იმრუმებს“, – მაცხოვრის სიტყვები ედგა ყურში.

მოუძებნეს მიზეზი, იძულებით აღკვეცეს მონაზვნად. მხოლოდ მრუმობა დასდგა უფალმა საბაბად, რუსუდანს კი მონაზვნობა აიძულეს... მაგრამ „აწ უკუე რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებსო“?! განაშორეს კაცთა. სამრუმად სხვა დედოფალი უნდა დაუსვან ახლა. ნუთუ მეფეთა გამო არაა თქმული და მას არ ეხება მოკვდავ კაცთა მიმართ ნათქვამი?! სიშლეგა და უგუნურება კაცთამიერი განსჯა! მაგრამ ვინ აიძულა? განა სამეფო კარმა აიძულა? განა რუსუდანიის მონაზვნობით გონწართმეულმა თავად არ გადაწყვიტა, სამშობლოსათვის ბოლომდე მიეტანა სიცოცხლე ტარიგად? ახლა ვის ემდურის და აბრალებს ყოფას? ჭყონდიდელს? კათალიკოს იოანეს? ეგებ სხვას ვინმეს? რუსუდანს? მხოლოდ დავითია ბრალეული, მხოლოდ თავად გადაწყვიტა ის, რასაც სხვანი ურჩევდნენ. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა. ვერ ეყოფოდა ძალა გაცამტვერებულ ქართველობას საკუთარი მოდგმა ფერფლიდან დაუხმარებლად აღედგინა. ვინმე უნდა მიშველებოდა განვითარებით დაბლა მდგომი, მორჩილი, დამყოლი, ლმობიერი, მებრძოლი და გამტანი, ვინც თავისას არ გამოეკიდებოდა და ქართველობაში გაითქვიფებოდა. სწორედ ყივჩაღნი იყვნენ უცოდინრობით – მორჩილნი, აღმატებულთან – დამყოლნი, ლმობიერნი, მტერთან – მებრძოლნი და ჭირში – გამტანნი. უჭირდათ თანაც კაკასიონის ჩრილოეთ კალთებზე. რუსთა სამეფო არ აძლევდათ მოსვენებას. ეგებ სწორედაც დანმარების ხელის გაწვდენად ჩათვალათ ჭყონდიდელის გეგმა და ნაფიქრი?

ფიქრის ჯაჭვი გაუწყვიტა დავითს თავისივე ცხენის სხვაგვარმა ფრუტუნმა. დაფრთხა ბორიო ავის მოლოდინში, ხმამაღლა ჭიხვისსა და ტორების ცემას მოჰყვა. სხვენიდან ძირს დაეშვა და ჩრდილში დარჩენა ამჯობინა. უცხოს გრძნობდა მეფის ერთგული ფამატი. თეთრი ფაფარი ასჯავგროდა და ბნელში ეძებდა საფრთხეს.

მოულოდნელად დამშვიდა ცხენი და ტორების ცემა შეწყვიტა. შეცბა დავითი, მფოთვა ვინ დაუამა? არავის იკარებდა ახლოს მისი და მეჯინბის ბიჭის გარდა. ფრთხილი ნაბიჯით განაგრო გზა. ცხენის სადგომის კარი ფრთხილად გაიღო, ბორიო ფერდს აკრული ღანდის თანხლებით დინჯად გამოვიდა და საჯინბოს კარისკენ გასწია.

არ გააცხადა დავითმა თავი, სახეზე ეწადა

დანახვა, ვინა ბედავდა მეფის ფაშატის მოპარვას. მათ მთვარის შუქზე გასვლას დაუცადა. გარკვევით დაინახა ჭიშკრის გაღებისას როგორ მოსძვრა ლანდს პირსაბურავი. მთვარის შუქზე გაიბზინა გურანდუხტის გრძელმა საყურემ. წაშში დაიძალა პირსაბურავის მიღმა. თვალები მოატარა თავლაში გამეფებულ სიბნელეს და ცხენს მოახტა.

ერთხანს გახევებული იდგა დავითი. ვერ მიმხვდარიყო, რა მოელანდა. სად მიდიოდა ქართველთა დედოფალი ჯვრისწერის მეშვიდე დღეს? სად ეწადა გასეირნება ღამიანად? ანდა იქნებ მოელანდა და არ იყო გურანდუხტი? მაგრამ სხვას ვის ეკეთა სასახლის დიაცთაგანს მხრისთავამდე დაშვებული მოელვარე საყურე? საყურე რად უნდოდა, თვალთა შემონათებაზეც იცნო. გარეთ გამოვიდა ფრთხილად და მთვარეს ახედა. გალავანს გააყოლა თვალი. ბორიო და მისი მხედარი ცაცხვის ძირას იღვინ და რაღაცას უცდიდნენ.

წაშში გონს მოეგო დავითი. საჯინბოში შებრუნდა და სწრაფად შეკაზმა ცხენი. გუშაგთა შეცვლის ჟამს მცირე კარში გაძრომა და გალაგნისთვის თავის დაღწევა თუ ეწადა დედოფალს. გამოვიდა და ფრთხილი ნაბიჯით დაძრულ ბორიოს შეუმჩნევლად აედევნა. გაუნარდა, ხმალ-ხანჯალს მოუმორებლად რომ ატარებდა. მხრებზე მოვლებული ყაბალანით სახე მოიბურა და ნემსის ყუნწში გაუჩინარებულ გურანდუხტს გაჰყვა. მანდატურთუხუცესს და ცინისთავს ჩემი მოსმენა მოუწვევთო, სახვალიოდ დაიქადა საყვედური და მშენებარე გელათისაკენ მიმავალ დედოფალს აედევნა.

ქუთაისის ქუჩებს თავი დააღწია, ერთხანს ბინდში დამალულ ტაძარს გასცქერდა გურანდუხტი. ჩამოქვეითება აზრადაც არ მოსვლია. არც სიფრთხილისა ეტყობოდა რამე გალავნიდან თავდაღწეულს. გელათის ცქერას თავი ანება და ჩრდილოეთისაკენ ქნა პირი.

ახლავდა მიხვდა დავითი, საით მიემართებოდა უნდომი საპატარძლო.

.....

უსაფრთხოდ იარა გურანდუხტმა მთელ ღამეს. კარგად დაემასხროვებინა გზა. შეუცდომლად მიიწვევდა ჩრდილოეთით, ალან-ოსების მიწისაკენ. როგორ აპირებდა ჩრდილოეთის კარის გავლას, არ უწყობდა დავითმა. ალიონისპირს შესასვენებლად ცხენი შეაყენა ქალმა, დაუქვეითებლად გამოაბა ხეზე და კისერზე მოეხვია. ნუთუ დაიძინაო, გაოცდა დავითი. ისრგებლა და უჩუმრად გადაუსწრო. წინმავლად თუ გადაეყრებოდა, არ ჩათვლიდა მდევრად. სახე საიმედოდ ჰქონდა მობურული ყაბალანით. ხმა არც დაუძრავს სამეფო ნადიმზე. ორიოდ სიტყვა თუ გაცვალა კათალიკოსთან ჯვრისწერისას. ხმითა და საუბრით ვერ იცნობდა.

დააცადა გამოძინება. თავად დარაჯად დადგა შორიანხლოს. ბორიოს შეატყო შფოთვა. პატრონის ორანი თუ შეიცნო და თავისებურად ესალმებოდა. გამოელვიდა ქალს. დაუყვავა ცხენს და დაამშვიდა. გაელიდა დავითს, მასზე ჯიუტი პირუტყვი არ ეგულებოდა სამეფო თავლაში. ხელის ერთი ჩამოსმით მთარჯულა ყივირთა ასულმა. ორივე ერთნაირი ველურია და იმადო, თავს გაუწყრა მეფე.

პირველი ღიმი იყო, რაც რუსუდანის შემონახვების შემდეგ წამოსცადა.

გზა განაგრძო ყივირთა ასულმა. ფარულად წინ წაუძღვა დავითი. ბორიოს ფრუტუნს უგდებდა ყურს. კარგად უწყობდა, გონიერი პირუტყვი მის კვალში ატარებდა ახალ მხედარს.

ხმამალალი საუბარი მოესმა უცაბედად უკნიდან. ცხენი მოაბრუნა და მალვით გასწია გურანდუხტი-საკენ. სამი მთიელი გადასდგომოდა ქალს გზაზე. სადაურობას ეკითხებოდნენ. უცხო კილოზე, ქართულად უპასუხა ქალმა, ოქროს ფასად გზა მომეცითო. შებურვილი ყელიდან ძვირფასი თვლებით შემკული საქორწინო ძვინად ნაბობები ყელსაბამი მოიხსნა. ძვრა არ უქნიათ მთიელთ. სამშობლოდან მოყოლებული საყურეებიც არ დანახებია. მინც უგრძობლად შესცქერდნენ ვაჟები ქალს. რადგან აძღენ ოქროდ უღირს გავლა, ეტყობა, დასაფარავი ბევრი აქვს, კილოც არ უგავს ბარისასო. ეჭვი გამოერია მათ მხერას.

– დავით მეფის მიწაზე უცხოელი დიაცი ვერ უნდა ბედავდეს ვაჟკაცთა მოქრთამვას, – სამიდან ერთ-ერთმა ზურგიდან მოუარა, გაქცევა რომ ვერ შესძლებოდა.

– ეგ ოქრო შენვე მოიხმარე, ვაჟთა ნამუსის ყიდვას სხვა დროსაც თუ ეცდები, იქნებ არ დაგიხვდნენ ჩვენსავით მშვიდად, – მეორემ აღვირის გამორთმევა დაუპირა. არ დააცადა ქალმა. ყალყზე შეაყენა ცხენი და გასაქცევს დაუწყო ძებნა. სრულად ვერ გამოჰქონდა აზრი მათი ნათქვამიდან, მაგრამ მიხვდა, სხვა ღონე უნდა ეხმარა. ქვეითად მყოფთ გაექცეოდა კიდევ, განი რომ მიეცათ.

– თქვენი დავით მეფე გასწავლით დიაცთა უპატივეცემულობას? – რისხვა გამოერია ხმაში. თავის გაცხადება გადაიფიქრა დავითმა. დააცადა სათქმელი, – ცოლებად მოსაყვან ასულებს ძალად რჯულს აცვლევინებთ? ცოლობაზე მინც თუ ეკითხებით თანხმობას?

ერთმანეთს გადახედეს ვაჟებმა. უნდომ საქმროს თუ გამოექცა და შინისაკენ წასასვლელ გზას ებებსო, ერთმანეთს გადაულაპარაკეს. ჩამოეცალნენ გზიდან.

– გასწი, საითაც გული გიწვევს, მაგრამ იცოდე, დავით მეფის აუგად ხსენება არ გაბედო, სანამ ქართველთა მიწაზე ხარ, თუ გინდა ცოცხალმა გააღწიო. იკითხე და გაპასუხობთ. სხვა არ გაღირსებს პასუხს და დავით მეფის უკითხავად მოგაგებს საკადრისს მირონცხებული ხელმწიფის სახელის უქმად ხსენებისთვის, – მშვიდი ხმა ჰქონდა მესამეს. გზა დაუთმეს და გაატარეს.

მადლობა მოახსენა ქალმა და გასწია.

ისევ დაწინაურდა დავითი, მოეწონა ვაჟების საქციელი. ეცადა, სახეზე დაეხსომებინა. არც ქრთამდა დაუბნელათ თვალი და არც დიაცის გულისტკივილი დარჩად შეუმჩნეველი, ხელმწიფის სახელსაც გაუფრთხილდნენ.

დაწინაურდა და დაქვეითდა. მშვილდ-ისრის გარეშე ვერაფერი მოიხადირა მოკლე დროში. ტყის ქათმის რამდენიმე კვერცხი ნახა და ველური კენკრა. ამხედრდა და ისევ უკან ჩამოიტოვა წამოწეული გურანდუხტი. ცეცხლი დაანთო გზის პირას. მობინდებულ ცას ახედა, რა მალე გაიარა დღემო, იფიქრა. განგებ მომავალი გზისკენ ეჭირა თვალი. დაინახა, როგორ შეცბა მისი დანახვისას

ქალი. არ ეწადა სიმარტოვის ვინმესთან გაზიარება, მაგრამ ტყეში დიაცის სიარული რომ სახიფათო იყო, უწინ გადაყრილმა სამმა მთიელმა ცხადლივ დაანახა. თანაც ღამდებოდა. ნადირი გამოვიდოდა საშოვარზე.

სალამი თქვა და დაქვეითდა. ცეცხლის გაზიარება ითხოვა უცნობისაგან. თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად დავითმა. ხმის დამგვრას მოერიდა. ნაცარში მონარშული კვერცხი გასაგრილებლად ქვაზე დააწყო. ახლადა იგრძნო, როგორ მოსწყურებოდა. წყლის რაკრაკი ახლოს არსად ისმოდა. ჭურჭელიც არაფერი ჰქონდა, გზად შეხვედრილ წყაროებზე რომ შეეკვსო.

ბოცას პირი მოხსნა გურანდუხტმა და დალია. აბგიდან პური ამოიღო და მონარშულ კვერცხს გვერდით დაუდო. საგზალზეც შეწუხებულაო, გუნებაში გაეღიმა დავითს.

ყაბალახი არ შეუხსნია, საკვებისთვის ხელი არ უხლია. ივდა უბრად და შესცქერდა. მოკრძალებით მიირთმევდა გურანდუხტი საკვებს... ტყეში, კოცონის პირას, ძირს დაგებულ მწვანეზე, მთელი დღის ნამარხულევი, მაგრამ დედოფლოური სიღინჯით...

შუბლი შეკრა დავითმა. არ მოეწონა, თავს რომ დაეკითხა, რად არ ვეცადე მის უკეთ გაცნობასო.

ცხენს დაუძახა ქალმა. მოვიდა ბორიო და დავითის ზურგთან დაიმუხლა. მის გამოწვდილ ხელისგულს დრუნჩი მიაგება. გაიცინა ქალმა. მარგალიტად გაიღევა მისმა ღიმილმა. თვალი დარჩა დავითს. საპატარძლოდ მორთულ-მიკაზმული, სადედოფლო გვირგვინით შემკული არ მოსწონებია. ახლა რაღა უბრძავებდა თვალს?

— პირუტყვის ალღოს მეტად ვენდობი, ვიდრე საკუთარს, — შეიკავა სიცილი. ისევ გაბადრული თვალებით შესცქერდა ბორიოს. — ჩემი ცხენი არაა, ამად მეურჩება.

— სახელი? — ერთი სიტყვა თქვა მხოლოდ. მიხვდა, ვერ იცნო ხმით ქალმა.

— არ ვიცი, საჯინბოლან მოვიპარე, — ყაბალახიან მასპინძელს მიაცქერდა, რატომღაც ცხენის მსგავსად მიენდო: — მაგრამ ვიცი, ვისიცაა. განგებ მოვპარე, რომ დაიტანჯოს ისევე, როგორც მე მაწამა მისმა თვითნებობამ.

— საით გაგიწევია? — დაენანა. მასაც სამეფო კარი აიძულებდა. უსუსური იყო, დიაცობით ხელფეხშეკრული.

— მინ, თუმცა ვიცი, რაც მელოდება, — თვალი ცეცხლს გაუყინა ქალმა.

— რა გელოდება? — მის მზერაში დანახული შიში იგრძნო დავითმა.

— მამამ ჩვენი ღმერთების საკურთხეველთან დაიფიცა, საკუთარი ხელით გამოძვრის ყელს, თუ ვიურჩე, — შემოხედა. ისეთი ცივი მზერა ჰქონდა, ისეთი შეგუებული. სიკვდილის სიცივე მოდიოდა გურანდუხტის შავი თვალებიდან.

— რატომ იურჩე? — თვალი მოაშორა და ცეცხლის ენებს მიაცქერდა დავითი.

— ძალით გამათხოვა და გამოვიქეცე, — რატომ ამჟღავნებდა ყველაფერს უცნობ მგზავრთან, თავადაც არ ესმოდა. რაღაც ძალა აიძულებდა, გული გადაეშალა.

— გულის სწორად სხვა გყავს არჩეული? — პასუხისა შეეშინდა, გაუკვირდა თავისა დავითს.

— ცოლი დედოფლად უნდა ჰყავდეს კაცს და არა ხასად! მის გვერდით თუ დავრჩებოდი, სიკვდილამდე ხასა ვიქნებოდი და არა დედოფალი მისი გულისა, — ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ასცქერდა გურანდუხტი. დამატყვევებელ იდუმალებას უზიარებდა ზეცა დიაცს. ზუსტად გადმოსცემდა დავითის გულის ტკივილს.

ხასადო...

ზუსტად ამიტომ არ ეწადა ყივჩაღთა ასული ცოლად, გინდა სხვა ვინმე. ვერაფერს დაიკავებდა რუსუდანის ადგილს ძალად, ვერაფერს იქნებოდა დავითის გულის დედოფლობის შემძლები. არც ეგონა, ერთგულების ესოდენი ძალა თუ დააბერტყა გამჩენმა. მხოლოდ ერთხორცად ქმნილის ნახევრის მონახვნად შედგომამ აგრძობინა, როგორ ეძვირფასებოდა. თითქოს ნახევარი მოჰკვეთეს და ცოცხლად დამარხესო.

— მამის ხელით სიკვდილი გიჯობს? — დაეკითხა ანაზად. არ უნდოდა პასუხის მოსმენა. მამ, რაღაა ჰკითხა?

— მის ცოლობას ყველაფერი მიჯობს, თუნდაც მამის ხელით სიკვდილი, — ზიზლით ჩაილაპარაკა გურანდუხტმა. წამოდგა და ბორიო წამოაყენა. მოშორებით დააცადა წამოწოლა და მათან დაიმუხლა თავადაც. პირუტყვის ზურგს მიეხუტა, შემოიხვია საბურველი და დაიძინა.

ქალის ხმაში უცაბედად გაჩენილი ზიზლი არ აძლევდა დავითს მოსვენებას. სწორედ იმავეს გრძობდა საქორწინო ნადიმის ბოლო დღეს გურანდუხტის მიმართ. სძულდა უცნობელად. ქალსაც გადასდო საკუთარი გესლი.

მაგრამ ახლა?

ახლა რჯულიერ ცოლად მიიღო თითქოს, უფლის განგებით მოვლენილ ნუგემად ანდა სატანჯველად. უცქერდა მძინარეს და მისი დამატყვევებელი ღიმილი ედგა თვალწინ. როგორ შეცვალა ალალმა ღიმილმა, როგორ წამისუსწრაფესად ცვლიდა ბედნიერების შეგრძნება ადამიანს, როგორ წამისუსწრაფესად აჩენდა მის ნამდვილ სახეს. რა ცოტა იყო ბედნიერებისთვის საკმარისი. რა ძნელი იყო იმ ცოტას ცნობა.

ვერაფრით დაიძინა გურანდუხტმა. ისევ წამოდგა ბორიო და ისევ უცნობ მგზავრს მიუწვა გვერდით. ერთხანს მინავლებული კოცონის შუქზე უდარაჯა მძინარეს ქალმა. რა დარწმუნდა, ნამდვილად მშვიდად სთვლემს უცნობიო, ფრთხილად მიუახლოვდა და ყაბალახის ბოლო ფაქიზად გამოსწია.

გაქვავებული უცქერდა დავითის დალილ, მძინარე სახეს და ცდილობდა, ყოველი მათ შორის თქმული სიტყვა გაეხსენებინა. უცქერდა მშვიდად მთვლემარეს და საკუთარი გესლი ახსენებოდა.

ფენის კანკალით წამოდგა და გაეცალა. გაჯიუტებულ ბორიოს თავი დაანება, დავითის მეორე რაში აუშვა და ნელი ნაბიჯით გაიპარა ჩრდილოეთისკენ.

არ გასჭირვებია დავითს მთიელი ვაჟების მოძება. მახლობელი სოფლის თავშემყრის ადგილას მოიკითხა სამი წვეროსანი ვაჟკაცი, წინა დღეს რომ დაბრუნდა ძალალი მთიდან. უმაღ სოფლის ყველა ვაჟი მოუყვანეს მეფისკაცს. არ გაამხილა არც თავი

ვისი და არც ქალის ვინაობა. მის მცველად გაყოლა დაავალა და კავკასიონის იქით ოსეთის კარით გავლა. ტაძრის ხუცესს ფურცელი და სამეღნე გამოსთხოვა. სპარსულის მცოდნე ეყოლებათ ყიფჩალოთაო, იფიქრა. ქართულ-სპარსულად დაუწერა უსტარი ათრაქა შარადანის ძეს და სამეფო ბეჭდით დალუქა. ფარმანად დავით მეფის ხელშეუხებლობის ბეჭედს გატანთო, ვაჟები შეაგულიანა და მეფის სახელით ჯილდოს დაჰპირდა.

ქალი თუ იუარებს თქვენს მცველობას, უთხარით, გზად გადაყრილმა მგზავრმა დაგვაგალა თქვენი შინ მშვიდობით მიცილებათო, გაცხადებთ ვაჟების ცხენებზე ამხედრებასა და ჩრდილოეთისკენ გაქუსვლას დაუცადა. თავადაც ბორიოს ზურგს მოექცა და ქუთაისისკენ გასწია.

.....

გზამ დაღალა და გატანჯა გურანდუხტი. ცხენზე ჯდომამ ქანცი გაუწყვიტა. სამი კუშტი მცველი, ქართულისაგან განსხვავებულ ენაზე რომ ებასებოდა ერთმანეთს, გულს უწვრილებდა, მაგრამ იცოდა, მათ გარეშე დღესაც ვერ გასტანდა ოვსთა მიწაზე.

დავითმა გამოაყოლა. აკი უთხრეს, გზად შეხვედრილმა მგზავრმა დავით მეფის ბრძანებით დაგვაგალა, მამათქვენამდე მიგაცილოთო. არ უწყოდნენ, ქალის მამის ვინაობას, მიდიოდა და მისდევდნენ.

დავითმა გამოაყოლა დასაცავად. არც მას ეწადა ცოლად გურანდუხტი, თორემ გაპარვას არ დააცდიდა, ძალით გააბრუნებდა თავისი სასახლისკენ. მცველები გააყოლა, გზად შეხვედრილი ხიფათი ათრაქას ქართველთათვის რომ არ მოეკითხა. უგნებლად მიაცილებდნენ მამამდე, ის გამოსჭრიდა ყელს და შეწირავდა მსხვერპლად დემონებს. მოასვენებდა.

დემონებსო? გონებაში გაკრთომილმა სიტყვამ დააფიქრა. როდის თვლიდა წინაპართა ღმერთებს დემონებად? როდის ეშინოდა მათი საკურთხევლის? დავით მეფის ღმერთი იმდენად ღმობიერი იყო, რჯულიერ ცოლს გაქცევა დააცადა. მამამისის ღმერთი იმდენად სასტიკი იყო, ურჯულო ქმრის არმლომ ასულს სიკვდილს უსჯიდა.

— რომელ ენაზე საუბრობთ ჩემგან ფარულად? — ველარ მოითმინა დუმილი. მოუნდა, რამე გაეგო დავითზე, მის წარსულზე.

— მეგრული ჰქვია ჩვენს ენას, ქართველთაა ესეც, მაგრამ განსხვავებული. სამეფო კარზე სხვა ენაა და ჩვენს კუთხეში — სხვა, — სამიდან ერთ-ერთმა, ყველაზე ხნიერმა და ტანმალალმა გასცა პასუხი.

— სამეფო კარზე ყოფილხართ? — დავითს დასტრიალებდა ამ ერთი კვირის მანძილზე გურანდუხტის გონება. მისი დაღლილი, მძინარე სახე არ ანებებდა თავს.

— სამეფო კარზე ჩვენებრ უბრალო ხალხს რა ესაქმება? — შეიცხადა მეორემ, ხშირწვერიანმა და კუნთმაგარმა. — მაგრამ ლაშქრად კი ვყოფილვით დავით მეფის გვერდით.

— როგორი მეფე გყავთ ქართველთ? — ისევ ვერ მოისვენა მღუმარედ. მალე მიადწევდა მამას. სიკვდილამდე ეგებ გაეგო, ვის ცოლობაზე თქვა უარი.

— დავით მეფე ღომივით იბრძვის, — მესამემ დასძრა ხმა. — მტერი გაურბის მის მახვილს. ერწუხის ბრძოლა იყო ახლახან, სელჩუკი დავამარ-

ცხეთ, ბევრად მეტი ჩვენზე, მხოლოდ მეფის გონიერი ომითა და შეუპოვრობით. ისეთ ადგილას გავუძარტეთ ომი, სადაც ჩვენ გვეწადა. ისე დავზაფრეთ თავგანწირვით, ეკონათ საფარში გვყავდა მათზე დიდი ლაშქარი.

— ომის გარდა არაფერი გახსოვთ, ქართველთ, — ამოიოხრა ქალმა.

— ყოველი ქართველი მეომარია! — პირველმა მიაგება სიტყვა. — ბაღლობიდან ვიცით, კაცად გაჩენილი ან მეომარია, ანდა — მკვდარი!

— ეგ ყიფჩალებთანაც ასეა. ჩვენც ვიცით, ვინც ვერ იომებს, ვერც იცოცხლებს. სხვა მწაღია გავიგო, მეფე როგორია თავად? — ცისკიდეს გახედა გურანდუხტმა. გაახსენდა, გულის სწორის შესახებ ჰკითხა დავითმა. არ უპასუხია გადაჭრით.

ყიფჩალოთა უწოდებს საკუთარსო? ნუთუ მეფის მექორწილე სტუმარს მივაცილებთ ყიფჩალოთა ბელადთანო, ერთმანეთს გადახედეს ვაჟებმა. ანდა დავითის ხასიათს რადა კვლიობდა დაჟინებით? ერთმანეთს მეგრულად დაეკითხვნენ. სამივეს შფოთვა დაეხატა სახეზე. სამივემ ხმალ-ხანჯალი შეიმოწმა და მიდამოს დაუწყო ზვერვა. მიხვდნენ, დედოფალი იყო მათ თვალწინ, თავად მეფემ დაავალა მეგზურობა. მეგრულად გადაულაპარაკეს ერთურთს და საიღუმლოს დაცვა თქვეს.

— სამართლიანია და გულკეთილი, უბრალო ხალხის გამო წუხს და ყოფას უმსუბუქებს, — მეფის ქება მოინდომა მეორემ, ჩასხმულმა.

— ცარიელი სიტყვები კარგია, საქმე? — ნიშნის-მოგებით გამოხედა ქალმა.

— ჭყონდიდელი ეპისკოპოსი გვყავს სამეფო კარზე, მწიგნობართუხუცესად, პირველ კაცად მეფის შემდგომ. ყოველ ორმაბათს დაჯდება საყდარზე და განიკითხავს მოძრევანთ, მათ, ვისაც სხვა, ქვემდგომმა განმკითხველმა ან ცუდად გასცა პასუხი, ანდა დაუკმაყოფილებლად დარჩა საჩივარი. თავად მეფის პირველი მრჩეველი და თანაგამზრახი არჩევს მდაბიოთა საჩივარსა და აჯას. სამართლიანობად სხვა რაღა ვთქვა? უპასუხოდ არავისა ტოვებენო, სოფლის თავკაცი ამბობენ.

— სხვა? — დანარჩენ ორს დაჟინებით მიაცქერდა გურანდუხტი. შავი თვალებით გაუცხრილა გონება თითქოს.

— საყოველთაო ქსენონი ააშენა ქუთაისის მახლობლად. წამალი და აქიმი ყველას სჭირდება, მხოლოდ დიდგვაროვანთ კი არაო, — პირველმა გასცა პასუხი.

— მონებსა და ტყვეებთან ერთად თავად მეფე იღწვოდა ახალი ტაძრის მშენებლობაზე. ხარაჩოდან ჩამოვარდა და დაშავდა. რამდენიმე თვეს ლოგინად იყო. რუსუდან დედოფლის ლოცვამ უშველა, — წამოსცა, ინანა მესამემ.

— რუსუდან დედოფალი ვინაა? ცოლი? — ეჭვი იგრძნო. ქვრივი რატომ ეგონა? აკი ერთ ცოლს სჯერდებიან ქართველნიო?

— რუსუდან დედოფალი მეფის გადასარჩენად მონაზვნად შედგა. ცოლი აღარაა. მონაზონია, — მეორემ განუმარტა. შეატყო შფოთვა.

— მონაზონი რაღაა? ანდა ამით რა ეშველა ავადმყოფ მეფეს? — ვერ გაიგო ქალმა. მართლა გაიოცა.

— ჩვენს ღმერთს ლოცვითა და მოთმინებით

მივეახლებით. თავგანწირვა ვისაც შეუძლია, მას უფლის წინაშე ღვთისმაც ძალუძს, მისთვის სანატრელი სურვილის მოკრძალებით გამოთხოვა. მონაზონი ისაა, ვინც თავს უარყოფს, უფლისთვის იწყებს ცხოვრებას და სიკვდილამდე დარჩენილ დროს მარხვასა და ლოცვა-ვედრებაში გალევს. დედოფალი რუსუდანი სასახლიდან გაიპარა და მონაზვნად შედგა, უფლისთვის მეფის გადარჩენა რომ ეთხოვა.

ერთხანს ვერაფერი თქვა გურანდუხტმა, თვალწინ წარმოუდგა ცოცხად სამარეში დამარხული დედოფალი. ცრემლი დაუგორდა თვალზე.

– სიკვდილამდე? – ამოთქვა თრთოლოვით.

– ჰო, მონაზვნობის უარყოფა არ იქნება, – პირველმა ამოიღო ხმა. სამივემ შეატყო შეცბუნება დედოფალს. გადაჭრით იცოდნენ, გურანდუხტ დედოფალი იყო მათ წინ. მეფემ ეგებ მცველებად გამოაყოლა და არა მხოლოდ მეგზურებად? – მონაზვნობა სიკვდილამდეა. მაგრამ ჩვენი უფალი ტკბილია, მანუგშებელი, ლოცვა აძლიერებს მის შვილებს.

– ალბათ, ამიტომაც არ სწადია თქვენს მეფეს... – ენას კბილი დააჭირა. იგრძნო როგორი დაჟინებით შესცქერდა სამივე. დადუმდა და ხმა აღარ დაუძრავს მეტად. იგრძნო, როგორი ცეცხლი სწავდა საქორწინოდ გამოწყობილი დავითის გულს, როგორი უნდომი იყო მისთვის... როგორი სიხარულით გამოუშვა შინ...

გურანდუხტიც მსხვერპლად გაიღებდა თავს... ისიც სამსხვერპლოზე მიიჭანდა სიცოცხლეს, მაგრამ ვისი? დემონების? დავითის ღმერთისთვის შვილი იყო რუსუდანი დედოფალი, თავისი ღმერთებისთვის საკლავი იყო გურანდუხტი...

შეემინდა. მონაზვნად შემდგარ დედოფალს მოუხმო შემწედ. დაძებმარე შენი მანუგშებელი უფლისა ვიწამო, შეევედრა.

.....

როგორც იქნა, მიაღწენ ყივჩაღთა მთავრის სამყოფელს. ფართო ხევში, დავარდნილ მდელით უწესრიგოდ მიმოხეულ კარავთა შორის ყველაზე გამორჩეულისაკენ გასწია გურანდუხტმა. გზად შეხვედრილი ქალ-კაცი შიშით უკუდგებოდა და თავდახრით მიწას ახებდა ხელს. ვერ მიხვდნენ მთიელი ვაჟები, ასე რატომ ეშინოდათ ქალისა? ანდა სხვა რამის შიში უკრთოდათ თვალში? ახლოს მივლით და ყველაფრისთვის მზად ვიყოთო, ქალის მსგავსად დაქვეითდნენ თავადაც. ერთმა უკან მისდია გურანდუხტს, ორი – ორივე მხრიდან ამოუდგა. გამორჩეული კარვის წინ შეგროვდა ხალხი. აჩორქოლებულნი მხარბეჭიანი კაცის კარვიდან გამოსვლამ დაადუმა. რისხვით შეეყარა გაბანჯგულული წარბები. წინ მდგომ ქალს ისე უცქერდა, როგორც უმაღურ ძალს.

ფეხი წინ წამოდგა, წამისუსწრაფესად ყელში წაატანა ხელი ასულს. არ დაბნეულან ვაჟები. ხმლები იშიშვლეს. ორი დაცვად დადგა, ერთმა კი ახმანს მიაბჯინა ყელში მახვილის წვერი. ვერაფერი მოესწროთ ყივჩაღთ. არ ელოდნენ მოსულთა ესოდენ უტიფრობას.

– ხელი გაუშვი, – ისეთი ბოლმით ამოთქვა, თარჯიმანის გარეშე მიხვდა, შეეშვა ასულს ათრაქა.

ძირს დავარდა სუნთქვაშეკრული გურანდუხტი, ხველა აუტყდა.

– დავით მეფისგან! – ხმამალა, გამოკვეთილად გამოთქვა მეფის სახელი და მრგვლად შეკრული, გასანთლულ ტილოში გადახვეული გრაგნილი მიაწოდა მეორემ. ბეჭედს დააცქერდა ათრაქა. თარჯიმანს უხმო და მის მოსვლამდე გაშალა. გონს მოსული გურანდუხტი გაოცებული შესცქერდა უსტარს. ნუთუ თავისუფლებისა და მამის ხელით სიკვდილის გარდა სხვა რამეც დაავალა ქართველთა მეფემ?

იუარა თარჯიმანმა, მხოლოდ ქართული და გინდა სპარსული საუბრის გადათარგმნა შემიძლია, ამოკითხვა არაო. უკან დაუბრუნა ათრაქამ მეფის გრაგნილი მთიელს. ფეხზე წამოდგარმა გურანდუხტმა უთხრა, წაიკითხეთ და თარგმნიან მოსმენილს. სპარსული დამწერლობის მცოდნე თარჯიმანი წასულია სხვა ბანაკსო.

გულზე მოეშვათ მთიელთ: კითხვა ესწავლა ერთ-ერთს, წიგნის მკითხველად იყო სოფლის ტაძარში, როცა ომი აცლიდა. მოიმარჯვა წერილი და დაიწყო.

– მე, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, დავით, ვიძელოვნებ, არაფერი ევენება ჩემს დედოფალს, ყივჩაღთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასულს, გურანდუხტს. მსურს, უფლებელად და უზრუნველად დაჰყოს მამის კარზე მანამ, სანამ თავად იხებებს. მის სამ მცველს ისეთივე პატივი ეგება, როგორიც ჩემს ელჩებს. ვინაც არ შეისმენს ჩემს ტკბილად ნათქვამ სიტყვას, იგემებს ჩემს ავად მოლაპარაკე მახვილის პირს.

ფერი შეეცვალა ყივჩაღთა მთავარს თარჯიმანის სიტყვაზე. ფეხზე წამოდგარ ასულს ერთხელაც დაუბრიალა თვალი. მერე მის მცველებს გადახედა. კარვისკენ მიბრუნდა და რაღაც მიაძანა იქვე მყოფ ყივჩაღთ.

გარინდებულ დედოფალს მიეახლნენ მთიელი ვაჟები. მეფის ბრძანებას ვერ გადავალთ, სანამ აქ იხებებთ ყოფნას, თქვენი მცველები ვიქნებითო, თავი მდაბლად დაუკრეს და მუხლი მოიყარეს მის წინ. თვალეგაფართოებულმა გურანდუხტმა ერთხანს გაოცებით უცქირა მის წინ დაჩოქილ სამ ვაჟკაცს. გაახსენდა, ურჩ ასულს მამა ყელს გამომჭრისო, იღუმალ მეზავრს რომ გაანდო. ისიც გაახსენდა, უნდომი საქმროს ცოლობას სიკვდილი მიჩვენებიაო, რომ უთხრა.

როგორ ატკინა...

თითქოს რუსუდანის მონაზვნობა არ იყო საკმარისი, მანაც უარყო. მაგრამ რისთვის უარყო? განა დავითის გადასარჩენად? ახლოსაც ვერ მოვიდოდა ქართველთა უწინდელ დედოფალთან. მხოლოდ ქალური სიჯიუტისა და მამის ურჩობის გამო გადაწყვიტა, შესძულებოდა. გადაწყვიტა და აღასრულა.


და რა გამოვიდა ამ სიძულვილისგან?

ნუთუ ცხადლივ გრძნობს მის ტკივილებს?

თვალთ დაუბნელდა. ხანგრძლივი მეზავრობით დაღლილს ფეხზე ღვთის ძალა წაერთვა და ვერხვის ფოთოლივით შექანავდა. იგრძნო, ვილაცამ არ დააცადა დაცემა. დაიჭირეს და ფაქიზად დააწვივნეს მიწაზე... მერე...

მერე მძინარე დავითის დაღლილი სახე ამოტივტივდა და დაისაკუთრა სიზმარეთი...

გიორგი ჰაჯაშვილი



ჩუმი ნაბიჯების ხმა

II ადგილი

კი, ბატონო, ფილოსოფოსს გარემო უთუოდ სჭირდება, გარემო და ხმელი კუჭი, მაგრამ აქამდე უნდა მიხვიდე, რაღაც უკეთესი უნდა გქონდეს ნანახი და გაგონილი, რომ მწარედ გემცხეთოს ახალი ცხოვრება და ვითარებამ ტვინი სხვანაირად აგიმუშაოს.

მართალია, ლავრენტის მეგობრებს ამის მოსმენა სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ, მაგრამ, მაინც სწამდა, რომ ზოგს მისი ესმოდა და კიდევაც სჯეროდა.

ბედმა, ჯერ კიდევ სტუდენტი, იურისპრუდენციას რომ ეჭიდებოდა, ერთ შავგვრემან, ეშხიან გოგონასთან დააკავშირა, ფილოლოგიას რომ სწავლობდა და საოცრად მოსწონდა ლავრენტის გაბედული მსჯელობა. იმის მიუხედავად, რომ ლავრენტი ერთი ჩია, საკმაოდ შეუხედავი ბიჭი იყო და ცხვირიც, ალბათ ბავშვური სიანცის გამო, ცოტა მონჯლრეულიც ჰქონდა. კიდევ შეუყვარდასავით. თავად გოგონა, ჩუმი და უთქმელი იყო, სულსა და გულს ლექსებს ანდობდა და ამით ცდილობდა სამყაროსთან ურთიერთობას.

ერთხელ, ამ გოგონამ, ამ ვაჟს, მომცრო ლექსი, სრულიად უდროო დროს, მაგრამ მეტად პოეტურ ადგილას, ანუ ჭავჭავაძის გამზირზე, პირველ და მეორე კორპუსებს შუა, ხალხმრავალ ტროტუარზე, წაუკითხა და აქედან დაიწყო ყველაფერი.

ლავრენტი შედგა. გოგონას შეხედა. მის თაფლისფერ თვალებში ისეთი შუქი ჩაღვა და სახე ისე გაუნათდა, გოგონამ შეიგრძნო, რომ მართლაც პოეტი იყო, ხოლო ვაჟს, რომელიც ჯერაც ცდილობდა ლექსის ავტორის გამოცნობას, გუანდა ეჭვი რომ ავტორი, სწორედაც, ეს კაფანდარა, შავგვრემანი გოგონა იყო, საუბარი სრულიადაც რომ არ ემარჯვებოდა.

– ვისი ლექსია? – მაინც იკითხა ვაჟმა, მის თვალებს ჯერ კიდევ რომ ემატებოდა შუქი და როცა გოგონამ ამ მზერას ვერ გაუძლო და ვერც

სიტყვებს, ასეთმა ადამიანმა რომ უწოდა მის ნალოლივე სტრიქონებს ლექსი, თავი დახარა და ამოიჩურჩუნა, – ჩემი...

– გენიალურია... გალაკტიონიც კი მოიწონებდა. – წამოსცდა ვაჟს, გოგონას შუბლზე ეამბორა და უთხრა, – წავალ, უნდა გავიაზრო. – შუა ქუჩაში მიატოვა, უნივერსიტეტის დედა კორპუსს გვერდი უქცია და ვარაზისხევში დაეშვა, იმ ჯიხურისკენ, ბიჭები კათხა ლუდს რომ შეექცეოდნენ ხოლმე.

და, როცა ისევ შეხვდნენ, ლავრენტიმ კვლავ ჰკითხა, მართლა მისი ლექსი იყო თუ – არა და როცა თავჩაღუნულმა გოგონამ თავი უფრო ჩაჰკიდა, სთხოვა, მისთვის სხვა ლექსებიც ეჩვენებინა.

გოგონამ ჩანთიდან მოზრდილი ბლოკნოტი ამოიღო. თავფურცელზე გამოყვანილი იყო სახელი – „დელა“. შემდეგ ლექსები მისდევდნენ ერთიმეორეს, მოკლე სტრიქონებს უფრო ბარაქიანები ენაცვლებოდა, ზოგი მძიმეც ჩანდა, მაგრამ კითხვისას ჰაეროვანი ხდებოდა, ალკოჰოლივით ედებოდა, ამიტომ, ლავრენტიმ, ბევრის წაკითხვა ვერ შესძლო, ისე დაუბრუნა.

– არ მოგეწონა? – გოგონა შეეცადა, გაეღიმა, მაგრამ არ გამოუვიდა,

– მშვენიერია. უბრალოდ, მეტს ვერ წავიკითხავ, ხომ უნდა გავიაზრო?

– ასე მალე დაიმახსოვრე?

ტექსტი არა, აი, მუსიკა – კი! ახლა, ერთ-ორ დღეს ვიმღერებ და ტექსტიც თავისით გამახსენდება... იცი, გალაკტიონსაც კი არ ჰგავს და ეს მაშინებს...

ლავრენტი კიდევ ერთხელ დაეშვა ვარაზისხევისკენ.

.....

მერე უერთმანეთოდ ვერ გაძლეს და დაოჯახდნენ. ნაქირავებ ბინაში იყვნენ. ხან დედამისი ჩამოაკითხავდათ, ხან – ბელას მამა და არა აკლდათ.

ცდილობდა, რაც შეიძლება იშვიათად ყოფილიყო სახლში, ბელასთვის მუშაობაში ხელი რომ არ შეეშალა. საბედნიეროდ, საქმეებიც ბევრი ჰქონდა, მომავალ პროფესიას ირჩევდა. არც პროკურორობა ხიბლავდა, ვინმეს ბრალდება. არც მოსამართლეობა, რადგან, გაცილებით დიდი გარეწრები ქუჩაში დაბრძანდებოდნენ და რიგითი თაღლითი როგორ გაესამართლებინა? აი, ვეჭილობას კიდევ შეეგუა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მიხვდა, რომ სშირად დამნაშავეებს აფარებდი ხელს, რომლებიც, შემდეგ, ავდებით ეტყოდნენ, მართალი რომ არ ვყოფილიყავი, არც გამამართლებდნენო და ერთხელაც, მტკიცედ გადაწყვიტა სამსახურის მიტოვება.

ამ ამბებმა ვერ გააუხეშა და კიდევ ევლინებოდა ბელას მხსნელად, როცა ლექსების ბეჭდვას უგვიანებდნენ და წიგნები კი, წლიდან წლამდე მოგზაურობდნენ საგამომცემლო გეგმებში.

– შენ მხოლოდ წერე, იმუშავე, თარგმნე. მოვა დრო და გამომცემელთა რიგი დაგიდგება. – ეტყოდა ხოლმე ლავრენტი და ახლიდან ანთებდა მის მინავლულ სულს.

ახლა კი, ისე, თავადაც რომ არ იცოდა, შინ რომ მივიდა, დელას განუცხადა, სოფელში უნდა დაგბრუნდე და ალბათ, სამუდამოდ.

ქალს არ გააკვირვებია. შვილი არ ჰყავდათ და ამ დღეს სულ ელოდა.

– მერე, მე რა მეშველება? – წამოსცდა მთავარი სათქმელი.

– შენ ფრთებს გაშლი, შენ გაფრინდები. მე უკვე ზედმეტი ვარ. პოეტები გამოკეტილში არ ცხოვრობენ, უნდა გაგიფედ, თავი მაინც უნდა გაიგიჟო, რომ გაღიარონ. სკანდალი შენ არ გამოგივა, მაგრამ ერთი-ორი შეკვივლება მაინც უნდა მოახერხო, ფეხს რომ დაგადგამენ, ხელოვნება ხომ მსხვერპლს მოითხოვს?!

– ვერაფერი გავიგე... – დაიბნა ქალი.

– აი, წავალ და ყველაფერს გაიგებ. ეს მე გაფრენებს, მე გიფრთხილდები და ამის იმედზე დარჩი ბავშვად. შენაირი ქალისთვის, ქმარი უკვე ზედმეტი ბარგია!

ლავრენტის მეტი არაფერი უთქვამს და ქალიც იმის იმედად, რომ დაწყნარდებაო, დამშვიდდა, მაგრამ ჩვეულ დროს, პურის საყიდლად გასული ლავრენტი რომ აღარ დაბრუნდა, მიხვდა, არც ამჯერად უღალატებდა სიტყვას...

დელამ კი გადაწყვიტა, ყველაზე დიდ საფრთხეში ჩაეგდო თავი და მსოფლო კლასიკის დიდი ტილო ეთარგმნა, რაზეც, აქამდე, ვერც კი ოცნებობდა...

.....

ლავრენტი სოფელში დაბრუნდა და ბალ-ვენანის მოვლას მოვლას მიჰყო ხელი. ისევ თავისავე ბიძაშვილი, რამაზი გახდა მისი მესაიდუმლოე, ბავშვობიდანვე რომ მოწამლულიყო მისგან – გალაკტიონით. ის გარეგნობითაც ლავრენტის გადანაჭერი იყო, ეგ არის, უფრო შეგუებული ხალხს, ყველაში რაღაცას მაინც რომ იპოვიდა, დასახატს თუ გამოსაძერწს.

რამაზი მოქადაკე იყო. რაიონის მასშტაბით, საქმე არ აკლდა. ცდილობდა, გმირთა მემორიალებში თუ ობელისკებში, რაღაც თავისი ჩაედო, ერის წიაღიდან რომ იღებდა სათავეს, მაგრამ არც ძალიან გასცდნოდა შემკეთების ნებას. ლავრენტის ადვოკატობას კი აქაც გავარდნოდა სახელი და სამოქალაქო სამართლის ხაზით, კიდევ აკვალიანებდა და ესმარებოდა თანასოფლელებს, ნაცნობ ადვოკატებსაც, რთულ საქმეებში რომ გაინლართებოდნენ და თავგზა აებნოდნენ. რასაც ხელს მოჰკიდებდა, იმ საქმეს იგებდა და მასაც გაუჩნდა შემოსავალი, ფულის გარდა, ნატურით მიღებულ ნივთებს და სარჩოს თუ მივათვლით. ეს სრულიად საკმარისი იყო სოფლის ინტელიგენტთა რიგებში ჩასაწერად, თუნდაც, შაბიანით დასვრილი პიჯაკითა და მორღვეული ფეხსაცმლით ევლო, რაც, შინაურულად რომ ვთქვათ, სულაც ფეხებზე ეკიდა.

გალაკტიონს პალტო არ ჰქონდა, ძვლები რომ გაეთხო და მე პალტოც მაქვს და ძვირფასი ლაბადაც, ვილაც რეკვენმა რომ მომიტანა. განა, ეს ღორბობა არ არის? – თქვა ერთხელ, როცა ის და რამაზი ღორის ბარკლის დამარილებას გადარჩენილ

ნაკუწებს ნაკვერჩხალზე აშიშხინებდნენ, მღვრიე წარაფს შეექცეოდნენ და ჩვეულებისამებრ პოეზიით ირთობდნენ თავს. მათი აზრით ხომ, გალაკტიონის გარდა, სხვა პოეტები იმიტომ არსებობდნენ და მათს ლექსებსაც იმიტომ იცნობდნენ, რომ გალაკტიონის სიდიადე მეტად წარმოეჩინათ. არა, განა „ცისფერყანწილები“ არ უყვარდათ? – გოგლას კიდევ აღმერთებდნენ და ზოგჯერ, მათდა უნებურად, კიდევ გადაემგებოდნენ მისი პოეზიის მძლავრ ტალღებში, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგებოდა, რჩებოდა ერთი, – გალაკტიონი.

ორლობეში, მეზობლის ბიჭმა, ათიოდე ცხვარი შემოაგდო და ხელების ორთქვლით, აქოდა, გავითბობ და ჯოხსაც მყარად დავიჭერო, გზისპირებზე შემორჩენილი ხმელი ბალახისკენ მირეკა, ლავრენტის ბოსტნის დაყამირებული ნაპირებიდან რომ გამოეყო თავი.

– აი, ჯერ მეცხვარე რა არის და მელორე რაღა იქნება, ცრემლებიყლაპია? – გაიშვირა ხელი ლავრენტი და ბიჭს გასძახა, შემო, ერთი ჭიქა დაგვილიეო.

– არა ძიავე, არა ვსვამ! – გამოსძახა ბიჭმა, რომელსაც ემჩნეოდა, არ კი სვამდა, მაგრამ ლუქმაზე უარს არ იტყოდა.

– მოდი, კაცო, წაეშველა რამაზი, ერთი ყლუპი რას გინამს. განა ჩვენა ვსვამთ, – ვერთობით.

ბიჭმა მორცხვად გადააბიჯა ლარტყებს, ლავრენტის დროებით კარად რომ შეეკრა და ფეხათრევით მიუახლოვდა მოქეიფებს.

– ეხლა, შენა, რომელ კლასში ხარ? – ჰკითხა ლავრენტიმ, თავისივე სოფლის კილოთი.

– მეცხრეში.

– გალაკტიონი გავიგია? – გამომცდელი კითხვა გამოუვიდა ლავრენტის.

– დიახ. – მყარად უპასუხა ბიჭმა.

– გოგლა?

– ზოგი ლექსი კიდევ ზებიარად ვიცი! – გახალისდა ბიჭი.

– და, პაოლო იაშვილი?

ბიჭმა თავი მძიმედ გაიქნია უარის ნიშნად და ჯოხით ქალამნის ჭვინტიკს დაუწყო წვალება, ახლა ძალიან იშვიათადლა თუ ამოასხამდა ვინმე. ქალამნის თასმები ჭრელ წინდებს ეხვეოდა და შიგ ჩატანებულ, სოფლურ, მუქ, ფერმკრთალზოლიან, კარგაგაცვეთილ შარვალთან ინასკვებოდა.

– პალტო გაქვს? – ჰკითხა მოულოდნელად ლავრენტიმ.

ბიჭმა ჯერ ჯიქურ შეხედა, მერე კი მორცხვად გაიქნია თავი. რამაზის მიწვდილი ჯამიდან ხორცის ნაჭერი აიღო, პურის ყუაც გამოართვა და მორიდებით კიდევ მოკბინა.

ლავრენტი ადგა, შინ შევიდა, და მალევე კიდევ მობრუნდა. მკლავზე ახალთახალი, გამჭვირვალე პარკამოცმული ლაბადა გადაეკიდა, რომელიც ვაჟს გაუწოდა, – აჰჰააო..

– რას ამბობ, ლავრენტი ძია, ეგ „ღუბლიონკა“ ათასი მანეთი მაინცა ღირს. მთელი ჩვენი ოჯახის ქონება არ არის ამისი ფასი! – გაიკვირვა ბიჭმა,

ლუკმა პირში რომ გაეყინა და უკან დაიწია.

– შენ არა, გალაკტიონსა ვჩუქნი! – ლაბადა ბიჭს მიაგლო, მერე ხელი შემართა და მეორეთი კი, რამაზს მიწვდილი ჭიქა ჩამოართვა. მერე, ხელი უფრო ზეადმართა და შესძახა: „ოთხი დიდი აფთარი“! და ჭიქა სულმოუთქმელად გამოცალა...

.....

ქალის ხელიც აკლდა, ხმის გამცემიც, ამიტომაც, როგორც კი სკოლის ახალი პედაგოგი გაიცნო, დედაქალაქიდან რომ ჩამოვიდა და ბავშვებს ფრანგულ ენას ასწავლიდა, მასზე შეუვარდა გული.

მან, თურმე, ჯერ თეატრალური სტუდია დაამთავრა, მერე უცხო ენების ინსტიტუტი, ვითომ არტისტობა საკმარისი არ იყო და ამით იმ ნიშნულს მიაღწია, რასაც მაშინ თავისუფალი ადამიანები თუ აღწევდნენ და ეს თავისუფლება კი მართლაც მოითხოვდა გარკვეულ მსხვერპლს.

მამას ძალიან უყვარდა და რამოდენიმე ღმობიერი რჩევის გარდა, მისთვის არაფერი უკადრებია, მაგრამ მერე, როცა თავად გოგონამ აიყარა რაღაცეებზე გული, თუნდაც წართმეულ როლებზე და გულისწორზეც, მამის რჩევას დაჰყვა, დატოვა თბილისში დიდი კერძო სახლი და ცხელ გულზე სოფელს მიაშურა.

ანამ, საკუთარი თავის დასასჯელად, მიუწვდომლობა სულაც განაგლო ქცევიდან თუ ხასიათიდან და სოფლის საყვარელ, მზრუნველ ქალად იქცა

მათ ვენახები შორიანხლოს ჰქონდათ, რაც ლავრენტისთვის გაცნობისა და დაახლოების საბაბად გამოდგა და, საერთო რომ ბევრი აღმოაჩინეს, კიდევ იქორწინეს, სამოქალაქო ქორწინებითა და სრულიად მოკრძალებული სუფრით, ორ ათეულ სტუმრამდე რომ ითვლიდა.

მერე, იმ გრძელ ნაკვეთზე, ლავრენტის მემკვიდრეობით რომ ერგო, სახლის შენება დაიწყო. ნაკვეთი სასაფლაოსკენ მიმავალ გზას მიუყვებოდა და სახლი მთელი სოფლის თვალწინ შენდებოდა. ბევრმა ცხვირიც აიბზუა, აქ რა მაცხოვრებსო, მაგრამ ლავრენტი ამბობობდა, ორ სოფელშია ცხოვრება მხოლოდ უკეთესი ხვედრიაო.

ხშირად აისეირნებდა ხოლმე სასაფლაოს გორაზე, ჩამოვილიდა მიტოვებულ საფლავებს, თითო სიტყვით გაეხმაურებოდა თანასოფლელებს და არც მათ შესანდობარს დაივიწყებდა.

ორი გოგონა ეყოლათ. როცა წამოიზარდნენ და თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, ერთხელაც, თავადაც რომ ვერ წარმოიდგენდა, ცოლს უთხრა, ახლა კი დროა, მოკიდო შეილებს ხელი და ქალაქში წახვიდე. არ გეცოდება თავი, სოფლის დედაკაცად რომ იქეცი ასეთი შესაძლებლობების ქალი? მგონი, საკმარისად დაისაჯე. სისხლის სამართლის კოდექსიც კი, გარკვეული დროის შემდეგ, ადამიანს ათავისუფლებს სასჯელისგან. ბავშვებს ხომ, მთლად არაფერი დაუშავებიათ.

– მერე, შენ რას იზამ? – ჰკითხა მორიდებით ცოლმა და შეემჩნა, რომ ამას თავადაც ფიქრობდა.

– მე, რა? ქალაქი შორს არ არის, ზაფხულიც

ყოველ წელს მოდის და ზამთარიც, სახლიც თქვენია და ბალ-ვენახიც. ვიდრე ბავშვებს თავს მოვაბეზრებ, წასვლა სჯობია, მათ გულში კარგ მამად დავრჩები. ჭკუაში რომ ჩავარდებიან, ვინც როგორ გაიგებს, ისე იქნება ყველაფერი.

ასეც მოხდა. მერე ქვეყანა აირია, წასვლა-მოსვლა გაძნელდა და რომანტიული მარტოობა მკაცრ სინამდვილედ იქცა, თუმცა, ლავრენტის პოეტური ბუნება და გალაკტიონი არ ტოვებდნენ.

აი, როცა რამაზი მოულოდნელად გარდაიცვალა და მთლად მარტო დარჩა, მაშინ კი გაუჭირდა. სოფელი დაცარიელდა. ვინაიდან სამყოფ სარჩოს მაინცადამაინც დიდი შრომა არ სჭირდებოდა, იგი ისეთ საქმეს მიუბრუნდა, რისთვისაც ვერასოდეს მოიცალა, ანუ სველი წერტილების სახლშივე მოწყობას, რაც საკანალიზაციო ჭის ამოთხრას მოითხოვდა. ასე იმიტომ გადაწყვიტა, ბავშვებს ეს რომ არ მოემიზეზებინათ და როცა ცხოვრება დაწყნარდებოდა, ხალისით ჩამოსულიყვნენ ხოლმე.

ღრმა ორმოს გაჭრა გადაწყვიტა და საქმესაც ჩვეულებისამებრ დინჯად შეუდგა. როგორც კი ორმო წელამდე მოიყარა, დამხმარე აუცილებელი შეიქმნა, – ორმოში გაუთავებელი ჩასვლა-ამოსვლაც გაუჭირდა და მიწის გატანაც, გზისპირისკენ, ბადურა ღობის გასწვრივ რომ ყრიდა.

მეზობლის ბიჭს, ნოდარას, სთხოვა დახმარება, ღომინოში კარგად რომ ერკვეოდა და დღეში თუმნად გაურიგდა.

ნოდარას ნიჩბებივით ხელები ჰქონდა. იგი, მართალია, მაინცადამაინც ძლიერ მოთამაშედ არ იყო აღიარებული, რადგან არც კარნახი და არც მინიშნება იცოდა, მაგრამ ერთ ხელში შვიდი ქვის თავისუფლად დაჭერა ხომ გაცილებით მეტია, ვიდრე თვით ღომინოს არსი, ამიტომაც, ყოველ-დღიურ ტურნირებზე, მაინც ძირითად მოთამაშედ ითვლებოდა.

ნოდარას კიდევ გაუხარდა. უფრო იაფადაც მიეხმარებოდა. განა ლავრენტის რა იმდენი უნდა ემუშავა, ნოდარა რომ დაეღალა.

თხრა ერჩია ლავრენტის, ორმოში უფრო მყუდროდ, ფილოსოფიურად, იყო განწყობილი, მაგრამ ნოდარა მასავით აკურატულად ვერ დაყრიდა მიწას, ამიტომაც, უკეთესი ადგილი მას დაუთმო, თუმცა ამ უკეთესობას ბიჭი, ახონობის გამო, ჯერ ვერც გრძნობდა.

ამ მთისა და იმ მთისას რომ მორჩნენ, ლავრენტი გალაკტიონს მიადგა. ან კი, როგორ იქნებოდა, როცა შემოდგომის ნისლები უკვე აიშალნენ და კაკანესერის ზაფხულის მომამბეზრებელი ერთფეროვნება დასრულდა. თითქოს ტყის ფერადოვნება საკმარისი არ ყოფილიყო, ნისლებიც დაემატნენ, სერის მთა-გორები ცას შეუერთეს და სამყარო ერთიან უსასრულობად აქციეს.

ჰაერში მაჭრის სურნელი ტრიალებდა, აქა-იქ კვამლი აღიოდა, თითქოს ნისლს ეხმარებოდა, რომ არ გათხლებულიყო და ჯადოსთვის ფარდა არ აეხადა. აქეთ სასაფლაოს გორა გარინდულიყო, დროებით ყველას რომ დავიწყებოდა, რადგან, ლავრენტის და-

კვირებით, შემოდგომით, მის სოფელში, ადამიანები არ იხოვებოდნენ და არც უკვე გარდაცვლილები თხოულობდნენ ცოცხლებისგან ნუგეშს. სასაფლაოს მდუმარებაში მხოლოდ ცხვრის ორიოდ ნოტო ბალახობდა, ერთმანეთის შორიანლოს, შემოდგომით გაცოცხლებულ ბუნსოს ღინჯად უტევენ და ერთ ზომაზე კრეჭდნენ.

ამ დროს, მიტოვებული საფლავების მიწაში ჩაფლული ხავსიანი ქვებიც კი ჩნდებოდნენ. არა ვინმეს უპატივცემულობითა თუ დაუდევრობით, არამედ ბუნების კანონებითაც რომ უთუოდ უნდა მისცემოდნენ დავიწყებას. ჩნდებობნენ საფლავები და ლავრენტის, ლამლამობით ესმოდა მიხა ჯილაურის ურმულიცა და ოროველაც, სევდად რომ ღვრიდა ხოლმე. „ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავო“, ხმის კანკალით რომ დაიწყებდა, ლავრენტი თვალნათლივ ხედავდა თეთრთმაწვერიან, პირმრგვალ მოხუცს, მძლავრ ახალგაზრდას რომ შეჰკლადებდა და არა იმიტომ, თავი რომ გადაერჩინა ამ ვედრებით, არამედ ყმაწვილის სული ესნა მომაკვდინებელი ცოდვისაგან. ესმოდა ფრთხენელას ხმა, თავთხესიც და იოსებ მჭედლიშვილისაც. მერე, სრულიად მოულოდნელად, გარეკახურ საჭიდაოსაც დასცხებდნენ და მთელი სასაფლაოც წამოიშლებოდა. ზოგი თუ მღეროდა, ზოგიც – ჭიდაობდა. ქალები და გოგონები ტაშს სცემდნენ და ისევ სიყვარულად ანთებულ-ყვინ, აქედან გაუხარლად წასულები.

დილითლა მთავრდებოდა ეს ღვინი და მაშინლა ჩაეძინებოდა ხოლმე ლავრენტის, რომელიც გაღვიძებულზე დიდხანს არკვევდა, რაც ნახა და გაიგო, მართლა მოხდა თუ – არა, მაგრამ პასუხის გამცემი ვინ იყო. დაბეჩავებული სოფელი მიწას ჩაჰყურებდა და არა ესმოდა – რა.

მხოლოდ მომცრო ჭიქა კონიაკი აბრუნებდა თავის ადგილზე, მეგობრის შვილმა რომ მოართვა ოცლიტრიანი ბოცით. იგი მძლოლი იყო, ღვინო და სპირტი დაჰქონდა. ცისტერნაში მრჩება ხოლმე და შენზე კარგ კაცს ვის გავუგზავნიო.

ნოდარას, გალაკტიონიც განაგონი ჰქონდა და ის საბაზისო ლექსებიც, ლავრენტიმ რომ სხვათა-შორის წაუკითხა, ბიჭი არ დავაფრთხოო და კიდევ აუხსნა. განსაკუთრებით „მშობლიურო, ჩემო მიწავ“ მოეწონა. როცა ლავრენტიმ სავსე ვედროები წაიღო, ეს მიწა მომუჭა და კარგახანს დაჰყურებდა, უსუნა და კიდევ აკოცა. მიწა მოყვითალო იყო, გრილი, თითქმის მთლად მშრალი, დანითაც დაჭრიდი – ყველივით. ეს არ იყო ნიადაგი, რაიმე რომ აღმოეცენებინა, მაგრამ მაინც მიწა იყო და ნოდარამ ისიც კი გაიფიქრა, რომ ამ მიწისთვის მართლაც ღირდა სიცოცხლის გაწირვა, თუკი წართმავას მოვიწოდებენო. მერე ფრთხილად დაყარა და ლავრენტის ჩამოწვილი ვედროები ჩამოართვა...

ლავრენტი კი ნელ-ნელა სასკოლო პროგრამას გასცდა, თან ლექსებს უკითხავდა ბიჭს, თანაც პოეტის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებით ავსებდა.

გალაკტიონი მთელი ცხოვრება ქრისტეს მერედ მოსვლას ელოდა. როცა ამბობენ, მართოსული იყო, რა, მართოსულები სხვები არ

იყვნენ? ერთმანეთს იმიტომ ებედნენ, რომ მხნედ ყოფილიყვნენ, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგა, გაუჭირდათ, რადგან ცხოვრება ძალიან ძნელი იყო, შეუძლებელი...

ლავრენტი ძიავ, განა რა ისეთი ლექსი უნდა დაწეროს კაცმა, სასიკვდილოდ რომ გაიმეტო? დაწერა და დაწერა, იმ ლექსმა რა უნდა ქნას? ავტომატს ხომ არ აიღებს, ხალხი რომ დახოცოს?

– არ არის ესე! – ღიმილით უპასუხა წუთით თავაწეულ ნოდარას, ლავრენტის თხრობას რომ გაეტაცებინა და ის სიმები გაეღვიძებინა, აქამდე მათი არსებობაც რომ არ უგრძენია. – იქნება, სკოლიდან გახსოვს კიდევ, „ლექსი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს – ტყვიით სავსე ყუმბარა“-ო. აი, ეს უნდა ყოფილიყო ლექსის დანიშნულება მათი აზრით და გალაკტიონის ვერხვის ფოთოლის თრთოლვა, ვის აინტერესებდა? „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ“, წერს გალაკტიონი ქრისტეს ჯვარცმაზე და იქვე, რომ არავინ შემედაოს და გამოძიება არ დაიწყონო, ამბობს, „სად, როდის, რისთვის, არ ვიცი, არა!“-ო. „იყვნენ ოდესღაც და მიეძინათ“-ო, ანუ კი არ მომკვდარან მიეძინათო...

ბიჭი პირდაღებული შეჰყურებდა ლავრენტის, ორმოს თავზე რომ წამომართულიყო და ეს პატარა კაცი, ტყვიისფერი ღრუბლის ფონზე, გაცილებით დიდი ჩანდა.

– აბა, უსმინე, რა მუსიკაა... „მას შემდეგ ბელი და იალქანი, ქარის სიმძიმით გადაიხარა, შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი, რისთვის, ან ვისთან? არ ვიცი, არა“... – და ისევ შიში, არავინ გამიგოსო... და „არ ვიცი, არა“-ო, თითქოს პროკურორის ჰყავდა დაკითხვაზე...

– მერედა, რას აწამებდნენ იმ კაცს, ელოდებოდა და ელოდნა, ვისი რა საქმეა?

– მართალი ხარ! – გაცინა ლავრენტის ყმაწვილის გულბრყვილობაზე. მაინც ხომ ვერაფერი დააკლეს. ელოდებოდა და რომ დააგვიანა, თავად გაეშურა მისკენ. აქ ვისთან უნდა დარჩენილიყო? მე შვილები მყავს და მაგათთვის ვწვალობ, იმისი შვილები კი ლექსები იყვნენ, მეტი არაფერი გააჩნდა, მათ მისცა ყველაფერი და წავიდა...

მერე, ნოდარას დაუძახეს, მალხაზამ შეშა მოიტანა და ჩამოცლაში გვიშველეო და ნოდარაც წავიდა, მივალ და მოვალო, მაგრამ ლავრენტიმ, დღეს გვეყოფა, თითო ჭიქა შინ დავლიოთო, მაგრამ ბიჭმა, თუ გამომიშვებს, კიო და უიმედოდ დატოვა, მისი გამომშვები ვინ იქნებოდა, სამლიტრიან ღოქს თითებს ასალტებდა, ისე ავსებდა ჭიქებს და არც დაცლას ზარობდა.

ბიჭი გასული არ იყო, რომ შემობრუნდა, აი, ლავრენტი ძიავ, ხაფიხას ბიჭს ქალაქიდან გამოჰყოლიაო და გვერდებნაკლული, გათხელებული გაზეთი, ეტყობა თონის პური რომ გამოეხვიათ, ოთახში შესასვლელთან, ხარა-ხურით სავსე მაგიდაზე დატოვა.

ლავრენტიმ ყურმოტენილი სათვალე მოირგო და გაზეთი გადაათვალიერა.

ვახ! – შესძახა უცებ. – ხომ გითხარი, მოვა

დრო და ყველა პრემიას მიიღებ-მეთქი.

დელასადმი მილოცვის საკმაოდ აღტაცებულ ტექსტს მთელს გვერდზე გაშლილი ლექსები მოსდევდა. მოულოდნელად, მისდამი მიძღვნა მოხვდა თვალში. არა, არსად ეწერა, ლავრენტის ეძღვნებო, მაგრამ თვითონ ხომ მიხვდა? ლექსი ხარბად წაიკითხა, მერე მეორედ და ერთი სტრიქონი აეკვიტა: — „ახლაც მესმის შენი ჩუმი ნაბიჯების ხმა“.

კონიაკის ბოთლი ამოიღლიავა, გაზეთი გადაკეცა და სრულიად გაუთვითცნობიერებლად ორმოსკენ გაემართა, საიდანაც კიბეს ძლივსლა ამოეყო თავი. საფეხურებს ჩაჰყვა და ცოტა არ იყოს, ებნელა. ცას ეჭვით ახედა. ორმოდან მეტი არც არაფერი ჩანდა. ღრუბლები მდორედ მოძრაობდნენ. ბინდი მართლაც მოიპარებოდა, მაგრამ აქა-იქ გარღვეული ციდან ისეთი მკვეთრი სილურჯე ანათებდა, ჩაკეტულ სივრცეს არღვევდა და უსასრულობის განცდას არ გიკარგავდა. არადა, ლავრენტის, ახლა ჩაკეტილობა ერჩია და ორმოს ძირში მიჰდა.

ლექსები გულგასმით წაიკითხა, მაგრამ ყოველი ლექსის შემდეგ, ისევ მისდამი მიძღვნას მიუბრუნდებოდა ხოლმე.

ზოგჯერ, ჩანახევრებული ბოთლიდან ყლუპ კონიაკს მოსვამდა და ტუჩებს ილოკავდა. არაფი ხომ არ იყო, მაჯა გაესვა? არაფს რა უხდებოდა, ზებირად იცოდა, აი, კონიაკისა კი ვერაფერი მოიფიქრა და სულაც ისე მოყლუპვას შეეჩვია.

მაღე გაზეთი აღარც იკითხებოდა. ღრუბლებს ჯერ მეწამური დაედო, მერე მთლად გაწითლდა და ლავრენტიმ ივარაუდა, რომ ხვალღან უთუოდ აირეოდა ამინდი და ქარიც ამოვარდებოდა, შეყვი-თლებულ ტყეს პირველ სიშიშვლეს გამოუჩენდა, როგორც ქალს დაუნდობელი მამაკაცი.

ლექსები თითქმის უკვე ზებირად იცოდა. არა, ტექსტი არა, მაგრამ მათი მუსიკა სულში მღეროდა და უკვე აჩქარებულ ღრუბლებს მიჰყვებოდა.

ორმოს კედელს ქურთუკის მაღალი საყელო მიაბჯინა, თვალი დახუჭა და ლექსებს გაჰყვა.

შებნელებულზე კიბეებს ვიდაც ზორბა, ჭადარა თმა-წვერიანი, ღია რუხი ფერის ლაბადიანი კაცი ჩამოჰყვა და რომ შემობრუნდა, ლავრენტიმ გალ-

აკტიონი იცნო.

ღაიბნა. მთვარის შუქი დიდ პოეტს მკერდამდე ანათებდა, ბრინჯაოს ფერს ადებდა, ბიუსტად აქცევდა და შეცდომა გამორიცხული იყო. გალაკტიონი ზუსტად ისეთი ჩანდა, როგორც ყველა ამ სტრიქონების წამკითხველმა წარმოიდგინა და არავითარი ნატანჯი სახე და ნაიარევი მას არ აჩნდა. პირიქით, ოდნავ დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა და თითქოს მთელ სამყაროს იწვევდა. მის უკან, უკვე მოწმენდილ ცაზე, ვარსკვლავები ანთებულყო და მთვარით ნაფენ მის სახეზე ქარიშხლისწინა ცივი ნიავი ცილინდრიდან გამოქცეულ თმას ათამაშებდა.

ლავრენტი, რაც შეეძლო აწვებოდა ორმოს კედელს, ფეხებს უსუსურად ამოძრავებდა, თუმცა, ადგომას ვერ ბედავდა.

— მაღლობის სათქმელად მოვედი. — მშვიდად თქვა გალაკტიონმა. — მომაწოდე, ძამიკო, ეგ ბოთლი. — და ლავრენტის საქმე რომ გაუჩნდა, მხნეობაც თითქოს დაუბრუნდა. ბოთლს თავი მოხადა და დიდი პოეტის გამოშვერილ ხელს მიაწვდინა.

— კონიაკს მეც ვსვამდი, აფხაზეთში. — თქვა გალაკტიონმა და იმ ბოთლს, საიდანაც ლავრენტი სვამდა, ისე, მისი ნაპირალიც არ მოუწმენდია, გადაჰკრა ორიოდ ყლუპი.

— ალბათ, გოგლასთან თუ იყავი? — რატომღაც წამოსცდა ლავრენტის და „პრიმის“ კოლოფში ჩარჩენილი, უკანასკნელი ღერი პაპიროსი გაუწოდა.

— კი, ვიყავი, ერთად ვართ. აქ კი, მთელს სოფელში, მხოლოდ შენ გელვიდა.

პოეტმა ერთხელ კიდევ მოიყუდა ბოთლი, მერე, დაცარიელებული ძირს დააგდო ლავრენტის ხელის აწევით დაემშვიდობა და კიბეებს შეუყვა. ორმოს ასცდა და კიბეს კი, რომელიც არ თავდებოდა, ისევ მიუყვებოდა ზეცაში, მაღლა და მაღლა. მას ვერ ერეოდა ქარი, რომელიც უკვე ისე გაძლიერებულიყო, რომ ხმაურობდა და ცუდად დადებულ საგნებს ფანტავდა.

ლავრენტიმ ჯერ დააპირა ეზოში დატრიალებულიყო და ისინი წამოეკრიფა, მაგრამ, მერე ხელი ჩაიქნია და კიბეებს დიდი პოეტის გზაზე გაჰყვა, სრულიად მშვიდად და სრულიად იოლად...



ქეთი გაბინაშვილი



ზოპარკის ავტობუსი

III ადგილი

უკვე ოთხის ვარ და ბაღში მივდივარ. ბაღში ყველაფერი ფერადია, არაფრით გავს ჩვენს ჩამოღამებულ სახლს. მე ბაღი მომწონს. ბაღს, მგონი, არ მოვწონვარ.

ვცდილობ, კუბიკებით კოშკი ავაშენო, მასწავლებელი მკლავში მკიდებს ხელს და მბრუნებს:

– არ გესმის, ბიჭო? რამდენჯერ უნდა დაგიძახნო?! – ძალიან არის გაბრაზებული. მე მისი გაბრაზება არ მინდოდა.

მეშინია, თუ მასწავლებელს არ მოვეწონები, ბაღში აღარ მომიშვებს. აქ ბევრი ბავშვი და ბევრი სათამაშოა, აქ იცინიან და მხიარულობენ. მე მომწონს ბაღი. ვვადები გაუნძრევლად, დავეურებ საკუთარ ხელებს და ვცდილობ, არ ვიმოძრაო, რომ არ გავაბრაზო მასწავლებელი, მაგრამ ის მაინც მიწყრება.

– ამ ბავშვს რაღაც სჭირს, ასჯერ რომ დაუძახო, ზედაც არ გიყურებს, – ეუბნება მეორე მასწავლებელს. ის მიხსნის, რომ უზრდელობაა თუ პასუხს არ დაუბრუნებთ უფროსს. უზრდელი არ ვარ, უბრალოდ ჩემი სახელი ჯერ კარგად არ ვიცი.

სახელით არავინ მომმართავს. მე გარდაცვლილი ძმის სახელი მქვია. ის დაიღუპა და მე დავიბადე. თითქოს მისი ჩანაცვლება მეცადოს. დედა მიყურებს ისეთი დაღლილი და სევდიანი თვალებით, თითქოს ამ დაბადებას ვერ მპატიობს. როცა ასე მიყურებს, მგონია, რომ ჩემ გამო დაიღუპა, ვწუხვარ ამის გამო, წუხილი არაფერს ცვლის. როგორც კი ვინმეს შემთხვევით წამოსცდება ჩემი სახელი, დედა და ბებია ტირილს იწყებენ. ტირიან მოთქმით, არა კი არ ტირიან, ცას შეჰბღავიან, საიქიოში ჩემი ძმის კენესას ვგრძნობ, მისი ყველა ძვლისა და სისხლის ყველა წვეთის ტკივილს.

ისინი ტირიან დიდი ტირილით და მერე მოდის ღამე. ჩემი ურჩხულები იღვიძებენ, საწოლის ქვეშიდან მოხობავენ, თავიანთი გრძელი და დაღმეჭილი თითებით საბნის ქვეშ ძვრებიან და ფეხებზე მეჭიდებიან. მეჭიდებიან და მიმათრევენ შავ-ბნელ

სამყაროში. იქ, სადაც მიწა შეჭამს ჩემს სხეულს, სადაც ჭია-ლუა ამომიხრავს თვალებს, სადაც მართლობა შთანთქავს ჩემს სულს, სადაც დამაწვიმს და დამათოვს, მაგრამ არავინ იქნება, რომ საბანი დამაფაროს, სადაც არავინ დამიცავს, არავინ შემეფარებს.

ვხედავ ოთახის შუაგულში როგორ დგას პატარა ხის კუბო, როგორ მანქვენენ მასში და განაჩენივით აჭედებენ სახურავს. დახმარებას ვითხოვ, მინდა, ვიყვირო, ცოცხალი ვარ-მეთქი, მაგრამ ხმა არ მაქვს. მინდა, სამყაროს გავაგებინო, დამიცავს, მაგრამ ძალა არ შემწევს. ჩემი ძანილი არავის ესმის.

ვწევარ საწოლში და სხეული მეყინება, თითქოს სისხლი აღარ მოძრაობს. მინდა საბანი გადავწიო და გავიქცე, მინდა დავუძახო საშველად დედას, მაგრამ ვფიქრობ, აი, ახლა გაემოძრავდება და ამ ურჩხულებს კიდევ უფრო გავუღვიძებ მადას, რომ ისინი წამოიშლებიან, რათა ნაწილებად დამგლიჯონ და ცოცხლად შემჭამონ. დიდია შიში. მაინც ვერევი საკუთარ თავს, საწოლიდან გადმოვდივარ. ცივ იატაკზე ფეხისგულების შეხებას ჟრჟოლვა მოაქვს, თითქოს უკვე მოვხვედრილიყავი მიცვალებულების საუფლოში. გავრბივარ. გავრბივარ და მომდევნ. აი, ცოტაც, კიდევ ათი ნაბიჯი, ცხრა, რვა, შვიდი... სულ ცოტაც და დედასთან და მამასთან ვიქნები და მაშინ, მაშინ ვეღარ მომეკარება ვერანაირი ურჩხული, მაშინ მე მექნება დამცავი გარსი, რომელსაც ვერავინ შემოარღვევს, ვერავინ, ვისაც ჩემთვის ზიანის მოტანა უნდა.

– ამხელა ბიჭი ხარ, რა გატირებს, არ გრცხვენია? – მსაყვედურობს ჯერ კიდევ ძილის ბურუსში მყოფი დედა. სირცხვილი ჩემს შიშს ვერ ჯაბნის, ეს შიში სხვა ყველაფერს შთანთქავს. ამიტომ ახლა მაგარი ბიჭობის დრო არაა:

– მეშინია, – ვამბობ და ახლალა ვხედები, რომ მთელი სახე სველი მაქვს ცრემლით.

– კარგი, მოდი, ნუღარ დგახარ, არ გაცივდე, – მეუბნება დედა და საწოლში ადგილს მითავისუფლებს. მინდა, საწოლში შევუწვე, გულში ჩამიკრას და ვიგრძნო, რომ მართო არ ვარ. მეც ვიგრძნო და იმ ურჩხულებმაც, მოსვენებას რომ არ მამღვევენ.

– კიდევ მოხვედი? მე რა გითხარი, დროზე შენს საწოლში! – ყვირის ახლად გაღვიძებული მამა. მე ტირილს ვუმატებ. ძალიან ბრაზობს, – გაჩუმდი! გაჩუმდი-მეთქი! – საწოლზე წამოჯდება და ჩემკენ იწევა, რომ ისევ დამარტყას, მაგრამ დედა მეფარება და მას ხვდება ხელი. მე კიდევ უფრო მეშინია და ძალიან მინდა აღარ ვტიროდე, მაგრამ ვერ ვჩუმდები.

– ქალაჩუნა გინდა გაიზარდოს?! კაცია თუ მთხლე?!

მე ისევ ჩემი საწოლისკენ მივდივარ და იქ ურჩხულები მელოდებიან, უკან მამას ხმა მომყვება, საშინელი სიტყვებით. ახლა ეს გზა აღარ არის მხოლოდ ათი ნაბიჯი, ეს გრძელი გზაა, ძალიან გრძელი გზა. ამ გზაზე მე უნდა მივხვედე, რომ ახლა მართო ვარ, ირგვლივ კი ყველაფერი შავითაა დაფარული. ამ შავ სამყაროში ცხოვრობენ ურჩხულები, რომლებსაც ჩემი შეჭმა სურთ. მე მართო ვარ, არავითარი ჯაგმანი არ გამაჩნია, ჩემი მართობა ჩემი ფარია, მე უნდა ვიბრძოლო და უნდა გადავრჩე.

უკვე რვა წლის ვარ და ისევ საწოლს ვისვენებ. როცა თავს ვერ ვიკავებ და სველ ლეიბზე მღვინება, თვალს მაგრად ვხუჭავ, ისე მაგრად, რომ ქუთუთოები მტკივა და ღმერთს ვეხვეწები, ნეტა ეს დილა არ გათენდეს. მინდა მზე არ ამოვიდეს, დედამიწამ ბრუნვა შეწყვიტოს, მაგრამ ზუსტად რვა საათზე დედაჩემის ზამთრის დილასავით ცივი ხმა მალვინებს და იძულებული ვარ, ავდგე. საბანს ვაფარებ სველ საწოლს, ძალიან ვცდილობ, კარგად იყოს გასწორებული და დედამ არ ნახოს, არ ნახოს, რომ წუხელ ისევ შევრცხვი. ღმერთს მთელი გულით შევთხოვ, რომ დედას სხვა საქმე გამოუჩნდეს და გადავიწყვედეს, მაგრამ მას არასდროს არაფერი ავიწყდება. შეპყრობილია, ყველაფერი იდეალურად იყოს, ყველაფერი ზუსტად ისე უნდა იყოს, როგორც წესია, როგორც საჭიროა. სულ ეშინია, რომ ერთხელაც ვიღაც მოვა, მოვა ზუსტად იმ დროს, როცა ეს სიკვდილივით მოსაწყენი წესრიგი დარღვეული იქნება, მოვა და იტყვის, რომ სარეცხი არაა სათანადოდ გაუთავებული, რომ თეთრეული კარგად არაა გაკარხმალებული, რომ საწოლი იდეალური სიმეტრიით არაა გასწორებული... დედა ადგომას არ მაცლის, თითქმის სირბილით მოდის საწოლისკენ, საბანს იღებს და ყველაფერი თავიდან იწყება:

— ამხელა ბიჭი ხარ და თავმოყვარეობა არ გაქვს. თავი კაცი გგონია და ქვეშ იფსამ, ფსიტიანო, სახლი ააყროლე, ლოგინი ჩამიხრე...

მერე გაჭირვებით გააქვს ლეიბი აივანზე და მზეზე გასაშრობად ფენს. ჩვენი სახლი გაშლილ სივრცეზეა, ეზო ხელისგულივით ჩანს ზემო უბნიდან და მე ყოველ დილით ვფიქრობ, რომ ზემოუბნის უკლებლივ ყველა მცხოვრებმა იცის, რომ ჩავიფსი. იცის, რომ საწოლს ვისვენებ და მთელი დღე ეჭვიანი თვალთვლით ვუყურებ ყველას, მგონია, რომ ყველა დამცინის. ამიტომ ვცდილობ დავასწორ, დავასწორო და მე დავცინო, მე დავჩაგრო, მე ვატკინო.

ყველაფერი კიდევ უფრო ცუდადაა, როცა სტუმრად მივდივარ. და რადგან ჩვენს სოფელში ავტობუსი გვიან საღამოს არ დადის, გვიწევს ღამე ნათესავებთან გავატაროთ. დედა კი სტუმრობას იწყებს თავის მართლებით, რომ რატომ თავი არ მოუკვდება, როგორ უნდა დარჩეს, აქაც რომ შევარცხვინო, აქაც რომ ჩავუფსა, რომ თავად სულ გაუოხრდა საწოლი, ახლა აქაც... საღამოვდება, დედა ჩანთიდან იღებს ცელოფანს და ზეწრის ქვეშ მიფენს. თან მაფრთხილებს, არ შევარცხვინო. მე ვწვები ემბრიონის ფორმაში და ვცდილობ, შევიკუმში, დავპატარავდე, რომ გავხდე უჩინარი, რომ ვერ შემამჩნიონ, არ დამინახონ, დამივიწყონ, ჩემზე არ იფიქრონ. ძალიან ვცდილობ არ დავიძინო, და რაც მეტად ვცდილობ, მით მეტად მერევა თვლებმა. ქუთუთოებზე მეკიდება შიში და სირცხვილი. და მოდის ძილი. ჩემი სიზმრები შავ-ბნელია. ჩემს სიზმარში ცხოვრობენ ურჩხულები და ცოცხლად მჭამენ, მოდიან გველუშაპები და ყელზე მეხვევიან, მოდიან ღემონები და ჩემს სულს ეპატრონებიან. მეშინია. მინდა გავიქცე, მაგრამ ვერ გავრბივარ. მეშინია და ისევ საწოლს ვისვენებ.

მე და ჩემმა ძმამ ისევ ვიჩხუბეთ. იმან ჩემი

ჯოისტიკი გატეხა, ძალით გატეხა, სულ ვუკვებდი და მაგიტომ. ძალიან გავბრაზდი. გავბრაზდი და ხელი ვკარი. იმან კიდევ ფეხი ამომცხო. მე ჩვენი ზოოპარკის ავტობუსი ვისროლე, კედელს მოხვდა და გატყდა. ატირდა. ისეთი დიდი ხმა აქვს, მთელს სოფელს ესმის, როცა ტირის. ვეხვეწები გაჩუმი, ავაწყობთ-მეთქი. არ სჯერა და ტირილს აგრძელებს. მეც მეტირება, მაგრამ თავს ვიკავებ, ეს ავტობუსი ძალიან მიყვარს. ჩვენი საყვარელი სათამაშოა. წინ კაბინა აქვს და კაცი ზის, მსუქანი, საყვარელი კაცი, დიდი უღვაშებით, წითელი ლოყებით და კეპკიანი ქუდი. ავტობუსი ყვითელია, მზისფერი ყვითელი და ფანჯრიდან ცხოველები მოჩანს. პირველ სავარძელზე მელია ზის, მეორეზე ჟირაფი, მესამე ფანჯრიდან ზებრა და ვირი იყურებიან, მე ვირი უფრო მომწონს, ძალიან ლამაზი თვალები აქვს, დიდი და სევდიანი. ავტობუსში არიან პანდა, თეთრი დათვი, ვეფხვი და მაიმუნები... ათას ამბავს ვიგონებთ მე და ჩემი ძმა. ხან ეს ცხოველები ზოოპარკიდან წამოიყვანა ამ კეთილმა კაცმა და ტყეში მიჰყავს თავიანთ ოჯახებთან, ხან ვითომ ჟირაფის ქორწალია და იქ მიდიან, ხან ბეწვი გაუცვლათ და ზამთრისთვის ახალი ქურქების საყიდლად წავიდნენ. კარგი ავტობუსია ეს ავტობუსი. ძალიან მიყვარს. ძალით არ გამიტეხია, რომ მცოდნოდა გატყდებოდა, სულაც არ ვისროდი.

დედას ჩემი ძმის ტირილი ესმის და ძალიან ბრაზობს. ამბობს, რომ მოუკვდე უკეთესი იქნება, რომ ოჯახის შემარცხვენელი ვარ, რომ ამხელა ბიჭი ვარ და იმის მაგივრად ბავშვს მივხელო და ვუპატრონო, ვცემ.

— ტყუილია, არ მიცემია! — ვამბობ მე, სანამ დედას ხელი მხვდება სახეში. ის ამბობს, რომ უტიფარი ვარ, უტიფარი და მატყუარა. მე არ ვტყუი. არ მიცემია, ჩვენ ხანდახან ვჩხუბობთ, მაგრამ მაშინვე ვრიგდებით. ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. ჩხუბიდან ხუთი წუთის შემდეგ, არც კი გვანსოვს რაზე ვკამათობდით, ისევ ერთად ვთამაშობთ. ხან ის მამრახებს, ხან — მე. შემთხვევით მოგვდის, ძალით არ გვინდა. დედას და მამას ეს არ ესმით, ისინი ამბობენ, რომ ადამიანის ცემა საშინელებაა და როცა გაიგებენ, რომ ძმასთან ვიჩხუბებ, მსჯიან. მე მეტი მომთხროვება, მე დიდი ვარ, ჩემი ძმა პატარაა.

მამა იმ დროს ბრუნდება სახლში, როცა დედა მეჩხუბება. ისევ მთვრალია. ასეთ დღეებში საწვიმრად გამზადებულ ცას ემსგავსება ჩვენი სახლი, კიდევ უფრო ჩამოლამებილია და ყოველ წუთს შეიძლება დაიგრგვინოს, მეხი გავრდეს და ყველაფერი გაანდგუროს. მამა ამბობს, რომ სახლში მოსვლა აღარ უნდა, რომ ან მოგვარჯულებს, ან საკუთარი ხელით დაგვანრჩობს. მე მისი მჯერა და რადგან ჩემი მორჯულება, საერთოდაც არავისი მორჯულება არ მოხერხდება, ვფიქრობ, რომ ერთ დღეს ის მართლა დამანრჩობს. ქამარს იხსნის და მაიძულებს, ბოდიში მოვიხადო. ბოდიშის მოხდა არაფერს შეცვლის, მაინც მომხვდება. ამიტომ ბოდიშს არ ვიხდი, რადგან მე არ ვარ ბოროტი, როგორც დედას ჰგონია და ძალით არ ვცდილობ ჩემი ძმის განაწყენებას. ბოდიშს არ ვიხდი, რადგან ნაწყენი ვარ, ძალიან

ვარ ნაწყენი, მასზეც და დედაზეც და თან თითქოს ყელი გამიშრა და ყველა სიტყვა დააჭკო გვაღვამ, ვერც ერთ ბეგრას ვერ ვამბობ. ვდგავარ, თვალეში შევყურებ მამის მრისხანე სახეს და ძალიან მინდა, ძალიან მინდა, სულ ერთი წამით გადაეცალოს ბინდი და დამინახოს, დამინახოს და გამიგოს, გამიგოს ცხოვრებაში ერთხელ მაინც, მინდა, გაიხსენოს, რომ თავადაც იყო ბავშვი, მაგრამ მის ავ სიტყვებს მიღმა ვხვდები, რომ მხრებზე დიდი ტკივილი ჰკიდია, რომ საკუთარ სატკივარს ველარ ერევა და ეს ბრაზი მხოლოდ ჩემ გამო არაა, თითქოს ახლა მთელ სამყაროს უბრაზდება. მაიძულებს, დავიჩოქო. დავიჩოქო და მუხლისჩოქვით შემოვუარო მაგიდას და ვიარო ასე ჩოქვით, სანამ არ მივხვდები, რაც ჩავიდინე და ბოდიშს არ მოვიხდი, სანამ არ დავდებ პირობას, რომ არასდროს, არასდროს აღარ დავჩაგრავ ჩემს პატარა ძმას.

ქამარს რკინის ბალთა აქვს, მხარზე მხვდება, იატაკზე ვეცები. მტკივა სხეულიც და სულიც. მიჭირს ადგომა. ვტირი. ჩემი ძმაც ტირის და ეხვეწება, რომ არ მომკლას, რადგან არაფერი დამიშავებია და სულაც არ უყვარდა ეს ზოოპარკის ავტობუსი, რომ მაინც გადავლებას უპირებდა. რომ მე კი არა, მან გატეხა ეს ავტობუსი, აღარ მოსწონდა და მაგიტომ. დედაც ტირის. მე ჩოქვით ვურტყამ მაგიდას წრეს და მახსენდება:

პატარა ბატკანი გვყავს, თეთრი, კულულა მატყლით. ბატკანი ყოველ დღე გამოგვყავს ეზოში საბალახოდ, ვაჭმევთ და ყურადღებას ვაქცევთ, რომ წყალი სულ ჰქონდეს, ყელზე არ შემოეხვიოს ბაწარი და არ დაიხრჩოს, მზე რომ დააჭერს ჩრდილში გადავბათ, ღამე გარეთ არ დავგვრჩეს... ბატკანი ჩვენი მეგობარი ხდება. იზრდება და სუქდება. ბატკანი გვიყვარს. ბატკანსაც უყვარვართ ალბათ, რადგან როცა გვხვდავს, კუნტრუშს იწყებს და სასაცილოდ ბღავის. მერე იმავე ბაწრით მიგვყავს სალოცავში, პაპაჩემი რქებზე სანთელს ამაგრებს და საყდარის გარშემო დაატარებს. ბატკანს არ მოსწონს ეს მოგზაურობა, უჯიუტდება, მაგრამ მაინც უწევს, სამჯერ შემოუაროს ეკლესიას, მერე კი ყელს ჭრიან, ტადრის ეზოში ჰკიდებენ ფეხებით ხის ტოტზე და იმ თეთრ, რბილ, კულულა ტყავს აძრობენ... მაშინ, როცა ჩვენი მეგობარი ბატკანი დიდი ალუმიინის ქვაბში მოათავსეს და ცეცხლზე შემოდგეს, ღმერთს ვკითხე, სჭირდებოდა თუ არა ეს რამეში. იმ დამეს მესიზმრა, რომ ღმერთი ჩემ გვერდით იჯდა და ჩემს კითხვაზე კითხვით მომიგო: როგორ, განა მე ვჭამ ხორცს? მერე მე მას თვალეში შევხედე და მომეჩვენა, რომ ისიც ჩემთან ერთად ტიროდა. და მიუხედავად იმისა, რომ ეს სახლი საყდარი არაა და არც მე ვარ ბატკანი, კიდევ ერთხელ მივმართავ ღმერთს: სჭირდება თუ არა ეს ყველაფერი? და მაშინ, დაჩოქილი ბოლოჯერ ვლოცულობ, მე თვალეებს ვხუჭავ და ღმერთს ველაპარაკები, ღმერთს, რომელიც შორი და უფორმო არაა, ის ჩემი მეგობარია და ვგრძნობ, რომ ჩემი ყველა სიტყვა ესმის. მე მას ვთხოვ, დამეხმაროს, რომ აღარავის მივცე უფლება, დამაჩოქოს. მე თერთმეტის ვარ, ჩემი უმცროსი ძმა – ცხრა წლისა და ორი თვის.

სკოლაში „მთის წყარო“ გვაქვს. ვაჟა ძალიან მიყვარს. დაფასთან გავდივარ და მოყოლას ვიწყებ. ვყვები, მაგრამ თითქოს მე ისევ ჩემს გაავრებულ სახლში ვარ, ისევ თავზე მადგას მამა ტყავის გადაქლეტილი ქაშირით, დიდი რკინის ბალთიანი ქაშირით. მე კი დაჩოქილი წრეს ვარტყამ მაგიდას. აღარ მეშინია. ახლა მხოლოდ ბრაზს ვგრძნობ, საშინელ ბრაზს. თითქოს ისევ მიშრება ყელი, ისევ დგება დიდი გვალვა, ნაპრალები ჩნდება ჩემს სიტყვებში და ენა მეხმევა. ბორძიკ-ბორძიკით ძლივს გასაგებად ვყვები გაკვეთის. მასწავლებელს ეცინება. ბავშვებიც იცინიან. მე კლასს ზურგს ვაქცევ და ხმაურით ვხურავ კარს.

დედაჩემს სკოლაში იბარებენ და ეუბნებიან, რომ გაუზრდელი ვარ. მისთვის ამაზე დიდი უბედურება, ისიც არ იქნებოდა, ჩემი სიკვდილის ცნობა მიეღო. ზის მთელი საღამო და ტირის. დასტირის შელახულ თავმოყვარეობას. ყვირილით დაღლილი მამაც ზის და ახლა კაცური საუბრით ცდილობს, რაიმე შემაგნებინოს. არაფერი მესმის. საერთოდ არაფერი მესმის. მე დიდი ხანი ვტიროდი, ვლაპარაკობდი, ვევედრებოდი, შევთხოვდი... სამყაროს ყურებზე მაგრად მიეფარებინა ხელისგულები და ჩემი სიტყვები არ ესმოდა. ახლა მე აღარ შემძვეს უნარი, ვინმეს გაუვგო, რადგან ჩემი სხეული დაღლილია მარტო საუბრით, მარტო ლოცვით, მარტო ვედრებით... ამიტომ ვერ გამოიღო ამ საუბრებმა შედეგი. მე კარი კიდევ ბევრჯერ გავიჯახუნე და ბოლოს – საბოლოოდ.

მას შემდეგ, რაც სასწავლებელიც მივატოვე და სამსახურის ძებნით თავი ერთი დღეც არ შემიწუნებია, სხვა სახლი ვნახე, სხვა ოჯახი – ქუჩა. აქ უფრო მეტად ესმით ერთმანეთის, ვისაც არ ესმის, აგებინებ. აქ წესრიგია. ჩემი მოხუცი მშობლები დღედაღამ დარდობენ, ხიფათს არ გადაავყარო. ყვირილი აღარ შეუძლიათ, ხვეწნითაც დაილაღნენ, ამიტომ ახლა ისინი დაღუძნენ. ლოცულობენ და ტირიან. იმ ღმერთს ეხვეწებიან დახმარებას, რომელთან მისვლაც დავასწარი, ორი ათწლეულის წინ და ვთხოვე დახმარება, აღარავისთვის მიმეცა უფლება, დავეჩოქებინე. მათ არ იციან ჩემი და ღმერთის მაშინდელი საუბრის შესახებ, ამიტომ ამაოდ შესტირიან.

ახლა ოცდათორმეტის წლის ვარ და დიდი ხანია აღარ ვიფსამ, აღარც ენა მეხმის, ჩემი საწოლის ქვეშ კი ისევ ცხოვრობენ ურჩხულები, ისევ კომმარებს ვხედავ, მაგრამ მე ამ კომმარებში ცხოვრება ვისწავლე. ისევ მახსოვს და მიყვარს ზოოპარკის ავტობუსი, რომელიც ვერ ავაწყე, მაგრამ ნამტვრევებს ჩემს უჯრაში ვძალავ. ვძალავ, რათა დროდადრო დავხედო და გავიხსენო... თუშკა არაფრის განსენება არ მჭირდება, ყველაფერი ისედაც მახსოვს და ამ წლებში არაფერი შეცვლილა, არაფერი შეცვლილა ერთი რამის გარდა: ახლა უკვე ვიცი, რომ ეს დედაფეთქებული ცხოვრება ნამდვილი ბრძოლაა და ამ ომში მარტო ხარ, არავის უნდა სთხოვო დახმარება, მარტომ უნდა იომო და არაფრის შეგეშინდეს, აბა რა, ბოლო-ბოლო კაცი ხარ, მთხლე ხომ არ ხარ!

სომინტყის „სანაქელო“

თინათინ ლომთაძე



ბებო

გამარჯვებული მოთხრობა

პატარა ოქროსფერთმიანმა პაციენტმა საჩუქრად ბრჭყვიალა წიგნაკი მომიტანა. მითხრა, რომ მასში ჩემი საყვარელი ამბები ჩამეწერა. თან ისეთი კალამი მოჰყვა, რომელიც ნაწერს შლის და რაც არ მოგეწონებათ წაშაღეთო. წიგნაკი სულ გადაძვირდა, სანამ დღეს შემთხვევით არ ვიპოვე უჯრაში. თვალწინ ის პატარა გოგონა დამიდგა, რომელიც ჩემში ისევ ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ძალიან დიდი ვარ და ბავშვობის ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი... თუმცა, ნეტა როდის მთავრდება ბავშვობა, იქნებ არც არასდროს, იქნებ მთელი ცხოვრება ბავშვები ვართ და დიდობანას ვთამაშობთ? რამდენჯერ მინატრია, ერთი დღით მაინც დამაბრუნა იმ საყაროში, სადაც დარჩა ჩემი სულის სიმშვიდე, სილაღე და უღარდელი დღეები: სადაც ძილის წინ ზღაპარს მიკითხავდნენ, საბანს მისწორებდნენ, ციციანთელებს ვაგროვებდი. ჭიამაიებს ამინდის პროგნოზს ვეკითხებოდი, წვიმის გუბებში დავხტოდი, ყველა ადამიანი კეთილი მეგონა, ტყუილიც მეპატიებოდა თუ ზურგს უკან თითებს გადავაჭდევი, გაბუტულ მეგობარს ნეკინეკისათი შემოვირიგებდი, ცაზე ვარსკვლავების დათვლა არ შეიძლებოდა, რადგან მეჭეჭები ამომვიდოდა, გვირილის ფურცლებმა ზუსტად იცოდნენ: ვუყვარდი თუ არა, იასამნის ხუთფურცელა ყვავილს თუ შევჭამდი იღბალს მომიტანდა. თეფშს თუ არ მოვასუფთავებდი, დიდი ვერ გავიზრდებოდი. ბაყაყს ფენს თუ დავადგამდი გაწვიმდებოდა, წვიმის წყლით თმას თუ დავიბანდი, სწრაფად გამეზრდებოდა, ნატკენი ქორწილამდე მომიჩვენებოდა და კიდევ ბევრი რამ, რისიც უპირობოდ მჯეროდა...

ჩავჯექი სავარძელში, ოთახს მკრთალად ანათებდა შუქი. გადავშალე წიგნაკი. ფურცლებზე ფერიები და ვარსკვლავები ეხატა. ჯერ კალამი შევამოწმე, მართლაც შლიდა ნაწერს, ასეთი რომ სკოლაში მქონოდა, დავალებებს ხომ სულ უშეცდომოდ შევასრულებდი.

ბავშვობაში მინდოდა მწერალი გამოვსულიყავი, სულ მაინტერესებდა, საიდან იგონებდნენ ავტორები ამდენ ისტორიას. წიგნის კითხვა მაშამ მასწავლა ხუთი წლის ასაკში და სახლში საბავშვო ბიბლიოთეკა სულ გადავიკითხე. განსაკუთრებით მიტაცებდა ზღაპრების წიგნი, რომელიც ძალიან სქელი იყო, ყდა არ ჰქონდა და ფურცლებიც ალაგ-ალაგ დაკარგული იყო. ამ წიგნს „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები“ ერქვა. ვკითხულობდი და ხან ქალთევზა ვიყავი, ხან პრინცესა, ხან კეთილი ფერია ჩემს წარმოსახვაში. იმ გვერდებს კი, რომელიც ამოხეული იყო, მე თვითონ ვუგონებდი დასასრულს და არც ისე ურიგო გამომდოდა.

მას ასე, დავიწყე ჩემი საყვარელი ამბების წერა. რისთვისაც აუცილებლად დროში უნდა მემოგზაურა და შემეხედა იმ სახლში, სადაც ძალიან ბედნიერი ვიყავი, ანუ ბებოსთან... ჩვენ არ ვცხოვრობდით დიდ სახლში, არ მეცვა მოღური ტანსაცმელი, მაგრამ დამიჯერეთ, ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი ბავშვი ვიყავი. რადგან საოცარ სითბოში და სიყვარულში ვიზრდებოდი. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ახლა, როცა ყველაფერი მაქვს, წარმატებული ექიმის კარიერა, დიდი სახლი, ბევრი მეგობარი, თავს მაინც მარტოსულად ვგრძნობ და მართლა მენატრება ის დრო, როცა საუზმედ ზოგჯერ მხოლოდ ჩაი და კარაქიანი პური გვექონდა.

ყველაზე პირველი, რაც მახსენდება, არის ის, რომ დაზიანებული სახურავიდან წვიმის წყალი ჩამოდიოდა. ბებო და დედა ვერ იტანდნენ წვიმას. მასსოვს, როგორ ფაციფუცობდა ბებო, რომ დაიქუხებდა, სარეცხს ჩამოხსნიდა, სპეციალურად წვიმისთვის გამოყოფილ სათლებს და თასებს დააწყობდა კუთვნილ ადგილზე...

– რაღაცა შავი ღრუბელი მოდის, გაწვიმდება ალბათ, გააწყალა გული, – ბრაზობდა ბებო და ექვით გაჰყურებდა ცას.

– არა მგონია, ქალო, როცა გრუხუნი უსწრებს წინ, აღარ გაწვიმდება, – იმედიანად უპასუხებდა ბაბუა.

მე კი, ძალიან მიყვარდა წვიმა და უბედნიერესი ვიყავი, როცა საწოლის გარშემო სახელდახელოდ შემოწყობილ ემალის თასებში, ყოველი გაწვიმებისას საოცარი მელოდიები იქმნებოდა: წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ... ჩამესმოდა ძილში და ტკბილ სიზმრებს ვხედავდი... და ახლაც, არაფერი მამშვიდებს ისე, როგორც წვიმის ხმა. ის ჩემს სულს და სხეულს კურნავს. წვიმა – ეს უბრალოდ წყლის წვეთები არ არის, ეს საოცარი საჩუქარია ბუნებისა იმ ადამიანებისთვის, ვინც სევდას დაატარებს... ყოველთვის მიკვირს, ნეტავ, რა აიძულებთ ადამიანებს, შეიძულონ წვიმა დიდობაში, რომელიც ასეთ გულწრფელ სიხარულს გვრიდათ, როცა ბავშვები იყვნენ, რატომ ხედავენ მასში ახლა მხოლოდ ტალახს და გაფუჭებულ ვარცხნილობას?

ერთხელ წვიმაში სევდიანი ამბავი შემემთხვა. სკოლიდან მოვდიოდით ბავშვები, წინ დიდი გუბე დავგვხვდა. ყველა შიგ ჩახტა, მხიარულობდნენ და სულ გაიწუწუნენ. მე თავს ვიკავებდი, მაგრამ ვილაცამ ხელი მკრა და გუბეში აღმოვჩნდი კლასელებთან ერთად. წყალმა ჩემი ერთადერთი ფენსაცმელი გაჟღინთა. სახლში მისულს არავინ გამიბრაზდა.

– რა უჭირს მერე, ბავშვობაში არ გითამაშობათ

წვიმაში? – გაუწყრა ბებო დანარჩენებს, სანამ რამეს იტყოდნენ.

მერე ტანსაცმელი გამომიცვალა, ცხელი რძიანი კაკაო დამალევიანა. ფენსაცმელები კი გამათბობელთან დააწყო. როცა ფენსაცმელები გამრა, ფორმა სულ დაკარგა, პირი დაალო და ჩასაცმელად უვარგისი გახდა. მეორე დღეს სკოლაში რითი უნდა წავსულიყავი, არ ვიცოდი. მაგრამ ბებო ყველანაირი სიტუაციიდან ნახულობდა გამოსავალს. გამოიჭანა საგულდაგულოდ ყუთში გადანახული შავი ლაქის ფენსაცმელები, რომელსაც მხოლოდ ქორწილებში ან პანაშვილებზე იცვამდა და დამიწყო უხმოდ საწოლთან. მეორე დღეს ერთი ზომით დიდი, ბამბენატენილი ფენსაცმელებით წავედი ამაყად სკოლაში. დიდი პატივი იყო ბებოს ნივთის ტარება და თან, სიმართლე გითხრათ, ყოველთვის მომწონდა ისენი.

დიდებულები ქალი იყო ბებიაჩემი. ძლიერი, სამართლიანი, უშიშარი. ყველა ასაკის ადამიანთან ნახულობდა საერთოს. იყო კარგი მესაიდუმლე, ჭკუის დამრიგებელი, მისი სახლის კარი არასდროს იკეტებოდა. ცოტა ვეჭვიანობდი კიდეც, რადგან ყველა ბებოს ეძახდა.

ბავშვობაში მეგონა, რომ ბებო ჯადოსნურ ძალებს ფლობდა, როგორც იმ ზღაპრებში, დახეულ წიგნში რომ იყო. ასე იმიტომ ვფიქრობდი, რომ ბებო მთელი ზაფხული აგროვებდა სამკურნალო მცენარეებს და თუ „უგუნებოდ“ ვიყავი, მათგან ისეთ ნაყენს მოამზადებდა, უმალ დაგავიწყებდა ცუდად ყოფნას. არ ვიცი, მართლა უებარი იყო, თუ ასე გვჯეროდა. მაგრამ სანამ ბებო ცოცხალი იყო, არაფრის მეშინოდა. მერე კი, როცა დატოვა ეს ქვეყანა, სახლი სახლს აღარ ჰკავდა. ბებო შავ-თეთრ ცხოვრებას მიფერადებდა და მისი გარდაცვალების მერე გადახუნდა ყველა ფერი. ბებოსთან ყოფნა ლამაზ ნაქარვს ჰკავდა, რომელიც დროში გაცვდა, და ახლა აქა-იქ ძაფებივით არის ამოშვერილი ტკბილი მოვონებები...

ხო, არ აქვს მიშენელობა, რა ასაკის ხარ, ბავშვობა მაშინ მთავრდება, როცა ბებო აღარ გყავს... არსებობდა გზა, რომელიც ბავშვობაში მაბრუნებდა... სახლი, სადაც სულ მელოდნენ, ვუყვარდი, ზრუნავდნენ, სულ თბილოდა, სულ სუფთა იყო, ყველაფერი გემრიელი... ყოველთვის ვცდილობდი, სწრაფად ამეგლო ქუჩა, კიბეები, მ ალე შემელო კარი, სადაც ბებოს ვნახავდი... სიფრიფანა, თეთრ, ტკბილ, დამტკნარ ბებოს... გულში ჩამეკრო და მოვფერებოდი გალეულ ხელებს... ჩამეხედა ლამაზ ცისფერ თვალებში. როცა გარდაიცვალა, გამიჭირდა ამ ქუჩის ავლა, უსასრულოდ გრძელი მომეჩვენა და არც მინდოდა დამთავრებულიყო... მინდოდა მეგლო ბევრი, ძალიან ბევრი ვიდრე ბავშვობამდე... რა ლამაზი იყო დღე, რომელიც ბებოს ფუსფუსით და ხმით იწყებოდა... რა მშვენიერი იყო დღე, რომელიც ბებოს ლოცვით იყო გამთხარი ... სანამ ბებო გყავს, ისევ პატარა განებივრებული ბავშვი ხარ თითქოს...

მინდა ერთ დღესაც მალვიდარამ კი არ გამაღვიძოს, არამედ ბებოს და ბაბუას საუბარმა:

– ჩემად იყავი, არ გააღვიძო ბავშვი, მეცადინეობდა გვიანობამდე, – ვითომ ცდილობდა ბაბუას დარიგებას და თავადვე ხმაურობდა.

ალუბლებიანი ემალის ჩაიდნის მსტკინავი ხმა ყურში ისევ ჩამესმის და საუზმის სურნელი, ახლაც მილიტინებს ცხვირში. მაინც როგორი გემრიელი იყო მაშინ ყველაფერი... აი, მაგალითად, მაყვლის მურაბას სულ სხვანაირი გემო და სუნი ჰქონდა, ბებო რომ ხარშავდა, ქუჩის კუთხიდან უკვე იგრძნობოდა საოცარი არომატი და მთელი ეზოში იდგა საამო სურნელი.

ზოგჯერ ისე მომინდება ორცნობილები, ოღონდ ისეთი, ბებო რომ აცნობდა ხოლმე... ერთი სქელყდიანი რვეული ჰქონდა... ის იყო დიდიური – მნიშვნელოვანი ამბების მოსანიშნი, ტელეფონების წიგნიც, დაბადების დღეების მაცნე, გადასახადების ქვითრების შესანახი, კულინარიული და სამკურნალო რეცეპტების ჩასანიშნი ადგილი, ხარჯთაღრიცხვის რვეულიც იყო... ტელევიზორში მორბენალი სტრიქონიდან ამოწერილი მკურნალების კოორდინატებიც აქ იყო... პორტფელიც ხომ იყო – ქალაქის ფულისთვის და დღემდე მიკვირს, როგორ იტევდა ამდენ რამეს... გადავშლი ამ გაცრეცილ რვეულს, ზოგი რეცეპტი ბებოს ხელნაწერია, ზოგიც ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ან კედლის კალენდრიდან მოხეული და საგულდაგულოდ ჩაწებებული... სიტყვასიტყვით კვითხულობ, ზედმიწევნით ვასრულებ, მაგრამ რა... არც გემო და არც სურნელი არ აქვს ისეთი, როგორც ბებოს ხელებით გამოცნობილს... იქნებ არის რაღაც საიდუმლო ინგრედიენტი, რაც აქ არ წერია და მხოლოდ მან იცოდა?

წელიწადის ოთხივე დრო ჯადოსნური იყო ბებოს სახლში. შემოდგომაზე სახლში საოცარი სურნელი იდგა. მიკვირდა ასეთ პატარა სამზარეულოში როგორ ეტეოდა ამდენი რამე: თითქოს თავად შემოდგომა შემოგვისახლდებოდა თავისი ვოგრებით, აკილოებით, ქაცვის ტოტებით, ზღმარტლით, კომპით, ბროწეულებით და ჩვენთან აპირებდა გამოზამთრებას...

ზამთარიც განსაკუთრებული იყო ბებოს სახლში, ღამით როცა მოთოვდა, ოთახში უცნაური სიჩუმე იდგა ცის და ღრუბლების სუნით და ზუსტად ვიცოდი, ფარდას რომ გადავწევდი, თეთრად იქნებოდა დაფიფქული ეზო. თოვლის მოსვლა იყო ერთფეროვანი დღეებისგან საიმედო თავშესაფარი... თოვლის მოტანილ სიჩუმეს და სიცივეს მოსდევდა ბედნიერი ხმაური, სითბო და ეზოში გამოფენილი ყველა ასაკის ადამიანის გულწრფელი ემოციები...

მასხოვს, ჩვენს ფანჯრებთან სულ ჩიტების ჟრი-ამული იყო, ბაბუა ნამცეცებით უმასპინძლდებოდა შეცეხულ ფრინველებს და ასე გადაატანინებდა ცივ ზამთარს... თან ისე ესაუბრებოდა, თითქოს ესმოდათ მისი. როცა გარდაიცვალა, ჩიტები ისევ მოდიოდნენ და ელოდნენ კუთხილ საკვებს და თბილ ამბებს... მას „ნამცეცების მბრძანებელი“ შევარქვი, იქ, სადაც ახლა არის, ალბათ ყველა ფრინველი დაპურებულია.

ჩვენს ოჯახში ყველაზე მნიშვნელოვანი ზამთრის დღესასწაული კი ბარბარობა იყო, ბებო „ბარბალობას“ ეძახდა, სანამ „მაკვრიელი“ არ შემოვიდოდა სახლში, ბუზიც ვერ შემოფრინდებოდა, დიდიდან იდგა სახლში რაჭული ლობიანის და ალუბლის ლიქიორის სუნი.

გაზაფხულზე ლარნაკი ყოველთვის სავსე იყო იებით და ყოჩივარდებით... ბებო მასწავლიდა

რომ,სადაც თოვლი შედარებით უფრო თბილია, აუცილებლად ვიპოვიდი ენძელებს და ასე ვეძებდი ხოლმე ხელისგულებით თოვლის ქვეშ გაზაფხულის მანარობელ ყვავილებს.

მაისში ბებო აგროვებდა ბაბუაწვერას ყვითელ ყვავილებს,სანამ ჰაეროვან ფერიებად გადაიქცეოდნენ და ვიდრე ასახდენ ოცნებებად გაიშლებოდნენ ჰაერში,გემრიელ მურაბას ამზადებდა,საოცარი გემო ჰქონდა დამტკბარ სურვილებს ჩაიში...

ზაფხული იყო სოფელი და მეგობრები,რომელთაც მხოლოდ წელიწადში ერთხელ ვნახულობდი და ამბები,რომელიც იქ ხდებოდა და იქვე რჩებოდა... ახლაც მიყვარს სოფლის სახლი,მზის ჩასვლისას და ამოსვლისას თავისებურ ხმას რომ გამოსცემს, თითქოს იზმორება და ამთქნარებსო... მიყვარს ჭერზე ამძვრალი ბათქაშის ფიგურები.ყოველ წელს რაღაც დეტალი რომ ემატება. მიყვარს ის სუნი,წვიმის შემდეგ რომ ასდის სახლს და შეშის ტკაცუნის ცივ ღამეებში სიზმრებს რომ დაყვება ფონად... მიყვარს გადაძახილები,დილით რომ მალვიძებს და მზის სხივები,რომელიც სხვანაირად ათბობს...

ახლა, სოფლის დაკეტილ სახლში ჩავდივარ, რომ დიდგოგობისგან გავიქცე ცოტა ხნით... აი, ის პირველი ჩასუნთქვა მიყვარს, დილით ფანჯარას რომ გამოაღებ სოფელში და გრძნობ როგორ ჩადის ფილტვებში სხვანაირი ჟანგბადი... როგორ მიდის მერე ყველა უჯრედამდე და როგორ ივსება გამოფიტული სხეული ბედნიერების შეგრძნებით... ჩავიცვამ ბებოს გამოსასვლელ გიპიურის კაბას, გავიკეთებ მის საყვარელ გიშრის მძივს, გამოვკრეფ ეზოში მინდვრის ყვავილებს, გადავაფარებ მაგიდას მიტკალის მოქარგულ სუფრას,მოვმართავ რადიოს ბედნიერების ტალღაზე,მოვადულებ ჩაის ღიღინით, დავასხამ ყაყაჩობიან ფინჯანში... დატრიალდება სახლში გვირილების სურნელი, დაიორთქლება ფანჯრის მინები და გაიღვიძებენ ბავშვობის ანგელოზები... გამოვლენ კარადებიდან, ფოტოებიდან, სკივრებიდან, სარკებიდან, გაცოცხლდება სახლი და შევბას ვიგრძნობ მეც...

ისე მომენატრება ხოლმე ჯადოსნური ამბებით სავსე ზაფხულები, ბებოს წინსაფრის სუნი, მასში ყოველთვის იდო რამე სასუსნაო ჩემთვის, კარის ჭრაჭუნის ხმა და მის უკან მიკიდული ბაბუას საწვიმარი, წყაროს წყალი, ბატებიანი სერვიზით ჩაის დალევა, ცეცხლი ბუხარში და მის შუქზე ბაბუას წაკითხული ზღაპარი. ღუმელში გამომცხვარი პური, ცაზე ვარსკვლავები და მიწაზე ციციანათელები... ბებოს ჰერბარიუმი – ჭერში გამოკიდებული სამკურნალო მცენარეები, მავიური ძალებით... ტყეში მაყვალზე და ეკალაზე სიარული, ბოსტანში გამოკრეფილი სურნელოვანი ბოსტნეული, ძველი ფოტოალბომი, სადაც ყველა ღამაში იყო და ფარდაგი ჩემს ზამბარებიან საწოლთან,სადაც ამოქარგული იყო ტბაზე მოთევზავე ბავშვები.

იქ, საძინებელში, პატარა რომ ვიყავი, ჩემთან ერთად ძილის დამფრთხობელი ღამის ჩრდილები ცხოვრობდნენ, თავზე საბნის წახურებას რომ მაიძულებდნენ... თუ წვიმდა და ქარიც იყო, ეს ჩრდილები უფრო საშიში ხდებოდა... მაგრამ მერე წლებთან ერთად შევეჩვიე და ახლა არათუ მეშინია, ვეღარც კი ვამჩნევ მათ... ზოგჯერ ისე მინდა:ღამით,

სევდები და დარდები კი არა, ისევ ეს ჩრდილები არ მაძინებდნენ... ნეტავ ისევ ისე მეშინოდეს მათი...

კომოდში ყველაფერი ისევ ისე ღამაზად აწყვია, თვალდახუჭულიც კი მივაგნებ ნივთებს.ლაქებიან, მოჩუქურთმებულ სარკეში ჩავინებდები და თითქოს ყველა ჩემი ანარეკლი ჩამირბენს თვალწინ.ხელა უჯრაში ბებოს რკინის სავარცხელი, თმის სარკი და სტაფილოსფერი ტუნსაცხი დევს, აქა-იქ პიტნის საწუწნი კანფეტებიც ყრია...

ბებოს ძალიან უყვარდა ბავშვები, ალბათ ამან იმოქმედა,იმაზე,რომ დღეს პედიატრი ვარ,მას უნდოდა,რომ ყველა ბავშვი ჯანმრთელი ყოფილიყო, დაპურებული, სუფთა თბილ და უსაფრთხო გარემოში...

სასწაული შელოცვები იცოდა ბებომ, მთელი რწმენით ბუტბუტებდა გულში რაღაც რითმებს და ვერც შიში, ვერც დაავადება, ვერც თვალი, ვერც უიღბლობა ვერ უდგებოდა წინ მისი სიტყვების ძალას... ნეტავ მეც შემეძლოს ასე, ვინ იცის, ზოგჯერ გამოუვალ სიტუაციაში დამხმარებოდა კიდევ მისი ჯადოსნური სიტყვები... მხოლოდ ერთი ფრაზა მასსოვს ბუნდოვნად: გულო, ჩადექ საგულესა! გულო,ჩადექ საგულესა!... და მასსოვს,რომ გული თავის ადგილს უბრუნდებოდა მართლაც და შიში სადღაც ქრებოდა...

ვიხსენებ ამ ამბებს, ვწერ და ვნანობ, რატომ აქამდე არ შევაგროვე ეს მოგონებები,რატომ დავფანტე დროში... ოქროსფერთმიანი პაციენტი რომ არა, დროს ვერ გამოვნახავდი ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი დღეების გასახსენებლად... როცა კვლავ ვნახავ, მადლობას გადავუხდი, რომ ასე გააღამაზა ჩემი დაღლილი და ერთფეროვანი საღამოები...

გადავხედე ნაწერს, რამე ხომ არ წავშალო, ვფიქრობ,კალამი კი მაქვს ყოვლისშემძლე... მაგრამ, არა ყველაფერი ისე მოვეყვი,როგორც იყო... სულ მინდოდა ვინმესთვის შეამბნა, გამეზიარებინა ეს ტკბილი ისტორიები,მაგრამ არავის ეცალა ამისთვის, მათ შორის არც მე... ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს,რომ რამდენჯერაც გადავშლი ამ ფურცლებს, იმდენჯერ გაცოცხლდება ჩემი ბებო... მე რომ მის გვერდით არ გამეტარებინა წლები, ასეთი ღამაში მოგონებები არ მექნებოდა.

ბედნიერებაა,როცა არსებობს ამქვეყნად ადამიანი, რომელსაც ყოველთვის სცალია შენთვის,მისთვის ყველაზე ღამაში ხარ,მას შეუძლია გაგრძნობინოს თავი საჭიროდ და განსაკუთრებულად,მხოლოდ მას აქვს უნარი,დაგაბრუნოს ბავშვობაში,მხოლოდ მას შეუძლია,გაგიქროს დიდობის მიშები,მხოლოდ მის გამომცხვარ ღვეხელებს აქვს შეუცვლელი სურნელი,მხოლოდ მის წინსაფარში არის გამოუღვევლი ტკბილეული... მის თვალბში უპირობო, განუსაზღვრელი სიყვარული და გულში უსასრულო სითბო, რომელიც მთელი ცხოვრება გათბობს...

უცნაურია ადამიანის ბუნება... როცა ბავშვი ხარ, ვინდა მალე გაიზარდო... როცა გაიზარდები, ბავშვობას ნატრობ... ასეა, დიდობა ადვილი არაა, არც ბავშვობაა რთული... მაგრამ, დრო არასდროს აბრუნებს უკან, რასაც წაგართმევს... შეაგროვეთ ძვირფასი წუთები და აკინძეთ მოგონებები და მერე ხშირად გაიხსენეთ, რომ სული ჩაბეროთ გარდასულ დღეებს...

იამბა არკალაძე - ხეცურიანი



ლექსუმის გენით ამღერებული პოეზია

სამშობლოს გენიალურმა მეხობებმა ლადო ასათიანმა ყრობითვე ყანის სიძინდით დალაზვრულმა, ცვრიანი დილით გალუმპულმა, მოხნული მიწის ოხშივარით სისხლაჩქამებულმა, ლექსუმის მაღალი მთებიდან ზვამლს გვერდით შემოუარა და უძველესი დროის იმერეთის დედაქალაქ ქუთაისში დაიდო ბინა. ლადო სიცოცხლის ბოლომდე იმერელი გლეხის ერთგული დარჩა და ცხოვრების მოძღვარ-თანამგზავრად ვანელი ნიკა აგიაშვილი აირჩია.

ქუთაისშივე იწყება ლადოს შემოქმედებაში ყაყაჩოსფერი მუზის შემოსვლა, როცა თანაკლასელ ეთერ სვანიძეს უძღვნის ლექსს „ყაყაჩო“. შემდეგ ყაყაჩოს ფერს იყენებს საგმირო ეპოსის თემაში და იქმნება ლადოს უკვდავი აკადემიური ლექსი „კრწანისის ყაყაჩოები“. ყაყაჩოს ფერის შედარება „სისხლთან“ და „ახალ იარასთან“ უფრო მძაფრდება მის შთაგონებაში, როცა ქართლის ველებზე უფლისციხესთან, აფეთქებულ ყაყაჩოებს იხილავს და მათ ახალდაბადებულ სიცოცხლის სიყვარულს უწოდებს. სულთ ცხოვრებული ლადო შემდეგ ლექსებში ყაყაჩოს ფერთან ერთად იყენებდა სისხლისფერ: ალუბლის, შავი ვარდის, შინდის, ბროწეულის და იმერეთის საახალწლო რიტუალის – „კურკანტელას“ მარცვლის ფერებს.

ლადო ასათიანი ლექსუმისა და ზვამლის გენის მაღლით დიდ პოეზიას ქმნის. თბილისში ჩამოსვლისთანავე ეზიარა ჭეშმარიტ „არამაცდურ“ სიყვარულს და თავადვე აღიარებს მაღალ მთებიდან გამოქცეული კაცი ლექსად როგორ იქცა. მრავლისმეტყველი და ფართოა დიდი ლადოს შინაგანი სამყარო, მაგრამ მისი პოეზიის მწვერვალი და გულის საგულედან ამომღებები მაინც ლექსი „სალალობო“ დარჩა.

გვანსოვს ყველას, როგორ გვასწავლეს გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში სიმღერად სკოლაში და ჩვენ იგი სამშობლოს და მისი ბუნების სადიდებელ ჰიმნად ვაქციეთ, როცა მწყემსად ყოფნისას ძმათაშვილები საირმის მიძღებარე მთებში ამ სიმღერას ცისკენ გაფრენილი, მაღალი თავისუფალი საამო ხმით და შემართებით ვასრულებდით. დღემდის მჯერა, მაშინ მათა გრეხილებით ჩვენს წინ

ჩრდილოეთით მდგარ ლადოს ზვამლსაც ვეხმიანებოდით. ლადო ასათიანმა შეძლო ლექს „სალალობოს“ მეშვეობით, საკრალური სამშობლოს ძველი დიდების პატივმიგების უმაღლეს ღონეზე აყვანა.

ლადომ „სალალობოს“ გვერდი დაუძმევნა თავისი დამბადებელი მიწა-ბუნების სატრფიალო ლექსებით. სოფელ ბარდნალას ეტიულებში შემოჰყავს ჩვენი ცხოვრების ისტორიული გმირი, უკვდავი მეწისქვილე თავისი ლეგენდებით, მითებით და იგავ-არაკებით. ლოცავს და აღიძებს კლდოვან მთებს შორის მცირე მიწებზე ღმერთ-კაცის შექმნილ-ნამოქმედარს. ლადომ მიღწეულით არათვითკმაყოფილმა, სიცოცხლის მოკლე მონაკვეთში უძლიერესი პატრიოტიზმი ჩაატია. სულს ხატოვანი ბუნება უფორიაქებს, მაგრამ არ ეძებს ზედმეტად ამაღლებულ სიტყვებს, წერს რასაც ხედავს. სამშობლოს ადარებს ზურმუხტს და მარგალიტს. „ტკბილია როგორც რუსთველი, ტკბილია როგორც აკაკი“, ნანობს, რომ ილიას ვერ მოესწრო და ახლა მისი კაკლის ხის რტოებს ესაუბრება, თუ როგორ უშველა მას ილიას ლექსმა და პოეზიის ცეცხლში გაბანა. ქართველთა სიცოცხლის ტრაფარეტად გამოდგა ლადოს ლექსი „საქართველოში“, სადაც ის ამბობს:

„საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე:
ეჰ... წუთით მაინც დაბრუნდებოდე
ჩვენი ბავშვობა და სიღამაზე“.

ამ სიტყვებით თითოეული პატრიოტი და სულთ მაღალი ქართველი საკუთარ თავს პოულობს და მარადიული სიცოცხლის მრწამსით ივსება.

თბილისში ჩამოსული ლადო პირველი რუსთაველის გამზირს დაადგამს თვალს, ოპერის ბაღში უკვე ანიკოსთან გამიჯნურებული გულით შეიყვარებს ფიროსმანს და თბილისის ღამეს, ლაჟვარდოვან მტკვარს. ასწვდა საქართველოს აღმოსავლეთის მთების სიდიადეს. იქიდან ჩამოსული ვაჟა ღრუბლების ბურანს გადმოყოლილ შანებადიან ცალთვალა დევს შეადარა, მისი ნაამბობი ფშავეურ ბალადად მონათლა და საკუთარი ბედისწერის ლექსად აქცია. ეძებს თავისი და ვაჟას შთაგონების და თბილისში ჩამოსვლის ერთიან მიზეზს. ბოლოს ასკვნის, რომ სამშობლოს ტრფობით გულდასერილს ყველა იარა მხოლოდ ლექსმა მოუშუშა, გულის კვნესაც მანვე გაუყურა. ამიტომ ხედნის, კანმავეს მათ და ჩვენც წუთისოფლის გზების დაძლევის გვაჩვენებს. ლადომ გადაწყვიტა, რადგან ლექსი თავად არის დიდი ტკივილი და სიმღერის გარდა ვერაფერი მშველისო: „მჯერა ამ დიად ბუნების კართან მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად“.

დიახ, ლადო ასათიანმა სიკვდილი მარადიულ სიმღერად და ლექსად აქცია, მისი თითქმის ყოველი პატრიოტული და სამიჯნურო ლექსი სიმღერად არის განფენილი სამშობლოს მთასა და ბარში.

ლადომ პირველმა უწოდა ივანე ჯავახიშვილს „საქართველოს ისტორიის სჯულმდებელი და გამცოცხლებელი პატივყარილ ქრისტეანთა მწველი ცრემლებისა“, როცა წარსულის სიღრმისაკენ ეტრატით ხელში შებრუნებული შუქს ჰვენდა ძველ ქართულ სიტყვას ისტორიისას.

ლადო ასათიანი თბილისში ქმნის ენამზიანი,

ტკბილი ქართულით მოლაპარაკე და არწივის ხმაზე ამღერებელი საკუთარი ბაბუასადმი მიძღვნილ დიდებულ ლექსს, რომელსაც ბაბუას გადმოცემული სიტყვებით იწყებს:

„მე კაცის შვილი მაშინ ვიყავი,
მაშინ ვიყავი ადამის ძე მე,
როცა ვარდისფერ აღდგომა ღამით
აჩირადღებულ ტაძარში შეველ“...

ლადო გადასახლებაში მყოფ დედაზე მონატრებულია, ცხელ ცრემლად დაღვრილია, მას ახალგაზრდობით ვერ ეღირსა დედის ხელით შეკერილი ხალათი და სითბო. ამ გასაჭირში მყოფს გულს უმაგრებდა მხოლოდ საქართველოს გმირი დედების ხმლების ცეცხლით დამფრთხალი მტრების თრთოლვა, როცა ისინი რუსთაველის შაირების ძახილით და უბეში ერთი მუჭა მიწით, დევნიდნენ სამშობლოდან მტარვალებს. ერთ პატარა უსათაურო ლექსში ორი სტროფით, მაგრამ გულისმწველად აქვს გადმოცემული ქეთევან წამებულზე: „რად გაიფურჩქნე, წინანდლის ვარდო, რად ააკვნესე ლერწამის ღერი“!...

მეტად იდეალურია ფიროსმანის ნაკვალევზე მოსიარულე ლადო, იგი ნიკალას ყოველი ნაბიჯის მაძებარია, ქარში, წვიმაში მიდის ნიკალას თანამედროვე საზანდარებთან, ქუჩის მგონებთან, უსინათლო მეთარებებთან. ევედრება მათ, მოიგონონ მარტოსული მეგობარი. ისინიც დარცხვენნილნი პასუხობდნენ: „ვერ გაიგებდი, რა ჭკვისა იყო, რა ჰაზრების და რა გუნების“... უბრალოდ უღვთოდ დაიღუპა თავი ამ საწყალმაო. ლადომ მრავალი ლექსი უძღვნა ფიროსმანს, სულში ეხატა ფიროსმანის დახატული თბილისი, როგორც „პოეზიის ადგილის დედა“, თან მთვარეულივით დაემსობოდა თბილისის მიწას და ნიკალას ნატერფალს კოცნიდა. თავისი თავი ძილგატეხილ-არეულ და მთელი ქონების გამნიავებელ ფიროსმანს გაუძმაკაცა, თან ლექსებიდან ეუბნებ, მე მოვდივარ შენთან აღრიან დილით მთელი შენი ღოვლათით ხელდამშვენებულიო.

ლადომ ქართული ენის გაჩენის და მისი დღემდე მოღწევის ღვთიურობა სხვა დიდ წინამორბედებთან ერთად განამტკიცა, როცა ლექსში „ქართული ენა“ გადმოგვცემს, რომ ჩვენი ენა გაჩნდა მაღალი ზენაარის ძალით, საქართველოს მაღალ მთებში და უძველესმა ჩვენმა ტომმა იგი დღემდე მოიტანა, როგორ ღმერთების ენა: სიყვარულის, ლექსის და სადღეგრძელოს სახით.

ლადომ თავისი უმოკლესი სიცოცხლე მთლიანად პოეზიად აქცია. არ შეიძლება, გვერდი აუაროთ მის ყრმობიდანვე თანაშეზრდილ სამაგიდო ხელ-ჭურჭელზე შექმნილ ლექსს „სარწყული“. აზროვნებს და წერს მასზე, როგორც მისი ცხოვრების გზის მასწავლებელზე, თხზავს იმგვარად, თითქოს თავიდან ძერწავდეს მას. იყენებს უამრავ წარმოსახვა-ფანტაზიას, მხატვრულ ეპითეტებს და გაბედულად ამბობს, რომ ყოველწამიერად სწორედ იმ სარწყულის ლაჟვარდოვანი ფერის ხსოვნით, ცაში მოგზაურობს.

ლადოს ზეგარდმო ძალა დაეხმარა მაშინ, როცა

პოემა „კოლხიდა“ შექმნა. შეიძლება ითქვას, ეს არის მითის, ლეგენდის, ზღაპრის ნაზავი. ზეისტორიულ მასალათა ჩართულობით „კოლხიდა“ ლადოს პოეზიის ზენიტია. პოემის თავ-ბოლოა: „სულზე ტკბილი ღია ნანა, სიმღერით გამოძერწილი დედა ენა, ოქროს ზღაპრებით მოსული ოქროს ხანა და დედ-მამის უკვდავი ანდერძი: „კერია არ გააცვიო“. ლადომ უძველესი კოლხიდის ჭაობიდან მზით ამოყვანა შეძლო, იქვე ქართველ ხალხს მიანდო თავისი პოეზიის სამომავლო ბედი.

ლადომ ანიკოსთან მიჯნურობის სამაგალითო ეპიზოდები დაგვიტოვა. ანიკოს სიყვარული შეიქნა ლადოს დიდი პოეზიის სათავე, როცა ლეჩხუმის მაღალი მთებიდან გამოქცეულმა მას გაანდო ახალგაზრდობის დიდი და მოუშუშებელი ჯვარი. თბილისში თავს ევლებოდა ყოველს და ყოველივეს, ამასთან, ქართველი ქალის შნოსა და ჯვარს. სიყვარულით გულმოუჯერებელი და გულიდან ამოხეთქილი სიტყვებით გამოეთხოვა თბილისს:

„მე კარგად ვიცი, ვინა ვარ, რა ვარ,
საიდან მოველ ან საით წავალ“...

თავის ერთადერთას, პაწაწინა მანანას კი დაუბარა:

„მოიგონე მამაშენი... შუშა – ოქროდ
გასაზრდელიო,
თქვი, რომ მოკვდა სიყვარულით, შეუყვარდა
საქართველო“.

ჭეშმარიტად, წავიდა ლადო სიყვარულით სავსე გულით და წყველ სენთან მედგრად მებრძოლი:

„შენ შეგრჩეს ვაჟას ფილტვების დაღრღნა
და ჩემს დაცემას ნუ ლამობ ახლა.

ო, განვედ ჩემგან, წყველო სენო,
ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსენოს“...

ლადომ ერთი ამოსუნთქვით შექმნა ლექსი მინაწერი ნიკა აგიაშვილისადმი ნაჩუქარ წიგნზე, სადაც იკითხება მეგობრული სიყვარულის საოცარი ძალა. იმ უამრავ ბარათში, რასაც ნიკას უგზავნიდა პირადი მიმართებებიდანაც, ლადო უტკბილეს მძაფრადამიანურ ფენომენს ავლენს.

ღიას, რუსთაველის პროსპექტზე მოხეტიალე ლადო შეიყვარა ქართველმა ხალხმა. ჩვენი სამშობლო, მაღლე მას დაუდგამს მისი პოეზიისა და ადამიანურობის შესაფერ ღირსეულ ძეგლს, რაზედაც პოემა „კოლხიდაში“ თავადვე იწინასწარმეტყველა...

„იმ დღეს, როდესაც ხარობდა მზეზე კოლხიდის
მიწა, ქცეული ბაღად,

მე დავასრულე ამბავი ესე და გადავეცი
ხალხისთვის ქალაღს.

დე, ხალხმა ნახოს და მესაუბროს, კარგია, როცა
ხალხი გაგიგებს,

მე ხალხს კენდობი ყველაზე უფრო, თუ მოეწონე,
ძეგლსაც აგიგებს“.

ჭეშმარიტად, ლადო ასათიანმა მისაბაძი ცხოვრება-მოღვაწეობით განვლო წუთისოფლის მოკლე გზა და უკვდავი პოეზიით სამშობლის გულში სამარადისოდ დარჩა.

2 ოქტომბერი, 2024 წელი

თბრე მსნი

მთარგმნელისაგან:

მეოცე საუკუნის ამერიკული მუსიკის ისტორიის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლის, პოეტის, მომღერალისა და კომპოზიტორის – შელ სილვერსტეინის ეს საყოველთაოდ ცნობილი, პატარა ლექსი ე.წ. სასწავლო (შეგონებითი, აღმზრდელობითი, დიდაქტიკური) პოეზიის ჟანრს მიეკუთვნება. ვერ ვიტყვი, რომ ინგლისურენოვანის მსგავსად, თანამედროვე, ქართულ პოეზიაში ეს ჟანრი რაიმე განსაკუთრებული პატივით სარგებლობდეს, მაგრამ ხალხურ პოეზიაში, ასევე ინდივიდუალურშიც, კლასიკურ პოეზიაში ტრადიციულად მოგვგვამს, ცოტა როდი გვაქვს მისი ნიმუშები.

ვეფქრობ, საილუსტრაციოდ იკმარებდა ვეფხისტყაოსნის პროლოგი, გურამიშვილის დავითიანი, (სწავლა მოსწავლეთა და ა.შ.) ალ. ჭავჭავაძის „მუნამბაზი ლათაიური“ და ა.შ.

რაკი ლიტერატურის ჟანრებად დაყოფას მთავარ საფუძვლად შინაარსობრივი მხარე უძევს. ვსაუბრობთ რა შეგონებით, დიდაქტიკურ, აღმზრდელობით ჟანრზე, აქ სახელდახელოდ, რაღაც წარმმართველი თვისებაც უნდა დავასახელოთ ჟანრისა.

მე ვიტყვი, რომ ამ ტიპის ნაწარმოების ავტორი, როგორც მენტორი თავისებურად, ზემოდან დასცქერის ყოფით სიტუაციას, გარემოებას, რომელზეც საუბრობს. მსმენელად კი ასაკით უმცროსს გულისხმობს; წარმომადგენს ყოფით პრობლემას, ღია მანიფესტირების მეშვეობით, მიმართავს რა მაქსიმალურ ადაპტაციას, გამონათქვამის, ნათლად გასაგებობას; მანვილგონივრულობა გამონათქვამისა – წესისამებრ, გვაქვს ამ ჟანრის ნაწარმოებებში, მაგრამ ზომიერად;

აქ არ უნდა მოველოდეთ რაიმე რთულ ლექსიკას, კონცეპტუალურ და სახეობრივ კარაკულებს, ყველაფერი, ასე ვთქვათ, ხელის გულზე უნდა ელოს მკითხველს.

წარმომადგენელი ლექსი სამი სტროფისგან შედგება და თავრეფრენულია. ყოველ სტროფში პირველი ტაეპი – მყარად მეორდება, მეორეში გვაქვს ეგრეთ წოდებული ფლექსიბელური ანუ ცვალებადი რეფრენი. ეს ცვლილება ეხება რეფრენის მეორე ნაწილს, სადაც სამივეგან „ახალი“ პერსონაჟი შემოდის. შეიძლება ისეც გავიაზროთ, რომ ეს ერთი და იგივე პირია, სამ სხვადასხვა ასაკში.

უმარტივესად – ურთულესის შესახებ – ესაა მთავარი პედაგოგიური ამოცანა, მას შემდეგ რაც პირველმა ადამიანმა მეორეს რაღაც ასწავლა.

ნათქვამია, რომ კარგ მასწავლებელს არ ევალება, ცოდნა თვითონ მისცეს მოსწავლეს, მან ცოდნის კარი უნდა გაუღოს, შესვლით კი მოსწავლე თავად უნდა შევიდეს და გზა გაიკვლიოს.

ეს ლექსიც ამისი ნიმუშია. იგი ღია კარია, რომელიც გვტოვებს წარმავლობის, სიცოცხლის დროითი დასაზღვრულობის პრობლემის წინაშე.



თარგმნა
ნინო დარბაისელმა

Translation by Nino Darbaiseli

შელ სილვერსტეინი

მესათე

„რას მისცემ, ერთი დღით მეტი რომ გაცოცხლა“?
კითხვას მესათის, მიუგებს ბიჭი რას:
ერთ ცენტსაც არ მივცემ, – ცხოვრება მე ახლა
სიცოცხლე უხვად მაქვს და ხელში მიჭირავს!

„რას მისცემ, ერთი დღით მეტი რომ გაცოცხლა“?
კითხვას მესათის, მიუგებს კაცი რას:
– ერთ დოლარს მივცემდი, რად უნდა თავდახრა?
დრო ბევრიც რომ ჰქონდეს, კაცი არ გაწირავს!

„რას მისცემ, ერთი დღით მეტი რომ გაცოცხლა“?
კითხვას მესათის მიუგებს ბებერი:
– ზღვის ყველა მარგალიტს, ყველაფერს, რაც
ახლავს
ცას მნათობებიანს, დრო არ მაქვს მე ბევრი.

Shel Silverstein

The Clock Man

“How much will you pay for an extra day?”
The clock man asked the child.
“Not one penny,” the answer came,
“For my days are as many as smiles”.

“How much will you pay for an extra day?”
He asked when the child was grown.
“Maybe a dollar or maybe less,
For I’ve plenty of days of my own”.

“How much will you pay for an extra day?”
He asked when the time came to die.
“All of the pearls in all of the seas,
And all of the stars in the sky”.

მთარგმნელისაგან:

როგორ მარტოსულად უნდა გრძნობდე თავს, რომ წვიმიანი ღამის ცაზე მთვარეს ასცქეროდე და მის დისკოში მასხარა დაღანდო!

ეს მასხარა, ჩემი წარმოდგენით, დილან თომასისავე ზეციური, ალბათ წარუვალი ორეულია, გარეგნულად მუდამ მხიარული ამჯერად მწუხარე და მტირალი რომ დასჩერებია დედამიწას და ფიქრობს, რომ დედამიწას ერთი შეხებით, ნაფხვენებად აქცევს.

ამ პატარა ლექს-მეტაფორაში პირველ შედარებას ადვილად ეძებნება ლიტერატურული წყარო, „მზეთუ-ნახავი და მხეცი“ – გაბრიელ დე ვილენის (Gabrielle-Suzanne Barbot de Villeneuve) ზღაპრის (1740) გაინგლისურებული და უკიდურესად გაპოპულარული-ბული ვერსია.

მასში ფიგურირებს ჯადოსნური ვარდი, რომელსაც ფურცლები სცვივა და ყველაფერი თუ ბოლო ფურცლის დავარდნამდე ვერ მოესწრება, კეთილ მაგიას ძალა დაეკარგება.

ჯადოსნური ვარდის სიმბოლური მნიშვნელობის სხვა ხაზს თუ გავყვებით, ეს სახე წაიკითხება, როგორც „აღარ გელი“. მაღლა მთვარე – მაგიურ ოცნებათა სასუფეველია, მაგრამ შეიძლება, უკვე მთვარეზე იყო და რამე მაინც გეოცნებებოდეს, მაგალითად დაბლა მიწა, დედამიწა?

თურმე შეიძლება. ეს პატარა ლექსი ინგლისურენო-ვან სამყაროში ძალზე პოპულარულია, ხშირად საყ-

დილან თომასი

მასხარა მთვარეში

ეს ცრემლები არემარეს ეფინება, როგორც ვარდის ჯადოსნურის ფურცლები და თვალის ჭრილებს გასდის მთელი მწუხარება უხსოვარი ცებიდან და თოვლებიდან.

მგონი, ერთხელ მაგ მიწას რომ მოვეკარო, იმწუთასვე ნამცეცებად დაიშლება ერთდროულად მწუხარე და სანეტაროდ მშვენიერი, მოცახცახე, ვით ოცნება.

Dylan Thomas

Clown in the Moon

My tears are like the quiet drift
Of petals from some magic rose;
And all my grief flows from the rift
Of unremembered skies and snows.

I think, that if I touched the earth,
It would crumble;
It is so sad and beautiful,
So tremulously like a dream.



ანა ახმატოვა

ყველაფერი ძველებური დაბრუნდება

ყველაფერი ძველებური დაბრუნდება:
ღამე ცხელი და ახლიდან გადამღლევი,
(კვლავ აზიას სიზმრად ბოღვა მოუხდება)
კვლავ ხალიმა* – ამღერდება ბუღბული,
და ნარგიზი აყვავდება ბიბლიური
და კურთხევის ჰახვი, კვლავ უჩინარი
ნიავეით ქვეყნად ამრიალდება.

1943

* ხალიმა – საკუთარი სახელია

Анна Ахматова

Всё опять возвратится ко мне

Всё опять возвратится ко мне:
Раскаленная ночь и томленье
(Словно Азия бредит во сне),
Халимы соловьиное пенье,
И библейских нарциссов цветенье,
И незримое благословенье
Ветерком шелестнет по стране.

1943 г.



კარგია აქ ყოფნა: ხრაშუნი, შრიალი

კარგია აქ ყოფნა: ხრაშუნი, შრიალი.
ყინვა ძლიერდება აქ ყოველ ცისმარე.
თეთრ ალში დახრილი აქ ბუჩქი იალებს,
ყინულის ვარდები დაუსხამს ელვარე.

და თოვლში ფაფუკში, ნათელშერეულში –
კვალი თხილაძურთა, თითქოს სასოვარი,
თუ აღრე, ოდესღაც, დროში შორეულში
ჩვენ ორმა აქ ერთად როგორ გავიარეთ!

1922

Хорошо здесь: и шелест, и хруст

Хорошо здесь: и шелест, и хруст;
С каждым утром сильнее мороз,
В белом пламени клонится куст
Ледяных ослепительных роз.

И на пышных парадных снегах
Лыжный след, словно память о том,
Что в каких-то далеких веках
Здесь с тобою прошли мы вдвоем.

1922 г.

ოსიპ მანდელშტამი

Осип Мандельштам

ანა ახმატოვას

Анне Ахматовой

ცდილობთ, სათამაშო რომ იყოთ, თქვენ რამდენს, როგორ გაგიფუჭდათ ქარხანაც, ვერ არის. ზარბაზნის გასროლის მანძილზეც თქვენამდე ულექსოდ ვერასდროს ვერ მოვა ვერავინ.

Вы хотите быть игрушечной,
Но испорчен Ваш завод,
К Вам никто на выстрел пушечный
Без стихов не подойдет.

1911

1911



მთარგმნელისაგან:

დასახვრეტად წაყვანის შიში აქვს მანდელშტამს. 1930 წელია. ლენინგრადის ინტელიგენციის ნაწილი – უკვე დახვრეტილია.

„უძვირფასეს სტუმრებში“ – მის წასაყვანად მომსვლელებს გულისხმობს. გუდრონი და კიბე – შავი, ნალველი და თევზის ქონი – ყვითელი – ასე აპირისპირებს თუ უხამებს ლექსში იგი ფერებს.

სადაც წაყვითხე, რომ რაკი მანდელშტამის ხსენება მაინცა და მაინც მიღებული არ იყო, ელდარ რიაზანოვს გმირობად უთვლიდნენ, რომ რომელიღაც ფილმში მის ლექსზე შექმნილი სიმღერა გააჟღერა. ახლა წლები მაქვს გადასამოწმებელი, ალა პუგაჩოვას მერე ზომ არ იყო ეს ამბავი.

პრინციპში, ეს ყველაზე უკეთ ალბათ ვასო გულეურს ეცოდინება, თუ ჯერ ისევ ცოცხალია, თავისი მეზობლების ძუმპა-ძუმპას გადაამკიდე.

ლენინგრადი

Ленинград

დავუბრუნდი ჩემს ქალაქს, ნაცნობს ცრემლებამდე, დარღვებამდე, ჯირკვლამდე, ბავშვმა ვუძღვე რამდენს. თუ დაბრუნდი, წყვილიაღში დროზე უნდა ყლაპო თევზის ქონი ფარანთა, მდინარეს რომ აპობს.

Я вернулся в мой город, знакомый до слез,
До прожилок, до детских припухлых желез.
Ты вернулся сюда, так глотай же скорей
Рыбий жир ленинградских речных фонарей,

იცან ჩქარა, დეკემბრის დღეა აქაური, სად გუდრონი ნალველი მწარედ შერეულა! პეტერბურგო! არ მინდა მე სიკვდილი ჯერაც, ტელეფონის ძველ ნომრებს კვლავ მინახავ, მჯერა.

Узнавай же скорее декабрьский денек,
Где к зловещему дегтю подмешан желток.
Петербург! я еще не хочу умирать:
У тебя телефонов моих номера.

პეტერბურგო! ვინახავ ჯერაც მისამართებს, სადაც მკვდართა ხმებს ვპოვებ, მათი სმენა მმართებს. შავ კიბეზე ვცხოვრობ და კეფას შესაზარი ხვდება ცოცხლად აგლეჯილ ხორცთა იგი ზარი.

Петербург! У меня еще есть адреса,
По которым найду мертвецов голоса.
Я на лестнице черной живу, и в висок
Ударяет мне вырванный с мясом звонок,

მთელი ღამე მოველი სტუმრებს უძვირფასესს, კარის ჯაჭვის ბორკილებს ვზიდავ შიშით სავსე!

И всю ночь напролет жду гостей дорогих,
Шевеля кандалами цепочек дверных.

დეკემბერი, 1930

Декабрь 1930

კუზიანი მესიზმრება თბილისი

კუზიანი მესიზმრება თბილისი,
მონძიანე ირგვლივ საზანდარები,
ხიდზე ხალხის სიმრავლე და ხალისი.
დედაქალაქს ფერები აქვს ხალიჩის,
დაბლა მტკვრის ნმას სხვა რა დაედარება.

იქვე, მტკვარზე დუქანია მრავალი,
სადაც ბევრი ღვინოა და ფლავია
და მედუქნეს, რაც გინდა, დაავალე,
პირღაფლაჟა ჭიქას გიწვდის მალ-მალე,
რით გაამოს, მისი საზრუნავია.

ისეთია მძიმე ღვინო კახური,
სარდაფებში უფრო კარგად ილევა,
სადაც გრილა, ძეგბა არნახული,
შესვით ორმა, ღვინო რომ გაახუროთ!
მარტოკაცი სმაში გადირევა.

იქ პატარა დუქანია, იმისი
მეპატრონე ვერ იქცევა კაცურად,
„თელიანს სთხოვ, დაიცლება სასმისი,
მოგელება, ბინდში მთელ თბილისი
გაცურდება, შენც შიგ ბოთლში გაცურავ.

დაბერდესო კაცი, ასე ითქმება,
ხოლო ბატკანს ავნებს ხანის მატება.
და მთვარის ქვეშ უკვე ცეცხლიც ინთება,
ვარდისფერი ღვინის ორთქლში ინთქმება,
მწვადის ბოლი ფრენით გაიფანტება.

1920, 1927, 7 ნოემბერი 1935

Мне Тифлис горбатый снится

Мне Тифлис горбатый снится,
Сазандарей стон звенит,
На мосту народ толпится,
Вся ковровая столица,
А внизу Кура шумит.

Над Курою есть духаны,
Где вино и милый плов,
И духанщик там румяный
Подает гостям стаканы
И служить тебе готов.

Кахетинское густое
Хорошо в подвале пить,--
Там в прохладе, там в покое
Пейте вдоволь, пейте двое,
Одному не надо пить!

В самом маленьком духане
Ты обманщика найдешь,
Если спросишь “Телиани”,
Поплывет Тифлис в тумане,
Ты в бутылке поплывешь.

Человек бывает старым,
А барашек молодым,
И под месяцем поджарым
С розоватым винным паром
Полетит шашлычный дым...

1920, 1927, 7 ноября 1935



გველი

ო. მანდილშტამის ეს ლექსი პოეტურ წინასწარმეტყველებადაა მიჩნეული. მან თითქოს დიდი ხნით ადრე განჭვრიტა საკუთარი ტრავმატიული აღსასრული.

მწუხრი შემოდგომის – რკინა დაჟანგული
ჭრიალებს, ძღერის და დამხრავს ხორციელად...
რაა მთლად საცდური, კრეზის საგანძური,
შენს პირბასრ წუხნილთან, მამავ ზეციერო!

მე ვარ მოცეკვავე გველივით, ტანჯული,
მღგარი მის წინაშე მჭმუნვარე, მთრთოლავი,
მე არ მსურს სულისა ჩემისა კუნჭული
და გონი, და მუწაც, აღარ მსურს არავინ.

კმარა თვალთმაქცური ამ უაყოფების
ვხსნა ხვლანჯი, გორგალი ვახვიო მე წაღმა;
ვერც რას ვაღიარებ, უბრად ვიმყოფები
და თასი მძიმეა, თან არის არაღრმა.

რატომღა ვისუნთქო? ლოდებზე მროკავი
სნეული გველი თუ იხვევა, გორგალობს,
ირწევა და კისერს მორკალავს ვით კავი,
და უცებ ეცემა უძალოდ მბორგავი.

და ასე ამოდ, დახვრეტის ლოდინში
ჩვენებით და ძღერით შეძრული, უგონო
ვუსძენ პატიმრულად რკინის ჯახს, უშიში
და ისმის ქარიშხლის შავბნელი გუგუნი.

Змей

Осенний сумрак — ржавое железо
Скрипит, поёт и разъедает плоть...
Что весь соблазн и все богатства Креза
Пред лезвием твоей тоски, господь!

Я как змеей танцующей измучен
И перед ней, тоскуя, трепещу,
Я не хочу души своей излучин,
И разума, и музыки не хочу.

Достаточно лукавых отрицаний
Распутывать извилистый клубок;
Нет стройных слов для жалоб и признаний,
И кубок мой тяжел и неглубок.

К чему дышать? На жестких камнях пляшет
Больной удав, свиваясь и клубясь,
Качается, и тело опояшет,
И падает, внезапно утомясь.

И бесполезно, накануне казни,
Видением и пеньем потрясён,
Я слушаю, как узник, без боязни
Железа визг и ветра тёмный стон!

1910

მთარგმნელისაგან:

მანდელშტამის სტილის თავისებურებანი მის ამ ადრეულ ლექსში უკვე გამოკვეთილია. როგორ შეიძლება დახასიათდეს მისივე თანამედროვე ავტორთაგან, მეგობრებისგან განსხვავებული ეს სტილი?!

– ძალზე მოკლე ტაქები, ტაქის ზომისავე ან ორტაქიანი წინადადებები, შესაბამისად – კადრებივით მონაცვლელადი სახეები, ბგერწერაზე პედალირება, რითმული თამაშები და ა.შ. მინიმულებათა და არა პირდაპირ ნათქვამთა დინამიკური დინება.

თითქოს დანაწევრებული პოეტური ტექსტი მკითხველის აღქმაში გადანაცვლების მერე იწყებს „გამთლიანებას“, ოღონდ ამისთვის პირველი წაკითხვა არ არის საკმარისი. აუცილებელია, დასრულების მერე მეორედ წაკითხვა.

იგრძნობა რუსული ხალხური სიტყვიერების მცირე ფორმათა ინტონაციებიც.

ახლა ამ ლექსში რა ხდება!

სიჩუმის, მღუმარებისა და მუსიკის დაპირისპირებას არაერთხელ უბრუნდება პოეტი სხვაგანაც. ლექსის დასაწყისში ვგებულობთ, რომ ღრმა ზამთარია, მაგრამ დასაწყისიდანვე შემოდის მუსიკა – ნიშანი მოახლოებული სიყვარულისა თუ გაზაფხულისა (ან ორივესი?) ფინალი – სიზმრის ტალღების ახმიანება მის სულში გამოღვიძებული რაღაც მოსალოდნელის ხმაა. სულში, რომელიც აქამდე იზრდებოდა ზამთრის მღუმარებაში.

შენი ნაბიჯის მუსიკა

«Музыка твоих шагов...»

შენი ნაბიჯის მუსიკამ
ტყის სიჩუმეში დარეკა

Музыка твоих шагов
В тишине лесных снегов,

და ვით ნელმოძრავე ჩვენებას
ყინვის დღეს მოსვლა გენება.

И, как медленная тень,
Ты сошла в морозный день.

ზამთარს, ღრმა ღამედ რომ რჩება,
თოვლი ჰკიდია ფორებად.

Глубока, как ночь, зима,
Снег висит как бахрома.

ყვავი თავის ტოტს არ ტოვებს,
ბევრჯერ თავს დაიმართოვებს.

Ворон на своем суку
Много видел на веку.

ტალღა თავს გადამივლისა
თავზე დამტყდარი ძილისა,

А встающая волна
Набегающего сна

შთაგონებული ჩაღეწავს
ყინულს ნორჩსა და დაუცავს,

Вдохновенно разобьет
Молодой и тонкий лед,

ყინულს მღუმარე სულისა,
ზრდისას ხმაგასუსულისა.


Тонкий лед моей души –
Созревающий в тиши.

1909”

1909”



მარინა ცვიტაევა



თარგმნა
ქეთევან კოკოზაშვილმა



* * *

დავსახლდებოდი თქვენთან ერთად
მომცრო ქალაქში,
გამუდმებით ჩამოჟამულში,
გამუდმებულ ზარების ხმაში.
პაწაწინა სოფლურ ფუნდუკში—
ძველი საათის
წიკწიკი წყნარი — წვეთავს დრო-ჟამი.
ზოგჯერ მწუხრისას იქვე, მანსარდზე,
ხმები ფლეიტის
და სარკმელში თვით ფლეიტისტიც,
სარკმლის რაფაზე დიდი ტიტები.
თქვენ ეგებ სულაც არ გყვარებოდით...

შუა ოთახში მოჭიქული დიდი ლუმელი,
ყოველ ფილაზე გამოსახული —
ვარდი, გული და ხომალდები,
ხოლო სარკმელში
თოვა, თოვა და კვლავაც თოვა.
მე რომ მიყვარხართ, იწვებოდით სწორედ ისეთი —
ღუნე, უდარდო და უზრუნველი.
დროდადრო ასანთს გაჰკრავდით მკვეთრად.
პაპიროსი კი იწვის და ბჟუტავს
და დიდხანს, დიდხანს რუხი ფერფლი
თრთის მის კიდზე.
თქვენ დაფერფლებაც კი გეზარებათ
და პაპიროსი სულ მთლიანად ჩაიდველდება.

* * *

ვით მარჯვენა და მარცხენა ხელი,
ასე ახლოა სულები ჩვენნი.

გვერდიგვერდ თბილად და ნეტარებით,
ვით მარჯვენა და მარცხენა ფრთები.

ატყდა გრიგალი, უფსკრული გაჩნდა,
ფრთები კი თითქოს ცალ-ცალკე დარჩა.

ალარ მინდინარ

ალარ მინდინარ,
საყვარელო, განა იმიტომ,
დროზე რომ არ
მომწერე რამე.

არც იმის გამო,
ამ ნალველით აღსავსე სტროფებს
სიცილ-ხარხარით რომ წაიკითხავ.

(მე, ერთადერთმა,
შენ, ერთადერთს,
რომ დაგიწერე! —
თანაც პირველად! —
სხვას რომ გაანდობ).

არც იმის გამო,
კარგად რომ იცი
კულულებით სახის ლაციცი,
მარტო არც მე წავიკითხავდი!

არც იმის გამო,
ბუნდოვანი თუ იქნა რამე,
ერთდროულად წამოხრით რომ
ამოიხვნეშებთ.

არც იმის გამო,
თვალმოწკურუნნი
ქუთუთოებს რომ
შეაწებებთ,
ჭირს გარჩევა ხელნაწერისა,
მით უფრო, ლექსის.

არა და არა, მეგობარო! —
ეგ მოგიტყვე.
ეს კი წყენაზე უფრო დიდია:

ალარ მინდინარ,
მხოლოდ იმიტომ, იმიტომ მხოლოდ,
რომ უბრალოდ, ალარ მინდინარ.

ავვისტო — ასტრების

ავვისტო — ასტრების,
ავვისტო — ვარსკვლავთა,
ავვისტო — ასხმათა
ყურძნის და ჟანგფერი
ცირცელის საფერი.

საიმპერატორო ვაშლით
უკვე ძალაში შესული,
ავვისტო, ბალღურად ცელქო,
გულს ეფოფინები ერთობ.
იმპერატორის სახელით
ავვისტო, გულებზე მეფობ!

მხურვალე კოცნების თვე და
გვიანი ვარდი და ელვა,
ვარსკვლავთა ცვენით,
ავვისტო, მწველი და ცხელი
ვარსკვლავთა ცვენით.



გერმანულიდან თარგმნა
გიორგი ვარამაშვილმა

გერმანული ლექსები

ლექენდა (ლათ. ლეგენდა – სიტყვასიტყვით, საგაღმწესო წასაკითხი ტექსტი) – ზებირმ-ეტყველების თხრობითი ჟანრი. საფუძვლად უდევს ზღაპრული, სასწაულებრივი ამბავი ან ფანტასტიკური იერსახე. მასში შეიძლება ასახული იყოს წარსული, თანამედროვეობა და მომავალიც. თემატურად: რელიგიური, ისტორიული, გეოგრაფიული, საყოფაცხოვრებო ლექსები.

თანამედროვე გაგებით ლექენდას უწოდებენ ნაწარმოებს (განურჩევლად ჟანრისა), რომელშიც მხატვრული გამონაგონი ემყარება გმირულ, ფანტასტიკურ ამბავს. გერმანული ლექსების კრებული პირველად შექმნა ძმებმა გრიმებმა, მასში გადმოცემულია სხვადასხვა დროის და ეპოქის ლექსები, რომლებიც ერთი მხრივ უკავშირდება უბრალო ადამიანებს, მეორე მხრივ წარჩინებულ ადამიანებს. მაგალითად ლექსები მამლების ბრძოლაზე, სადაც მოხსენიებულია კარლოს დიდი.

ქალბატონი ჰოლენის აბანო

ჰესენში მაისნერის მთასთან ჭაობს ან თუ გინდათ ტბას, რომლის წყლის დიდი ნაწილი ამდგრეული არის, ქალბატონი ჰოლეს აბანოს უწოდებენ. როგორც მოხუცი ადამიანები ყვებიან, ქალბატონი ჰოლე ხანდახან შუალამისას მასში ბანაობისას დაუნახავთ, რის შემდეგაც ის გაუჩინარებულა. მთები და ჭაობები (არც ეს ადგილი არის გამონაკლისი) მთელ ტერიტორიაზე სავსეა სულებით და მოგზაურებს ან მონადირეებს ხშირად გზას ურევენ და ლუპავენ.

პილბერგი

ანაბერგთან ახლოს, მეისენში, ქალაქის წინ არის მაღალი მთა, სახელად პილბერგი, ამბობენ, რომ აქ დიდი ხნის წინ წარსულში დაწვეს და დაწვევლეს ქალწული, რომელიც, აკრძალვის მიუხედავად, საღამოობით კოშკიდან ლამაზი სახით და ყვითელი გაშლილი თმებით მამაკაცებს ეჩვენებოდა.

ქალწული

ტიურინგენში, კერძოდ, ორდრუფიდან არც ისე შორს, შლოსბერგში, ახალგაზრდა ლამაზ ქალწულს ხედავენ, რომელსაც ჯიბეზე უზარმაზარი გასაღების აცმა დაუკიდია. შემდეგ ის ჩამოდის მთიდან საღამოს თორმეტ საათზე და მიდის ქვემოთ ხეობაში არსებულ ჰიერლინგსბრუნში ან ჰორლინგსბრუნში და ბანაობს მასში. რამდენიმე ჭაბუკს სურს ბანაობისას მისი დათვალიერება.

მძიმე ბავშვი

1686 წლის 8 ივნისს, ორმა დიდებულმა შვეიცარიაში, კურისკენ მიმავალ გზაზე, დაინახა თეთრეულში განვეული პატარა ბავშვი, რომელიც ბუჩქებში იწვა. ერთ-ერთმა გადაწყვიტა ამ ბავშვის დახმარება და მოსამსახურეს მოთხოვა ცხენიდან ჩამოსვლა, რომ ბავშვი ბუჩქებიდან აეყვანა, თავის სოფელში, რომელიც არც ისე შორს მდებარეობდა აქედან, საკუთარ სახლში წაეყვანა და მოეველო.

როცა მოსამსახურე ცხენიდან ჩამოხტა და ბავშვის ხელში აყვანა სცადა, ვერ შეეძლო. გაოგნებულმა დიდებულებმა მეორე მსახურს უბრძანეს იგივე და მასაც იგივე დაემართა. შემდეგ ორივემ სცადეს და ორივე კვლავ იმედგაცრუებულნი დარჩა. ამდენი უშედეგო მცდელობის შემდეგ ბავშვმა ლაპარაკი დაიწყო: ნუ ცდილობთ ჩემს აწევას, რადგან აქაურობას ვერ მომაშორებთ. საოცრად ნაყოფიერი წელი იქნება თქვენი მიწისთვის, მაგრამ ცოტა ადამიანი თუ გამოსცდის მას, როგორც კი დაასრულა ეს სიტყვები ბავშვმა, გაქრა. დიდებულებს ეს ამბავი კურში არავისთვის უთქვამთ.

ქალბატონი ბონიკაუ

ერთხელ, როდესაც ქალბატონი ბონიკაუ სახლში მარტო ბრძანდებოდა და მშობიარობდა, მასთან ჯუჯა ტანის მოსამსახურე მივიდა და საკუთარ ოთახში ქორწილის გამართვა სთხოვა, თან დასძინა, რომ იმ ოთახში არავინ უნდა შესულიყო. ქალბატონი ბონიკაუ დათანხმდა. პატარა ქალბატონს უამრავი ქონდრისკაცი და ჯუჯა ქალი ესტუმრა. პატარა მაგიდაზე გაადაფარეს სუფრა, დააწყვეს ზედ თევშები და ყველანი სუფრას მიუსხდნენ. ჭამის დასრულებისას უცბად ოთახში შემოვარდა ერთი ჯუჯა ტანის ქალი და დაიყვირა:

– მაღლობა, უფალო, დიდი უბედურებისგან რომ გვიხსენი! მოხუცი შუშპი მკვდარია.

კიოტერბერგი

კიოტერბერგს (პადერბორნის, ლიპესა და კორვეს საზღვარზე) სხვაგვარად ეძახდნენ გიოცენბერგს, რადგან იქ წარმართთა ღმერთებს სცემდნენ თაყვანს. ამ მთის შიგნით უამრავი ოქრო და ვერცხლია.

ერთხელ ერთმა მეცხვარემ ამ საგანძურის სამალავი იპოვა, უნდოდა სახლში წაეღო კიდევაც,

მაგრამ უცბად რომელიღაც გვირაბიდან მივარდა დასისხლიანებული კაცი, განწირული კივილით შეაშინა ის და მოაშორა იქაურობას. კოტურბერგის სამხრეთით, მთის ძირში, ტყით დაფარულ ბორცვზე იდგა ჰარცის ციხე, რომლის კედლები ახლაც ჩანს. ჰარცის ციხის ალაყაფის კარების გასაღებები ახლანაშნაშ შემთხვევით აღმოაჩინეს. ჰარცის ციხეში გოლიათები ცხოვრობდნენ, მოპირდაპირედ, ორი საათის სავალი გზის დაშორებით, ცირენბერგზე გოლიათების საცხოვრებელი კიდეკ ერთი ციხესიმაგრე იდგა, ორივე ციხიდან გიგანტები ხშირად ერთმანეთს ჩაქუჩებს ესროდნენ.

ხავსის პატარა ქალი

1635 წელს ერთი გლეხი, რომელსაც ჰანს კრეპელი ერქვა და ზალფელდის მხარიდან იყო, ტყეში ხეებს ჭრიდა, უცბად მასთან მივიდა ხავსის ქალი და უთხრა:

– მამა, შეწყვიტე ახლა მუშაობა, დაისვენე, ზვალ კიდე ხეების რომ მოჭრას დაიწყებ, არ მოჭრა, სამ ხეში სამი ჯვარი გამოჭერი, თქვენთვის უკეთესი იქნება.

როცა ხავსის პატარა ქალმა საუბარი დაასრულა, იქაურობას გაეცალა.

ფერმერი უხეში და გაუგებარი კაცი იყო, ხოდა, თავისთვის ჩაილაპარაკა: „ეს რაღაც სისულელე მე რაში დამეხმარება? რატომ მოვუსმინო ამ მოჩვენებას?“ შემდეგ მუშაობა გაანაგრძო და საღამოს სახლში წავიდა. მეორე დღეს დაბრუნდა ისევ ტყეში ხეების ჭრის დასასრულებლად, ისევ მივიდა ხავსის პატარა ქალი და უთხრა:

– კაცო, არ გამოჭერი სამი ჯვარი? ეს მე და თქვენ დაგვეხმარებოდა, რადგან დღის გარკვეულ დროს ცივისისხლიანი მონადირე ჩვენზე ნადირობს და დაუნდობლად გეკლავს, მისგან მოსვენება არ გვექნება და დაცულნი არ ვიქნებით, სანამ ხეში გამოჭრილ მსგავს რაღაცაში არ მოვთავსდებით.

– ჯვრების გამოჭრა თქვენთვის სარგებლის მომტანი იქნება, მერე მე რა? არ გამოვჭრი!

ამ სიტყვებზე ქალი დაესხა გლეხს და ისე მოუჭირა ხელი, ჯანმრთელი კაცი ძალიან საცოდავ

მდგომარეობაში ჩაავლო. ის გარკვეული დრო გარეთ ვეღარ გამოდიოდა. როდესაც გლეხი დაუბრუნდა თავის ძველ მდგომარეობა, ის შემდეგ სახლში შემის მოზიდვის ნაცვლად ხეში ჯვრების გამოჭრით იყო დაკავებული.

წმინდა წყაროები

შვეიცარიულ სოფელ რიუტლის მოსახლეობა დღემდე საუბრობს, რომ იქ მოულოდნელად წმინდა წყაროებმა ამოხეთქა, მას შემდეგ, რაც ერთმა კაცმა ამ სოფელში დადებულ ფიცს უღალატა, რის გამოც მას მოულოდნელად ცეცხლი თავისთავად წაეკიდა და გაურკვეველი მიზეზით მისი სახლი დაიწვა.

უზარმაზარი სვეტები

მილტენბერგის ან კლაინენ-ჰაუბახის მახლობლად, ტყეში, ძალიან მთაზე, შეგიძლიათ იხილოთ ცხრა უზარმაზარი ქვის სვეტი, ამ სვეტებს, თითოეულს, აქვს სახელურები, რითაც გოლიათები მუშაობდნენ, რათა მაინზე ხიდი გაედოთ. უძველესი დროიდან მამიდან შვილზე ინფორმაცია გადაეცემოდა, რომ ოდესღაც ბევრი გოლიათი ცხოვრობდა ამ მხარეში.

მსხლის ხე ვალზეფელდში

ზალცბურგის მახლობლად ეგრეთ წოდებულ ვალზერფელდზე საშინელი ბრძოლა მოხდა, სადაც ძალიან დიდი რაოდენობით სისხლი დაიღვარა, თუმცა, როგორც ცნობილია, ამ ბრძოლისას სიკეთემ სძლია ბრძოლას. ამ ვალზერფელდის მინდორში არის გამოშშრალი მსხლის ხე, ამ ბრძოლის მოსაგონრად. ის სამჯერ მოჭრეს, მაგრამ დაფესვიანება კვლავ ხდებოდა, რის შემდეგაც მიწიდან აღმოცენებული კვლავ მწვანდებოდა და სრულყოფილ ხედ იქცეოდა.

მრავალი წელია ეს ხე მწვანდება და ნაყოფს იხამს. როგორც კი ის შეწყვეტს ნაყოფის გამოსხმას, ომი კვლავ დაიწყება. ბოლო ხანებში ბაიერნის თავადებმა ამ ხეზე საკუთარი გერბი დაჰკიდეს, არავინ იცის, რატომ?



პოეზია

გიორგი ნადირაძე



ქალაქში მთელი კვირაა წვიმს

*„გარეთ ისევ წვიმს და სულ იწვიმებს“...
ოთარ ჭილაძე*

სახეების ხეებით,
მქრქალი სილუეტებით,
უეცარი ნაცნობის
გულუმპული მხრებით და
ნესტიანი ხელებით,

ზღვიდან წამონაბერი
ნოემბერის ქარებით,
სინარულის გამზირზე
მოწყენილი აბრებით,

წვიმით განაწამები,
ჩაით, ყავით, ამბებით
კარზე ღამიკაკუნე და
თავი შემომაფარე.

საეჭვო მსოფლიო (დილის სიზმარი)

საეჭვო მსოფლიო – მესამე სერია:
გორიდან ჰონგ-კონგში გადიან გემები,
ზაფხულის ფაზისი ფლორიდის ფერია,
ბირთვული ქობინით ბომბავენ ბომბეის,
მარანში მამულზე მუხამბაზს მღერიან.

ქალი მარსიდან

დედამიწაა.
მიწა სველია,
ცა შავი,
ცა წითელი,
ზოგან უფეროც.
და უცებ ქარი,
და უცებ ნაცნობი ქალი მარსიდან,
სახელად ეთერო.
ყავისფერი და შეუხედავი
ქალი ეთერო მიაპობს ცას.
დაიცა! მეც მაქვთ მოვდივარ,
ქალო ეთერო,
ქალო მარსიდან!

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს

სამშობლოვ, შენ მსოფლიო რუქის პატარა ნაკუწო;
მილიონობით პასუხგაუცემელი წერილით სავსე
სკივრო;
იშვიათად, მაგრამ მაინც იმ ბავშვით აღტაცებულ
(ყველას გვახსოვს),
ბურთს რომ მიიღებს საჩუქრად;
ხანდახან გაზაფხულის მდინარესავით ამღვრეულ-
ადიდებულ;
ხანდახან თითქოს ნარკოტიკით
დაბანგულ-გაბრუებულ.

დაგღალეთ, არა?

ჰო...
თუმცა იცი, მე მაინც ვფიქრობ, როგორც შვილი
მარტოხელა მშობელს,
შენც ისე უნდა მოგვიტევეო, რომ სათანადოდ ვერ
შეგინახეთ.

ბავშვობის ძმაკაცივით უნდა მოგვიტევეო,
რომ რამდენჯერმე სხეულგასისხლული მიგატოვებ
გაშლილ ველზე
(ესეც კარგად გვახსოვს) და ჭრილობებიც არ
მოგბანეთ.

დაბოლოს, სამშობლოვ,
ყოველი შეცოდება ღმერთივით უნდა მოგვიტევეო,
რადგან ხშირად არ ვიცით,
რას ვაკეთებთ.

მიხარია, მაგრამ რა?

მიხარია სითბო, მზე,
მიხარია ღილა და
მიხარია სიცოცხლე.
მიხარისხართ, ნაცნობებო,
მეზობლებო,
ახლობლებო,
ჩემო ავთო,
ნატა,
ნონა,
გეგებებით სინარულით,
მაგრამ... ნუთუ... ალბათ... როცა...
არავითარი მაგრამ
ნუთუ,
ალბათ,
როცა.
დღეს პირველია
და შემოდგომა,
მესალმებიან,
სადმე მელიან,
ეზოში ბავშვია.
ეს ყველაფერი მიხარია
და მორჩა!

ცისფერი ჩიტი (სახალწლო)

ორ გარაჟს შორის გახიზნილი ვიწრო სივრცე
შემორჩა წარსულს.
ომი და მშვიდობა,
სნიკერსი და მარსი,
ბურთი თუ კარი?
ცოცხალი ნაძვის ხე.

– თუ დაიღალე, მეგობარო, უნდა გაასწრო და გაიქცე.

– კი მაგრამ, როგორ?

– ხუსტად ისე, ამას წინათ ერთ-ერთი ჩვენგანი რომ გაფრინდა.

– გაფრინდაო. და საით?

– ვინ იცის, საით. ადგა დილით, გამხნევედა, მერე კი სივრცეს მიაშურა. აი, როგორც ფრინველი, გადატეხა ფრთები და...

ახლა ბედნიერება უტოპია უფროა, თუმცა უნდა ვცადოთ. ჰოდა – I have a dream – როგორც ერთი შავი კაცი იმანხდა.

– რა ჰქვია შენს ოცნებას?

– ცისფერი ჩიტი.

.....

ახალგაზრდა ქალმა საათს გახედა და კანით იგრძნო, რომ კიდევ ერთი წელიწადი წაგლიჯეს... ეპქ, ნეტა სულ ახალი წლის ღამეები იყოს: გარეთ ციოლდეს, კორპუსებს შორის ქარი რბოდეს, ფოჩებიანი კანფეტები თოვდეს, თუ გინდა წვიმდეს, ოღონდ ნაძვის ხის წვიმები წვიმდეს, ოთახში იაფფასიანი ნათურები ფერად ფერებს კედლებზე აცეკვებდეს, აქეთ კი, ტელევიზორის ეკრანზე, ბიძია-ბაბუა ქრისტეფორე მეათასეჯერ იმეორებდეს: „სიყვარული ვერტიკალურია და თან ბრუნვადი“. სად იყვნენ ძმები რაიტები, როცა ცათმფრენს ჩვენი მხრიდან სალათი „ოლივიე“ ეგებებოდა, ღვიძლის მტერი ნიგვზიანი კერძები სივრცეში რომ თუხთუხებდნენ, დესერტად კი ყელსაკოკლოზინო ფელამუშ-გოზინაყი და შედეგრალური ფეიჰოას კომპოტი იმაქრებოდა.

– რა კამპოტი, დაასხით, ბიჭო, ღვინო!

მოგვიანებით, საკმარისად მთვრალზე, ხემოდან იმის ერთი ამბორიც და მერე მესროლეთ, თუ გნებავთ, მზად ვარ (რჩება რამე ლამაზი სიკვდილის გარდა?).

ახლა ქალი უყურებს თოვას – ფართო და მოწყვნილ ფახტელებს, ქუჩიდან მანქანების ყრუ გუგუნის ალწევს, მშვიდად სძინავთ ბავშვობით კმაყოფილ ბავშვებს, ამ დროს კი, სადღაც შორს, იქ, სადაც სულ ზაფხულია: მიაპობს ცისფერი ჩიტი ცას და ბუნებას საკვირველ სიცისფრეს სძენს. ოცნებების გარეშე ყველანი დავიღუპებითო, – ამტკიცებდა მუმერთა ღმერთი.

ამიტომ გასწი უცხო მხარეში, ფრინველო! გაფრინდი და ჩვენ, ადამიანებს, ყველას ჩამოგვიტანე რაღაც ისეთი, რომლის გარეშეც არ შეგვიძლია ცხოვრება. ოღონდ იგი უნდა იყოს უცილობლად მსუბუქი, რომ როგორმე ვზიდოთ.

ხუთი,
ოთხი,
სამი,
ორი...

მიუხედავად წლებისა და სირთულეებისა, ამ დღეებში ყველას ჯიუტად გვჯერა: სადმე მაღლა და შორს, პარალელურ სინამდვილეში, გადასერავს ცისფერი ჩიტი ცას და სამყაროს სიცისფრით გაავსებს.

ვან გოგის ძაღლები

უცნაურია
ძაღლების ხმები არ ისმის
არც ყეფა.
ეზოში სასწრაფოს მანქანა
ვიღაც ნებდება
იქნებ სიცოცხლეს იგონებს ახალს
ვინ იცის

ფხიზლდება ღამე
გამოდის ბუნაგიდან
თავიდან იწყება კვლავაც
ღმერთო, მერამდენედ!
უფერო ფურცლებიდან
ლამპიონები უსმენენ ნესტიან ქალაქს
შენ კი არ გძინავს ვიცი.
სასწრაფოს მანქანა გვტოვებს და მიდის
სერაფიმებიც.
ზამთარი ქუჩებში ჯერ კიდევ ზის

მე-ნ სართულზე ოთახში შუქი
საწოლი – ჯერ ისევ ცივი
ანთია
და ჩაის დაღლილი ჭიქა
თებერვლის ქარი კი ხაზზეა
ბრიზი.
მთვარე სარკმლიდან
სულ რაღაც მეტრებშია
ვალეზ
სახეში სუსხი მცემს და მაფხიზლებს
ცივა
და ვხურავ.
სადმე სიცილი ასკდება ფანჯრებს

გადაწყდა
იძინებს ღამე – სცენიდან გადის
მე ვრჩები, და ცაც.
ვიგონებ ვან გოგს:
ფერებით – არა
ხეტილით – არა
შიმშილით – არა
აბსენტით – არა
(არც უსიყვარულობით)
ყველაფრით დაღლილს
და შეშლილს
და დაჭრილს
და მარტოს.

საკვირველია
ძაღლების არ ისმის ყეფა
და გნატრობ...

* * *

დღეს, ნამაისარს, მე ისევ გაზაფხულს და
 წარსულს ვეჭრფი,
 ვისხენებ სურნელს შენი მკერდის აპრილთან
 ნაალერსაღს,
 თბილი საღამო ფოთლებთან კეკლუცობს ჩიტებით
 ხელში,
 მიკარგულ დღეებს სულს ვუბერავ, როგორც
 ჩამქრალ ნაღვერდაღს.

ოთახის კედლებს, ყვავილებს აშფოთებს ტირილი
 ბავშვის,
 დაღლილი ცოლის ხორბლისფერ სხეულზე
 ისვენებს სევდა,
 გონების მიღმა სივრცეებს ალაგებს მომავლის
 სახლი
 და საათის ისრებს საშველად უხმობს ყინული
 მზერა...

მეტამორფოზი პოეტურად

იყო ჟამი, ახლგაზრდა და მიმზიდველი გახლდათ:
 გართობის, გიტარის, სმის, მოწვევის, დიაცთა
 მოყვარული და მეოცნებე,
 პოეტი-რომანტიკოსი, სულით მეამბოხე.
 გამოხდა ხანი.
 პოეტი დაღვინდა,
 პოეტი იმ ერთადერთს შეხვდა,
 პოეტმა იქორწინა,
 პოეტი გამრავლდა,
 პოეტს ღიპი მოეკიდა,
 პოეტი შემელოტდა,
 პოეტი შეჭალარავდა,
 პოეტი ძველებურად აღარ იცვამს,
 პოეტი ახლა ბევრს კითხულობს და კითხვის
 დროს სათვალეს იკეთებს,
 პოეტი ოჯახთან ერთად ხშირად დადის (მთაში)
 დასასვენებლად.
 ამ წუთას იგი ჟურნალისტის წინ, ხელნაკეთ ხის
 სკამზე ზის,
 სერიოზული სახით, მეტად ინტელექტუალური
 მზერა-გამომეტყველებით
 (აქ ჩემს ქართულის მასწავლებელს მაგონებს)
 და დინჯად მოგვითხრობს:
 რუსთველზე,
 ბაირონზე,
 პასტერნაკსა
 თუ ბარათაშვილზე.

Suicidalthoughts

ნატვრა – დილით აღარ გაიღვიძო,
 და აპოკალიპტური სიზმრის შემდეგ
 (რომელშიც გაქცევა შეუძლებელია)
 აღარ მოავლო დაღლილი მზერა:
 ოთახს,
 კედლებს,
 დარაბებს,
 ფილტვებში არ ჩაუშვა სიგრილე,
 და აღარ ჩაიხუტო დაღლილი მზე,
 რომელსაც ასე მოსწყინდა ნიღბის ტარება.
 ქანდარზე აღარ გაფინო ყელში ამოსული წარსული,
 არ გაიხსენო:
 გაფრენა-გიჟობები,
 ტკივილი,
 მერე შვება,
 უკბილო ხუმრობები,
 პირველი გაბრუება,
 პირველი ნაფაზი,
 კოცნა,
 სიცლით დაღლილი მეგობრის სხეული...
 გათენდა.
 უკვე რა ხანია დღეა.
 გრძნობ, სისხლძარღვებს როგორ გიკაწრავს
 დამღლევი შეკითხვები,
 უფრო კი მათზე გასაცემი შემადრწუნებელი
 პასუხები.
 (ნეტა რა ღირს ბაზარში სინანული?)
 გვერდით ოთახიდან გესმის მშობლის ფაციფუცი,
 დედა – ეს უკვე ნახევარ-ქალი,
 ღამ-ღამობით, ჩაძინებამდე, აჩონჩხილ ფიქრებს რომ
 გიგზავნის შენ,
 მის ასე მტანჯველს,
 მაგრამ ვერაფერს პასუხობ, ვერაფრით ანუგეშებ,
 რადგან ახლა შენ უფრო დაღლილი ხარ
 (ისე, როგორც სიზიფე).
 დღეს კვლავ უჟანგბადო ოთახში წევხარ,
 აგრძელებ ყოფას – უსინდისოდ,
 თავი გიდეგს ჩაფუშულ ბალიშზე
 და გაბრაზებული გეგმავ,
 შესაფერისი ლექსიკით
 ჯერ გალანძლო,
 გათათხო,
 ავინო,
 მერე კი წერტილი დაუსვა
 შენგან გადაღლილ შენივე სამყაროს.

მზია ნიალაური



* * *

ცას მოეფინა ვარსკვლავთა რიგი,
მიმოფანტული, ვით მარგალიტი,
უმთვარო ღამეს უხდება რაღაც...
სხვანაირია, იმ ქვეყნიური...

გონებას გტაცებს, გაფიქრებს რაღაც,
სხვა სამყაროში გაჰყავნარ, თითქოს...
და გავიწყდება ყველაფერი ის...
ამაოება ამქვეყნიური..

არ ღირს გოდებად, და არც ვარამად...
წამიერია ცხოვრება ჩვენი,
გამოცდა რთული... წინ გვიდევს წიგნად,
გარდაცვალების მეზური ჩვენი.

03.09.2024

მარიამობას გილოცავთ

ღვთისმშობლობაა!!!
გილოცავთ ყველას,
ღვთისმშობლის წილხვედრ
ამა სოფელში,
მადლი მოგფინოთ
სტუმარს...
მასპინძელს...
მშვიდობა, ღვინა,
და სიყვარული.
მადლობა ყველას
იმ სიკეთისთვის,
თუ გავიმეტეთ რამ
ერთურთისთვის,
ვისურვებთ,
ყველგან გფარავდეთ ყველას,
ლოცვა ღვთისმშობლის
და საფარველი!!!
სიმშვიდე მოგცეს,
წყალობად ყველგან,
ჭირშიც და ღვინშიც
„განუყოფელში“
ნუ დაივიწყებთ,
წამიერია
ცხოვრება ჩვენი
ამა სოფელში.

28.08.2024

* * *

ღრუბლები მოფანტულა, ცაზე, ალაგ-ალაგ,
რაღაც უჩვეულო ელფერი მისცემია,
სამეფო სავარძელი ძვირფასი ჩუქურთმებით, და
კიბეზე მორთხმული, თითქოს კლდის ვარდია.

სულ ერთნაირად ხავსმოდებული, და
მანც ჩემეული, თითქოს სიზმარია...
ჰოი! საოცრებაგ, ღრუბელი მიეფარა და
ველარ გავარჩიე თითქოს, რაფერია.

უცებ ფრინველებმა გადაიფრინეს და
გამტაცეს უცაბედი ჩემი ნაფიქრალი
თვალი და გონება ერთად რასაც სწვდება,
ეს ამოუცნობი, ჩემი სიზმარია...

რატომ ვხედავ ყველგან მთასა და ჭიუხებს..
და ჟანგისფერ, ხავსიან, სავალ ბილიკებს?
და ხავს მოდებულ მიუვალ ჭიუხებში
ჩარჩენილს, მიუწვდომელს, ბავშვობის ოცნებებს.

06.09.2024

* * *

უმადურობამ დააქცია ირგვლივ სამყარო,
დაუნახავი სიკეთისა არ ვარგა კაცი,
ერთი ნამცეცი ღვთის წყალობაც თუ ვერ შენიშნე,
ყოვლის შემძლე ღმერთს რაღად ჰყვედრი
ხელმოცარული.

იქნებ გგონია, თუ რამ შესძელ, შენ ხარ ძლიერი,
გთხოვ, ნუ დაუშვებ, ქრისტიანო, ნაფიქრს უგუნურს,
უფლის გარეშე თმის ღერიც კი რომ არ თეთრდება,
გავგონია? წავიკითხავს? იქნებ დაფიქრდე?

მადლიერება საუნჯეა ადამიანის,
მადლობა მხოლოდ, სხვას არას გთხოვ, გამოიღვიძე!
დადგება დრო და მიგახვედრებს ცხოვრება შენი,
სიყვარულია ერთადერთი, ჩვენ რაც გვაცოცხლებს,

ერის და ქვეყნის სიყვარული, ღვთივ ბოძებული,
ჩვენ ყველას ჩვენი თვალთახედვით რომ გავგაჩნია,
სხვათა განკითხვა, შური, ღვარძლი, და ბოროტება
ეს საქართველოს სიყვარულია?

დაფიქრდეთ იქნებ, სანამ დროა გადაგვარების,
და სასიკეთოთ მოვიბრუნოთ ცვლილება ჩვენი,
უფალს დიდება! ღვთის წყალობა ერს და ქვეყანას!
ჩვენ გვაპატიე....

24.08.2024

მონატრება

ჩემი საჭურე..
ჩემი გუზუმბათი..
ჩემი სალოცავი,
მამა პაპეული,
ნიში, როშკიონთ
მთავარანგელოზის,
სოფლის სათავეში
გადმობრძანებული.
ჩემი მშრალახევა...
ჩემი საჭურულა....
ხევჩუა, საქონთ გასაყარი,
საფეხვნო, წუხრ-წუხრ,
საქონთ მოლოდინში,
სოფლის ქალ-ვაჟების,
შესაყარი.
ჩემი ბავშვობა,
უღარდელი,
ტკბილი, ბებო-პაპის
ნაფერები...

გული სიყვარულით ავსებული
ლალი, მამიდების ნებეირი.
ღმერთო, სად წასულა
წლები ბედნიერი...
რატომ შემომავწვა,
სევდა ნაადრევი.
რატო მომენატრეთ..
რატო გამახსენდით...
იქნებ მეც ღაბებრდი...
იქნებ მეც ღაბებრდი...

13.08.2024

ხმით ნატირალი

ნოდარ ცისკარაულის ხსოვნას

ღღეს თოვლი ცრემლად დაედინა,
ახიელის თავ ჭიმღის კლდეს..
დედულ-მამულის ნასახლარზე
ჭიმღის ქვიშანიც ჩამიშალნეს...
ჯურჯიაულის შესანდობარს
ცისკარაულების მიწაზე
შენი მოგონებაც შეემატა
მუხლმოყრით, ქედმოხრით, ნაცრემლარზე..
კაცობით, ჯიშით, და ოჯახით,
ბევრიც ხსენებულა არხოტში..
ბარში ჩამოსულთ შვილის გაზრდას
ჯვარნიმც შეუწირვენ შენ მშობლებს...
სულეთში სანთლით და კაცობით
მისულს, დაგხვდებიან თემს გამრიგენი...
შენი სისპეტაკით და კაცურ კაცობით,
მოგეგებებიან შენით მაღლიერნი..
ღმერთო, მოჰვინე სრულიად ხევსურეთს,
კაცობით, ჯიშით და გენით სისპეტაკე,
ნათელში გახვედი სანთლით და კაცობით,
ნუ რაიმც შაგაწუხებს, ღმერთის წყალობით...

03.10.2024

* * *

ფენით ავიარე
გზები, ბილიკები...
ნასოფლარს ვეწვიე
მამისას,
სანთელი ავუნთე
ნასახლარს,
სალოცავს შეწირულს
ტარიგად,
თითქოს სუნთქვაც მესმის
ჩემი წინაპრების,
წყალობად საოცარ
სიმშვიდეს მანიჭებს,
ღმერთო, დამილოცე
მათი ნატერფალი
წინაპართ მიწაზე
ბალახიც მატირებს...

14.08.2024

წითელაურებს

ჩემი დედულეთი,
წითელაურების,
სასოფლარ-ნასახლარზე,
გაშენდა.
ნიში გადმოჰყურებს,
სოფელს სათავიდან,
გადმობრძანებული,
უკანა ფშავიდან.
წყალობას ნუ მოაკლებ,
ყმათა და მოსახლეთ,
წმინდაო გიორგი,
კოტიას ფუძიდან.
მომცლოცველ გიმრავლას,
მწყალობელიმც იქნებ,
სრულიად ერისთვის,
უკანა ფშავიდან.
გიმრავლოს სამრევლოს,
ლომკაცი ვაჟები,
ერისთვის, ქვეყნისთვის
სახელად, პატივად.
დაგვლოცე, დალოცვილო,
უღირსი ქართველნიც,
მაღლი მოგეფინე,
ბრძოლებში საშველად.
წყალობას ნუ მოაკლებ,
სრულიად საქართველოს,
მწყალობელიმც იქნებ,
ერისად, ქვეყნისად,
ქედს ვიხრი შენს წინაშე
წმინდაო გიორგი,
დედულთას,
საფშავლოს,
რომ ვითხოვ წყალობას...

5.08.2024

* * *

ხევსურეთს ასეთს ვიცნობ
ბებოსგან ნაამბობს...
ზღაპრად თუ ლეგენდად
მოსმენილს..
მიწაზე დაღეჭილს, თუ მთებზე შეფენილს..
უძველესი წარსულით.
გაღმ როშკას ციხურს და როშკის თავ,
კოპალას მათრახით გაპობილ კლდის ნახეთქს.
ჭორმეშავ მეგრელაურს,
ქაჯავეთ ტყვედ ნამყოფს,
ამღამი მინდიას ნასახლარს... საბეკურს...

შატილ-მიღმახევეში აკლდამებს,
არდოტს, მუცოს და ანატორს,
მიღმახევე ხოლივის წვერს, ჯიხვების
საუფლოს,
ოდესდაც სალოცავს, კაცთაგან მიტოვებულს...

ჭიუხში ჩარჩენილ სინდაურისძესა,
და კიდევ ვინ იცის...
იღუმალ თქმულებათა სიმრავლითა...
და ბურუსით მოცული წარსულით.

ხევსურეთს ასეთს ვიცნობ
ბებოსგან ნაამბობს..
და კიდევ ვინ იცის...
მიწაზე დაღეჭილსა,
თუ მთებზე შეფენილს
უძველესი წარსულით...

24.08.2024

ფერიცვალება

ფერი იცვალა დღეს მთამაც, ბარმაც,
ფერი იცვალა დღეს საქართველომ...
უფალს დიდება, და ერს მშვიდობა,
მაღლი ღვთისმშობლის წილ საქართველოს.

წყალობა ღვთისა, ერს და ქვეყანას,
არ მოუშალო, უფალო დიდო...
ერის სიმრავლე, ძალა, ერთობა,
და სიყვარული შენი, უზადო.

გილოცავთ ყველას, მაღლი მოგფინოთ,
დილაა, ირგვლივ სიმშვიდე სუფევს,
ღმერთო ინებე, მოგვმადლე ყველას,
წირვის მაღლი და სულის სიმშვიდე.

წყალობა ღვთისა, ერს და ქვეყანას,
არ მოუშალო უფალო დიდო...
ერის სიმრავლე, ძალა, ერთობა,
და სიყვარული, შენი უზადო.

19.08.2024

მანანა ჩიბიშვილი



ჟამო, რა ავად იდინე

თმენის საწყაო ივსება,
ჩაქრა ნათება იელის...
რის მტერი, ერთურთს ისედაც
მშვენვირად დავერიენით.

ბევევერ გვიწვიმა, გვითოვა,
იცვალენ ღრონი, მეფენი...
მტერი რად გვინდა, თვითონ ვართ
ერთურთის სისხლის მხვრეპელნი.

ცრუ იმედებით გაგვართეს,
ზღაპრის გვიქსოვდნენ ფაჩუჩებს,
მამული, ზოგი წაგვართვეს,
ზოგიც ჩვენ გავასაჩუქრეთ.

ბნელიდან ბნელში ვაბიჯებთ,
ჟამო, რა ავად იდინე...
თუ რამ გვებადა, წაგვგლიჯეს
ან უცხოს მიგვაყიდინეს.


ღრონი სიტყვებით მოლიეს,
ტაშით დაგვაცვდა ნებები,
ბავშვივით შეგვიყოლიეს
ამაო დაპირებებით.

ვის ახსოვს სისხლი ქართული,
ულვთოდ დაღვრილი შარაზე,
კარი, საჩვენოდ ალთქმული,
ათასგან ჩაგმან-ჩარაზეს.

თმენის საწყაო ივსება,
ჩაქრა ნათება იელის...
რის მტერი, ერთურთს ისედაც
მშვენვირად დავერიენით.

2015

თეიმურ მარშანიშვილი



ვერ დავუთმე ქალი ზმნას...

მზეს არა და, მზის მზეს ჰგავდა
რუსთაველზე მარი-ქალი,
ბირჟის ძირძველ ბიჭებს დაცდათ,
ქალღმერთის აქვს ალი-კვალი,
ჩაიარა, დამიტოვა
გულის გულში დალის კვალი,
ლექის ძის თემ უფალს ვთხოვე:
აარიდე ავი თვალი!

სანთლით ვძებნე, ვერ ვიპოვე
ვერსად მისი ფოსტის კარი,
ერთადერთი გამოხედვით
ამანთო, ვით დოსტის კვარი,
ვწერე, ვშალე, შევალიე
ლექის ჯარი, დიდძალი,
ვოცნებობდი, დედაჩემის
ყოფილიყო იგი რძალი.

ყურაგლეჯილ, ყვითელ თაბახს,
შევუყენე მელნის ჭავლი,
შეუსმენელ შემსმენელს
ვერ ვენდე და გავკარ ბრჭყალი:
იქნებ მითხრათ რომელიმემ,
სად გაფრინდა ქალი ჟღალი?
რომ დამწვა და თან დამგლიჯა,
მზე იყო თუ ქარიშხალი?!

. . .
მიპასუხეს, წავიდაო,
ჩაყლაპაო პარიზმა...
ელდა მეცა, გაყინულ სისხლს
ველარ მითბობს „კარიზმა“.
ფიქრში თითქოს ხელი ვტაცე
მის შარმსა და ქარიზმას,
მელაპავ პარიზს კი არადა,
ვერ დავუთმე ქალი ზმნას...

10.11.12

მუზის ვარაყი

ნეტავ რა ნახა ალიბუნარში,
რომ აბრიალებს ალი ბუნარში?
შენ მეკითხები: ნარდი თუ შამი?
მე კი გპასუხობ: ნარდი ღუშამით!

ვფცქვნივ თხილს მიწისას, ანუ არახისს,
შენ მეკითხები: ღვინო, არაყი?
– არ უნდა, ძამა, მაგას „არა“, „კი“
„ბუზის არაყი“ – მუზის ვარაყი!

ცხვირებს ვისრისავთ, ყნოსვა სწრაფია,
ორივე ვამბობთ: მოსასწრაფია!
სუფრას მოვკაფეთ მოსაკაფია,
ცარიელ ჭიქებს ლოკავს კაფია...

10.02.23

მარაქას ხვაფი, ბარაქა!

სულ ლამაზმანთა ბუდეა
პოეტესების მარაქა,
მონსენით ყველა ზღუდე აქ,
მარაქას ხვაფი, ბარაქა!

ბაზიერით მყავს ცერზე
კალამბური და ქარაგმა,
ურდული ავხსენ კარცერზე,
გაიგოს მთელმა ქალაქმა.

მადლობა უფალს, სულმბერავს,
ნეკნი მიქცია ქალა-მნათ,
დიდხანს გქონოდე თუყველას,
ცა ქუდად, მიწა ქალამნად.

მაინც ვინა ხართ ესეთი?
არ გაიშვებით გადაღმა,
უთქვენოდ ეს სალექსეთი
ხომ გადაჭკნა და გადახმა.

მოედინებით, მოდიხართ
მუზის ქათქათა ქარავნად,
სულის მსურველი მოდის ხართ,
ლექის მთებს გვარტყამთ გალავნად.

აუხილეთ ერს თოლები,
შარმი გაუდგით ბალავრად,
უთქვენოდ გულისსწორები
ვერ გამოვდგებით ფალავნად...

სულ ლამაზმანთა ბუდეა
პოეტესების მარაქა,
მონსენით ყველა ზღუდე აქ,
მარაქას ხვაფი, ბარაქა!

16.05.22

ვეძებ იმ ნათიას...

აქეთ ლანჩხუთია,
ახლოს იმნათია,
გული რომ წაიღო,
ვეძებ იმ ნათიას...

მასთან ვინ დამტია?
მასხეს მყის მანტია,
არც კი გამახედეს
ახლოს გამა ხედებს.

თითი მიმათლია,
ყურით მიმათრია
ღამემ როილთან,
ვიწვი, ჰოი, ალთან!..

მეწვის სიფათია,
ო, რა სიფათია:
ნოტად ვიღებ მთლა ვიშს,
ვეხეთქები კლავიშს...

იმნათს გადავცურავ,
ზღვებსაც მოვიარ თან,
ქაჯეთს თუ ვერ ვნახე,
მივალ „ბოიართან“...

აქეთ ლანჩხუთია,
ლანჩხუთს იმნათია,
გული რომ წამართვა,
ვეძებ იმ ნათიას...

4.06.23.

მათქმევიე

(ხალხურ მოტივზე)

„თამარ ქალო, ქვეყნის თვალო“,
სახელი გაქვს მეფისა,
ამ უძაღლო ქვეყანაში,
ფონზე კატათ ყეფისა,
უცხო ტომის დანახვაზე
საკინძე არ შეიხსნა,
არ გაბრიყვდე და არ გაჰყვე
ცოლად პრინცს ან შეიხსა.
რა კარგია, რომ ელვარებ!
შენ მზისა ხარ, მე ხისა,
არც ერთს გვინდა „ცა ფირუზზე“
დაქუხება მეხისა.
ეს სიმღერა არ გეგონოს,
ვედრებაა მეხრისა,
უფალს ესმის ჩემგან ხმები,
შენი ქებათ ქებისა,
ოცნებების ასახდენი
დაგაცალე მე ქისა,
დამიჯერე და შეერთე
ერთ ჩვენებურ მექისა.
გვამრავლე და გაგვანარე,
მიდექ-მოდექ ჯეხირსა.
მათქმევიე, რომ ქვეყანა
ქართულ ოჯახს ეღირსა!

14.04.23

ლექსი – მალამო

ლექსო, ხან გრამო, ხანაც ნაგრამო,
ერთსაც ამოვთქომ, მაგრამ, მაგრამო...
დღედაღამ გიწმენდ ნისკარტს, კალამო,
რათა დავდინდეს სულის მალამო.

მანამდე მტერო – დარდო, ვარამო,
არ მინდა, განახოს ჩემმა თვალამო,
რომ არ ჩამყლაპოს შენმა ქვარამო,
ქვესკნელში უნდა ჩაგასკვარამო.

ხომ დაინახე, ჩალამ-კალამო,
წუხელ სირცხვილი ჭამა ჭალამო,
პირი ამივსო მწარე წალამო,
მწვადი მწაღია, სად ხარ, წალამო?

გახსენი წარბი გუდამყარო,
ჩამოიხსენი გულა, მყარო.
სეფა მეგონა, შალა ცამ ხარო
და მისტუმრია მთელი სამყარო.

საქმეს შეუდექ, საქმეს, მყალო,
სუფრა გაშალე, ქალო მყვალო,
არ გამათხრიო შენთვის მალარო,

გამობრუყულო, უცხო მყარო.

ქარის ფუსფუსმა წარამარამო,
მამცნო, მზიანი წავა მარამო,
პირს არ გაკარებ, ლუკმავ არამო,
თუძდაც შემქმნელი გყავდეს მარამო.

სიტყვა უკეთ რომ შევაჯალაბო,
შენს ფუტე-კარში შევალ, ჯალაბო,
იმრავლოს შენმა სპამ და ჯარამო,
იბრუნოს ქვეყნის, ერის ჯარამო.

აჰა, გამთავრებ, წიგნო ქარამო,
გაგფანტოს მინვრად ნიაგ-ქარამო,
ჩადი, მზეო და ისევ ხვალ ამო,
რომ წაგიკითხოს კაცმა, ქალამო.

ახლა ხომ ხედავ, ჩემო ნაგრამო,
რატომ ვთქვი თავში „მაგრამ, მაგრამო“...
ძირში მოგადრობ ნისკარტს, კალამო,
რომ ვერ დაწერო ლექსი-მალამო.

28.04.23

მესიზმრა თუ ნაღდად შემხვდა

ვარდს – არა და ტიტას – არა,
უფრო ვარჩევ დაფნის რტოს...
მარცვალ-მარცვალ კეპეკავ ხოლმე
სიმინდით გაფშენილ დროს...

მენატრება ივლისი და
მენატრება აგვისტო...
ვარსკვლავებით მოჭვდილ ცას
ქურთი ხომ არ დაგვის, ტო?..

გურიაში კოწია ვარ,
იმერეთში – არისტო.
ჭურს ჩავძახებ, ჰა, შემივსე,
ამომძახებს: არის, ტო!

ნამეტანი ხლუსტი დარჩა
არისტოს ძმა ამიგო,
ისე მასვა, რომ ბახუსმა
ლამის წესი ამიგო.

„თავო ჩემო“ წავიმღერე,
ავაფეთქე გამის ძრო,
საკუთარ ჩრდილს გავასწარი,
ხან კი იმან გამისწრო.

ავქანავდი, დავქანავდი,
როგორც ქარში თუთის შტო,
დღესაც ვერ გამირკვევია,
ღვინო მასვა თუ ფიშტო?..

როგორ შევცდი, რომ მოვირგე
იმ დღეს არისტოს ფრაკი,
შუა გზაზე შემეფეთა
ქალი არისტოკრატი.

ჟრუანტელმა დაიარა
სულიცა და სხეულიც...
აფართხალდი, როგორც თევზი,
წყლიდან ამოხეული...

დილაზე ვთქვი: რალა მიჭირს
გადავურჩი ტოკს რაკი...
მესიზმრა თუ ნაღდად შემხვდა
ქალი არისტოკრატი?!

...
ისე მიცქერს ცხელი ნამყო,
ვით დამჩენავ რიბენტროპს,
შენი იყოს, წაილეო,
ბლომად მტენის ჯიბეს ტროპს.

– არ ხარ ღირსი შენ ამისიც, –
ლექსი დამკრავს დათვის ტორს
და ხელიდან მაგდებიანებს
კეთილშობილ დაფნის რტოს...

21.03.23

იქნებ ჯობდეს

ჩახვევია ფრაზა კალამს,
როგორც ჭივოს – ვენახი,
თუ მოვკვდები, მე მოვკვდები
მხოლოდ შენი ვერნახვით.

უთენია შენზე ვყვირი,
ყველა ბგერით ყველა ხმით,
ეხეთქება ექო კლდეებს –
ხევს გამოღმა, ხევს გაღმით.

შესევინ ჩემს საუფლოს
მომქნეველნი ვერაფრის,
ვშიშობ, სახლი არ გამინდეს
ზგავს ნასხლეტი წერა ქვის.

ხალხო, როგორ შეიშალები,
მოცვს ამენებთ, ვენახს თხრით?!
ვენახი თხამ შეჭამაო...
ნუ გაავსებთ ვენახს თხით.

იმ რუსეთში, – შენც რომ იცი, –
ვერას გავხდი ვერას გზით,
ვერ წამიყვანს იქ ვერავით,
ვერასოდეს ვერასგზით.

ამბობენ, რომ თავის დროზე
აუგიათ ვენა ხით.
იქით გვეპატიჟებიან
ჩვენი ზვრით და ვენახით...

მზისკენ დილაუთენია
ვერეკები მე ნახირს...
ვერობისკე! – მესმის ექო...
ალბათ, ვნახო ვენა, ღირს.

თითს ნუ მიქნევ, ისეც ვიცი,
სად წავიდე რომლისკენ,
ყიჟინია რუსთაველზე:
„წინ და შინ ევროპისკენ“!

მივალ ჩუმად გულში ვიკრავ
ქართულ დროშას, შინდისფერს,
ბოლოს მაინც იქნებ ჯობდეს:
„ევროპიდან შინისკენ“!..

ჩახვევია ფრაზა კალამს,
როგორც ჭივოს – ვენახი,
თუ მოვკვდები, მე მოვკვდები
მხოლოდ შენი ვერნახვით...


13.02.23

ქედს აქისძეილი - 80

ვაჟა ღანელია



და მიუბოძე სხვასაც წყალობა



ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას

შემთხვევით გავიცანი. იმ ღამეს თითქმის არ გვიძინია – კუბეში ოთხნი ვიხსედით: ის – ცნობილი პოეტი და მთარგმნელი, მე და ორიც სხვა.

გატაცებით საუბრობდა პოეზიაზე. სულგანაბული ვუსმენდით... დილით სადგურზე დავეშორდით ერთმანეთს.

გავიდა ხანი. ჯემალ აჯიაშვილი არაერთხელ მინახავს: იშვიათად – რუსთაველზე, უფრო ხშირად – ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

ისევე ბედნიერმა შემთხვევამ შეგვახვედრა, ისე კუბეში – მე და ბატონი ჯემალი, როგორც სენაკელები, თბილისამდე ერთი მატარებლით ვმგზავრობთ. გვიანი ღამეა. გარეთ ყინავს, მუხლამდე თოვლი დევს და „ტელეგრაფის“ მავთულებზე, როგორც სიმის ჯადოქარი, ქარი უკრავს ცივი ზამთრის უსახელო მელოდისა: „...“

იმ ღამესაც გვიანობამდე არ გვიძინია – დიდხანს ვისაუბრეთ, პროფესიულმა ცნობისმოყვარეობამ მძლია. სენაკის მეორე საშუალო სკოლაში ვსწავლობდით, მითხრა.

– ქართულ ენა-ლიტერატურას ტერენტი ყიფიანი მასწავლიდა, შესანიშნავი პიროვნება და პედაგოგი. გრიგოლ რობაქიძის რეკომენდაციით მისი ლექსები ევროპაში იბეჭდებოდა თურმე. ტერენტი მასწავლებელმა სკოლაში ლიტერატურული წრე ჩამოაყალიბა, ხელნაწერი ჟურნალიც გამოგვაშვებინა, სადაც პირველად გამოქვეყნდა ჩემი ლექსები...

მას შემდეგ პოეზია ჯემალ აჯიაშვილის სულიერი მეგობარი და განუყრელი თანამგზავრი გახდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სპარსული ენა-ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტი მთარგმნელობითმა საქმიანობამ გაიტაცა.

პირველად ომარ ხაიამის და რუდაქის პოე-

ზიას გაცნო. მოხიბლა „სპარსთა ენისა სიტკობიან“: შემდეგ აბდ-ორ-რახმან ჯამის ლექსები და ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ნაწევრები თარგმნა. რომლებიც საუნივერსიტეტო გაზეთსა და ჟურნალ „პირველ სხივში“ გამოაქვეყნა. იქვე გაცნო მკითხველი ძველევგიპტური ლირიკისა და ძველ-ებრაული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების ჯემალ აჯიაშვილისეულ თარგმანებს:

მზე აღმოხდების, მოილტვის ჩვენდა, რა’ მოგვიწოდებს, ძალთა მპყრობელი, – რამეთუ მტვრით და უჩინო ჩრდილით არს განჩინებულ ბოლო ყოველი; და მზე დაჰხდების სამანთა მიღმა, ცას ეუფლება ბინდი ვრცეული, გასცდება მიჯნებს დინჯი ატუმი” – ყრუ სიბნელისკენ პირმიქცეული. მზე აღმოხდების, აღმოვალს შუქი, აღმოენთების შარაზე ავლი, დაჰხდების მზე და დასავლეთ კერძო გზას დამაშვრალი ასრულებს მგზავრი. გარდავლენ ერთნი, მოდიან კვლავ და ტანჯვით იღვწიან მიწყვი რისადმე, შესაქმით ვლენ და ილტვიან მზისკენ და მუშაკობენ უკუნისამდე...

(ნაწევრები XIV-XI საუკუნეების ძველევგიპტური საგალობლიდან.

‘ რა – მზის ღმერთი ძველევგიპტურ მითოლოგიაში; “ ატუმი – საღამოს მზე.

* * *


ეჰა, თვალეში ისევ ცრემლია, გულში ნალველი ისევ ბრუნდება და ჩემი თმები ქვრივის ტანივით შავი ფერებით შეისუღრება. ჰე, შეღებილო ჩემო ჭალარავ, შენთან ხელიხელ უნდა ვიარო, შენა ხარ ჩემი სიბერის სევდა და სიჭაბუკის სამგლოვიარო.

* * *

ბევრი ვარსკვლავის კრთომა მინელდა, ბევრი დიდკაცი სიკვდილს მინებდა, ვინც თვალუწვდენელ კოშკებს აგებდა და ჩუქურთმევით აგვირგვინებდა, და ვინ შეინდო, ვინ შეიფარა, ვინ შეისმინა მისი მუდარა, მხოლოდ სამარე არგუნა ბედმა, მხოლოდ ლოდი და ცივი სუღარა... ილხინე, ძმაო, შესვი, შეირგე და მიუბოძე სხვასაც წყალობა, თორემ ცხოვრება ქარის ქროლაა და ქარავანის წარმავალობა,

რუდაქი

(„პირველი სხივი“, 1966, წიგნი VII)



ჯემალ აჯიაშვილი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამი წელიწადი თეირანსა და ისპაჰანში მუშაობდა საბჭოთა კავშირის საკონსულტო, ლიტერატურა, ბევრს თარგმნიდა.

– საინტერესო შეხვედრებიც მქონდა. – გაიხსენა ბატონმა ჯემალმა. – სპარსეთში მუშაობისას ერთმა ნაცნობმა მიმიპატიჟა ჩემგორდანში, რომელიც ისპაჰანიდან 60 კილომეტრზე მდებარეობს. გვიანობამდე შევრჩი მასპინძლებთან, რადგანაც დილით ადრე სამსახურში უნდა ვყოფილიყავი, იქ დარჩენა არ შემეძლო. არადა, უკვე შუალამე იყო, ტრანსპორტიც არ მოძრაობდა, მასპინძელსაც არ ჰყავდა მანქანა. იძულებული გავხდით, ავტოსადგომისთვის მიგვემართა. ყარაული გავაღვიძეთ. ავუსხენი, საბჭოთა კავშირიდან ვარ-მეთქი. არ დამიჯერა – არ ჰგავხარო. მათი ცნობიერებით, ყველა საბჭოელი მხოლოდ რუსული იერსახისა უნდა ყოფილიყო. როცა ვუთხარი, თბილისელი ვარ-მეთქი, ერთბაშად შეიცვალა კაცი, გამოცოცხლდა. „ქართოლი ხარ, პატრონო“? – მკითხა, ჩემდა გასაოცრად, ქართულად. ფერეიდნელი ქართველი აღმოჩნდა. განარებულმა რამდენიმე ბიჭი გააღვიძა, ასევე ფერეიდნელები, „ადექით, პატრონია დიდი საქართველოდანო“. ყველანი გარს შემომხევივნენ, კითხვები დამყარეს. საუბრით გული რომ ვიფერეთ, საუკეთესო მანქანა შემირჩიეს, მძლეობაც გამომაყოლეს და გამომიტუმრეს. ამის შემდეგ ყოველ პარასკევს (დასვენების დღე ჰქონდათ) ისპაჰანში ჩამოდიოდნენ და მოსაკითხიც მოჰქონდათ – ფერეიდნული ხილი...

სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ჯემალ აჯიაშვილმა ჟურნალ „ნომლში“ თანამედროვე ირანელ პოეტთა ლექსებისა და შუასაუკუნეების ებრაული პოეზიის შედევრების თარგმანები დაბეჭდა. ორიოდ ნიმუშს აქვე ვთავაზობთ:

შემუელ ჰანავიდი

დაბადებიდან აღსასრულამდე
ტირილით ვიშვით,
ჭაპანს ვეწვევით,
ჩვენვე გვაძმიძებს ჩვენი წოდება;
კვლავ განტყვევებდ განვეწესებით,
მუნ მიგვაცილებს სხვისი გოდება,
სიზმარი ესე
ხელის ცეცებით
ამ იწროვებში მიებლოტება...

მოშე იბნ ეზრა

სასაფლაოინ
გზაო, ვზივარ და ღუმილით გიცქერ,

უქმურ მიწაში თვლებენ ლანდები,
ღუმს სასაფლაო... სიკვდილის ფიცხელ
ხელს წარუხლოცავს განძი რამდენი...
იყურე, მგზავრო, უკეთურ მხრისკენ
შენც ამავე გზით წარემართები.

ჯემალ აჯიაშვილმა 1972 წელს დაამთავრა ესპანელი დრამატურგ ტირსო დე მოლინას ვრცელი დრამატული პოემის – „მწვანე მარვლიანი ღონ ხილის“ გადმოქართულება. მერე შუა საუკუნეების იაპონელი პოეტი-დრამატურგის – მონძაემონ ჩიკამაცუს დრამატული პოემა – „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“ – გააცნო მკითხველს: ჯერ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდა, შემდეგ ორჯერ (1980, 1991 წ.წ.) ცალკე წიგნებად გამოსცა.

საგულისხმოა, რომ 1981 წელს მედია კუჭუხიძემ ეს პიესა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგა. ამ ამბავმა იაპონელთა ყურადღებაც მიიწვია... სხვათა შორის, „შეყვარებულთა თვითმკვლელობა“ იაპონიის ფარგლებს გარეთ გასული საუკუნის 80-იან წლებში მხოლოდ თბილისში დაიდგა. სწორედ მაშინ ეწვია მოსკოვს იაპონიის ეროვნული თეატრი „კაბუკი“. ყოფილი საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრო ყოველმხრივ ცდილობდა, სტუმართა გასტროლები მხოლოდ მოსკოვსა და ლენინგრადში გამართულიყო. „ეროვნული განძის“ ტიტულის მფლობელმა (თურმე, ასეთი წოდებაც არსებობს იაპონიაში) მსოფლიოში სახელგანთქმულმა მსახიობმა უტაემონმა საბჭოთა კულტურის სამინისტროს შესვეურთ დაუფარავად განუცხადა – თუ თბილისში, სადაც ჩიკამაცუს პოემა დაიდგა, ჩასვლის ნებართვას არ მოგვცემთ, გასტროლებზე საერთოდ უარს ვამბობთო. „ნემოთაც“ იძულებული გავხდნენ, დაყაბულებულიყვნენ.

„კაბუკი“ თბილისში ჩამოვიდა და მისი გასტროლები ჩვენს დედაქალაქში თეატრალურ ხეიამდ იქცა. მაშინ ჩიკამაცუს თანამემამულეებმა მარჯანიშვილელები სტუმრად მიიწვიეს. მხოლოდ 1991 წელს მოხერხდა ქართული თეატრის იაპონიაში გამგზავრება. ერთი თვის განმავლობაში ტოკიოსა და სხვა ქალაქებში სპექტაკლს უამრავი მაყურებელი, მათ შორის – იაპონიის პრინციც კი დასწრებია და ამომავალი მზის ქვეყნის ტელევიზიითაც მრავალჯერ უჩვენებიათ.

– მონძაემონ ჩიკამაცუს იაპონელ შექსპირსაც უწოდებენ, რადგან „შეყვარებულთა თვითმკვლელობა“ თავისი სიღრმით, პრობლემატიკითა და მწერლური ოსტატობით, მართლაც, მაღალმხატვრული ნაწარმოებია... ისე, თქვენ ნამდვილი შექსპირისთვისაც არ ავივლიათ გვერდი... – ვუთხარი ბატონ ჯემალს.

– ვთარგმნე და ჟურნალ „ცისკრის“ რამდენიმე ნომერში გაგრძელებებით დაიბეჭდა უილიამ შექსპირის ვრცელი პოემა „პატივყარილი ლუკრეცია“, რომელმაც პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია დაიმსახურა...

ჯემალ აჯიაშვილის თარგმანებისადმი ინტერესს ზოგჯერ „უმაღლეს ეშელონებშიც“ იჩენდნენ და ყოველთვის როდი სწყალობდნენ. ამის ნათელი მაგალითია 1979 წელი. მაშინ, ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად, ჩვენთან გამოიცა ჯ. აჯიაშვილის ნათარგმნი შუა საუკუნეების ებრაული

პოეზიის ვრცელი კრებული, რომელშიც შევიდნენ: ესპანეთში მოღვაწე დიდი პოეტი, გრენადის სახალხოფოს პირველი ვეზირი და მხედართმთავარი შემუშეულ ჰანაგოდი, ებრაელთა პლატონად წოდებული ფილოსოფოსი და პოეტი შელომო იბნ გევიროლი, მოშე იბნ ეზრა (ზოგიერთი მკვლევრის აზრით, შოთა რუსთაველი სწორედ ამ პოეტს უნდა გულისხმობდეს, როცა წერს: „ამ საქმესა მემოწმების დიონისი ბრძენი, ეზროს“), იეჰუდა ჰალევი, აბრაჰამ იბნ ეზრა (პოეტი და ფილოსოფოსი, ბიბლიის ბრწყინვალე კომენტატორი), იეჰუდა ალხარიზი (ჰაინრიხ ჰაინეს თქმით, ვოლტერამდე დიდი ხნით ადრე „წმინდა წყლის ვოლტერიანელი“), იმანუელ რომაელი (იგი იტალიაში მოღვაწეობდა. გადმოცემით, დანტე ალიგიერის მეგობარი და მისი „ღვთაებრივი კომედიის“ ანალოგიით ფილოსოფიური პოემის – „ჯოჯოხეთი და სამოთხის“ შემქმნელი).

ამავე წელს საქართველოს ტელევიზიამ კრებულის გამოსვლას ვრცელი ლიტერატურული გადაცემა უძღვნა. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში ებრაული კულტურის ყოველგვარ წარმოჩენას სიანოზმის გამოვლინებად მიიჩნევდნენ, ამგვარი კრებულის გამოცემა და, მით უმეტეს, ტელევიზიით მისი აფიშირება ნამდვილი ვაჟკაცობა იყო. აკი, დიდი აფიოტაჟიცი გამოიწვია: ამერიკულმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ 1979 წლის 12 დეკემბრის ნომერში ამ მოვლენას ვრცელი სტატია მიუძღვნა. საკავშირო შესაბამისი უწყებებიდანაც სათანადო რეაგირებამ არ დააყოვნა. მართალია, წიგნებს ვერაფერი უყვეს, მაგრამ სატელევიზიო გადაცემა რამდენიმე წლით „დააპატიმრეს“. საქართველოს ტელევიზიამ იგი 1987 წელს გაიმეორა.

ჯეძალ აჯიაშვილმა სხვადასხვა დროს თარგმნა და გამოაქვეყნა იტალიელი კლასიკოსის – კარლო გოცის დრამატული პოემა „ლურჯი ურჩხული“, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა. ქართველი მკითხველი იცნობს ესპანელი ტირსო დე მოლინას დრამატული პოემისა და ავსტრიელი პოეტის – რაინერ მარია რილკეს სონეტების აჯიაშვილისეულ თარგმანებს. 1999 წელს გამოაქვეყნა კლასიკური ებრაული პოეზიის ერთბაშად ორი კრებული, თარგმნა დავით მეფის ფსალმუნები, რომლებიც პერიოდულად ჟურნალ „ციცკარში“ იბეჭდებოდა. მართალია, ქართველი მკითხველი მანამდეც იცნობდა ფსალმუნების უბრწყინვალეს ძველქართულ თარგმანებს, მაგრამ ბატონმა ჯეძალმა განმიმარტა, რომ ისინი ძირითადად ძველბერძნული ტექსტიდან – ეგრეთ წოდებულ „სეპტუაგინტადან“ უნდა მომდინარეობდესო.

– ეს ბერძნული ტექსტი „ბიბლიის“ საბოლოო კანონიზაციამდე არსებული ებრაული ტექსტიდანაა თარგმნილი. დღევანდელი „ბიბლიის“ ტექსტი კი, ეგრეთ წოდებული „მასორეთული“ (ტრადიციული), შედარებით გვიანაა დადგენილი, ამიტომ ძველი ქართული თარგმანი არცთუ იშვიათად იძლევა განსხვავებულ ვარიანტებს საბოლოოდ დადგენილ „მასორეთულ“ ტექსტთან. ამან განაპირობა ჩემ მიერ ფსალმუნების თარგმნა საბოლოოდ დადგენილი ებრაული ტექსტიდან. თანაც ეს საინტერესოა წმინდა კულტურული თვალსაზრისითაც. რვაასი წლის შემდეგ თანამედროვე ქართულ ენაზე ფსალმუნების თარგმნა ოდნავაც არ ნიშნავს კრიტიკულ დამოკიდებულებას ძველისადმი, რომელიც, თავის

მხრივ, უნიკალური ლიტერატურული ძეგლია...

ერთხელ ბატონ ჯეძალს ვკითხე, ქართველ და ებრაელ ხალხს ოცდაექვსსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებთ ერთმანეთთან, რაც კიდევ უფრო მჭიდრო და მრავალმხრივი ხდება. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ჩვენი ხალხების შემდგომი ურთიერთობა-მეთქი.

– საქართველო და ქართველი ხალხი რომ სტუმართმოყვარეა, ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ქართველთა დამოკიდებულებას საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა მიმართ მარტო სტუმართმოყვარულს ვერ უწოდებ, იგი უფრო დიდია, რასაც მშობლიური სიყვარული ჰქვია, ამიტომაცაა, საქართველოდან წასულ ებრაელებს შენარჩუნებული აქვთ ბევრი ქართული ზნე-ჩვეულება; თითოეული მათგანის ყოფა-ცხოვრებაში იგრძნობა ქართული ყოფითი რეალიები – სუფრა და კერძები ქართული იციან, ქეიფისას ქართულადაც ცეკვავენ და მღერიან, ოჯახიდან ფხიზელ სტუმარს არ უშვებენ. ეს ყოველივე იმის დასტურია, რომ ისტორიულად ებრაელობა ყველაზე უკეთ ქართულ მიწას შეეთვისა, ამასთანავე, ყველაზე კარგად შეინარჩუნა თავისი ოდინდელი ტრადიციები და ცხოვრების მამაპაპეული ბიბლიური წესი. ნიშანდობლივია, ალბათ, ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა აქედან ჩასულ ებრაელობას ქართველებს ეძახის. ისრაელში სენაკიდან წასული ბიჭები მოვინახულე.

– მუჭო რექ, დამირია-მაქი (როგორა ხარ, დამირია-მეთქი)? – ვკითხე ჩემი ბავშვობის მეგობარს, რომელიც უკვე ოცი წელიწადია ისრაელში ცხოვრობს.

– ონდეთი, სი მუჭო რექ, გოლუაფირო (ძლივძლივობით, შენ როგორა ხარ, გოლუაფირო)? – მეკითხება იგი.

– გილეჯსაბაკუქ-მაქი (დავრახუნობ-მეთქი). – ვუპასუხე. ასეა, აქედან წასულები ქართულ ენა-საც არ ივიწყებენ, შეძლებისდაგვარად, შვილებსაც ასწავლიან.

საქართველოს ებრაელობასა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე 1988 წელს დაწერე პიესა-მონოლოგი „გამოიღვიძე, ქნარო“, რომელიც ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის სცენაზე დადგა კოტე მახარაძემ. მისი პრემიერა თელ-ავივში შედგა და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

საქართველოდან წასული ებრაელები ყოველმხრივ ცდილობენ, ისრაელის მოსახლეობას გააცნონ ქართული კულტურა, ხელოვნება, ისტორია. ამასთან დაკავშირებით იბეჭდება სტატიები, გამოდის წიგნები. 1986 წელს ქართულ-ებრაულად (მთარგმნელი მოშე დანიელი (დანიელაშვილი) გამოიცა გრიგოლ რობაქიძის პასტორალი ხუთ კამარადა „ლამარა“, 1988-1989 წლებში აბრამ მამისთვალოვის რედაქტორობით ასევე ქართულ-ებრაულ ენებზე ხუთ ტომად გამოქვეყნდა ძველი ალთქმის მოზრდილი ნაწილი, ეგრეთ წოდებული მოსეს ხუთწიგნეული (მთარგმნელები: აბრამ მამისთვალოვი, გერმონ ბენ-ორეხი (წიწუაშვილი) და თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილი).

ალბათ, იცით, რა ძნელებლობას გაუძლო პატარა ისრაელმა: სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან (1948 წ.) ექვსი უმძიმესი ომი გადაიტანა. ამის მიუხედავად, დღეს აყვავებული და ახლო აღმოსავ-

ლეთში ანგარიშგასაწევი სახელმწიფოა. ებრაელთათვის გასაგებია საქართველოს ტკივილი, ამიტომ თანაუგრძნობენ მას. მიაჩნიათ, რომ ქართული მიწა უნდა იყოს ერთიანი და განუყოფელი.

კარგია სხვა ქვეყნების თანადგომა, მაგრამ ქვეყნის აღორძინებისა და წინსვლის უმთავრესი ბერკეტი მაინც ჩვენი ხალხის ერთსულოვნება და მიზანსწრაფული გარჯაა. ბრძნული შეგონებაც ზომ ასე გვძოდვრავს: „თუ არა მე ჩემთვის, მაშინ ჩემთვის“?!

ერთი ლეგენდაც მინდა გაიმბოთ: ერთხელ ინკოგნიტოდ გადაცემულ ნაპოლეონს პარიზის ებრაულ უბანში რომ არავინ დახვედრია, სინაგოგისაკენ აულია გეზი. იქ მისულს უნახავს, მთელი ებრაელობა ტაძარში პირქვე დამხობილიყო და გოდებდა. მიზეზი უკითხავს. ჩვენს დანგრეულ ტაძარზე ვტირითო, უპასუხიათ (როგორც ცნობილია, ბიბლიური სოლომონის მიერ ძველი წელთაღრიცხვის მე-10 საუკუნეში აგებული იერუსალიმის დიდებული ტაძარი მსოფლიო ებრაელობისთვის უდიდეს სიწმინდეაა მიჩნეული. ეს ტაძარი პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა, ხოლო მეორედ, აღდგენის შემდეგ, ჩვენი წელთაღრიცხვის 70 წელს რომაელთა მხედართმთავარმა ვესპასიანემ დაანგრიეს). გაკვირვებულ იმპერატორს ეგლა უთქვამს – მართლაც, მარადიული ერი ხართ, ორი ათასი წლის წინანდელ ამბავზე ისე გოდებთ, თითქოს ეს დღეს მომხდარიყოსო. ეს ლეგენდა იმის მიმანიშნებელია, რომ ებრაელებისთვის ქვეყნის ისტორია არასდროს ყოფილა მარტოოდენ ისტორია. „ყველა თაობაში თითოეულმა ებრაელმა ისე უნდა შეხედოს თავის თავს, თითქოს თავად გამოსულიყოს ეგვიპტელთა ტყვეობიდან“ (ებრაელებმა ბიბლიური მოსეს წინამძღოლობით 3500 წლის წინათ დაიხსნეს თავის ეგვიპტელთა ტყვეობიდან) – გვამცნობს ებრაული სიბრძნე.

თუ თითოეული ქართველიც საკუთარ თავს დიდგორის ომის მონაწილედ მიიჩნევს, მაშინ საქართველოს ერთიანობის დაშლა და მისი დაჩოქება შეუძლებელია. ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველო და ქართველი ხალხი იპოვის იმ ერთადერთ და ჭეშმარიტ გზას, რომელიც მას ფართო ასპარეზზე გაიყვანს. ამის გარანტია მისი ისტორიული გამოცდილება და ქართული კულტურის უნიკალურობა...

იმ ჩვენი საუბრის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. არაეთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს – ხან სენაკში, ხან სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში (რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს), სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარალელურად ლექციებს უკითხავდა სტუდენტებს. გვისაუბრია ამ მთისა, იმ მთისა, ჩვენს მშობლიურ სენაკზე, სრულიად საქართველოს სატკივარზე. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ჩვენი შეხვედრები პოეზიით იწყებოდა და პოეზიით მთავრდებოდა, რადგან ულექსოდ არ შეეძლო ლექსისთვის დაბადებულს, ქართულ მიწაზე უსახლვროდ შეყვარებულს.

ჯემალ აჯაიშვილი 2013 წლის 5 იანვარს 68 წლისა გარდაიცვალა.

და დაიხურა ერთი დიდი წიგნი პოეზიისა...

„იქ მივსვლი, აქ სავსეა“ ...



დავით გურამიშვილის მუზეუმი მირგოროდში – 55

ლამისყანიდან მოთარეშე ლეკებისგან გამოსასყიდის იმედით მოტაცებული დავით გურამიშვილი უკრაინაში აღესრულა... ბედმა უმტყუნა 1724 წელს საქართველოდან გადახვეწილ ათასობით ქართველს: ჯერ ვახტანგ VI-ის, შემდეგ პეტრე I-ის გარდაცვალებით „დაობლებულ“ ემიგრანტებს საქართველო აღარ უხილავთ... იძულებით რუსეთის ქვემევრდომებად დარჩენილთაგან 1738 წელს ქართველ ჰუსართა პოლკში დ. გურამიშვილიც აღმოჩნდა. 22 წელი შესწირა სამხედრო სამსახურს და ჯანმრთელობა მერყეული დასახლდა მირგოროდში. მხოლოდ 1948 წელს აღმოაჩინა დავითის საფლავი უკრაინელმა ლიტერატორმა და მკვლევარმა დმიტრო კოსარიკმა. ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის სამრევლო წიგნში, მოძღვარ რომან შაფრანსკის დაუფიქსირებია გარდაცვალების თარიღიც და ადგილიც – ტაძრის ეზოში მირგოროდში ქართველთა ყოფილი ახალშენის ნოვოსელიცას მახლობლად.

დღეს ეს ქუჩა დავითის სახელს ატარებს მიმდებარე სკოლასთან და ბიბლიოთეკასთან ერთად. იმავე 1948 წელს ჭალარა შ. დადიანს დავითის საფლავზე მოუხსნევია მთაწმინდის მიწა. 1979 წელს მუზეუმის მე-10 წლისთავზე მიწვეულმა მეც „მთაწმინდელო“ – ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის საფლავთა მიწა მოვაბნე. ფოტოები დაცულია მუზეუმში.

1969 წელს, მაისში კიევში ჩატარდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. დალეგაცაიას ხელმძღვანელობდა ც. კ. კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხიკვიშვილი. პროფესორ ალ. ბარამიძეს, მწერლებს – გ. აბაშიძეს, ხ. ბერულავას, კ. კალაძეს, ი. ნონეშვილს უმასპინძლეს მ. ბაჟანმა, ო. გონჩარმა, ი. ზბანაკვიმ, დ. კოსარიკმა.

12 მაისს ქალაქის ცენტრში მდ. ხოროლის „სარკის“ ფონზე გაიხსნა დ. გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი და დავითის გრანიტის ძეგლიც (მათზე 20 წლით „უფროსია“ ობელისკი საფლავზე (1949)).

მუზეუმის გახსნას მ. ბაჟანის ძალისხმევით დიდი ამაგი დასდო მისმა პირველმა დირექტორმა ივანე გურიშმა (1905-1997). იგი 1967-68 წლებში ორ-ორჯერ ეწვია საქართველოს ექსპონატებისათვის. მუზეუმის დასაფუძნებლად უკრაინულ მხარეს – კიევის ტ. შვეჩენკოსი და უკრაინული

ხელოვნების სახელმწიფო, პოლტავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს მხარში ამოუდგა საქართველოდან ს. ჯანაშიას მუზეუმი, თბილისის სამხატვრო აკადემია, ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და შ. რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი.

ექსპოზიცია მოაწყეს ლიტ.ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა: ბ. არველაძემ და დ. გურამიშვილის შემოქმედების მკვლევარმა, პროფესორმა რ. კუსრაშვილმა. ი. გურინი იყო ცნობილი მწერალი, მკვლევარი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი. მან შეკრიბა და გამოსცა უკრაინული ზეპირსიტყვიერების 30 ათასზე მეტი ნიმუში, შეადგინა უკრაინის კლასიკოსთა რითმების ლექსიკონი, აგრეთვე – დ. გურამიშვილის „დავითიანისაც“, მიკოლა ბაჟანის თარგმანის მიხედვით. ოფიციალურად გახსნამდე იგი ორი წელი უხელფასოდ დირექტორობდა! ი. გურინის 90 წლის იუბილეს საქართველოდან მეც ვესწრებოდი.

1999 წელს გამოიცა ჩემი წიგნი – „ლამისყანადან მირგოროდამდე“, მიძღვნილი მუზეუმის 30 წლისთავისადმი. ავტოგრაფით ვაჩუქე სოფელ ქვემო ჭალის დღემდე საუკეთესო ფილოლოგს, მზია ხელაშვილს (ჩვენი დედების მამები ღვიძლი ძმები იყვნენ). ერთ თვეში მზიამ შემომითვალა, ლიტერატურის ინსტიტუტში, პროფ. აკაკი ხინთიბიძეს შენი ნახვა უნდაო. გამოირკვა, რომ სოფ. ჭალაში ა. ხინთიბიძეს აგარაკი ჰქონია და მზიას ჩემი წიგნი წაუკითხებია. ქართული ლიტერატურის ამ დიდმა მოამაგემ და დ. გურამიშვილის შემოქმედების უბადლო მკვლევარმა გადმომცა შეგძმარითად უნიკალური, ფასდაუდებელი მასალა – მისი და ი. გურინის პირადი მიმოწერის ასლები! მანამდე საგურამოს ილიას მუზეუმის ფონდების მცველმა შ. მარკოზაშვილმაც „დამასაჩუქრა“ უკრაინელ მწერალთა, მათ შორის დ. კოსარიკის ეპისტოლარული შემკვიდრებით. ამჟამად ვმუშაობ მე-2 წიგნზე, ვაპირებ, ამ მასალათა შეტანასაც 55 წლისთავის საიუბილეოდ.

...ახლა, როცა ომის უმძიმეს დღეებში მრავალჯერ დაიბობმა მირგოროდიც, დავითის მუზეუმი ღირსეულად განაგრძობს ქართულ-უკრაინული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მატინანეს... წინაა მირგოროდელი მხატვრის ვ. ბრიკულეცის დაბადებიდან 100 წლისთავი. მუზეუმს რომ გადავუგზავნე ამ მხატვრის „გურამიშვილიანა“ – ჟურნალ „ანეულის“ ფოტოასლებით, მივიღე მათი გულწრფელი მადლობა მთავარი რედაქტორის, ქნ თამარ მაიმშელაშვილისათვის!

...ისიც სიმბოლურია, რომ 2019 წელს დ. გურამიშვილის მუზეუმის 50 წლის თავზე დავითის მშობლიურ საგურამოში გაიხსნა მისი ნანატრი ძეგლი (მოქანდაკე კახა არუნაშვილი)... თითქოს საქართველოსთან ლამის სამსაუკუნოვანი განშორების შემდეგ დ. გურამიშვილმა მირგოროდიდან საგურამოდ უკან გამოიარა დავიწყებულ-დაკარგული გზა! ეს სტატიაც და ძეგლის ფოტოც ჩემს ლექსთან ერთად, მირგოროდელებს შემოენახებათ ფასეულ ექსპონატად ისევე „ანეულის“ წყალობით!..

თამარ გაბოძე,
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი

თამარ გაბოძე



მირგოროდიდან საგურამოდე

/ანუ გურამიშვილის დაბრუნება/

ტყვემ. ლამისყანით ლეკთა ნადავლმა, ოსოქოლოდან ტყე-ტყე იარა...
უკრაინაში, ცხრამთავადალმა, შეუხორცებელ დარჩა იარად...
იქ ნოსტალგიით ყოფნა განაგრძო, „დავითიანი“ განძია განძთა...
სამშობლოს ძმთა სია განაგრძო და მეგობრობის მედროშედ გაცვდა!
მზე სუკუნემ სამჯერ დაბინდა, ელოდნენ შვილს აქ საბუდარმომლილს...
დაიგვიანა, მაგრამ დაბრუნდა... დავითი – ძეგლად საგურამომიც!
დავითის ნატრულ-გურამიანთკარს ესტუმრა სულიც? ნასახლარს ნატრობს? დაბერებულა... სულ არ მიაგავს აკოკრებული ულვაშის პატრონს! საწუთისოფლო დამლა-თემიდამ დიდხანს დატოვა ვინმე ლამაზი?!
წელს შეუსრულდა დაბადებიდან დავითს თოთხმეტით მეტი სამასი!
განა ვინილავთ ახალგაზრდებად, ვინც დააბერა ბედის ღალატმა?! სიხარულს უნდა ახლა გაძლება – საგურამო ღვთის ნებით გალაღდა! დარჩა მირგოროდს კი სევდიანი გრანიტ-ხატება, ნეშტი დავითი... დაბრუნებაა ისე გვიანი, დასიზმრებულ წლებს ვერც კი დავითვლით!... აქ მუზეუმად იქცევა როდის, იქ შეუსრულდა ორმოცდაათი... საგურამო კვლავ ეძლევა ლოდინს, ასცდება ნატვრის ორმოს ტაატით? ლოდინიც განა სამუდამოა? დღეს ხომ ძეგლს ყვაავილთ ძღვენი არშია! აქ ახლა სულ სხვა საგურამოა!... სახლ-მუზეუმს რომ გახსნის არ შია, ზედაზენს მივა თუ შიომღვიმეს, სული პოეტის დევნის ტარივი?! დაბრუნდება იმ სახლში... ორ იმედს აგვიხდენს როცა იმ დღის თარიღი, ვამცნობთ ანბანით, მზემ რომ აკინძა,


მსოფლიო ზეიმს გავაზიარებთ –
გურამიშვილი გელთ მასპინძლად –
საგურამოში შემოიარეთ!

გვჯერა, ღვთისმშობლის წილხვედრ ძმურ ერებს
იქ მირგოროდი, აქ საგურამო
უკვდავი ძმობის ჰანგებს უმღერებს,
კვლავ უფლის ნებით და სამუდამოდ!
უკრაინის სხვა დედაქალაქად,
საქართველოშიც მირგოროდს თვლიან...
უკუღმართ დროს რაც დაინთქა ლაქად,
აქ უდავითო ცივ ორ ლოდს ჰქვია –
რაც შიომღვიმის მონასტერთან და
ილია მართლის ტაძართან ჰვია!...
გურამიშვილის, ლესიას მოდემის,
მეგობრობის ორ სადგურთ ამოვშლით?
დედაქალაქებს ფესვი აქვთ ძმობის –
სურამთან ერთად საგურამოში!
იცავს ამ ორ ერს ღვთისმშობლის ლოცვა, –
წყალობად ლოცვის აურა მომდევს!
დავლოცოთ ძეგლად დავითის მოსვლა
მ ი რ გ ო რ ო დ ი დ ა ნ
ს ა გ უ რ ა მ ო მ დ ე ე ც!...

2019წ.



საგურამოში, 2019 წელს გაიხსნა დავით
გურამიშვილის ძეგლი
მოქანდაკე – კახა არუნაშვილი



მონუმენტი მირგოროდის მუზეუმის ეზოში
ძეგლის ავტორები – ანდრია ნიმენკო
ნიკოლოზ ობეზიუკი

წრსდიცია დტ თხსხძქღროფონტ

ჯუბა ღუბელი



პილარობა (ღვთისმშობლობა)

ერთი სვეტის დღესასწაული სარაგოსაში

პილარობა – ასე ჰქვია ერთ-ერთ დიდ ქრისტიანულ დღესასწაულს, რომელიც ესპანეთში (იბერიის ძირძველი მიწა), არაგონის მხარეში, კონტა და ლამაზ ქალაქ სარაგოსაში იმართება. მე გამაოცა ამ დღესასწაულის მამუტაბურობამ, მისადმი ქვეყნის და მოსახლეობის დამოკიდებულებამ...

დღესასწაულის სამზადისი რამდენიმე თვის წინ იწყება, თავად ცერემონია კი ყოველი წლის 12 ოქტომბერს, დილის 6 საათიდან მეორე დამის 12 საათამდე გძელდება...

ქალაქის მთავარი ქუჩა, რომელსაც თავისუფლების ქუჩა ჰქვია, ყველაზე დიდი ქუჩაა და პირდაპირ პილარის მოედნამდე მიდის. ამ ქუჩას მწყობრი ნაბიჯებით მოუყვებიან სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსული მომლოცველები თავ-თავიანთი ატრიბუტებით...

პილარის მოედანზე აღმართულია ღვთისმშობლის სიმბოლიკა, რომელსაც ყვავილებით ამკობენ. ეს არის უზარმაზარი ყვავილების მთა, რომლის გვირგვინი ღვთისმშობლის ქანდაკია.

პირველი დღე ყვავილების მიტანას ეთმობა, მეორე დღე ხილისა და სანოვაგის მიტანით გრძელდება, რომელსაც ეკლესიებში და უმწეო მოსახლეობაში არიგებენ. შემდეგ ხდება ხატებისა და სხვადასხვა ქრისტიანული სიმბოლოების ქუჩაში გალობითა და ზარების რეკვით ჩამოტარება, რომელსაც უკან უამრავი ხალხი მოჰყვება...

დღესასწაულს უერთდებიან რეგიონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი მოქალაქეები არაგონიდან და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, სარაგოსას მფარველი წმინდანის ფეხებთან მილიონობით ყვავილის დასადებად.

13 ოქტომბერს ხილის შეთავაზების ჯერია, სადაც რეგიონებიდან ჩამოსული მომლოცველები ღვთისმშობელს თავიანთი მიწის საუკეთესო ნაყოფს სთავაზობენ.

საღამო გრძელდება 200-ზე მეტი სპეციალურად დამზადებული ფარნითა და ეტლებით, რომლებითაც ღვთისმშობელს მოაბრძანებენ... მსვლელობა მიმდინარეობს დიდი ემოციებისა და გალობის ფონზე და მოივლის ცენტრალურ ისტორიულ უბნებს.

შეუძლებელია ყველაფრის ენით გადმოცემა. როცა მავანთათვის ევროპა ლამის უბედურების და გარყვნილების ბუდედაა წარმოსახული, ერთი-ორად მძაფრდება ამ ხალხის ქრისტიანული ტრადიციებისადმი პატივისცემა...

ბევრი იტყვის, მაგათი ეს დღესასწაულები ქრისტიანობისგან შორს არის და უბრალოდ ზემის ხასიათი აქვსო... ამ პატარა ქალაქში ყოველ ნაბიჯზე უზარმაზარი ეკლესიაა და ყველგან წირვა-ლოცვა მიდის... ჩვენ ჩვენი ტრადიცია გვაქვს, მაგრამ განა კი ჩვენი დღესასწაულებიც, რომლებიც ცხოველთა ეგრეთ წოდებული „შეწირვით“ და ქეიფით გრძელდება, განა დღეობა არაა?

დავუბრუნდეთ ისევ „პილარობას“. როგორც აღვნიშნე, ეს დღესასწაული 12 ოქტომბერს იმართება და იგი ორი დღით უსწრებს ჩვენს სვეტიცხოვლობას, უფრო სწორედ, როგორც კი პილარობა დამთავრდება, სვეტიცხოვლობა იწყება...

„პილარობას“ ერთი სვეტის დღესასწაულადაც მოიხსენიებენ და მისი ისტორია შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ...

ზოგადად ესპანეთში ქრისტიანობას გრძელი ისტორია აქვს. მისი გაქრისტიანება, სათავეს იღებს იბერიის ნახევარკუნძულის ევანგელიზაციით, რომელიც ლეგენდის მიხედვით ორი ათასი წლის წინ მოციქულ სანტიაგო დიდის მიერ მოხდა.

იმავე ლეგენდის თანახმად, სარაგოსაში პირველი საუკუნის მე-40 წელს ღვთისმშობელი ხორციელად ეწვია ქალაქს სარაგოსას და ებროს (მდინარე, რომელიც შუაზე ჰყოფს ქალაქს) ნაპირზე აღმართა სვეტი (პილარი), რათა ეკლესია აეშენებინათ. შემდგომ ამ სვეტზე მისი ფიგურა დააბრძანეს. ასე დაერქვა პილარი ღვთისმშობელს, რომლის დღესასწაული ადრე იანვარში აღინიშნებოდა, მაგრამ დაამთხვიეს პირველ წირვას კათედრალში და სრულიად ესპანეთის დღეს (12 ოქტომბერი, როცა კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, მიჩნეულია სრულიად ესპანეთის დღედ Día de la Hispanidad).

ამგვარად, მთელი კვირით ადრე იწყება დღე-



სასწაულები და მთავრდება კვირა დღეს.

ამ დღესასწაულზე ტრადიცია და თანამედროვეობა გაერთიანებულია და წარმოჩენილია სარაგოსას ყველა ღირსშესანიშნაობა.

შეიძლება წარმოუდგენლად მოგეჩვენოთ, მაგრამ მთელი კვირის განმავლობაში ნახევარ ათასზე მეტი კულტურული და რეკრეაციული ღონისძიება იმართება მოზრდილებისა და ბავშვებისთვის. ღონისძიებების 90% უფასოა და ქუჩაში ტარდება. მომლოცველებს და ტურისტებს ასევე მასპინძლობს თეატრი და ცირკი, ქუჩაში იმართება იუმორისტული სცენები, კლოუნთა გამოსვლები, მიმები და მრავალი სხვა.

„Plaza del Pilar“-ში მოწყობილია სპეციალური სცენა არაგონული ფოლკლორის საჩვენებლად. ქუჩაში მოწყობილია ბაზრობა, სადაც გამოტანილია ხელნაკეთი ნივთები. ასევე არის პატარებისთვის განკუთვნილი ადგილები, რათა ისიამოვნონ მოძრავი თეატრალური შოუებით, „Río y Juego“-ს საბავშვო სივრცეებითა და თოჯინების პარკით. მუსიკისა და ფერადი შადრევნების ფონზე ტრიალებენ ატრაქციონები, საიდანაც ბამბის, ვაშლის ტკბილეულითა და შოკოლადი ჩუროებით მოთხუნული ბავშვები იყურებიან. ეს დღე გამოწვევაა პროფესიონალი გასტრონომებისთვის, რომლებიც მსურველებს ტრადიციულ კერძებს და სასმელებს სთავაზობენ.

„პილარის“ ფესტივალი ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომლის ისტორია საუკუნეებს ითვლის და რომელიც სარაგოსელებს საშუალებას აძლევს, ღვთისმშობლისადმი განსაკუთრებული პატივი და სიყვარული გამოხატონ!



პროზა

ლიზი სიხარულიძე



გადამრჩენელს

ბილიკს მივუყვები და არეულად დაყრილი ფოთლების გროვაში მის ნაჩუქარ ყელსაბამს ვეძებ. ყელსაბამს, რომელიც ისე მომძვრა, რომ ვერ ვივრძენი, ვერ ვივრძენი, როგორ დამშორდი შენც. როდის ან სად მიმატოვე... მე კი ვცხოვრობდი და მიხაროდა, რომ ჩემი სიყვარული გახარებდა. მერე დაკარგე და, გრილ შემოდგომის საღამოს გამოსვლისას, ნაჩუქარი ყელსაბამიც შენს გზას დაადგა. თითქოს აქამდე წლების განმავლობაში მოუხსნელმა და ყელზე ჩამოკიდებულმა იგრძნო შენი წასვლა და თან გამოეყვანა, სიყვარულთან ერთად. მე კი მას შემდეგ ისტერიულად გეძებ შენც და იმ დაკარგულ ყელსაბამსაც. ლამისაა ბალახში ქექვით მიწამდე ჩავიდე, ისიც ამოვთხარო, მერე ძეხნით დაღლილი შიგ ჩავწვე და არც არასდროს ავდგე.

იქვე, ხის ძირას, ჩამოვჯექი, გზად მიმავალი მანქანებიდან გაკვირვებული სახეები ფიქრს მირევენ და გონებას მიფანტავენ. ავდექი და ზურგით შემოვუტრიალდი გზას... ფიქრი მაინც არეულია, გონება კი დაღლილი. მერე უცებ დედაზე ჩამეფიქრა. ლამაზ, ჭკვიან და ყველაზე გამგებ ქალზე. როგორ გახარდა ნეტა ბებომ ასეთი კარგი-მეთქი, ვფიქრობდი. სახეზე და ზურგზე ხალები ღამის ცისკარზე გამოფენილ ვარსკვლავებს უგავდა. სახეზე ჭორფლები და სახასიათო ცხვირი უფრო ლამაზ ქალად აქცევდა და ყველაფერ ამას მისი ჩემი, ამავდროულად, ენერგიითა და ქარიზმით სავსე ხასიათები ემატებოდა. ეს ყოველივე კი ისეთ ადამიანად ხატავდა, ჯერ რომ მისნაირი კარგი ღმერთს არ დაუხატავს. მისი თბილი და ნათელი გული მისაბამ დედად აქცევდა და ჩემს დამწუხრებულ, გაციებულ გულს მუდამ ათბობდა. ვერც კი შეატყობდით, რამდენ ომგადატანილი იყო, რამდენი რამე წაართვა ამ ცხოვრებამ, ლამის სულ არაფრით დარჩენილს გასაცემი კი მუდამ ჰქონდა.

მამაზე გათხოვილმა თხილის ხეკვის გემოც გაიგო და მალევე გურიის ბორცვებზე დარგული თხილის ხეები ჩვენი მესაიდუმლეები გახდნენ.

მიყვებოდა ამბებს – სიყვარულზე, მეგობრობაზე, ომზე, მშობლიური სახლის მიტოვებაზე, წყენებსა და გაბრაზებებზე. მოყოლილი ისტორიები ხშირად მავიწყდებოდა, მაგრამ დედის მოყოლილი – არც ერთხელ. ყველა მათგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ახლა ერთს თქვენც გაგიმხელთ.

ჩვეულებრივი სექტემბრის დილა ყოფილა ვარჩემი, ეზოში აზვირთულ ხეებს ნიავი ნაზად არხევდა. თითქოს მოსალოდნელ საზარელ ამბებს ნელ-ნელა აპარებდა, პირდაპირ თქმა ვერ გაებდა. ქეთო ბებო მისი კოპწია მოხერხებული ხელებით მურაბას აკეთებდა, მალე დამზათრდება და მზად რომ ვიყოთ სიცივეებისთვისო. დედაჩემი, ანო, იქვე დასტრიალებდა საყვარელ ბებოს.

ომი უკვე ერთი წლის დაწყებული იყო, თუმცა მისი სისასტიკე ქართველი ხალხის გულს ბზარს არ უჩნდა და არც უკეთესობის იმედს უკრავდა. ეზოს ბოლოს დაბმული ხბო ბალახობდა და აქა-იქ ახსენებდა თავს მეზობლებს. აქ ვარ – არ დამივიწყოთო... ნეტა თუ გრძნობდა მოსახდენს? ცაში გამეფებულ სიჩუმეს ჩიტების ჟღერტული თუ დაარღვევდა ანდა მეზობლების ერთმანეთთან გადაძახილი. ყველას თავისი საქმე, სამომავლო გეგმა და ზრახვები ჰქონდა. რა იცოდნენ, რომ სულ რაღაც წამის მესაგდში ქეთო ბებო დახუფულ ქილებს იქვე, მაგიდაზე დალაგებულს, დატოვებს და ჭურვის ჩამოვარდნით შემინებული მთელი სამეზობლო ხიდის ქვეშ მოიყრის თავს.

უცებ ჩიტების ჟღერტული შეწყდა, მზეს, რომელიც დილიდან დაუღალავად ანათებდა, ღრუბელი გადაეფარა, ნიავემა მეტი ვეღარ მოითმინა და აზვირთულ ხეებს ყველაფერი გაანდო. ხეები, მოსმენილით გაგიჟებული, ერთმანეთს აასკდნენ, ფოთლები დაიპუტეს და გარშემო მიმოფანტეს, მიწის დაცვა განიზრახეს. ჩიტების სიჩუმეს მალევე გამაყრუებელი წუილი და მიწის გახეთქვა მოჰყვა. გვერდზე სოფელში ჭურვი ჩამოვარდა.

დედის გონება მერე ბევრმა ხმაურმა და ქაოსმა, აზრებმა და ემოციებმა მოიცვა – რა იქნება ამის შემდეგ? ხიდის ქვეშ დამალული მეზობლების მონოლოგები, ვაი-ვიში დამტვრეულ ავეჯსა და დანგრეულ სახლებზე, უპატრონოდ დარჩენილ ეზოებზე. მერე უცებ სახლში გაქცევა და ბარგის, საჭირო ნივთების ჩალაგება. რაც შეიძლება მცირე ბარგი და მხოლოდ სავალდებულო ნივთები!

დედამ ეს გაიგო თუ არა, ავარდა ოთახში, ჩაალაგა ყველა საჭირო კაბა, თოჯინა, საყვარელი და თანაც სავალდებულო მაკიაჟი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მოეგროვებინა, წიგნები და ბლოკნოტები. შეძლო და ყველაფერი ერთ ჩანთაში ჩაატია, როგორც ყოჩაღია! მეორე ჩანთა აღარ დასჭირვებია.

დაბლა ერთი აურზაურია, სანამ ქალაქი ჩაიკეტება და საშიშ ადგილად იქცევა, დროებით უნდა გაერიდონ აქაურობას, მერე ჩაწყნარდება ყველაფერი და მობრუნდებიან. დედაც მობრუნდება

აქ დატოვებულ სათამაშოებს და მის საყვარელ ნივთებს, ამიტომ ცდილობს არ იდარდოს, რომ ისინი აქ დროებით მარტო რჩებიან. დედამ ჩალაგებული ბარგი დაბლა ჩაიბანა, იქვე, სკამზე, ჩამოჯდა და უფროსების შემდეგი გადაწყვეტილების მომლოდინემ კიდევ ერთხელ გადახარშა გონებაში, ხომ ყველაფერი ჩალო, ხომ არაფერი დარჩა. მალევე მეზობლის მანქანა მოვიდა, აეროპორტში თვითმფრინავი ბოლო რეისებს ასრულებდა და უნდა მიესწროთ. ყველამ ერთიანად მოჰკიდა ხელი ბარგს და მანქანისკენ გაეშურა. დედამაც წაავლო ხელი ჩანთას და საცაა მისი ბარგიანად მანქანაშიც ჩაჯდებოდა, რომ უფროსები შემოუტრიალდნენ.

— რა დევს, ანიკო, აქ?

— ჩემი ნივთები... — მორიდებით უპასუხა დედამ, ამდენი წლის შემდეგაც თან სდევს ეს მორიდება უკვე ქალად ქცეულ დედაჩემს.

ჩანთა უცებ გახსნეს და მალევე მიხვდნენ, რომ ამ ჩანთაში საჭირო და სავალდებულო არაფერი იყო.

— არა, ანიკო, ამას ვერ წავიღებთ, ადგილი არაა. წადი, ეზოში დადე, მერე შევიტანთ სახლში.

და ანიკოს ფერადი ჩანთა ვარჩეში, თბილისის გზატკეცილზე მდგარ ერთი დიდი სახლის ეზოში, დატოვეს. ანიკოს ნივთები საჭირო არ აღმოჩნდა. დედა უცებ მანქანაში ჩასვეს და სანამ აზრზე მოვიდა, აეროპორტამდეც მივიდნენ. მერე იყო ნახევრად დაბომბილი თვითმფრინავით ფრენაც, თანაც რამდენიმე საათს გააგრძელდა ეს ფრენა. იყო ხმაური, დაბომბვა, ტანკი, სისხლი, სიკვდილი, ტირილი, ყვირილი, ჩხუბი და აურზაური. მაგრამ ყველა ეს ხმაური უხმო იყო ანოსთვის, მისი თოჯინები იქ, ეზოში, მარტო დარჩნენ, მისი დიდი ბროშები და ყელსაბამები, ან ის კოპლებიანი კაბა, ციციანომ რომ შეუკერა, ის ბეჭედი, დედამისმა რომ აჩუქა?

მალე გავა დრო და უეჭველად მიბრუნდება, წინაზე ხომ მიბრუნდნენ? ახლაც მიბრუნდება და შემდეგ ჯერზე მკაცრად იტყვის — „ჩემი ნივთების გარეშე არსად წავალ!“ — მერე თბილისში ჩამოვიდნენ, დევნილების სტატუსი მიანიჭეს, სასტუმროში შეასახლეს, გაჭირვება და უბედურება გადაიტანეს, ფეხზე ძლივს დადგნენ. მაშინ ანო 14 წლის იყოს ახლა 45 წლისაა და დღემდე პატარა ბავშვივით წყენას ვგრძნობ მის ხმაში, როცა მიტოვებულ ჩანთაზე, სახლზე, სკოლაზე მიყვება. დღემდე მენანებაო, ასე მითხრა იმ დღეს, როცა ეს ამბავი გამანდო. ვერ შეძლო მაშინ და მას შემდეგ ვეღარ დაბრუნდა, მაგრამ აუცილებლად დაბრუნდება. მე კი ეს ამბავი მოგონებების ყველაზე ძლიერ ძაფზე მაქვს გაბმული და არასდროს დამავიწყდება.

ნეტა იმ ჩანთას რა ბედი ეწია? ან იმ ხბოს, ეზოს ბოლოში რომ იყო დაბმული?

ბული ასდის ქალაქს

ერთი სიცხიანი შუადღე იყო. თავი უდაბნოში გვეგონებოდა. ოფლი სოფელში მომდინარე მდინარესავით მდიოდა კანზე. სუნთქვა ჭირდა და ბული მხედველობას მიხშობდა. ხელში ბებიის ნაჩუქარი რვეული მეჭირა და ისე ვუჭერდი, გვეგონება, ვინმე წართმევას მიპირებსო.

მართლა ვფიქრობდი, არ წამართვან-მეთქი... არ წამართვან ისე, როგორც ერთ დროს ბებო წამართვეს. ჩახუტებული გამომგლიჯეს, ერთ მაგიდაზე მსხდომი ძალით ააყენეს და სიტყვის გამოსვლისას შუა სიტყვა გაუწყვიტეს, დასრულება არ აცადეს. არ აცადეს, მოელოცა სკოლის დაწყება თუ დამთავრება, პატარა მიღწევების აღნიშვნა, დაბადების დღეების მოლოცვა... ამბობენ, იმდენად კარგი იყო, ამ სამყაროში დიდხანს ცხოვრება არ უწყერიათ მისნაირებსო.. მე კი ვფიქრობ, რომ ეგ არავის გადასაწყვეტია... ადამიანი მანამ უნდა ცხოვრობდეს, სანამ მისიანების სიხარულს და წარმატებას არ იხილავს, არ შეიგრძნობს.

გზას სახლისკენ მივუყვები და მახსენდება ბოლო დაპირება — სკოლაში რომ წახვალ, ბებო, მე ხელს დაგიქნევ ფანჯრიდან... მე სკოლა რახანია დავამთვრე, საცაა, უნივერსიტეტსაც ჩავხურავ, ამდენი წელი გავიდა და დაპირების აუსრულებლობით გამოწვეული წყენა ისევ იკავებს ადგილს ჩემს გულში.

მზე ისევ ისე ანათებს, თავს მიხურებს და გვეგონება, საცაა ცეცხლსაც წამიკიდებს. ბებოს ფანჯარას კიდევ ერთხელ გავხედე, ხელში ჩაბლაუჭებული რვეული, რომელსაც არაფრის დიდებით არ ვუშვებ, თავზე დავიფარე და კისრისტეხით გავიქეცი სახლისკენ, ყელში მობჯენილი ბურთი უკვე მერამდენედ გადავყლაპე, გამომშრალ კანზე თვალებიდან წამოსული სველი წვეთები ჩემსავით მირბიან. როგორც იქნა, სადარბაზოს მივადექი და ერთად წამსკდარი ცრემლები მტვრიანი ხელებით მოვიწმინდე... ტანსაცმელი შევისწორე, რვეულს დავხედე და ბებოზე გაბრაზებულმა ათას ნაწილად დავხიე, ჯიბეში ჩავიკუჭე. მერე კიბეები თვალის დახამხამებაში ავირბინე და სახლის კარები დიდი ხმაურით შევადე. სახლში დედა დამხვდა მხოლოდ. ხელში ალბომი ეჭირა, ათვალიერებდა. მერე ისევ დავფიქრდი და გამებრაზა ბებოზე, ასეთი ლამაზი, ჭკვიანი და დედაზე, ცამდე შეყვარებული შვილი როგორ დატოვა-მეთქი?

დედას ჩუმად კარის ღრიჭოდან შევხედე. ჩემი ხმაურიანი მოსვლის მიუხედავად, ვერ გაეგო, როგორ შევადე კარი. ფიქრებში გართული, ვიღაცას ელაპარაკებოდა. ოთახისკენ შევტრიალდი და უცებ აცრემლებული თვალებიდან ცრემლები გაქრა, აჩქარებული გული საგულეში ჩადგა, ბრაზისგან დაბრმავებულ გონებას წაშში სინათლე გადაეკრა და ბებოზე წყენას გზა-კვალი არეოდა, სადღაც მიკარგულში დაკარგულიყო და უკან გზას ვეღარ პოულობდა. იქნებ ბებოს სულაც არ უნდოდა ჩვენი

დატოვება და ჩვენზე, დატოვებულებზე, მეტად სტკივით გული მათ, ვინც გვტოვებს....

ოთახში შეაბიჯებთ თუ არა, მარჯვნივ, კედელზე, ბეზოს ფოტო ჰკიდია, მხატვარს მისი სილამაზე მოსწონებია, ფურცელზე უნდა დავიტანო და სამუდამო სიცოცხლე ვაჩუქო მაგ შენს სილამაზესო. ბეზოც დიდი თხოვნის მერე დათანხმდა და ნეტა იცოდეს, როგორი მაღლობელი ვარ ამ თანხმობის გამო. რომ არა თანხმობა, ახლა მისი პორტრეტი ჩემი ოთახის კუთხეს ვერ დაამშვენებდა და ღამით არეულ ფიქრებს გზას ვერ გაუკვალავდა.

საწოლზე წამოვწექი. დედას ისევ არ გაუგია ჩემი შინ ყოფნა. მე კი ჯიბიდან დახეული რვეულის ნაწილები ამოვხიკე, ჩემ გვედით დავყარე და, როგორც განუზომელ სივრცეს, ისე უაზროდ მივაშტერდი. უკვე ჩემი ფიქრები არ მესმოდა, არ ვიცოდი, სიტყვებად როგორ გადამექცია ის, რაც რახანია ჩემს გონებაში ტრიალებს, დალაგებულს მირევს და მოსვენებას არ მძღვეს.

მზე ისევ ისე, დიდი სიჯიუტით ანათებდა ოთხს და სქელი ფარდების საფარის გააბობას ცდილობდა. თითქოს ეს ერთი მიზანი ღარჩა შეუსრულებელი და სანამ არ შეასრულებს, მანამდე ჩასვლას და თვალთახედვიდან მიკარგვას არ აპირებსო. მე კი მისი სიჯიუტე მამბრახებდა და სინათლე თვალს მჭრიდა, ამიტომაც ზურგი შევაქციე მასაც, დაფლუთილ რვეულსაც და ბეზოს პორტრეტს მივაშტერდი. დაფქვრდი და წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდა ჩემხელა, შეყვარებული, გულნატკენი, გაბრახებული თუ განარებული. როგორ იქცა ისეთ ქალად, როგორიც მე მახსოვდა და რას ფიქრობდა ბოლოს, როცა ფიქრების გზა დასასრულს უახლოვდებოდა. ამ ფიქრებში ჩამეძინა, დაღლილს და დასიცხულს. მზეზე დიდხანს ყოფნამ თავი ამატკია და ფიქრები გაამძლავრა.

უკვე გრილი საღამო იყო, როცა გამეღვიძა. გვერდით, ოთახიდან, ხმაური ისმოდა. ალბათ უკვე მოვიდნენ სტუმრები-მეთქი, გავიფიქრე და წაშში წამოვხტი. ტანსაცმელი გამოვიცვალე, დახეული რვეულის ნაწილები ერთად მოვკრიბე და უჯრაში ჩავყარე. მერე სარკეში თმა შევისწორე, ბეზოს პორტრეტს ავწვდი და ვაკოცე. ოთახიდან გადიმებული სახით გამოვედი და იმ დიდი სევდის დამალვა განვიზრახე, რასაც წლებია ვმაღავ. მართლაც, მოსულიყვნენ სტუმრები და მაგიდასაც შემოსხდომოდნენ.

– მოდი, მოდი, აი, შენ გიხსენებდით ახლა. როგორ ჰგავხარ ბეზოს გოგო! – დიდი სიყვარულით მომეფერნენ, გვერდით დამიყენეს, ჭიქა ასწიეს და სადღეგრძელოც თქვეს, ბეზოს პატივისცემად. დღეს ხომ მისი დაბადების დღე არის.

– ერჩქინაშ დღას მიგახვამანთ ჩქიმი სკვამი ცირა, მანუშკები! – ასწია ჭიქა მისმა დამ და თითქოს წინასწარ მოსული სევდა ამ მომენტს ელოდებოდა, რათა ყველას თვალებში ადგილი დაეკავა.

ზაინაბ ძიძიშვილი



თანამედროვე ღამურა

მე ღამურა მქვია. ღამურას იმიტომ მეძახიან, რომ მარტო ღამე გამოვდივარ სამალავებიდან და სიბნელეში ვპოულობ სულის სიმშვიდეს. თანაც ძალიან გაცოფებული და გაბოროტებული, საცოდავი არსება ვარ – ყველას და ყველაფერს ვემღერი. დღე არ გამახარეს, ჩემი სურვილები დაბლოკეს, უგულებელყვეს, დამცინეს და ფეხქვეშ გათელეს! და იცით, რატომ? ჩემი სქესი არ მომწონდა და გადავწყვიტე, ორსქესიანი გავმხდარიყავი! ამისთვის ექიმ კოდალასთან მივედი და დახმარება ვთხოვე. კოდალამ ქრთამად ბევრი ჭიყველები და მატლები მიმატანინა და ერთ საათში ის საბელისწერო ოპერაცია გამიკეთა. ასე გავხდი ორი სქესის მატარებელი. ფრთები, როგორც კი გავშალე და ფრენა დავიწყე, დანარჩენმა ფრინველებმა მაშინვე შემაძჩინეს და დასაკორტნად დამედევნენ:

– აიტ, შე ქურდო, ინტრიგანო და არაკაცო! ეს მეორე სქესი ვიღას მოპარე?! ჩვენ ბუნებამ ერთი სქესი მოგვანიჭა მხოლოდ... შენ კი მათ კანონებს არ დაემორჩილე, სადაც მოუსაგლეთში გაიპარე და იქიდან უცხო არსებად მოგვევლინე! ამიტომ, იცოდე: დღეიდან ჩვენი ძმა და მეგობარი აღარ იქნები და დღის სინათლეს აღარ განახვებთ! გასწი, დაიკარგე აქედან!!!

– ვაიმე, როგორ შემეშინდა, სულ ფერი დაკარგე. წავიქეცი და ჩირგვებში შევძვერი. მაგრამ, იქ კალიები დამეხვივნენ და სულ გამაუტეს. ცარიელი ხორცი და ტყავილა დავრჩი! ასე ხომ შემცივა?! ავდექი და შენობებს მივაშურე. იქ სხვენში მოვკალათდი და დავიძინე. როცა გამეღვიძა, სრული სიბნელე სუფევდა. თავი გადმოვყავი სხვენიდან. თვალები გადმოვაჭყიტე და დავინახე, რომ ფრინველები და ადამიანები აღარ მოძრაობდნენ – ყველანი ბუდეებსა და სახლებში იყვნენ შეყუჟულები და ეძინათ. მე სრული თავისუფლება შევიგრძენი, ფრთები გავშალე და ფრენა დავიწყე. თან ერთ ბუდეში შევყავი თავი, ხან მეორეში და მძინარეებს ყველას სათითაოდ ჩავუნისკარტე! ეგრე უნდათ მაგათ – დღე არ გამახარეს და ღამით მაინც ვიძიო შური მაგათზე!

სინათლე მატულობდა... თენდებოდა... მე კიდევ თვალებში სინათლე მაკლდებოდა, და ისევ სხვენში

შევეფრინდი. ესე იგი, ახალი დიაგნოზი დამისვეს ბუნების ძალებმა: დღე ვერაფერს დავინახავდი და მხოლოდ ღამის საათებში მექნებოდა თვალისჩინი. ამიტომ, მეც ასე გადავწყვიტე: დღე დავისვენებ და დავიძინებ, ამ საღაზანა ფრინველებს მოვეშვები და ღამით, როცა დასაძინებლად ბუდეებს მიამშურებენ და დაეყრებიან, მე მაშინ გამოვფრინდები და ჩემს ნებაზე ვიფერენ... მძინარეებს, ხან თმებში გავებლანდები, დავაწიწკნი სიბრაზისგან, ხან ოთახებში შევეფრინდები და მოჩვენება ვეგონები – შევაშინებ და ასე ვიხალისებ. ისინი ცოცხებით და იატაკის საწმენდი ჯოხებით დამედევნებიან -- სულელები! ის კი არ იცინა, რომ უჯიშო ფრინველად ვიქეცი – ღამურა გავხდიდი... ღამურაააა!...

P. S. დღეიდან, ყველა ფრინველს და სულიერ არსებას გაფრთხილებთ, თან ჩემი გამოცდილებიდან გეუბნებით: არამც და არამც, როგორც გინდა გაგიჭირდეთ ცხოვრებაში, ბუნების კანონების წინააღმდეგ არ წახვიდეთ – თორემ, დაგემართებათ ის, რაც მე ღამემართა!!!

თუთა და ცაცხვი

თუთა და ცაცხვი, რომელზეც ახლა მინდა გაამბოთ, ორივე ჩემი ნათესავის ეზოში იდგა. ზუსტად, ჩვენი სახლის წინ. ზაფხულის არდადეგებზე სოფელში მიწვედა ყოფნა. თუთაც მაშინ იწყებდა მწიფობას.

ბარის სოფლებთან შედარებით, მთის სოფლებში, ხილი გვიან იწყებს შემოსვლას. ეს თუთა და ცაცხვი ერთმანეთის გვერდით დაერგო ადამიანის ხელს. ორივე მაღალი და მხარგამლილი იყო. მათ შორის ცოტა თავისუფალი სივრცე რჩებოდა. ამიტომ, ტოტებს ერთმანეთს ვეღარ აწვდენდნენ. სავარაუდოდ, ამიტომაც იყო, რომ სულ ერთმანეთთან ჭუკჭუკში იყვნენ. გამუდმებით სულ რაღაცას ჩასჩურჩულებდნენ ერთმანეთს.

პირველი ცაცხვი იწყებდა შრიალს. ჯერ ნელ-ნელა, მერე და მერე კი, თანდათანობით, მატულობდა მისი შრიალა ფოთლების ნარნარა ხმები თუ ბგერები. მერე სიოც თუ წაეშველებოდა (სიო კი მთაში სულ იცოდა), მთლად აიჯაგრებოდა, აიყალყებოდა, ტოტებს ერთმანეთს უტყლაშუნებდა და ფოთლებს მოსვენებას არ აძლევდა!

– ნეტავ, რაზე ჩურჩულებენ-მეთქი? – ხშირად მიფიქრია თუთის ხეზე შემოსკუპებულს. გავხედავდი ცაცხვს და ფიქრების კორიანტელი ჩემკენაც მოდიოდა. თან შემწიფებულ თუთებს თვალთ დაეძებდი. თან ფეხებს ვაცეცებდი, რომ უსაფრთხოდ გადავნაცვლებულიყავი – მომდევნო გვერდითა თუ ხელა ტოტებზე.

მოგეხსენებათ, თუთა მაღალი ხეა, ადვილად

ტყდება – სიმძიმეს ვერ უძლებს. ჩვენში „მაღალს“ ეძახიან, ასეთ ხეებს. არადა, ის დალოცვილი მწიფე ნაყოფი, მანცლამანც წვერებში იცოდა. იქ, სადაც ჩიტები ადვილად აგნებდნენ. რამდენჯერ მიგემნია ჩიტების ანაკენკი თუთები, ისეთი ტკბილი იყო, ეს ჩიტების ნაალაფარი, თვალთ კიდევაც ვეძებდი, რომ მომეწყვიტა და პირისკენ გამექანებინა. ო, რა თაფლივით ტკბილი იყო. მერე და მერე, თანდათან ზრდაშიც წავიდნენ. უფრო დამსხვილდნენ და უფრო „დაღვინდნენ“. ო, ცაცხვის ყვავილების ის სურნელი ხომ ფუტკრებს მოსვენებას არ აძლევდათ. ჩვენ მეზობელს, „ძია ოსია“-ს – ასე ვეძახდით ბავშვები, ბლომად ფუტკრის სკები ედგა. მისი ფუტკრები კი გამუდმებით ამ ცაცხვის ყვავილების სტუმრები იყვნენ. გენახათ, რა ამბავში იყვნენ... დილიდანვე მოცვივებოდნენ და იყო თავპირისმტვრევა, რომელი ფუტკარი დაასწრებდა და ყვავილებს პირველი დასაკუპდებოდა. დილიდანვე იდგა ერთი გაბმული ბზუილ-ბზუილი. ჩვენ არაფერს გვერჩოდნენ ის ფუტკრები – იცოდნენ თავისი საქმე!

წყაროს წყალიც სათავეში გამოჩქეფდა. „ხატის წყალს“ ეძახდნენ სოფელში, რადგან, იმ ტერიტორიაზე „წმინდა გიორგის“ სალოცავი ბრძანდებოდა. (პატივისცემის ასეთი ფორმით მიმართავენ მთაში სალოცავებს). ამ წყლით სოფლის ხალხიც სარგებლობდა, საქონელიც, ფრინველიც და ეს პატარა ფუტკრებიც. მოკლედ, დიდ სასარგებლო საქმეს აკეთებდა მიწიდან გამოსული ეს პატარა წყარო. ეგ იყო, როცა უკვე ძალიან დაცხებოდა, ივნისის თვიდან, უკვე, ცოტ-ცოტა მოდიოდა, რადგან სიცხეს მეტად ვეღარ უძლებდა, მიწაში ღრმად მიდიოდა და იკარგებოდა. ასეთი იყო, ის პატარა ადგილები, სადაც ჩემს ბავშვობას მოუწია გავლა და სამყაროს შეცნობა. „მეიდანს“ ეძახდნენ ამ სალოცავის ადგილმდებარეობას, რატომღაც.

თათრულად ჟღერდა ჩემთვის ამ ტოპონიმის სახელწოდება. მოედანი კი არა, მკითხველო, „მეიდანს“ – აი, ასე!

დღესაც, „მეიდანს“ ჰქვია იმ ადგილს, სალოცავიც ისევ ბრძანდება, ის წყაროც ისევ იქ არის. ის ცაცხვიც და ის თუთაც. ცაცხვი უფრო ყოჩაღად დგას, თუთას კი ხმელი ტოტები შერევიან – აღარც ნაყოფი აქვს და ჩამომხმარ ბებერს დამსგავსებია. წელთა სიმრავლე ყველაფერს მორევიან. თუმცა, მარადიულია: ჩვენი სალოცავები, ჩვენი წყლები და ის ადგილები, სადაც ფეხი ავიდვით და გარემო შევიცანით. სხვა დანარჩენი წუთისოფლის ცვალებადობას ემორჩილება! ამ თუთის ადგილზე, სხვა თუთა დაირგვება, როცა ის ცაცხვი დაბერდება და გახმება, მისი პატრონი ახალ ნერგს მოიტანს და დარგავს... ადამიანებიც შეიცვლებიან, მოვლენ სხვა თაობები. მარადიული ბუნება კი თავის არსებობას არ შეწყვეტს და საუკუნეთა დინებას გაჰყვება, სამარადჟამოდ!

ელისაბედ ჯავახიშვილი



თერთმეტი ფიცარი და ოცდაერთი ლურსმანი

დილა მშვიდობისა, დილა მზიანობისა, დილა ბარაქისა და სვავისა ნაირფერობისა, შემოდგომის ფუნჯით მორთმეულისა შემოქმედისაგან, ასე მზა-მზარეულად....

სიყვარულით და თბილი სიტყვით დავატბოთ ერთმანეთი, მეტს რას წავიღებთ ამქვეყნიდან, მითხარი, აბა?!...

იმ დღეს, ერთი პაპა იჯდა ავტობუსში და თურმე სასახლეებს არ ამზადებს?!... ისეთი ნათელი ედგა თვალებში... სევლით დანაფერი სიკეთე ედგა შარავანდედად. როგორც ხდება ხოლმე, მუდმივობაში. ვიღაცებმა პოლიტიკურად დასცხეს ერთიმეორეს, ერთი მიმას დროს მისტიროდა და ამბობდა, ქვეყანა ააყვავაო. მეორე კი, ბიძინას აღმერთებდა (არც ერთი იყო, ეგვიპტელი და არც მეორე თურქი), ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ (მამლუქი გამახსენდა)...

მიუბრუნდა პაპა და უთხრა: – დამშვიდდით! არავინ იცის, დღეს დავვიღამდება, თუ არაო!...

მერე, სევდიანად ამოიოხრა, წამით ჩაფიქრდა, უცნაურად დანაღვლიანდა. ხმაც ფანდურის დაწვევებითი სიმებივით აუჟღერიალდა. ჩემს 25 წლის ვაჟს, აი ამ ხელებით, ჩემი ხელებით გაუუკეთე სასახლეო (ხელებს დახედა, სიბრალულით)... ზუსტად თერთმეტი ფიცარია საჭირო, რომ ერთი სასახლე, გააკეთო ადამიანმა... ყველა დადუმდა, ერთიანად ავტობუსში... მან კი, დაჟეჟილი წმით გააგრძელა ისევ. თერთმეტი ფიცრის მეტს, აბა, რას წავიღებთო, პაპა?!...

თვალი მიმოავლო ყველას. მერე თითი ცისკენ აიშვირა, იმასთან იყავით მართლები, თორემ?!... ამოიოხრა და დადუმდა... მერე რა, რომ სხვადასხვას აფასებთო, ერთმანეთი შეიყვარეთო. ჩვენა ქართველები ვართო... ერთი სისხლის და ხორცისანო, რა ვიციო, კაცო! ისევ ფიქრიანად ამოიოხრა. ე რაი, შევესწარი, დაჭამეს ერთიმეორეო?!...

ვზივარ მეც მათ შორის და ამ დავიდარაბას ვუსმენ და უცებ, ვდგები. რწევა-რწევით გადავდივარ წინ, იმ სასახლეების გამკეთებელი კაცისაკენ. წინ ვუდგები და ვკეითხები: – ლურსმანი რამდენი დასჭირდა-მეთქი?!... გოცნებულები მიყურებენ... მე კი, ვდგავარ, ამ არეული სამყაროს, ამჟამინდელი ფუფალა ქალი, ჩემი ფერადონებით, ერთი შეხედვით, ყველაფრით გალაღებული ქალი (ასე ვჩანვარ)

ხოდა, უცებ, გაკვირვებული პაუზა ჩამოვდგა... პაპამ ერთი, იქედნურად ჩაიღიმა და ასოციო!... მიპასუხა დაფიქრებით... ხოო!!!... არავინ ფიქრობს, წუთისოფელში, თერთმეტ ფიცარსა და ასოცი ლურსმანზეო...

აი ასე!... არადა, სულ უნდა ვფიქრობდეთ, სიყვარულის მარაგი რომ წავიღოთ საგზლადაო..

ასე დამთავრდა, ჩემი მგზავრობა ნავთლუნის ბაზრობამდე, მე და ის კეთილშობილი გურული პაპა ერთად ჩამოვვლით ავტობუსიდან. გულიანად დამეშვიდობა. თვალი გავაყოლე. ომანიანად მიაბიჯებდა კივკივით... თუმცა მხრებში მოლუნული... როგორია, საკუთარ ვაჟიშვილს შენი ხელებით სასახლე შეუკრა და მაინც არ გაბოროტდე წუთისოფელში, ისევ რომ სიყვარული იქადაგო, თერთმეტი ფიცრითა და ოცდაერთი ლურსმნით...

დედაშვილობანა

ჩემი ცხოვრება, თითქოს ბავშვობაში შეწყვეტილი, დედაშვილობანას გაგრძელებაა, მაგრამ არა მამინდელი ხალისით, მსუბუქად, ლალად....

ცრემლები მომდის, როცა საფრთხე, საშიშროება, მუდმივი ბრძოლა, მღვიძარება, დაუღალავი შრომა-გარჯა, სხეულს რომ მიწრთობს, არარაა იმ გრძნობასთან, შიშის საცეცებს სულში რომ მიყოფს, შიში იმისა, „დაიზრდებიან, ლეკვნი ლომისანი“?!

მასსოვს, ბავშვობა ისე განვვლე, სულ მინდოდა, ბევრი, ლამაზი თოჯინა მყოლოდა....

უთოჯინებოდაც შემეძლო, თამაში დედაშვილობანას....

დავჯდებოდი, ვაშლის ხის ძირში, ჩემ მიერვე მოწყობილ ქოხში, ყველაფერი რეალობისგან მოცილებული, კედლები ბებიის შალით გაფორმებული, სულ მჯეროდა, მეც ოდესმე მიყოლებოდა, ლამაზი თოჯინები....

გვიან მივხვდი და აღმოვაჩინე, ამ ყველაფრისთვის მადლობა უფალს, რომ შემისრულა, ბავშვობის ნატვრა, მომცა ლამაზი „თოჯინები“, ხორცშესხმული სუფთა თვალებით, ალბათ ჩემსავით მეოცნებენი, შეუპოვარნი, მებრძოლნი, უბოროტონი, შრომის და სიკეთის ქმნით ავსილნი....

და ყველა ტკივილს, მიყენებულს უგვანო კაცთა, ფლიდთა, უხამსთა, შეურაცხყოფას, უქონლობას, ჩემ გვერდით მდგომთა,

ყველაფერს ვუძლებ, ცხრა ქონგური მანიჭებს ძალას, ძალაგამოცლილს, ნაიარევს, გულში დაკოდილს, კვლავ სურვილი მკლავს, ვიჯდე, ვაშლის ქვეშ, გარს შემოვისხა, ჩემი შვილები, მინდა სჯეროდეთ სიკეთის, შრომის, თავდადების, ხელისგაწვდის უანგაროდ, მოყვასისათვის, თავზე ედგათ ქართული ზეცა, მშვიდობიანი მზე დაჰნათოდეთ!...

ასე მგონია, ჩემი ცხოვრება, ვაშლის ხის ძირას, შეწყვეტილი, დედაშვილობანას გაგრძელებაა...

პოეზია

მანანა გელაძე



* * *

არმაზი რომ შემომემსხვრა
 ნინოს ჯვარის ქარავმად,
 „შუშანიკი“ ამოვკაწრე
 დედო-ძარღვის არაგვად.
 მოვბლოდი მტკვრის ოხვრად
 და მოვეორავდი რიონად,
 ჯალალედინს გავეფინე
 უგუმბათო სიონად.
 მონლოლს მკერდი ჩავუწურე
 მტევანივით ნალებში,
 ავირიე, ავითქვიფე –
 ქაჯებში თუ ალებში...
 ქეთევანმა შემიხვია
 კრწანისი და მარაბდა,
 გზად ენგური მომბლოდა
 „ორაიდა ვარადა“...
 მთვარის ნალზე რომ მასწრჩობდა
 ულუსი და სპარსელი,
 საბამ მტვერი დამაბერტყა
 მილანის და მარსელის.
 ო, მამულო, ბროწეულად
 ნახლეჩო და ნალეწო,
 ცოტნეს თაფლად წამისვი
 და ძვლებით კალო გავლეწო.
 ო, მამულო, ჩამომდარე
 ოსმალ-ლეკთა თარეში,
 შატბერდსა და იშხანს გავცქქერ
 ბებერ ტაოს მზვარეში,
 ხანძთის ზარით შევიხორცებ
 სამაჩაბლო – აფხაზეთს.
 ჩემი ფესვი საბერძუნო –
 დიდგორიდან გაცხადდეს.
 ო, ბერძუნავ, შეგარყიეს
 საკუთარმა ჩიებმა,
 ციხე, შიგნით გატენილი
 გაგიმთელოს მთიებმა.
 გარეჯიც რომ შემომემსხვრას
 გადამთიელთ ნალესად,
 დიდგორიდან, შამქორიდან –
 დავითფერულს ავლესავ!...

* * *

მაშ, არ ხრიალებს საძვალეში ლექსი სახურდე?
 ნალი გადუტყდა სამარულე მერან-ჭედილებს?
 მკერდზე სატევარს ვინ აუსმევს ორსულ
 ზაფხულებს –
 თუ ვერ მივრეკავ სამსხვერპლოსთან ნასუქ
 ჭედილებს?!
 კვლავ ძველებურად ბუხუნებენ ლექსის ლომები! –
 „გაგიჟება სჯობს“... თუ განძება თვალი უთერგოდ,
 მაშ, ვინ გასხიპოს სავენახე – ქოჩორ-ტორებით? –
 ფაფარაშლილი ლექსი ვინ თქვა უგონ-უშლეგოდ?!
 დაილეჭება დეკიანი – ძუძუგამშრალი,
 ნაარაგვალი ლექს-კალმაზი ყველაფერია!...
 ჩაივარცხნიან ნაცეცხლარებს ლექსის შამანი, –
 საქართველოში?! – პოეტობა დენთისფერია!...

არაგვამავლილს გზაში ლექსი წამომეპარა...

შაჯარდებიან ნისლები –
 არაგვზე გალაშქრებითა,
 შავ ჩოხებს შამაიკეცვენ –
 აშარი ქარის თმებითა.
 ...დაჰკლვენ სამსხვერპლო ჭედილებს –
 ჩამასანთლული რქებითა,
 არაგვით ნასისხლარებსა –
 შუბლზე დასმული ჯვრებითა.
 შამაიკემსვენ საწუთროს –
 დაელმებული მთვარითა,
 ...ზოგი მთაწმინდას დაიცდენს –
 გიშრისთოლება ქალითა...
 ...რამდენს მაითვლი არაგვო –
 მარგილზე ქართველთ თავებსა...
 იყოს!.. მტრისავე მარჯვენა-
 გაასუქებდეს ქავეებსა...
 ჩამაჰკრენ საუკუნეთა –
 ლაშარს ნალესი ხმლებითა,
 შამაიმზევებ ნაპირებს –
 ლომისას ნალოც ყმებითა!
 გადმინაფრეთ ნისლებო, –
 თუკი „ფიქრი ხართ მთებისა“...
 ყუროს დაგხვდებათ ონისე –
 ლიბოს გველი ნუ რჩებისა!
 ...ნავარზლობასვით გადვივლი,
 მამულის ერთგულებითა,
 ვის დავაკლდები ამქვეყნად –
 იქითკე მიმატებითა?
 წინაპართ ავეძრახები-
 ხურდასვით ჩაყრილ ძვლებითა..
 – დამიტიროდე, არაგვო –
 არაგვიანი ხმებითა!

* * *

გზავნილი ვნახე სამაჩაბლოდან,
ჩვენს ნასახლარზე იასამანი აყვავებულაო...
გული დამეთუთქა...

ოჰ, სამაჩაბლოვ, ნარ-ეკალმა გაყო სამანი,
თქვენს ნაფუნარებს გადაემხო იასამანი.
გადიხანძრა ოქროვანი ბალი, ხეხილი –
გაამორძალდი ვენახებით მკერდაჩენილი!
გულზე ნისლები მიობდება ნაარაყალი,
ჩემს მიწას ვინ არ შესევია... სად არ ნაყარი...
გაყაყაჩოვდით ნაობლარო ნასოფლარებო,
გადამიხუნდით გულისა და სახლის კარებო!
სისხლი მახვრიპეს საკუთარი – ალადასტური, –
ჩამოიქანცნენ, ხევისბერო, შულტებ-დასტურნი.
ჩამომინაცრდა ქართლის კერა, ქოთან-ნადული,
ფუძე – ლიახვად ნაცრემლები, ნახარშ-ნადული.
ჰო, სამაჩაბლოვ! ავიყვავდა იასამანი,
დაბრუნდებიან მერცხლები თუ... იწვევს სამანი?!
ჰეი, საწუთროვ, ა რ ა ზ ა ნ ი ისევ დიდია,
უფლის პურივით შიგ ბებერი ქართლი ჰკიდია!
ჰეი მამულო! ჩამოვამთოთ ეკალ-ბარდები, –
ხმალალესილი არაგვივით მოგივარდები...

* * *

შენს სატრფოს ისედაც არ აკლდა ამქვეყნად
ჯვარცმა და სასჯელი, კაცთაგან განდევნა, –
გკითხეს... და ნუ ეტყვი – ვინ არის, სად არის,
ნულარ გაუმზადებ ჯოჯოხეთს – საკადრისს.
...როგორ გაბედო, დასჯიან, გაკიცხვენ,
რამ შეგაყვარაო – უღირსი, წყეული... –
უთხარი, რომ სულის ჩაუხსენ საკინძე,
მზენარევე ბილიკს რომ ჩამოჰყვა ეული...
უთხარი – იბლავლა თერგად და არაგვად,
ქაზე ლექსს ახმობდა განძად და მარაგად,
უთხარი – მიწაზე ვერ ჰპოვა სწორფერი,
ზეცისკენ გახედნა ადგილ-სამყოფელი,
უთხარი – ჯიხვის რქით შეხვრიპა საწუთრო,
ძუძუმტე მთებივით ამაღლდა ზეცამდე.
„ცისფერისულით“ და ნაგვემი სხეულით –
უთხარი – სად მოვა, სად მოვა შენამდე?!
უთხარი – თერგივით მოგეჭრა ხმალდახმალ,
რომ გულის კარ-ღირე სამისოდ დარაზე,
რომ ვერცხლის თასადაც ჩამოსცლი ხანდახან –
და მაინც დამარცხდა, დამარცხდა ხვარამზე!..

* * *

ყალბი სახეები... რინიანი...
ზოგჯერ ცვარ-ნამი ვარ ცისიანი,
ხშირად კალმახი ვარ ულაყურო –
(ნეტავ სად დაბნელდა ტიციანი?)
ზოგჯერ არაგვი ვარ უნაპირო,
დალაღდარდიანი, წამლექაკვი...
ხშირად სიყვარულის მათხოვარი –
...გზები დანაცრულა ნარეკლალი...
ზოგჯერ მზის ფხაზე ვარ ალესილი –
გორდა – უქანგავი, უქარქაშო,
როგორ შემაფითრებს შეკვივლება –
სადღაა მამული უბალვაშო!...
„აწმყო თუ არ გწყალობს, მომავალი“?!
ცრემლებს გადავხუხავ არაყვით...
მთებში გამასვენეთ ონავარი –
მერე მაკალმახეთ არაგვივით...
...ზოგჯერ უმიწო თუ უმამულო –
არაგვს კოჭებში რომ შეეუყვარდე?!
...ყალბი სახეები...უნაპირო...
ნეტავ, უფალს მაინც შეეუყვარდე...

* * *

თენგივ ავსაჯანიშვილს

როგორ ხარ? – გკითხავ... და თვალებში არაგვს
გავწურავ...
ჩრდილთა უბიდან მთვარის ყუას ჩავლექ ვნებიანს.
წორღს არაყში ქარვიანი მთებით გავცურავ –
და მიწის საბანს „დაგიკუნჭავ“ – გვირილებიანს...
როგორ ხარ? – გკითხავ... დევის მკერდზე
ნისლადენილი –
კოცნას ამისძევს ბასრი ღამე – მხარბეჭიანი..
როგორ ხარ? – გკითხავ... და ხავსიან ლოდის
საგულეს –
მხერით გავფატრავ ნაცრემლარი, ნაეჭვიანი..
როგორ ხარ? – გკითხავ... ავმარდები ნისლების
მკლავზე,
მოვდივარ... ბილიკს გაუშლია მიწის თავშლები,
ლექსი გავცვალოთ!.. როგორც მაშინ... მზისგულა
ცაზე...
და მერე თერგის ხერხემალზე სისხლად გავშრები!..



ნესტან ლამბაშიძე



* * *

დაუმეც მომწვანო ხავერდის ფარდები,
დამთავრდა, მე უკვე გავედი სცენიდან!
მე ვითამაშე ყველა როლი ჩემი ცხოვრებით.
სცენარის, ნიღბის, სცენისა და ტაშის გარეშე.
ვიარე ბევრი, განსაზღვრულმა ათას ფარდამი.
მწვანეს და წითელს მიწის მტვერი ფერს უხუნებდა,
ვფიქრობ ვიყავი, უამრავი, მრავალნაირი,
და ვითამაშობდი.

რეჩიტატივად ჩავიკითხე ტრაგედიები და წარვადგინე
კომედიებად.

ახლა კი მინდა ავიტუზო სადმე კუთხეში,
ხანაში მიდულს სისხლისფერი ცრემლების გუბე,
და ამოვხვრიპო ყლუპყლუპად და გავთავისუფლდე.

* * *

ჭიპლარის ძარღვი, ყელზე მძივებად შემოხვეული,
რომ შემომაჭრეს,

დავბადებულვარ.

ხო, ის ჭიპლარი, დედის წიაღს რომ გვაკავშირებს
და მერე სწრაფად რომ გაჭრიან,
ვით ხმელი ტოტი მოახერხო ახალგაზრდა ხეს,
ჰგავს გამოგადონ სამოთხიდან, როგორაც ევა,
შიშველი და მხდალი, უმწეო.

ჩვენ ხომ ყველანი გამოვობადეთ?!

და დედის მუცლის კედლებიდან გამოყოლილ
სამოთხეს ვეძებთ წუთისოფელში...

ვით ცხელ თონეში ვაცხოვრებთ პურებს, ვაცხოვრებთ
დღეებს თანმიმდევრულად.

არ იტირაო? – გაიკვირვებს ვინმე ექთანნი,
და მე ის მიკვირს, გადაჭრილი ჭიპლარის ძარღვი,
თუ გვანიჭებს თავისუფლებას,
რალატომ სტირი, ადამიანო?...!

* * *

ქარია.
აწეწა ფიქრების სამყარო
გამოხსნა სულს მძიმე ურღული კარიდან,
არია – დარია ყვითელი ფოთლები

ქარია.
დაუკრა მუსიკა, ურიტმო, უხეში,
შიშველი ნოტები გაკიდა ქუჩაზე.

ქარია.
გამარცვა ზაფხულის ბრდღვიალა ვარდები,
ლამე ჩამოუშვა ფარდებად ზეციდან,

ქარია.
დამალა ოცნების კოშკები,
ჰკონია გამტაცებს იმედებს სკივრიდან,
შენ რომ დააბარე ქარს, ჩემთან მიყვარსო,
მე ვლუმი,
პასუხად, შენ ქარმა რა გითხრა?

* * *

ცისფერ სიზმარში, კორტოხულას მწვანე მდელოზე,
თვალს გამაყოლებს

„ჯარისკაცა“ სოკოს არმია.

აშრიალდება ვერხის ტოტი

ვენახის ბოლოს,

თუთის ხის ძირში შეყუჟულებს მოგვისწრებს
წვიმა.

არა მაქვს ქოლგა –
(ვიტყვი ისე, სხვათაშორისად).

ზაფხულში ქოლგა, არც მქონია მგონი არასდროს.

ის როლი მინდა,

მზის ღმერთის ქალი,

ჰელიოსის შთამომავლი,

მედეა – რომ გაჰყვა იასონს.

იმლება სცენა,

ცისფერი კაბა,

თრთოლვა სხეულის,

ჭის ცივი წყალი,

ფეხშიშველი ვდგავარ მიწაზე,

ის მედეა ვარ, ანტიკური მითის ხანიდან.

მოულოდნელად შეცვლის ცხადი სიზმარების
ხილვას...

ფერად სამყაროს გააფხიზლებს გონების თვალი.

თუთა ალბათ დგას.

ის ვერხებიც,

კვლავაც ქრის ქარი...

და დარჩა კადრად თუთის ხის ქვეშ

მედეა – ქალი.


* * *

ო, როგორ ამაფორიაქე,
ფიქრებს აღარ აქვს დასატევი,
ო, როგორ დამადარდიანე,
შენს იქით არაცა მაქვს წასასვლელი.
გარეთ წვიმების სეზონია,
ქარები ვერ მოვთოკე ლაგმიანი.
სველი შემოდგომის ქუჩის ბოლოს
ნატვრები მივმალე დარდიანი.
მე და შენ, რომ ჩვენ ვართ, დავიჯერე
თითებზე ვმარცვლე წლები გალუული,
დღეები ვთვალე და
ლოდინი დავლაღე,
ღრუბლები ვამზიანე ავდრიანი.
იყო. დიან. იყო... ის, რაზეც ვსაუბრობთ,
წვრილ ქუსლზე დავდივარ დავილაღე,
ქოლგაც დამისველა წვიმის თქეშმა, რამდენჯერ
ავიარ-ჩავიარეთ.
გაგიკვირდება და კვლავ ზღაპრებს ვკითხულობ,
ჩემს ასაკს უხდება, თამამად ვადიარებ.
იქვე მიდგას ძველი სამოვარი,
ჩაიზე დავპატიჟებ,
შემომიარე...

* * *

ერთად დავთვალთ წეროები,
წავიდეთ მთაში,
გოგრაში თაფლი იხშება, სურნელი ასდის,
ჟრუნატელი რომ დავვივლის ტანში,
გამოგიტყდები სიყვარულში,
ჩურჩული ხმაში,
სიცვივე ტანში,
და ჩემი ხელი შენ გიჭირავს,
ვუყურებთ ზეცას, წეროებს ვითვლით
გადაფრენისას
ჩვენ ორნი მთაში,
ამ ღამის მეფე შენ იქნები,
მიიძალება მთვარეც ცაში,
დაწურულ ვნებას, როგორც ზედაშეს, ალიონი
ჩამოასხამს მზის სხივად ბარში.
სურნელი თაფლის.
წისქვილის ხმა,
შენი მეფობის ერთი ღამე,
ჩამოიფქვება წისქვილის ქვაში.
ეს ზღაპარია, რაც ზემოდ ვთქვი.
წეროები რომ ჭკორაობენ – „არ დავბრუნდებით“
მინდოდა მეთქვა, ერთად ვუყუროთ გადაფრენას,
და წეროები დავთვალთ ცაში.
გოგრაში თაფლი იხარშება,
წავიდეთ მთაში.

ბარილ ხარხელაური



* * *

სისხლო, ომია, ომი...
ქართველი ებრძვის ქართველს...
აი, ესაა, ვიცი,
თავლაფდამსხმელი საქმე.
რამ დავვიდამბლა გონი,
ამ ომს რა სახელს ვარქმევთ,
როგორ ჩავუტანთ ამბავს
იქ წინაპართა სულებს.
ვის მოუვიდა აზრად,
ვის დაესიზმრა სულელს,
არ დავვიჯდება კარგად,
არ მიგვიღებენ სულეთს.
ან რანაირად ვზილო,
ცოდვა მოკლული მოძმის,
ვოი, სირცხვილო დილო,
ვაი, ეშმაკი გვმოდღვრავს...
ვო, საწუთროო ფლიდო,
რა ვერ გაგვიყავ ორ ძმას.
სამზეოს როგორ გავცვლე,
როგორ გავლიო დღენი,
როგორ მოვუყვე კაცებს
საქმე –; საგმირო; ჩვენი.
მე თუ ძმის ხელი დამცემს,
ტყვია წამაქცევს ცხელი,
არ მიმბაროთ მიწას,
მზემ მწვას, მათრიოს ორბმა,
ზოგჯერ რა მწარედ იცი,
სულო ქართულო, ბორგენა;
არა, არ მიღვეს სირცხვილს
ჩემი უკვდავი მოღვმა.

1.11.2024

ქითხელოს მთბერქდილონტ

ლეილა ჟიბოპვილი-სახლთხუციპვილი



„ფერფლად მობარებული შთამომავლობა“...

ნიკო ყიფიანი (14.06.1976 – 19.06.2005)

2006 წლის 18 აპრილი... შუადღეა... ლიტერატურული სტუდიის კარებზე მორიდებული კაკუნი...

– მობრძანდით! – ჩვეული ხმით ვეპატიყები მომსვლელს და, რადგან კარი არ იღება, ვღვები, თავად მივდივარ კართან და ფართოდ ვაღებ... დერეფანში შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი, მორიდებული მხერით მათვალაიერებს;

– ქალბატონო, თქვენ აკაკუნებდით?! – დიახ! არ ვიცი, სწორად მოვედი თუ არა... – შემობრძანდით, შემობრძანდით! ოთახში გავარკვით თქვენი მოსვლის მიზეზი... – ვეცნობი, ღიმილით ვეუბნები და ერთგვარი თავაზით, ოთახში შემყავს... მცირე წუთშესვენების შემდეგ ჩანთიდან წიგნს იღებს, თვალები ცრემლით ევსება, სვენებ-სვენებით მიყვება საზარელ ამბავს... ვცდილობ დავაწყნარო, არ გამოძლის, რადგან თავი ვერ შევიკავე და მეც ავტირდი... შემახსენებს – ნიკო 1991 წლის 24 აპრილს მ/ა რესპ.სასახლეში ჩატარებული 45-ე რესპ. სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მონაწილე ყოფილა; მისი თემა – „მუშანიკის წამების“ შესახებ საკუთარი მოსაზრება“ – წარდგენილი ლიტერატურის სექციაში, პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოებულა, და, რომ დედა-შვილს ჩემ მიმართ გარკვეული სიმპათიები გაჰყოლია... რა თქმა უნდა, მესიამოვნა... წიგნს ხელში ვატრიალებ, უკანა ყდაზე ვკითხულობ: „ნიკო ყიფიანი გაიზარდა სოფელ ხაშშიში. 1988 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით. ბავშვობაში წერდა მოთხრობებს, პიესებს, ზოგჯერ – ლექსებსაც, აკეთებდა თარგმანებს, იწერდა საკუთარ მოსაზრებებს და აცნობდა მეგობრებს; სანამ გამოქვეყნებას დაიწყებდა ჟურნალ „ცისკრისა“ და „ლიტერატურული პალიტრის“ ფურცლებზე... იყო ზნეობრივად და ვაჟკაცურად

ლამაზი ადამიანი, გოლიათურად ძლიერი აღნაგობის და სათუთი სულის მქონე. 2002 წელს მიიწვიეს ხაშმის საშუალო სკოლაში სამხედრო საქმისა და ეკონომიკის მასწავლებლად. იმავდროულად, სწავლა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ სპეციალობათა ფაკულტეტის ინგლისური ენის განყოფილებაზე. უნდოდა, კვლავ დაბრუნებოდა თავის პირველ პროფესიას და გაეკეთებინა სრულყოფილი ნაშრომი საქართველოს სამხედრო ფინანსების შესახებ. 2005 წლის 13 ივნისს გამოძახებული იქნა შაქრიანის რეზერვისტთა ბატალიონის 21-დღიან შეკრებაზე, სადაც პატრიოტული სულისკვეთებითა და სინარულით გამოცხადდა 16 ივნისს. 19 ივნისს ნიკო ყიფიანი თავის საწოლზე მკერდში ტყვიით განგმირული იწვა, – ნინო ყიფიანი. – პაუზა გაიწვია, არ ვიცოდი, რა მეთქვა გამწარებული დედისთვის, სიტყვები უძღური იყო... ახლა არ მახსოვს ჩემი კითხვების თანამიმდევრობა, ერთი კი ვიცი, რომ აუცილებლად ვკითხავდი, რა მოხდა, რატომ და ვის შეიძლება ეს გაეკეთებინა... დედამ ამოიხალვა: – არ ვიცი... მე კი დავდილუპე, ზეზუურად მოვისაპე!..

ცოტაოდენი ჩაწყნარების შემდეგ, წარწერიანი წიგნი მაგიდაზე დამიდო, წამოდგა, მოვეხვიე, მოვეფერე, დერეფნის კიბეებამდე მივაცილე, ეთხოვე, როცა კი შეძლებდა, თბილისში ყოფნისას ჩემთან შემოევლო... შევპირდი, რომ უფროსკლასელებს აუცილებლად გავაცნობდი ნიკოს ნაწერებს...

კრებულში – „ერთხელ წასაკითხი მოთხრობები“ – შესულია 15 მოთხრობა, ლექსები, ბაირონის და როჩესტერის ინგლისურიდან თარგმნილი რამდენიმე ლექსი, ესეე, „საკუთარი მოსაზრება სკოლებში ჰავიოგრაფიული მწერლობის სწავლების შესახებ“. წიგნის რედაქტორია მიხო მოსულიშვილი, გამომც. „გლობუსი“, 2005 წელი.

საინტერესოა მწერალ ზაალ სამადაშვილის უშუალო, გულახდილი „წინათქმა“, რომელიც წიგნს პირველ გვერდად უძღვის: „სოფელი ხაშში ჩემს წარმომავლობას უკავშირდება. ხაშშიელი იყო დეიდაჩემი – ეფემია ინანიშვილი, ვისაც წიგნის სიყვარულს და კარგ კალიგრაფიას ვუძღვდი, ხაშშიელი გახლდათ მისი ძმისშვილი და ბიძა ჩემი – რევაზ ინანიშვილი, ვინც ვაჟა-ფშაველასა და გიორგი ლეონიძის გზა გააგრძელა ქართულ პოეზიაში. ხაშშიელმა კაცმა ან ქალმა რაიმე საქმეში თავი გამოიჩინა, წარმატებას მიაღწიაო, ბუნებრივია, სხვანაირად, გამორჩეულად გამიხარდება ხოლმე. ასე მოხდა მაშინაც, როცა ნიკო ყიფიანის, მისი ნაწერების ქება მოვისმინე პირველად. თანაც მოვისმინე რიგითი მკითხველისგან კი არა, არამედ ნაღდი პოეზიის ნაღდი შემფასებლისგან... ჩემთვის უცნობი ავტორი მიხო მოსულიშვილმა აღმომიჩინა... წამაკითხა... სადაც რამდენიმე ისეთი მოსაზრება ამოვიკითხე ლიტერატურის შესახებ, ჭარმაგი მეტრის დაწერილი გეგონებოდა. მიხომ ისიც მითხრა, ნიკოს შენი გაცნობა უნდაო. ტრაგიკულ აღსასრულამდე ერთი კვირით ადრე მესტუმრა, საავადმყოფოდან ახალი გამოსული ვიყავი და შინ ყავარჯნის დახმარებით ვმოდრობდი. ზარი რომ დაირეკა და კარი გავაღე, ჯერ მიხომ შემომღიმა

და მერე მის უკან მდგომმა ახალგაზრდა კაცმა, რომლის ფონზე ჩემი ჯირკვით მეგობარი ერთ ტანმორჩილ ვინმედ მომეჩვენა. აი, ეს არის ნიკო ყიფიანიო, – მითხრა მიხომ. ჩამომართვა ხელი ახალგაზრდა კაცმა და წითელი ღვინით სავსე ათლიტრიანი ჩამოდგა იატაკზე, სისხლი ბლომად დაგიკარგავთ და თქვენთვის ეს წამალიაო. ხაშმური საფურავი იყო, „დევის სისხლად“ რომ მოიხსენიებენ, ის ღვინო. დავსხედით, ვილაპარაკეთ. არც საფურავი დაგვიღვია, არც სხვა რამ, შინ რომ მეგულებოდა. ვილაპარაკეთ წიგნებზე და მწერლებზე. სკოლაში ახალი მისული ვიყავი საშუალო და ნიკოს მასწავლებლობის ამბავი რომ გავიგე, გავიხარე – მარტო ერთი ძაფი არ მაკავშირებს-მეთქი ამ კაცთან.

ეს ძაფები ერთი თვის თავზე გაწყდა... პირველი, ვინც იმ თავზარდამცემი ამბის შეტყობისას გამახსენდა, ალდე დევიშვილი იყო, რევაზ ინანიშვილის პაწია მოთხრობის გმირი; გოლიათური აღნაგობის, მართლა დევივით ბიჭი, რომელიც საკუთარ ცხოვრებას თავად უსვამს წერტილს ერთი შეხედვით უბრალო მიზეზის გამო – ლატაკი და უპოვარი, ძმის ნიშნობაში ვერ ახერხებს წასვლას, რადგან თავის ზომის ახალუხს ვერ თხოულობს.

პაწია მოთხრობას „ცოდვა დიდისა“ ჰქვია.

ახლა საილუსტრაციოდ რამდენიმე ინტერვიუდან ამონარიდს მოვიტან.

– რამ გაფიქრებინა, რომ მწერალი გახდებოდი და პირველი ნაწარმოები ვის წაკითხე?

– არის ერთი ქალბატონი, ლელა ბურდული, ის იყო ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ისე მოსწონდა ჩემი თემები, გადავწყვიტე რაღაცების შეთხზვაშიც მეცადა ბედი. პირველი მოთხრობაც მას წავაკითხე. მაშინ უკვე მე აღარ მასწავლიდა, თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად (მე ხაშმის საშუალო სკოლა დავამთავრე), მაგრამ მაინც მოვახერხე, შევხვედროდი და მოთხრობა წამეკითხებინა. კითხვა რომ დაამთავრა, ტირილი დაიწყო. ძალიან უკუღმართი გმირი მყავდა. შეგეცოდით-მეთქი, ლელა მასწავლებელი? თვითონ ამისი დამწერი არისო ცოდვა... მერე ის მოთხრობა დავწვი. არ მინდოდა ვინმეს შევცოდებოდი.

– შენ და რევაზ ინანიშვილი ერთი სოფლიდან, ხაშმიდან ხართ და სხვების მიერ არაერთგზის დასმული შეკითხვა მეც უნდა გაგიმეორო: რატომ არ წერ რევაზ ინანიშვილივით?

– კი, რევაზ ინანიშვილი ჩემი თანასოფელი იყო. სხვათა შორის, ბებიაჩემი (მამაჩემის დედა) მის მოთხრობებში ხშირად მოხსენიებული პაპამისის, ლიტრიძირის ნათლული გახლდათ. წერა რომ დავიწყე, მეშინოდა, ჩემი მოთხრობები რევაზ ინანიშვილისას არ დამსგავსებოდა და ყველანაირად ვცდილობდი, ჩემი სამყარო მისი სამყაროსგან განსხვავებული ყოფილიყო. მეგონა, ქებას დავიმსახურებდი და რა გამოვიდა? თითქოს მოითხოვდნენ, რომ ჩემი სოფლიდან ახალი რევაზ ინანიშვილი გამოსულიყო. თუ ბატონ რეზოსავით დიდი მწერალი გავხდები, ღვთისა და ბედის მადლობელი ვიქნები, მაგრამ მიმბაძველი, არა მგონია, ახალი რევაზ ინანიშვილი იყოს. შეგახსენებთ რა თქვა

ნოდარ ღუმბაძემ ერთ იუმორისტზე: „თუ მბაძეო, ქე განდები ღუმბაძეო“. მე ინანიშვილობა არ მინდა, ყიფიანი ვარ.

– ყიფიანები – სვანი ხალხი – გარე კახეთში როგორ მოხვდით?

– ჩემი დიდი პაპის პაპა თუ დიდი პაპის და გათხოვილი ყოფილა რაჭაში. მისი ქმარი მოუკლავთ. მგონი, მკვლელობაში მოკლულის ძმა თუ ბიძაშვილიც მონაწილეობდა, ზუსტად არვიცი, რადგან მამულები მას რჩებოდა. გაბრაზებულია ის ჩემი დიდი პაპი და რაჭაში თავისი უმცროსი ძმა ჩაუყვანია, ჩემი ქმრის მიწას ამათ არ დაუტოვებო. ასე რომ, ნელ-ნელა დაგვიწყია ჩამოსვლა. ჯერ რაჭაში ჩავსულვართ, ჩემი დიდი პაპა მეწყერს დაუხარალებია. დიდი ტანისა და ფიზიკურად ძლიერი კაცი ყოფილა. აუკიდა ერთი უშველებელი ქვა და რაჭაში რომ ჰქონდათ, იმ სალოცავის ეზოში აუტანია. ჩემს შთამომავლებს ნუ მოსთხოვ აქ ამოსვლასო, შევედრებია იმ წმინდანს, ვისი სახელობისაც იყო ის სალოცავი, მგონი წმინდა გიორგის. აი, რამხელა ქვა ამოვიტანე იმათ მაგვირად, აქედან რომ მივდივარ, მაპატიეო. იმ ქვით პაპამ ვითომ ჩემი მოვალეობანი იტვირთა. ჩამოსულა გარე კახეთში და ჩოლოყაშვილს მოურავად დასდგომია. აქ ჩვიდმეტი წლით უმცროსი ქალი შეურთავა კისთვის მოყვარული ყოფილა ალექსანდრა. მაღალფარდოვანი ლაპარაკი ჰყვარებია. ერთმა ჩემმა ნათესავმა ქალმა მითხრა, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, წვრილშვილის პატრონი ვიყავი და ძალიან მეშინოდა. ალექსანდრამ მანუგემა – შვილო, ნუ გეშინია, სტალინსა და უფალს ხელი აქვთ ჩამორთმეულიო. პაპაჩემი მისი მეოთხე ვაჟი იყო. ალექსანდრას სდომებია, პაპაჩემი ბერი გამხდარიყო. მეორე ვაჟი ფხიანი კაცი ყოფილა და იმას გადაუფიქრებინებია.

– ის როგორ იყო, პაპამენს ფორე მოსულიშვილი სტუმრად რომ ეწვია?

– არ ვიცი, შეიძლება სხვა ფორე მოსულიშვილიც ჰყავდათ ქიზიყში, მაგრამ ბებიაჩემის მიერ აღწერილი ძალიან ჰგავს იტალიის ეროვნულ გმირს, საშუალო სიმაღლის, შავკვრემანი, ხშირბეწვიანი, არც მსუქანი და არც გამხდარი... სანამ ჯარში გაიწვევდნენ, ფორე მოსულიშვილი კოლმეურნეობაში მუშაობდა. პაპაჩემიც კოლმეურნეობაში საქმეზე ყოფილა წასული, შეხვედრია ქიზიყელ კაცს და შინ მოუწვევია. იმ მოსულიშვილს კარგი ხარები ჰყოლია. პაპაჩემისთვის ტყიდან მორებიც ჩამოუტანინებია, ერთი მისი ჩამოტანილი კოჭი ჩემს სახლს თავზედ აქვს, ორი ძალიან ჰყოლია მოსულიშვილს და პაპაჩემისთვის დაუტოვებია. ერთი კვირის შემდეგ გაპარულა და პატრონს გაჰყოლია, მეორე პაპაჩემთან დარჩენილა. ოღონდ ბებიაჩემი ამბობდა, ის ფორე მოსულიშვილი 1943 წელს მოვიდა ჩვენთან, პაპაჩემი ცოცხალი არ დახვდა, იტირა და წავიდაო. პაპაჩემი 1943 წლის მარტში დაიღუპა. ომიდან გამოუშვეს და აქ მოჰყვა ავიაკატასტროფაში. შეიძლება, ფორე რომ მოვიდა, პაპაჩემი ომში იყო წასული და ბებიაჩემს აღარ ახსოვდა. ფორეც უნდა წასულიყო და რაღაც წინათგრძნობით თავისი თავიც და პაპაჩემიც

დაიტირა. ყოველ შემთხვევაში, პაპაჩემი მეგობრობდა ერთ მოსულიშვილთან, რომელსაც ფორე ერქვა და იტალიის ეროვნულ გმირს გარეგნობითაც და ბიოგრაფიითაც ძალიან ჰგავდა.

– მწერლის ხელოვნებას რომელი მწერლები უფრო გასწავლიდნენ და რატომ?

– ილია, აკაკი, ვაჟა. დიდი მწერალი რომ გახდეს, მარტო კარგად წერა არ არის საკმარისი, მოქალაქე უნდა იყო. ეს მწერლები მოქალაქეები არიან.

– თანამედროვე ლიტერატურას თუ კითხულობ? ადრე ინგლისურის ლექსიკონებითაც გნახე ინგლისურად ხომ არ ეცნობი წიგნებს?

– თითქმის ყველა თანამედროვე ქართველი მწერლის ნაწარმოები მაქვს წკითხული, თუ ყველა არა, ერთი მაინც, დაახლოებით წარმოდგენა მაინც რომ შემექმნას მათზე. ინგლისურად, ჯერჯერობით, კლასიკას ვეცნობი.

– ინგლისში რომ მიდიოდი, იმ ამბის შემსწრე მეც ვიყავი, – ლატარიის გათამაშება მოიგე და მერე რა მოხდა?

– ეს მოთხრობის სიუჟეტია და ოდესმე აუცილებლად დაგწერ.

– შენ, როგორც მწერალი, როგორ აპირებ ცხოვრებას?

– არ მინდა, ჰონორარზე დამოკიდებული მწერალი ვიყო. ვისი ერთადერთი შემოსავალიც ჰონორარია, მისი მართვა უფრო ადვილია. ვეცდები, ისეთ პროფესიას დავეუფლო, ძლიერთა წინაშე ხოხვა რომ არ დამჭირდეს; პროფესია ბევრი მაქვს: ეკონომისტიც ვარ, პედაგოგიც, რეჟერვის ოფიცერიც, მაგრამ სხვა პროფესიების დაუფლება მაინც აუცილებლად მიმაჩნია.

ახლა კი, ნიკო ყიფიანის ლექსებიდან რამდენიმე ჭაშნიკად; რომელიც 1988 წლის 17 სექტემბრით თარიღდება:

ნაპირებს შორის დუღუნებს მტკვარი

ნაპირებს შორის დუღუნებს მტკვარი.
გორებს გავყურებ მე შენთან ერთად.
დამწიფებულა თუთა და ბალი.
აქ ლამაზ ქალთა ყოფილა წყება.
მე უნაპირომ შემეპყრო სევდამ
(ნაპირებს შორის დუღუნებს მტკვარი).
აქ ლამაზ ქალთა ყოფილა წყება.
მინდა წამილოს წყალმა დამხრჩვალნი.
და რას გაიგებს მაყვალისთვალება.
ტებნა დაუწყოს ჩემს დამხრჩვალ სხეულს.
გაიცინებს, რომ იცნობდა ქვეყნად,
ამისთანა ლოთს და გადარეულს.
ვისაც შეეძლო ასე ბავშვობა.
მის თვალთა გამო ვინაც გაბედა.
ამღრვეულ მტკვარში თავის დახრჩობა.

ღამურა

– რად ამბობს მგოსანი, რომ თითქოს ბუნება დამეგმოს ოდესმე, მომეთხოვოს ფრთები? მსგავსიც კი ამისა არასდროს მომხდარა. სასტიკო დედაო, შენც დამემოწმები. რატომ გამაჩინე ასე უბედური.

ნუთუ გაჩენამდე ცოდვით განგარისხე? თავკებისათვის ვარ მე ფრინველი ცისა. თავვად და თხუნელად მივაჩნივარ ჩიტებს. ყველას გავუბრბივარ წყვილადში მფრინავი. ურმის სიმძიმისგან მე შუაზე ვწყდები. სასტიკო მშობელო, რატომ გამომაბი, კაენის დაღვივით საზიზღარი ფრთები?

ვინ იცის?!

რა ვიყავით თურმე ძველად, იცი კი? დაბრუნდება ის დიდება? ვინ იცის!.. ვინა გვყავდნენ ქართველთ იმ დროს, იცი კი? იქნებიან ისეთები, ვინ იცის!.. სააკაძე და ბრწყინვალე, იცი კი? იქნებიან ისეთები? ვინ იცის!.. გორგასალი და დავითი, იცი კი? იქნებიან ისეთები? ცინ იცის!.. რა ვიყავით თურმე ძველად, იცი კი? კვლავ ვიქნებით ისეთები? ვინ იცის!..

მარკიზა

მზეთუნახავი ნაზი მარკიზა
რატომ არ მოდის ტკბილი, ცნობილი?
იმას მოველი მე ჩემი დღენი,
როგორც გამოსწას ელის ჰყრობილი.
მე დღით ვბერდები, ვინც წლით ბერდება,
ის კი არ მოდის, მზისა დობილი.
ზან ვიტყვი: „ჩემ თავს აღარ ვუყურებ,
გრაფი აღარ ვარ კეთილშობილი“.
მაგრამ მაინც ვზი ამ ყრუ სოფელში
და ჩემს მარკიზას ველი ლაზობილი.

ლორდი ბაირონი

– როცა ჩვენ ორნი გავითითოკაციდით,
– როცა ჩვენ ორნი გავითითოკაციდით
შორის ცრემლთა და მღუმარებასა,
თითოეული იმედს ვკარგავდით,
წლობით რომ ვდებდით ერთად შეყრასა,
შენი ლოყები შეიქმნა მკრთალი
და შენმა კოცნამ დაკარგა სითბო,
მოსაწავებდა დასტურ ის ჟამი
ამ მწუნარებას, ახლა რომ მიპყრობს.
იმ დილის ნამი ჩემს შუბლს დაეცა
ჩასანთქმელადა იმის სივრილის,
ამით ნიშანი თითქოს მომეცა
ჩემგან შეტყობად ახლა განცდილის.
ფიცი დაიმსხვრა შენი ყოველი
და ყველასათვის იქმენ ცნობილი,
შენზე საუბრის ვიყავ მომსმენი
და მეც შემეხო შენი სირცხვილი.
ჩემთა ყურთათვის ზარად გლოვისა
მოგიხსენიეს იმათ ჩემამდის
და ატანილი მოგვრილ თრთოლვისა
ვიქმენ-რად იყავ ასე ძვირფასი?
არ მიცნეს, არა უწყოდნენ უცებთ,
ყველაზე უკეთ შენსა მცნობელად:
დიდი, დიდი ხნით შენზე ვიდარდებ
უძლური ენით გამოუთქმელად.

ჩვენ ვუყურებდით იდუმალ ერთურთს,
მღუმარებაში მიპყრობდა სევდა,
დავიწყება რომ შეეძლო შენს გულს
და სულსა შენსა კი -- მოტყუება.
ბევრი წლის შემდეგ თუ შეგეყარე,
როგორ ვაპირებ მოსალომებასა?
გულდაკოდილი ვუნძობ ჩემს არედ
ოღენ ცრემლთა და მღუმარებასა.

მტრის სისხლი (დაღესტნური ლეგენდა)

ოდესღაც ცხოვრობდა შირვანშას შვილი
ალი. მას ასწავლიდნენ არაბეთის განთქმული
ვარსკვლავთმრიცხველები. აღიღებდნენ სპარსეთის
სახელოვანი მგოსნები, მას ეტრფოდნენ ჩერქეზე-
თის ტურფა ასულები. ესმა მას, საქართველოს
ხან ერეკლეს თავისი გამზრდელის, ნადირ-შაჰის
ნაჩუქარი აღმასი აქვს, რომლის მფლობელიც
მთელი აღმოსავლეთის მბრძანებელი შეიქმნებაო.
ალიმ ირანისა და ადარბადაგანის რჩეული ვა-
ჟაკაცები შეკრიბა და საქართველოსკენ წარემართა.
მაგრამ ერეკლე-ხანს ნადირ-შაჰის ნაჩუქარი აღმასი
ჰქონდა და მართლმორწმუნე ვაჟაკაცები ისე დაა-
მარცხა, შირვანში ამბის წამლებიც არ დარჩენილა,
ალი კი ტყვედ ჩაიგდო და ხაროში ჩააგდებინა.

ერეკლე-ხანს სამოთხის ქალწულივით ღამაში
შვილიშვილი ჰყავდა, სახელად თამარი. შეუყვარდა
თამარს პირმშვენიერი ვაჟი. კალათს საჭმელ-
სასმლით გაავსებდა, სახელურზე თოკს მოაბამდა
და ალისთან ჩაუშვებდა. ერთ ღამეს ალიმ უთხრა:
„ჩამოშალე შენი მსხვილი ნაწნავი. ამოვალ, შირ-
ვანში წავიყვან და ცოლად შევიერთავ“. თამარმა
უპასუხა: „მუსლიმები ქალების მოყვარულნი ხართ,
სხვა ქალის ცოლად მერთვაც რომ მოგიხდეს, რა
ვქნა“? შეჰფიცა ალიმ საშინელი ფიცით, რომ სხვა
ქალს ცოლად არ შეირთავდა. მაშინ თამარმა გიშ-
რის ნაწნავი ჩაშალა და ალი ხაროდან ამოიყვანა.
გამოიყვანა თამარმა წითლა ცალრქა. გამოიტანა
უნაგირი და ცალრქას დაადგა. უნაგირს თავში
ნადირშაჰისეული აღმასი ეჯდა. შესხდნენ ცალ-
რქაზე და გაიქცნენ.

დილით ერეკლე-ხანმა რომ ნახა, ქალ-ვაჟი გაქ-
ცეულიყო, თამარის ბიძაშვილ დავითს უთხრა, გაქ-
ცეულებს დაედევნეო. ერეკლე-ხანს ლურჯა ცალ-
რქაც ჰყავდა. შეჯდა დავითი ლურჯა ცალრქაზე
და გაქცეულებს დაედევნა. მიხედა ალიმ უკან და
თამარს უთხრა, ბუზის ტოლად რაღაც მოჩანსო. „ეგ
ჩემი ბიძაშვილი დავითი იქნებაო“, თამარი ჯადო-
ქარი იყო. იქცა ვითომ ბაღად, ცალრქა-ზღუდელ,
ალი კი მებაღე ბერიკაცად აქცია, დადის ბერიკაცი
ბაღში და ვითომ ხეებს მსხმოიარობას უსინჯავს.
გამოიარა დავითმა და ჰკითხა: „აქ ცალრქაზე ამხ-
ედრებულ ქალ-ვაჟს ხომ არ გამოუვლია“? „ასი
წელია ამ ბაღში ვმუშაობ, მაგრამ ეგეთი არაფერი
მინახავს“, — მიუგო ბერიკაცმა.

შეხედა დავითმა ბერიკაცის თვალებს. არ უნახ-
ავს ისეთთვალეა ქართველი. ქუთუთოები თითქოს
უდაბნოს ქვიშით დამძიმებია. მიხვდა, თამარის მიერ
გარდასახული ალიაო, წააქცია და მოკვლა დაუპირა.
იქცა ბალი ქალად, ატირდა და ბიძაშვილს შეევედრა,
შეგვიბრალო. შეეცოდა დავითს თამარი, გაუშვა

ალი. დაბრუნდა და პაპამის მოახსენა, ვერავინ
ვნახე, მებაღე ბერიკაცის გარდა, რომელიც ხეებს
მსხმოიარობას უსინჯავდაო. თამარს მოუტყუებინარ,
უთხრა პაპამ, ის ბერიკაცი უნდა მოგეკლა, ხეები-
სთვის ტოტები დაგეჭრა და წამოგელოო.

ამასობაში დევნილებმა საქართველოს საზ-
ღვარი გადაიარეს და მივიდნენ ომარხანთან.
ომარხანმა ალი კარგად მიიღო და საცხოვრებლად
კოშკი მისცა. გამოაგზავნა ერეკლემ ჯარი, მაგრამ
ქართველებს ნადირშაჰისეული აღმასი აღარ ჰქონ-
დათ და ომარხანმა გააულიტა ისინი. თამარი ალის
დარჩა და მას ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი უშვა.

ვერ მოისვენა დავითმა. ესიზმრებოდა შირვან-
შას შვილი. ვითომ ალი საქართველოს ნაყოფიერ
მიწაზე მიაბიჯებდა და მარცვლებს აბნევდა. ჩა-
ვარდებოდა ხნულში მარცვალი და მოდიოდა მეო-
მარი, თურანელი, ქუთუთოებდამძიმებული უდაბნოს
ქვიშით. ეღვიმებოდა დავითს. მოენატრა თამარი.
გადაწყვიტა წასულიყო და ენახა.

წავიდა, გადაიარა საქართველოს საზღვარი და
მივიდა ალისთან. ალისახსოვდა, როგორ დაეხმარა
მას დავითი და მისი მოსვლით ძალიან გაინახა.
თავის კოშკში შეიპატიჟა და მონებს უბრძანა,
სუფრა გაემალათ. დავითმა თამარი კიდევ უფრო
გამშვენიერებულნი ნახა. აქ თამარი მუსლიმი ქალ-
ბივით ჰარამხანაში ცხოვრობდა და სახეს ჩადრიო
იფარავდა, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო, რადგან
როცა ვერავინ ხედავდათ, ალი ჰატარა ფეხებს თა-
ვისი ხელით ჰბანდა. ბავშვები დავითს დანახვისთა-
ნავე შეუყვარდნენ. ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი თურქ
მეომრებს არ ჰგავდნენ. მონებმა სუფრა გამალეს
და ალიმ დავითს გულთბილად უმასპინძლა. უთხრა,
რამდენ ხანსაც გინდა, იმდენ ხანს დარჩიო. დავითი
კოშკში დარჩა და თამართან და ბავშვებთან სულ
ახლოს იყო. დაიბარა ომარხანმა ალი და მიმართა:
„რატომ გყავს კოშკში უცხო კაცი? განა ვერ
ხვდები, რომ მის ბიძაშვილს თამარი უყვარს“?
ალიმ მიუგო: „უყვარს, მაგრამ მხოლოდ ძმური
სიყვარულით, რადგან სხვაგვარ სიყვარულს მისი
სარწმუნოება უკრძალავს“. „ვინ გითხრა შენ ეგ“?
— ჰკითხა ომარხანმა. „თვითონ“! „არ დაუჯერო,—
უთხრა ომარხანმა,— აქ ამიტომ დარჩა, შენი ცოლ-
შვილი წაყოლაზე დაიყოლიოს. საქართველოში რომ
წავა, თამარსა და ბავშვებსაც თან წაიყოლიებს“.

ეგვმა დააბრმავა ალი. ერთ ღამეს, როცა ყვე-
ლას ეძინა, მიეპარა დავითს და დანა ჩასცა. ისე
მოკვდა დავითი, არც დაუკენესია. კილობანი მიიტანა
ლოგინთან ალიმ, მოკლული დავითი კილობანში
ჩააგდო, მერე ერთგული მონა გააღვიძა. მისი დახ-
მარებით კილობანი კოშკის გალავანთან მიიტანა
და იქ დამარხა. დამარხვას რომ მორჩა, მონას
ლოგინის გარეცხვა უბრძანა. დილით თამარმა
დავითი მოიკითხა. უთხრეს, უთენია გასწვია საქარ-
თველოსკენ, არ ინდობა შენი გაღვიძება, რადგან მისი
გაცილება დაგალონებდაო. რალას იზამდა თამარი?
რატომ არ მითხრა, საქართველოში თუ აპირებდა
დაბრუნებას, უფრო არ დამალონაო? ოღონდ კი
კეთილად იმეზავროს და არა უშავსო, თქვა. გული
კი დამძიმებული ჰქონდა.

იმ ადგილას, სადაც ალიმ დავითი დამარხა,
უცნაური ყავილი ამოვიდა, გარდს ჰგავდა, ოღონდ

ეკლები არ ჰქონდა.

გამოხდა ხანი. ომარხანის საყვარელმა ასულმა სულთანეთამ შეიყვარა ალი და მამას სთხოვა, ალიზე გამათხოვეო. შეუჩნდა ომარხანი ალის, მუსლიმებს ოთხი ცოლის ყოლის უფლება გვაქვს, შენ კი ერთ ცოლს სჯერდები განმორებულვივით, მეორე ცოლად ჩემი ქალიშვილი შეირთეო. თამარს შევეფიცე, სხვა ქალს არ ვექმროო, უთხრა ალიმ ბოლოს. არ ხარ მოვალე, ქრისტიანი ქალისთვის მიცემული ფიცი არ გატეხო, მიუგო ომარხანმა. თამარი ჯადოქარიც არის, დაწვევლილია ჯადოქრის შთამომავლობა, თუ მართო თამარის ქმარი იქნები, შენი შთამომავლები არ გამრავლებიანო.

ალის გაახსენდა, როგორ გარდაისახა თამარი და ისიც და ცალრქაც როგორ გარდასახა. ის შირვანში არ ბრუნდებოდა, ბრძოლაში დაღუპული ვაჟკაცების ნათესავებისა რცხვენოდა, მაგრამ ნადირმაჰისეული ალმასი მას ჰქონდა, ოდესმე მთელი აღმოსავლეთის ბრძანებელი შეიქმნებოდა, მისი შთამომავლები კი მებრძოლები ვერ იქნებოდნენ, რადგან ჯადოქრის შთამომავლებს გამრავლება არ უწერიათ და სულთანეთას შერთვაზე თანხმობა განაცხადა.

გაიგო თამარმა, ალი სულთანეთას ირთავსო. ივდა კოშკის ეზოში და მწარედ ტიროდა. დაინახა წითელმა ცალრქამ და ადამიანის ხმით ჰკითხა: „ჩემო ქალბატონო, რა გატირებს?“ „ის მატირებს, რომ ალი ორჯერ ვისხენი სიკვდილისგან, ტყვეობისათვის თავი დავაღწევინე, ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი ვაჩუქე, ის კი სულთანეთას ირთავს მეორე ცოლად, თითქოს არ შემოეფიცოს, სხვა ცოლს არ შევირთავო“, – უპასუხა თამარმა.

„შენ ისე მოიქეცი, როგორც მე დაგარიგებ და დანარჩენი მე ვიცი, – უპასუხა ცალრქამ, – ცრემლი შეიშრე და პირი დაიბანე, არ უნდა გაიგონ, რომ ტირი. ალი რომ მოვა, თავი ისე დაიჭირე, თითქოს მის გადაწყვეტილებას იწონებ. უთხარი, რომ მათი ბედნიერება გახარებს და იმისთვის, რომ შენს გულწრფელობაში დარწმუნდნენ, სულთანეთას ჩემს თავს უძღვნი. თავში ალმასი რომ უზის, ის უნაგირი დამადგი და ჩემი თავი საცოლესთან გაატანე“.

გაუგონა თამარმა ცალრქას, დაიბანა პირი, მოირთო, მოიკაზმა, ღიმილით დახვდა ალის და მიულოცა. ალი ასეთ დახვედრას არ ელოდა. მოუბოდიშა და უთხრა, ეს ჩვენი შვილებისთვის გავაკეთე, მინდა მათი დაძმები ისეთი ძლიერი ხანის შვილიშვილები იყვნენ, როგორიც ომარიაო. თამარმა უპასუხა: „მამაკაცი ხარ და შენ უკეთესად იცი. მინდა სულთანეთას ჩემი შვილები უყვარდეს. შემისრულე ერთი თხოვნა, სულთანეთას ჩემს საჩუქრად წითლა ცალრქა მიჰგვარე, ჩვენ მაინც ერთი ოჯახი ვიქნებით“.

ალი ისე იყო თამარის მორჩილებით აღტაცებული, თავში ალმასისმული უნაგირდადგმული წითელი ცალრქას სულთანეთასთვის მიჰგვარაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ ომარხანს თამარის მორჩილება საეჭვოდ ეჩვენა და როდესაც სულთანეთამ ცალრქაზე შეჯდომა მოინდომა, ომარხანმა დაუშალა, ეგ ცალრქა ფერიების გაზრდილია, რაიმე ხიფათს შეგამთხვევსო. არ დაიშალა სულთანეთამ, ბარელმა თამარმა მე როგორ უნდა მაჯობოსო. შეჯდა ცალრქაზე. ცალრქასაც ეს უნდოდა. შეიჭიხვინა,

ქარის უმაღლესად გაფრინდა, კლდიდან გადავარდა და მიწაზე ისე დაენარცხა, ალმასი უნაგირის თვიდან ამოხტა და ლოდებს შორის გაუჩინარდა. დაილუპა წითელმა ცალრქამ თავი და სულთანეთაც დალუპა. დამწუხრდა ომარხანი, თავი ჩაქინდრა, ხმას აღარ იღებდა, თითქოს დამუხვდა. შემინდა ალი. გავზავნა ერთგული მონა თამართან და დააბარა: „ბოროტო ქალო, მომატყუე და გაიხარე, სულთანეთა დამალუბინე. ახლა მაინც დამემორჩილე, ბავშვები დამალე. ომარხანი სულმოკლეა და შეიძლება ჩვენი ბავშვების დახოცვა ბრძანოს, რომ ვნახოთ როგორია შვილების სიკვდილი“.

ეახლა მონა თამარს, ყველაფერი უამბო და ბოდიშობით ალის სიტყვები გადასცა. თამარი გაცეცხლდა, დანაბარები რომ მოისმინა, თქვა: „უწინ მე დავხოცავ ჩვენ შვილებს, სანამ ომარს დავახოცინებ!“ უცებ ქართული სიმღერა მოესმა. იქით წავიდნენ, საიდანაც სიმღერა მოდიოდა. მოფრენილიყო პატარა ჩიტო, გალავანთან ამოსულ ყვავილზე დამჯდარიყო და ადამიანის ხმით მღეროდა ვაჟზე, რომელსაც თავისი და ენატრებოდა, არ შეუშინდა გზის სიბნელეს და მოვიდა მთაში, რათა დის ოჯახი ენახა, სიძემ კი მძინარეს დანა ჩასცა და ღამით დამარხა. „ამოსულიყო უეკლო ვარდი, სად ვაჟი ემარხა, გაიურყუმი მოვედი, რომ მის საფლავზე მეზრახა“, – დაამთავრა ჩიტმა სიმღერა და გაფრინდა. თამარს გულმა რეჩხი უყო. მიუბრუნდა მონას და ყვავილის გარშემო მიწის ამოთხრა უბრძანა. ისეთი სახე ჰქონდა, მონამ უარის თქმა ვერ გაბედა, მოიტანა ბარი და კიღობანი ამოთხარა. გახსნა კიღობანი თამარმა და ხრწნისაგან საშინლად დამახინჯებული გვამი იპოვა. მაინც იცნო დავითი. არ უტირია, არც უკვილია, როცა მიცვალებული დაინახა. მხოლოდ სახე კიდევ უფრო გაუმკაცრდა. ნახევრად გახრწნილ ცხედარს დანა გამოაძრო და კოშკში შევიდა – ოქროსთმიან ქალ-ვაჟს ეძინა. გულები განუგმირა პატარებს თამარმა, კოშკიდან გამოვიდა და უფსკრულში გადაიჩენა.

დილისა და საღამოს ბინდბუნდში მწყემსები ხვდებიან მკაცრსახიან ქალს, რომელიც სისხლმწოთლვარე დანას უწვდით. ეს მოსისხლე დედაა, რომელსაც ალაჰი მოსვენებას არ აღირსებსო, ამბობენ მოხუცები.

2001 წელი

P.S.კარადაში ერთ-ერთი კრებულის ძებნისას, ზედა თაროდან რამდენიმე წიგნი ჩამოვარდა. წამოვკრიფე და მათი უკან შელაგება დავიწყე; თან, რა თქმა უნდა, ავტორების გვარებსა და სათაურებს კვითხულობდი. ის იყო, დაბინავებას მოვრჩი, ერთ-ერთი მათგანი ისევ ჩამოვიღე – ნიკო ყიფიანი – „ერთხელ წასაკითხი მოთხრობები“ – გადავშალე. დიდი ხნის წინ წაკითხულის ხელახლა კითხვა დავიწყე... დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ავტორი სადღაც ძალიან შორიდან შემომეხმინა და მთხოვა, მისი ბიოგრაფია, ნაწერები თქვენთვის შემეხსენებინა... ძალიან ვეცადე... ცრემლები კი, აბა, რა სათქმელია...

2023 წლის სექტემბერი

ქნერლის ჩანაწერი

ნიწო არსანაშვილი



ოთხი ამბავი

მე, რეზო ინანიშვილი და „ჩემი საწყალი სიყვარული“

სკოლის ასაკიდან მოყოლებული, როცა უკვე დამოუკიდებლად გამართულად ვკითხულობდი, კარგა გვიანობამდე ვთვლიდი, რომ რევაზ ინანიშვილი საბავშვო მწერალია. თითქმის მაშინაც კი, როცა წიგნზე „შორი თეთრი მწვერვალი“ წამიწერა: „მიმრავლოს თქვენნაირი მკითხველი“. მერე და მერე, მასწავლებლობა რომ დავიწყე (1985წ.), მივხვდი, რომ ამ ჩარჩოში „საბავშვო მწერალი“ – არ ეტევა რეზო ინანიშვილის შემოქმედება. იგი საოცარად წერს და ქმნის იმ უზარმაზარ და საოცარ სამყაროს, რომელშიც ასევე უზარმაზარი სიკეთე და სიყვარული დააბიჯებს; ავტორი ამ სამყაროს ჩუქნის მკითხველს განურჩევლად ასაკისა, წარმომავლობისა, კანის ფერისა, რელიგიისა თუ სოციალური მდგომარეობისა. მისი მოთხრობები, ნოველები, ჩანახატები, ზღაპრები ისე მიგიღებენ, ისე ჩაგიხუტებენ გულში, ისე მოგეფერებიან, თუ ერთხელ მაინც შენც გულით ესტუმრე, ვეღარ მოშორდები. ამბიდან ამბავზე ისე გადაგიყვანენ, ისე გაცინებენ და ისე აგატირებენ, ისე გაგანარებენ და ისე დაგაღონებენ, ისე გაგიყოლიებენ ივრისპირა თუ სხვა ზღაპრული სანახების მოსანახულებლად, გაოცებული და განარებული დარჩები. და დღემდე მომყვება ის სიყვარული და სითბო, სიხარული და გაოცება, ბევრჯერ ალტაცებაც, რეზო ინანიშვილის წიგნების წაკითხვას რომ მოუნიჭებია ოდესმე. ვინსენებ:

გასული საუკუნის 80-იანი წლები იწურება. ეროვნული მოძრაობა მძლავრად შლის ფრთებს. ჩამოყალიბდა „სახალხო ფრონტი“, რომლის სულისჩამდგმელიც ბატონი ნოდარ ნათაძეა. „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“. – თითქოს რაფიელ ერისთავის ამ უკვდავი სიტყვებით სუნთქავს დღეს მთელი საქართველო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ვმუშაობ საზოგადოება „ცოდნის“ რეფერენტად. მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა მთხოვეს

შეხვედრის ორგანიზება ბატონ ნოდარ ნათაძესთან. საორგანიზაციო საკითხების შესათანხმებლად გვესტუმრა ბატონი ნოდარი აკადემიის პრეზიდიუმში. შეხვედრის ადგილად გამოთვლითი ცენტრი შევარჩიეთ; ახლა დრო გვაქვს შესათანხმებელი. დროის შესათანხმებლად ტელეფონზე ვრეკავ გამოთვლით ცენტრში და თან ბატონ ნოდარს შეკითხვებს ვუსვამ. ისიც დაუზარებლად მპასუხობს, ზოგჯერ კითხვაზე კითხვითაც. როგორც იქნა დროზეც შევთანხმდით: სამშაბათი დღე, დღის სამი საათი; თან ვამატებ: – მერე თანამშრომლებს საბავშვო ბაღებისკენ და სკოლებისკენ გაეჩქარებათ-მეთქი (ასეთი შეხვედრები ხომ ორ აკადემიურ საათზე მეტ ხანს გრძელდება ხშირად), აგერ, მეც დრო არ მყოფნის შეკითხვებისთვის. ბატონ ნოდარსაც ეჩქარება; ფილოსოფიის ინსტიტუტშიც უამრავი საქმე აქვს. მაინც შერერდა კართან და ჩამეკითხა: – როგორ თქვიო? – მეც ბოლო ფრანას ვიძიებ: – თანამშრომლებს საბავშვო ბაღებისა და სკოლებისკენ გაეჩქარებათ, აბა, ბავშვებს იქ ხომ არ დატოვებენ-მეთქი, – დავამატე. კარის სახელურს ხელს არ უშვებს, ისევ მეკითხება: – ხამშელი ხომ არა ხარო? – არა, ბატონო ნოდარ, ჩემი სოფელი ცოტა იქით არის, კაჭრეთის ზემოთ, არაშენდა ჰქვია.

– შენ რომ სთქვი, გაეჩქარებათო, მასე ხამშელები ამბობენ. რეზო ინანიშვილს უყვარს ეგ გამოთქმაო. კი ვიცი, მაგრამ ტრაბახს ხომ არ დავიწყებ. ღიმილით ვუქნევ თავს. განა ლევან გოთუას კი არ უყვარდა ეს გამოთქმა. აბა, „გმირთა ვარაძს“ გადავხედოთ, რამდენჯერ იტყვიან: გაგვეჩქარაო, გაეჩქარათო... გაეჩქარებათო. ისიც ვიცი, თვითონ ბატონ ნოდარსაც რომ უყვარს ეს გამოთქმაც და რეზო ინანიშვილიც.

მე კი წუხელაც ვკითხულობდი. ახლა ზაფხული იწურება, შემოდგომა მობრძანდება საცაა და მეც, ასე ვთქვათ, ამ სეზონის შესაფერ მოთხრობებს ვკითხულობდი, შემოდგომურ ნოველებსაც. აი, „მარტობას“ რომ ვკითხულობ, სულ ჩემი ბებო და პაპა მასხენდებიან. ამ წუთისოფელში არც ერთი აღარა მყავს. გაღმა ნაპირზე გავიდნენ და ამიტომ უფრო მენატრებიან. პაპა უთქმელი კაცი იყო. ჩვენც უფრო ბებო მოგვწერდა: „გუშინდამ დიდი წვიმა იყო, მოვარდა ერთი ცოფიანი ქარიც, იჭექა, ირუხრუხა, ცოტა ხორხომელაც წამოურია, მაგრამ არაფერი გაუფუჭებია. დილით ბაღში რომ გავედი, გავშტერდი, ისეთი რამე ვნახე: მთელი ქართული გულაბი სულ ძირს იყო ჩამოსული, ეყარა ნაწვიმარ მწვანე ბალახში ყვითლად, სასიამოვნოდ, კალოსავით მრგვლად... ავიღე ერთი, სუფთა, უხალო, მერე მეორე, მერე მესამე და მეოთხე. მერე გავიფიქრე, ვისთვის ვაგროვებ-მეთქი. მე ხომ ერთი გულაბი მთელ დღეს მეყოფა ჭირადაც და ლხინადაც... ღამდამობით ჭოტი მოდის ხოლმე კაკალზე, ზის და იძახის მთელ ღამეს: – ჭყუუტ! ჭყუუტ! ჭყუუტ! – გამიკრთება ძილი და ვუგდებ იმის ხმას ყურს. ხანდახან მეშინია, ვაითუ ამ მარტობაში მეც ჭოტად ვიქცე და ვიარო ხიდან ხეზე, ნანგრევიდან – ნანგრევებზე. ბოლოს, როდის-როდის იყივლებენ მამლები, აჟღერტულდებიან მერცხლები“. თითქმის ზეპირად ვკითხულობ. მერე მოსახვევის ყურს არა და მომუშტულ ხელს კი გავაპარებ ცრემლიანი

თვალისკენ.

ჩემს სოფელში როცა მივიღე, აუცილებლად ხაშმის ასახვევთან უნდა გავიარო. გავხედავ ავტობუსის ფანჯრიდან „ძეგებშეფენილ გორაკებსა და ჯეჯილებად დავარცხნილ ველებს“ და თითქოს ცხადად ჩამესმის ყურში შვილმკვდარი ძეგის საწყალობელი – ბაა! ბაა! ბაა! მერე მთელი ნოველა უსწრაფესად გადაივლის ჩემი გონების ცაზე და გაგანია შუადღეც რომ იყოს ან ახლადგაღვიძებული დილა, ვხედავ, როგორ ჩადის მზე, როგორ „წითლად ღუღღღებს“ დასავლეთის ცა, მკაცრად შეკრული მატარებელი როგორ მიაქანებს ქალაქისკენ დაპატარავებულ და დათრგუნულ ო-ას. ჩემი საყვარელი მწერალი, რეზო ინანიშვილი კი, სახლში ჯერ არგამოჩქარებულ, როგორ გაწოლიდა მუქ ბალახზე ხევისპირას თავის საწყალ სიყვარულთან, თავის ძეგებთან, თავის საწყალ ძეგებთან დარჩენილი, როგორ ეხუტება მიწას ლოყით და როგორი უსახელო შუქი ადგას მარავანდელივით.

წამე ბეთანიისკენ

1983 წელია. ახალი დაბრუნებული ვარ ბულგარეთიდან „ოქროს ქვიშებზე“ ვისვენებდი. შვებულება კი დამიმთავრდა, მაგრამ შაბათ-კვირა ჩემს ხელთ არ არის?! ჰოდა, მეც ხან სად ამოვყოფ თავს და ხან სად.

მანანა შემომიჩნდა, გოგი ბეთანიაში მიდის, მეგობარი ბერები უნდა მონახულოს, ჩვენც გვეპატიჟება და გავყვებით. – რითი უნდა წავიდეთ-მეთქი? – დავინტერესდი. – ბეთანიის გადასახვევამდე მანგლისის ავტობუსს გავყვებით და მერე ფეხით. ფეხით სიარული ძალიან მიყვარს. თანაც ასე, მეგობრებთან ერთად არასდროს წავსულვარ ბეთანიაში. ნამყოფი კი რამდენჯერმე ვარ, ხან სკოლის ექსკურსიით და ხანაც – სამსახურიდან, მაგრამ ასეთი ექსკურსიები ტაძარში შერბენითა და მერე სადმე წყნარ ადგილზე გაშლილი სუფრითა და მოლხენით მთავრდება. ამჯერად რაღაც საინტერესო მელოდება, ვფიქრობ და დავთანხმდი.

დილით ადრე ავდექი. უცებ მოვემზადე. მცირე საგზალი ხელჩანთაში მოვათავსე და ცხრა საათისთვის უკვე ელბაქიდის დაღმართზე რომ ავტოსადგურია, იქ გამოვეცხადდი. აქედან გადის მანგლისის ავტობუსიც. ბიჭებს ბილეთები უკვე აეღოთ. მანანაც მალე მოვიდა, ავტობუსიც ადვილად ვიპოვეთ (პატარა ავტოსადგურია) და ათიოდ წუთში გავემგზავრეთ.

საუბარში ვერც შევნიშნეთ, ისე მივადექით ბეთანიის გადასახვევს. გოგის უცებ ხმამაღლა რომ არ შეეძახნა მძღოლისთვის: გააჩერეთ, ჩავდივართო, ალბათ გავცდებოდით. მხიარულად დავეშვით ტყე-ტყე. ზაფხული იწურებოდა და სასიამოვნო სიგრილეში შევრგეთ თავი. ბილიკს მივყვებით. მე რამდენჯერმე ბილიკი ამერია და კინაღამ დავიკარგე. გოგი მაშაყირებს: ამან მხოლოდ „ზოლოტიე პესკის“ ბილიკები იცის, აბა, ბეთანიის ბილიკები საიდან უნდა

იცოდესო. მე მწყინს, მაგრამ არ ვიმჩნევ. კარგა ხანს ვიარეთ. უცებ ბიჭები შეჩერდნენ და გვეუბნებიან: ახლა კი თვალები დახუჭეთო. შეკითხვა ვერც კი მოვასწარი, ისე ამაფარა გოგმე თვალზე ხელი და სადღაც მივყავარ. არ მეშინია. სანდო მეგობარია, მაგრამ თვალდახუჭული სიარული არ მომწონს. რაც მეტად ვცდილობ თითებშუა გავიჭვრიტო, უფრო მჭიდროდ მაფარებს გოგი თვალზე ხელს. მანანას ბზუკუნიც მესმის და ვგრძნობ, რომ ისიც ჩემ დღეშია. რაღაც მანძილი გავიარეთ და ისევ ვჩერდებით. გოგმე ნელა მომაცილა თვალებიდან ხელი და მზერით ქვემოთ მიმანიშნა. ჰოი საოცრება, ხეობაში ტაძარი ამოლივლივდა. გაცეცება, აღტაცება, სიხარული, – ყველაფერი ერთად მომეძალა. მოულოდნელად გოგის ვაკოცე. ახლა მე ჩავჭიდე ხელი და მე მივუძღვები იქით, ტაფობისაკენ, ტაძრისაკენ. მანანა და კახაც მოგვეყვებიან, რაღა თქმა უნდა. შორიასხლოს შეგვაჩერეს: დაბლაკაბები მარვლებს ზემოთ ჩასაცემლად და თავსაფრები ხომ არ დაგვიწყებიათო? – რასაკვირველია, არ დაგვიწყებია. – ვპასუხობთ თითქმის ერთხმად. – მაშინ აქვე გადაიცვით და აქვე დაგველოდეთ, ჩვენ მალე მოვალთო. თვითონ ტაძრისკენ გაემშრნენ.

მე და მანანამ სასწრაფოდ გადავიცვით მარვლებს ზემოდან გრძელი დაბლაკაბები, თან ვხუმრობთ: მარვალი ვითომ საწმერთულია, არ გამოგვიჩნდესო. თავსაფრებიც კოხტად გავიკარით თავზე და თვალბაძეკეულნი გავყურებთ ბილიკს. – აქ, მგონი, მთის ჰარმონიასაც მოვუსმენთ, ერთი ბერი უკრავსო. – ამბობს მანანა. – ეგ რაღაა-მეთქი, – ვეკითხები გაკვირვებული. – ორლანის მაგვარი ინსტრუმენტი, მაგრამ უფრო პატარაო. მანანას საუბარი არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ ბიჭებიც გამოჩნდნენ და გავკვირდით.

ტაძარში შევედით. ეს ტაძარი ღვთისმშობლის შობის სახელზეა აგებული მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მიჯნაზე. ღვთისმშობლობა 21 სექტემბერსაა. ჯერ კი აგვისტოს ბოლოა. დიდუბის ტაძარიც ღვთისმშობლის შობის სახელზეა აშენებული, დედაჩემისგან ვიცი. დედა დიდუბის ტაძარშია მონათლული და ყოველ ღვთისმშობლობას ანუ 21 სექტემბერს მიდის დიდუბეში და ეკლესიაში სანთლებს ანთებს; უმეტესად წირვასაც ესწრება. აქ, ბეთანიაში კი სანთლები ისე ეწყო, შესაწირი სურვილის და შესაძლებლობის მიხედვით უნდა დაგეტოვებინა. სანთლები დავანთეთ. თამარ მეფის ფრესკას ვუყურებდი დიდხანს. მამასთან – გიორგი მესამესთან და შვილთან – ლაშა გიორგისთან ერთად არის გამოსახული. დავით სოსლანი ალბათ უკვე გარდაცვლილი იყო, თუმცა ის მეფე არ ყოფილა, თამარის „ლომი იყო“ შუბისა და ფარშიშმერის ხმარება რომ შევნოდა. მაგრამ გიორგი მესამეც ხომ გარდაცვლილია უკვე, მეფე გიორგი მესამე, რომელიც ისტორიული წყაროებისა გამო ჩემს წარმოსახვაში დაუნდობელი, სასტიკი, ძალაუფლების მოყვარული მმართველი იყო. თამარი – მეფეთა მეფე და დედოფალთ დედოფალი მთელი ცხოვრება საკუთარი და მამის ცოდვების მონაწილე, ეკლესიების ფეხშიშველა მოძღოცველი,

ღვთისნიერი და ღვთივსულიერი, წმინდა არსება, ლაშა გიორგი თანამეფეა. თამარ მეფე ჯერ ცოცხალია... გარშემო უამრავი სახარებისეული სცენაა. ფრესკები გაცრეცილა, ფერგადასულია. ტაძარში გრილა და სიმშვიდეა, უცნაური სიმშვიდე.

გარეთ გვიხმეს. ტაძრიდან მოშორებით ერთ სენაკისმაგვარ ოთახში შეგვიყვანეს (ეს ბერების სენაკი არ იყო. იქ ქალებს არ შეგვიშვებდნენ). ამ ოთახში იდგა ინსტრუმენტი – მთის ჰარმონია. ჩამოვსხედით თუა არა, ახალგაზრდა ბერი შემოვიდა, მშვიდობა გვისურვა და ინსტრუმენტს მიუჯდა. მალე ღვთაებრივი ჰანგები დაიღვარა ირგვლივ. ეს არ იყო რაიმე მიწიერზე მოთქმა-ტირილი, არც სიხარული, ამქვეყნიური ყოფით გამოწვეული; ეს უფრო ზეციური საუფლოს ჰანგებს ჰგავდა. გასუსულები ვუსმენდით. დაკვრა შეწყდა, მაგრამ ვიბრაციით რამდენიმე წამს გაგრძელდა ბოლო აკორდი და მაინც სიჩუმე არავის დაურღვევია. კარგა ხანს ვისხედით ასე მღუმარედ. სადაც შორს ვიყავით ფიქრებით და ის შორეთი არ გვეთმობოდა თითქოს.

ტრაპეზზე მიგვიწვიეს. ჩვენი მცირე საგზალიც იქვე გავშალეთ. ვიხმიეთ. ალაგებაში გვინდოდა მივხმარებოდით და საოსტიგნოს მორიგე ბერმა იუარა, ბიჭებმაც გვანიშნეს და გაჟრღვრდით. წამოსვლამდე ორი საფლავი გვაჩვენეს მამა იოანესი (მაისურადის) და მამა გიორგისა (მხეიძის). საბჭოთა ხელისუფლების დასაწყის პერიოდში ამ ბერებმა გადაარჩინეს ეს მონასტერი. მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ორი წმინდანის საფლავთან ვიდექი. ახლა რომ მახსენდება, სინანული მიპყრობს: რატომ არ დავიჩოქე. მასპინძლებს გამოვემშვიდობეთ. ბერებმა დაგვლოცეს და გზას თბილისისაკენ ისევ ფეხით დავადექით.

სამშობლოდან სამშობლოში

სამდღიანი ტურით ტაო-კლარჯეთში

ერთი კვირაა აფორიაქებული დავდივარ. ტაო-კლარჯეთს მიმავალთა ჯგუფში ჩავეწერე და იმ გზებზე ვფიქრობ, გრიგოლ ხანძთელმა და მისმა სულიერმა ძმებმა ქართლის შუაგულიდან სამხრეთისაკენ რომ გაიარეს: „ხოლო ნეტარმან გრიგოლ, ვითარცა იხილა თავი თვისი ხორციელსა დიდებასა შინა, ფრად წუხდა გული მისი და განიზრახა ფარულად სივლტოლაი თვისით ქუეყანათ საღმრთოთა წოდებითა, რომელიცა უძღოდა მას მამათმთავრისა აბრაჰამის სახედ. არამედ აბრაჰამ ქუეყანისა მისგან ურწმუნოთა ნათესავთაისა განაშორა ღმერთმან, ხოლო ესე მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქუეყანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათვის, რათა უქმთა მათ უღაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუვსებელი, ბრწყინვალეი ზედა სასანთლესა მას მაღალსა ზეთითა განუპარველითა, რაითა ხმასა მას და ოხრასა საყვირისასა აღტყინოს და განბრწყინდეს სულითა ძლიერითა და მიუძღვეს საქორწინესა მას

კრებულსათანამოწაფეთა მისთა წმიდათასა“.

ჩვენც ღმერთი წაგვიძღვება სამშობლოდან სამშობლოსკენ მიმავალ გზაზე. დე, ერქვას თურქეთის ტერიტორია. ეს დროებითია. საინტერესო სვლაგეზია პირველი დღიდანვე. პირველ დღეს უნდა მოვინახულოთ: სათლის ციხე, ტბეთი, ხანძთა და ლოლისყანა. მანამდე კი წინ გზა გვიძვეს.

21 ოქტომბერს, გვიან ღამით გავვლით თბილისიდან. ჯავახეთისკენ წავედით. წალკა გავიარეთ და გათენებისას მივადექით ფარავნის ტბას:

ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა...

და, როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ, თოვლი იღო ჯავახეთის მთათა ზედა და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...

.....
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოლა ქარი...

რძისფერ ნისლში გახვეული თოვლიანი მწვერვალები ისევ აქ არიან, ქარიც დაძრწის ფარავნის ტბაზე. მხოლოდ წმინდა ნინო უკვე დიდი ხნის (ჩვიდმეტი საუკუნის) წინ მოსულა ამ დალოცვილ მიწაზე და თავისი ნატერფალი – ჯვარი ქრისტესი და რწმენა საშუამოდ დაუტოვებია. ფარავნის ტბის შემდეგ ფოკა გავიარეთ. აქ ღელათა მონასტერია, მაგრამ ჩვენ არ ვჩერდებით, შემდეგ საღამოს ტბა, კარწახის ტბა და სოფელი კარწახი უკვე სასაზღვრო სოფელია საქართველოსა და თურქეთს შორის. სამწუხაროა, რომ სოფელი თითქმის დაცლილია.

მალე მივედით სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან. თავიდან ყველაფერი მარტივად და კარგად წავიდა, მაგრამ ბოლოს რაღაც პრობლემა შეიქმნა, ტექნიკური ხასიათის და საზღვარზე თურქებმა კარგა ხანს გვაყურყუტეს, ამიტომ იყო, რომ პირველივე ძეგლი, სათლის ციხე შორიდან დავინახეთ და პირდაპირ ტბეთისკენ გავემურეთ.

ეს ტაძარიც და სოფელიც, სადაც ტაძრის ნანგრევებია შემორჩენილი, ისტორიულ შავშეთში მდებარეობს. სოფელსაც ტბეთი ერქვა კარგა ხანს, 1928 წელს თურქეთის მთავრობას აქაური ქართული სახელები თურქულით შეუცვლია. ამ სოფელს ახლა ჯევიზლი ჰქვია, რაც ნიგეზიანს ნიშნავს. როგორც ჩანს, აქ გამორჩეულად ბევრი, ან საუკეთესო ჯიშის კაკლები ხარობს. საკათედრო ტაძარი მეცხრე საუკუნეში აუგია აშოტ გურგენის ძე კუროპალატს. მეათე-მეთორმეტე საუკუნეებში აქ საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება ყვაოდა. 1874 წელს მოუნახულებია ტბეთი გიორგი ყაზბეგს და მოგონებებში ჩაუწერია: „ტბეთის მონასტერს შეუძლია რომიც კი დაამშვენოს“. დღეს ეს დიდებული ტაძარი გუმბათჩანგრეულია. შემორჩენილი ნანგრევები ჯერ კიდევ მეტყველებენ მის დიდებულიებაზე, მაგრამ მოძღვრისა და მრევლისგან მიტოვებულია. ერთ ნიშაში ჩვენ მაინც დავანთეთ იმედის სანთლები, რომ როდესმე ისევ აღდგება ეს ტაძარი და გავიგონებთ ქართული წირვა-ლოცვის ხმებს. ჯერჯერობით კი ამ სოფელში ქართული აღარავინ იცის. შესაძლოა, ვინმე მოხუცი იყოს დარჩენილი, მაგრამ...

გავიწვიდა. არ გვეთმობა აქაურობა. ხანძთის ნახვასაც ვეშურებით, თუმცა ავტობუსში ასულებმა

გავარკვიეთ, რომ წვიმიანი ამინდის გამო ხანძარში ასვლაზე მძლავრი უარს ამბობდა. იმდენად სახიფათოდ დაგვიხატეს გზა, რომ შეკამათებას აზრი არა აქვს. არადა როგორ ვემზადებოდი ხანძრის სანახავად, იმ ხანძრისა, რომელიც „კეთილ არს უდაბნო იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო. და აქუს მას წყაროი მდიდრად გამოდინარეი, შუენიერი, გრილი და ჰამოი, და მალნართა სიმრავლეი ურიცხუი და მცირედი რაიმე სხუაიკა ნუგეშინის-საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოსა“...

ნისლი ჩამოწვა და გზა ცუდად ჩანდა. ალბათ ასეთ ამინდში, მართლაც საშიში იქნებოდა ხანძრის გზაწვრილი (წარმოვიდგინე: როგორ მიდიოდნენ მეროტიკე ბერები ამ გზაზე ყოველგვარ ამინდში სახედარზე ამხედრებულნი ან სულაც ქვეითად).

გავცდით თუ არა ხანძრის სანახავს, გამოიდარა. დოლისყანას მივაშურეთ. აქ წვიმის კვლიც კი არ ჩანდა. ცაც მოწმენდილიყო. მეშვიდე-მერვე საუკუნეების ძეგლია. აშოტ კუროპალატს შეუწირავს ამ ტაძრისთვის დოლის პურის ყანები და ტაძრის სახელიც აქედან მოდისო, ასე აგვიხსნა მეგზურმა გოგა ჩანადირმა. გადმოცემით, ამ ტაძრის საკურთხეველთან მოკლეს მეფე აშოტ კუროპალატიც:

საკურთხეველთან, აქ, ამ ტაძრის, დოლისყანაში დამთავრებულა აშოტ მეფის ბედთან თამაში.

დოლისყანა შედარებით გადარჩენილია, გუმბათიც ისევ ამშვენებს, ოღონდ ჯვრის გარემე-რამდენიმე წლის წინ აქ მოქმედი მეჩეთი ყოფილა და იმამი (შესაძლოა, წარმოშობით ქართველიც) ცდილა, შეენარჩუნებინა ნაგებობის პირვანდელი სახე ჯვრის გარემე მანც. დღეისათვის ტაძარი მიტოვებულია. შუა სოფელში დგას, ადვილად მისასვლელია. თუმცა ამ სოფელსაც ახლა უკვე თურქული სახელი ჰამაჰლიში ჰქვია, მანამდე კი სოფელსაც დოლისყანა ერქვა. გული მეტკინა. რატომ უნდა ქრებოდეს ქართულ მიწაზე ქართული ტოპონიმები.

მწუხრის მოახლოვება იგრძნო თუ დაიძალა, გოგამ: ახლა სასტუმროსკენ გავემუროთ და გზად იუსუფელში (იოსების სოფელში - ნ.ა.) გავჩერდებით ნახევარ საათს მანცო. ეს დაბა ქართული ყოფილა; მდინარე პარხლისწყლის ულამაზეს ხეობაში მდებარეობს. უზარმაზარი წყალსაცავის ნაპირ-ნაპირ ვიარეთ კარგახანს. თურქეთის დღევანდელი ხელისუფლება გატაცებულია კაშხლებითა და ხელოვნური წყალსატევებით, რაც საფრთხეს უქმნის მთლიანად თურქეთს და განსაკუთრებით, ქართული კულტურის იმ ისტორიულ, შესანიშნავ ძეგლებს, რომლებიც დღეს ამ სახელმწიფოს ეკუთვნის და ისედაც მძიმე მდგომარეობაშია.

იუსუფელი სულ რამდენიმე ქუჩისგან შედგება. მოსახლეობის ნაწილი უკვე გასახლებულია, რადგან ეს ადგილიც მალე კაშხლის წყლით დაიფარება. დანარჩენი მოსახლეობისთვისაც სავარაუდო კაშხლის ზემოთ, მაღალ ადგილზე შენდება რამდენიმე სართულიანი ბინები.

ავტობუსი იუსუფელის ცენტრში გავაჩერეთ და ქუჩებში გავიფანტეთ საყიდლებზე: ვინ – მალაზიებში, ვინ – აფთიაქებში. წამლები აქ ძალიან

იაფიაო. რადგან მე თურქული ლირა არ მაწუხებდა, არსად არაფერი მიყიდი; ჯგუფის წევრებს კი შევყვევი რამდენიმე მალაზიაში და ერთგან მართა-კატოსთვის შარვლებიც მომიწონა, მაგრამ დოლარზე არ მომიყიდეს, თუმცა მეორე დღეს მანც შევიძინე. ერთ მალაზიაში მოლარე კონსულტანტი ყმაწვილი კაცი ქართულად მოგვესალმა და ისე შინაურულად მოგვიკითხა, მთელი დღის დაღლილებს და ხანძრის ვერნახვით გულდაწყვეტილებს მისი სალაში გვესალბუნა.

სალამოს უკვე მუხო (მუხრან) დეკადის (არც მისი თურქული გვარი მახსოვს) სასტუმრო გველოდებოდა ულამაზეს პარხლის ხეობაში ვარსკვლავებით მოჭიქული ციხა და პარხლისწყლის უგემრიელესი კალმახებით. მოგზაურობის ორივე დამე ამ ლამაზ სასტუმროში გავატარეთ. როგორც მივხვდი, აქ ქართველთა თავშეყრის ადგილია. ვახშამზე ქართული სიტყვის მაღლი ტრიალებდა, ქართული ლექსი და სიმღერა ისმოდა. ეს მასპინძლისა და მისი ქართული ოჯახის დამსახურებაა.

მეორე დღე, 22 ოქტომბერი, უფრო ნაყოფიერი გამოდგა. საუზმის მერე პირდაპირ ოთხთა ეკლესიისაკენ გავუყვევით გზას. ოთხთა ეკლესია საინტერესო არქიტექტურისაა; ბაზილიკაა, მაგრამ ბაზილიკის პირობაზე დიდა. მეათე საუკუნის ძეგლია. სარკმელებს შორის დარღვეულია პროპორციები, სამაგიეროდ საოცარი სინათლე იღვრება ტაძარში. აშენებულია დავით კუროპალატის მეფობის ხანაში (მეათე საუკუნე). აღმოსავლეთის ფასადზე, საკურთხეველის თავზე შემორჩენილია საერო პირთა, დიდებულთა, ფრესკები. ამჟამად ტაძარი სავალალო მდგომარეობაშია; აღარა აქვს გუმბათი, დაუცველია და სასწრაფოდ სჭირდება შევლა. ვიდაც ადგილობრივ მოსახლეს ბალ-ბოსტანი გაუშენებია ეკლესიის ტერიტორიაზე. საოცარია და ჩვენი წინაპრების მაღლი აქაც ისევ ტრიალებს. ჩვენ რაღამ დაგვაჩიავა ასეთი ხალხის შთამომავლები?!

ოთხთა ეკლესიის შემდეგ ოშკი მოვინახულეთ. ტაძარი სარესტავრაციო სამუშაოების გამო დაკეტილი დაგვხვდა. გარს თუნუქის ღობე ერტყა შიგნით ხარაჩოები მოჩანდა (სამწუხაროდ, ორი წლის შემდეგაც არ შეცვლილა სურათი).

თუნუქი ვერ მალავს სიდიადეს, მაღლს ვერ აკავებენ ხარაჩონი. ნეტავ ვინ და რატომ, ჩემო ოშკო, გვარგუნა ეს მწარე განაჩენი.

მეათე საუკუნის 50-იანი წლების უმნიშვნელოვანესი სამონასტრო ცენტრია ოშკი ისტორიულ ტაოში. დღევანდელი ერზურუმის პროვინციის უზუნდერეს რაიონის სოფელ ჩამლიამაჩში. ოშკის ტაძარი ერთიანდება სამონასტრო კომპლექსში, შემორჩენილია სემინარია – სატრაპეზოთი და მცირე ეკლესიებით. კომპლექსის მშენებლები ყოფილან ტაოს ბაგრატიონები, ადარნასე მესამე კუროპალატის შვილები. სემინარია (სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი) – სატრაპეზო დავათვალიერეთ. გული მიკვდება აქაურობის შემყურეს და თან სიამაყე მიპყრობს ჩემი წინაპრების სიძლიერისა და გონიერებისა გამო, იმ მაღლის გამო, რომელიც საუკუნეებს უძლებს და აქ გვეგებება.

ოშკიდან ხახულისკენ გავწიეთ. ხახულიც დაკეტილი დაგვხვდა. აქ მოქმედი მეჩეთია ანუ ჯამე (ჯამე სასწავლებელს ნიშნავს ანუ ჩვენი მონასტრისმავგარი უნდა იყოს). ამიტომ ტაძრის არქიტექტურა შედარებით გადარჩენილია, რა თქმა უნდა, ესეც გუმბათის ჯვრის გარეშე. ხახულის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარმა ხახულის ხატი გამახსენა, ღვთისმშობლისა, გაძარცული კარედი. ასე იძარცვება საქართველო დღემდე და მაინც ღვთისმშობლის კალთას ვეჭიდებით და ვეფარებით. საოცარი სიმშვიდე იყო ირგვლივ; შემოდგომის სიტკბოთი მოთენთილი მზეც თანაგვიგრძობდა თითქოს, როცა გულისტკივილით ვკოცნიდით ტაძრის კედლებს და ჩუმად ცრემლებსაც ვიწმენდით, ეკლესიის კედელთან სანთლებიც დავანთეთ და ღვთისმშობელს ვთხოვეთ: ქართველებისთვის ისევ გაიღოს ამ ტაძრის კარები და მშობლიურ ენაზე გაისმას წირვა-ლოცვისა თუ გალობის ხმები. ხელმარჯვნივ პატარა სამლოცველო დგას. ეტყობა, ისიც ამ კომპლექსის ნაწილია, მაგრამ ისიც დაკეტილია.

ხახულიდან გზა მდინარე თორთუმის ხეობას გაუყვა და ბუნებრივად წარმოქმნილ თორთუმის ჩანჩქერს მივადექით. წყალსატევი ვერ იგუა თორთუმის წყალმა, გადმოხეთქა და ასეთი ლამაზი ჩანჩქერი გაჩნდა. მართლაც ლამაზი სანახაობაა. კარგა ხანი დავყავით ამ მშვენიერ ბუნებაში, ღია ცის ქვეშ გამართულ კაფეში წავიხემსეთ და სასტუმროში დავბრუნდით. ხვალ ჩვენი მოგზაურობა დასრულდება, მანამდე კი იშხანსა და ბანას მოვინახულებთ. გოგა დაგვპირდა: რადგან ხანძთა ვერ ვნახეთ, უკანა გზაზე ქაჯეთის ციხეს მაინც გაჩვენებთო. თურქულად შაითან კალა ჰქვია ამ ციხეს.

23 ოქტომბერიც გათენდა. იშხანისკენ გავწიეთ. არც ეს გზაა ნაკლებ სახიფათო. ისეთი სერპანტინებით მივიწვეთ მალლა და მალლა. ეს ტაძარი გრიგოლ ხანძთელის დროს საერთოდ მიუვალი ყოფილა. იშხანი მეშვიდე საუკუნის ქრისტიანული ძეგლია. იგი გრიგოლისა და მისი სულიერი ძმების მოღვაწეობის დროს „დაქვრივებული“ ყოფილა: „და ვითარცა მოიწინეს მახლობელად იშხანსა, გამოეცხადა ღმრთისა მიერ ნეტარსა გრიგოლს და ღირსსა საბას იშხნისა პირველი დიდებულებანი და ეუწყა, ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველებრ ხელითა საბანისითა და ეცნობა გზაიკა მისავალად, რამეთუ მის ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი. და მი-რაი-ვიდეს იშხანს, ფრიად უხაროდა პოვნაი დიდებულისა მის ადგილისაი, რამეთუ იყო მას შინა ნუგეშინის-საცემელი სულიერი და ხორციელი“. და ააღორძინა ისევ საბა იშხნელმა აქ ქრისტიანული სული და ღვთისმსახურება.

ზეცასთან ახლოს არის იშხანი, ხეხილის ბაღებით გარშემორტყმული. ახალგაზრდა ცოლქმარი მოსავალს აბინავებდა. კომში და კაკალი შემოგვთავაზეს და ჩვენც არ გვიუარია. ეკლესია აქაც დაკეტილი დაგვხვდა. იატაკია შიგნით აყრილი და ვერ შეხვალთო. რესტავრაცია არასწორად ჩატარებულია მხოლოდ თურქული მხარის მიერ და სარესტავრაციო სამუშაოები თავიდან არის შეს-

ასრულებელი. იშხანთანაც არსებულია სასულიერო სასწავლებელი. ტაძრის ეზოში, ღია სივრცეში შემორჩენილია ქვის სკამები მსმენელთათვის. სკამები ისეა განლაგებული, რომ ღვთისმსახურების მოსმენაც შეიძლება აქედან და ქადაგებისაც. რა სულიერი სიმაღლე უნდა ჰქონოდათ ჩვენს წინაპრებს, რომ ეს გეოგრაფიული ადგილები დაეპყროთ და ღვთის სამსახურში მოექციათ. მათი მაღლი ყველგან ტრიალებს.

იშხანიდან ბანასკენ ავიღეთ გეზი. ბანა ძველად ტაოს დედაქალაქი ყოფილა, კლარჯეთის დედაქალაქი კი – არტანუჯი. არტანუჯი ჩვენს მარშრუტში არ შედიოდა.

ტრიალ მინდორზე აზიდულა გორაკი, რომელსაც ბანას დიდებული ტაძრის ნაშთილა ამშვენებს და ეს ნაშთიც კი დიდებულია. ბანა მოწმეა ბაგრატ მეოთხის ბედნიერებისა:

ბაგრატ მეფე ცას სიხარულს აეტანა,

ჯვარს იწერდა ოდენ...

ზეიმობდა ამ ჯვრისწერას მთელი ბანა,

ქონგურები თრთოლდენ...

ღიას, აქ დაიწერა პირველად ჯვარი ბაგრატ მეოთხემ ელენეზე, ბერძენთა სამეფო გვარის შთამომავალზე. აქვე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელიც. აქაურობა კი ისეა იავარქმნილი, ნანგრევები ღალადებენ მხოლოდ გარდასულ დიდებას; ქვებილა ინახავენ იმ მაღლსა და მარილს, საუკუნეების წინ რომ დაგვიტოვეს წინაპრებმა. რა უცნაური განცდაა?! ტკივილიანი სევდა და სიამაყე. აქ-იქა თურქულად დაწერილი ქართული ტოპონიმებიც გაიფიქვებს. ამაზედაც მაღლობას ვამბობ: მაღლობა თურქეთის მთავრობას, თურქებს თუ იქაურ ქართველებს, რომ მომავალი ერთიანი საქართველოსთვის რაღაც მაინც გადაარჩინეს, რაღაც მაინც შემოგვინახეს. მოსახლეობა ხომ ყველგან სითბოთი და სიყვარულით გვხვდებოდა. ჩვენი მეგზური და მძღოლი რომ ესალმებოდნენ, ჯერ მეგონა, იცნობენ-მეთქი. მერე მძღოლმა მითხრა: – ნაცნობობა რად უნდა ამას, სალამი ღვთისააო და მეც დავიწყე მისალმება, ძველი ნაცნობებივით ხელს ვუწვევდი ყველას. თურქული არ ვიცი. ვინ იცის, ამ ადამიანებიდან რამდენის ძარღვებში დის ჯერ კიდევ ქართული სისხლი.

უკვე შინ ვბრუნდებით, მაგრამ სანამ საზღვარზე გადმოვალთ, შაითან კალასკენ ანუ ქაჯეთის ციხისკენ გადავუხვიეთ. დავინახე თუ არა, მივხვდი, რომ ნამდვილად ამ ციხის ამბავი აღწერა შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“. იქნებ რაიმე რეალური ამბავიც დაედო საფუძვლად პოემის ამ მონაკვეთს.

გზას ქაჯეთის ციხისკენ ფეხით გავუყევით, მაგრამ მე და ჯგუფის რამდენიმე წევრმა ვიზარმაცეთ და ბოლომდე არ ჩავედით. ან რომელი ტარიელი, ავთანდილი ან ფრიდონი მე ვიყავი, რომ ქაჯეთის ციხის კარი შემეღეწა. შორიდან ვგუჟანობდი, როგორ შეუტევდნენ მეგობრები სამი მხრიდან ქაჯებს და დაინხნიდნენ ტყვეობიდან ნესტან-დარეჯანს. ჯერ კიდევ რამდენი ქაჯეთის ციხე გვაქვს ასალები და რამდენი ქართველი და საქართველო გვყავს მათგან გამოსახსნელი!

თბილისში გვიან ღამით დავბრუნდით.

ერთხელ დიდმარხვაში

ვინმე მღვდელ ტაბლიაშვილის ამბავი აღუწერია ელგუჯა ბერძენიშვილს და მეგობრისთვის, ემზარ კვიციანიშვილისთვის წაუკითხავს. ბატონმა ემზარმა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (2019 წლის 11 ოქტომბრის) დააბეჭდინა. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ძალიან მიყვარს, სკოლის ასაკიდან დღემდე ვკითხულობ და იშვიათად თუ რომელიმე ნომერი გამომიტოვებია. ეს ნომერიც საინტერესო იყო და მღვდლის შესახებ მონათხრობიც. უფრო ფინალია საინტერესო, რომელიც დადებითი მუხტით გავსებს.

წავიკითხე თუ არა, დედაჩემის თავსგადამხდარი ამბავი გამახსენდა, ომისა და არეულობის წლებში გადამხდარი...

მამაჩემი ახალი გარდაცვლილი იყო. სოფელში სახლი გამოკეტეთ, მაგრამ მთლად გამოკეტული არ ეთქმოდა, რადგან ცოტა გამოთბა თუ არა (მამა ზამთარში გარდაიცვალა), დედამ სოფელში სიარული განაახლა. თავიდან ვცადეთ დაგვეშალა, მაგრამ არ დაიშალა: იქ ცოტ-ცოტას ბალ-ბოსტანს ვაქცევ ყურადღებას და გულს ვაყოლებო; შეძლებისდაგვარად ამუშავებდა კიდეც და ჩვენც აგვიყოლია და გვერდში დაგვიყენა. რადგან არ გვინდოდა სოფელში მარტო გაგვეშვა, ზმირად ჩვენც მივეყვებოდით, მაგრამ ყოველთვის როდი ვახერხებდით ამას.

დიდმარხვის დღეები იყო. ვნების კვირამდე ერთი კვირა იყო დარცენილი, რომ დედამ დაიჩემა და სოფელში მარტო გაემგზავრა: სახლს დავხედავ და სამარხვო რამეებსაც ჩამოვიტანო. მობილური ტელეფონი კი ჰქონდა, მაგრამ მაინცდამაინც არ თუ ვერ იყენებდა. ამჯერად ვთხოვეთ, წამოსვლის წინ დაგვირეკე და დავხვდებითო. დაგვიპირდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შეგვეხმიანა (დენი არ იყო, ტელეფონი გამეთიშა და ვეღარ დავტვირთეთ). ამიტომ ავტოსადგურში ვერ დავხვდით და შინ მარტო მოვიდა. ხელში ხელჯონი და პატარა საფულე ეკავა.

— კარგად მოქცეულხარ, მსუბუქად რომ წამოსულხარო, — მოუწონეთ საქციელი; ხელჯონიანს ჩანთის ტარება გაუჭირდებოდა. — ეჰ, რომ იცოდეთ,

რა გადამხდა! — ამიოხრა და პალტო და ფეხსაცმელი გაიხადა. ცოტა რომ მოშინაურდა, მიხვდა, გაცივებულელები ვუყურებდით. — ცოტა ამოვისუნთქო და გაამბობთო. ჩვენც სმენად ვიქცით:

— ავტობუსიდან ძლივს ჩამოვედი. მტკივანი ფეხი დამბუყებოდა. ჩანთა კი ჩამომაწოდეს, მაგრამ ქუჩის მეორე მხარეს ხომ უნდა გადმოვსულიყავი, რომ ჩვენი სახლისკენ მომავალ ტრანსპორტს გამოვყოლოდი. ავტობუსშიც სულ ხნიერი ხალხი დავრჩით, ახალგაზრდები გზადაგზა ადრევე ჩავიდნენ და მოხმარებას ვიღას ვთხოვდი. ხან ერთი ხელით ავწიე ჩანთა, ხან — მეორეთი, მაგრამ წამოღება გამიჭირდა. რამდენიმე ნაბიჯი გადმოვდგი და გაჩერდი. ამ ვაივაგლახში რომ ვიყავი, ვილაც ახალგაზრდა კაცი მოვიდა და დახმარება შემომთავაზა. სიხარულით დავთანხმდი. დაავლო ჩანთას ხელი და წინ გამიძღვა. ცოტა ხანს ჩემ წინ მიდიოდა. გადასასვლელი უცებ გადაკვეთა, უკან აღარ მოუხედავს. ნათქვამი კი მქონდა, სადამდე მიწოდდა დახმარება და ვიფიქრე ჩანთას მიიტანს და იქ დამელოდება-მეთქი. რაც შემემლო ფეხს ავუჩქარე, მივედი კიდეც გაჩერებასთან, ბევრი ვათვალიერე, ბევრი ვეძებე, მაგრამ გაქრა თვალსა და ხელს შუა. შევწუხდი. რაღას ვიპოვიდი. ნეტავ ის დასარეცხი თეთრეული მაინც არ მომეხსნა ლოგინისთვის და არ წამომელო, ამას უფრო ვწუხვარო.

ახლა ჩვენც შევწუხდით: — მარტო დასარეცხები გქონდა ჩანთაში?

— არა, მარტო დასარეცხებს რატომ წამოვიღებდი, ცოტა კაკალი ჩავყარე, შინდის კერკი და ჰინდის ხურმა, ჩირები, გარჩეული ხორბალი საწანდილედ, ჩანთის ზემოდან კიდეც „ფსალმუნნი“ მედო, გზაში ვკითხულობდიო. კაკალი, შინდის კერკი და ჩირები მამა ზენონისთვის უნდა მომეკითხა. დედამ არ იცოდა, რომ მამა ზენონი მისი სოფელში ყოფნისას გარდაიცვალა და ახალი დაკრძალული იყო. ჯერ პატარა ბავშვივით ატირდა, ეს რომ გაიგო; მერე უფალს ჰმადლობდა: რაც მომქონდა, ხომ გასაცემად მიწოდდა და მამა ზენონის სულის საოხად იყოსო; იქნებ იმ ყმაწვილმა კაცმაც ფსალმუნების წიგნს რომ ნახავს, ღვთის გზა იპოვოსო. ჰმადლობდა უფალს და მაინც წუხდა: ნეტავ ის დასარეცხები აღარ წამომელოო.

პოეზია

ციცინო ბაბუციძე



უსუსური პროტესტი

საქართველოში იბადებიან...
 სულაც არ წუხან, მერე, იმაზე –
 თავს რომ გვექცევა ჩვენი ქვეყანა,
 სადღაც რომ ქრება ეს სილამაზე!
 ყველა მეორე თავს იკლავს „კვამლით“ –
 მტკვარზე, ლიახვზე, ველზე ქეიფით,
 ხმლის ნაჭდეურებს ყავლი გასვლია,
 მკლავზე იწერენ ლექსებს „კაიფით“!
 „კაცის გული ისეთია,
 ვით მორევი შავი ზღვისა“ –
 ჩვენი ოქრო სხვას მიაქვს და
 სახლში ვზიდავთ ნავას სხვისას!
 „ჩვენისთანა ბედნიერი
 განა არის სადმე ერი“?!
 „დაუკარით“! – ღვინის ნაცვლად
 აივსება სისხლით ქვევრი!
 ვიყავით და ვრჩებით მარად
 უმეცრებით ბედნიერნი!

სიტყვა ქართული

პოეზია – მყუდრო ქოხი,
 ლექსი – ბუდე და სახლ-კარი,
 მზით დაფერილ სტრიქონებში
 მღერის სიტყვა თავანკარი...
 უპირველეს იყო სიტყვა,
 სიტყვა იყო, როგორც ღმერთი,
 სიტყვით გვძულს და სიტყვით გვიყვარს,
 ქვეყანა და ერთმანეთი...
 სიტყვა, დედა პოეზიის,
 პოეზია – მზე და ფესვი,
 ლექსად თქმული სადღეგრძელო,
 ჩვენი ზნე და ჩვენი წესი...
 მარცვალ-მარცვალ დაკრეფილი,
 სიტყვა – ვაზის რქა და რთველი,
 სიტყვამ შექმნა საქართველო
 და სიტყვითაც ვარ, ქართველი!

ითოვოს

დამთოვეს, წლებმა დამთოვეს...
 ჰგონიათ, რომ უკვე ვბერდები...
 არსად არ წასულან, მათობენ –
 ოცნების ფარფატა მტრედები...
 დამთოვეს წლებმა, დამთოვეს...
 ცივ ზამთარს მაინც არ ვნებდები...
 ცრემლებით გალღეწილ ღამიდან,
 ყოველდღე ოქროსფრად ვთენდები...
 ითოვოს... კვლავ წინანდებურად,
 დე, ვიყო ჭალარა ზამთარი...
 წავალ და გამყვება მეგზურად
 ურიცხვი, ფრთათეთრი ამქარი!
 ის თოვლიც გულში მაქვს, ოცნებაც –
 მათობენ ზღაპრული ფერებით,
 მიყვარხართ! – დაგიწერთ ზეცაზე
 სამყაროსოდენა ხელებით...

ნუ დამაბიჯებ

ნუ დამაბიჯებ, მე ხის ლექსი ვარ,
 უსათაურო – ხმელი ფოთოლი...
 ხის ისტორიას ფესვები წერენ,
 მე არ გადავლლით ამბის მოყოლით.
 ჩემი სიმწვანე დროებითია,
 მარადიული არის ფესვები,
 ჩემზეც ვრცელდება მარადისობის,
 ცად დაწერილი უფლის წესები.
 მეც, თქვენნაირად ვიბადები და
 მეც, თქვენნაირად მალე ვბერდები...
 ამქვეყნად მოსვლა მომინანია,
 ტოტზე კი... დიდხანს, ვერც მე ვჩერდები.
 ნუ დამაბიჯებ, მე ხის ფიქრი ვარ,
 საშემოდგომო მზით ვიმოსები,
 სულ სხვადასხვაფრად ვენთები ხოლმე
 და ჩემზეც წერენ ლექსებს მგოსნები!

შეშლილი სამყარო

შეიშალა სამყარო, „დედაენა“ გახუნდა,
 სხვაგან გადახვეწილი კაცი, აღარ დაბრუნდა!
 შეიშალა სამყარო, ვარდს ეშლება ტიტები,
 იანგარში დაუსკდა ტყემალს თეთრი კვირტები!
 შეიშალა სამყარო, წაიშალა საზღვარი,
 ტურისტებად ვიქეცით, – ზურგით დაგვაქვს
 საეზალი!
 შეიშალა სამყარო, ხელ-პირს ვიბანთ ცუნამით,
 კარგად გვანსოვს, ოდესღაც, შავ ზღვაში რომ
 ვცურავდით!
 საქანელა ქანაობს, შრება პეპის წინდები,
 შეიშალა სამყარო – უწიგნური წიგნებით!
 გვეყო სიტყვით თამაში, მზემ დაკეცა მარაო,
 ეს უაზრო პარპაში – კმარა, კმარა, კმარაო!

მიწის ტირილი...

ხარივით ბლავის მინდორი ბერწი:
ბარი დამკარით!.. ბარი დამკარით!...
თუ არ გჭირდებით, ადამის ძენო,
ბებერ ხარივით, ბარემ დამკალით!
დავითავრდი მიწა... მხოლოდ ქვა-ქვიშა
იქნება თქვენი მწირი საგზალი...
კაცობაც ქრება... ხელში შევრჩებათ –
ნეკნის დანა და თიხის ჩანგალი!
მოუსვენრობა დამეწყო, მრუმე...
გავლევწე ღამე მთვარის ნამგალით,
მზეს გავატანე დილის საუზმედ
თქვენი სამყოფი ვასკვლავთ ნამკალი!
დიდი ომებიც მრავლად მინახავს,
არასდროს! – მსგავსი ყოფა საზარი!
ვტირი, ვერა გრძნობთ... ნუთუ ვერ ხვდებით,
ტანს ღალატით რომ დამაჩნდა ბზარი!
საიდან გაჩნდით, როგორ მოჯარდით
სულის და მიწის გადამყიდველნი...
როცა წარსდგებით ცის სამსჯავროზე,
დაკლული, იქაც დაგაკვირდებით!
რით ვერ გაიგეთ, ღრო აღარ იცდის –
ამქვეყნად ყოფნის წამებს გვითვლიან!
გაყიდულ სულით მიწაზე სიკვდილს –
იქ, სიცოცხლეზე არ გაგვიცვლიან!!!

თეთრი ყაყაჩო

თეთრი ყაყაჩოც ბარბაცებს, როცა
თიბათვე მოდის და მკიან ყანას!
ვერ გაღურჩება... გულდაცვარული –
ბედზე ალესილ უღმობელ დანას!
ბარბაცით დადის თეთრი ყაყაჩო,
დამთავრდა მისი მაჭრობის ხანა...
თიბათვე მოდის... თიბათვე მოდის –
თეთრ ყაყაჩოსაც მომკიან ყანად!

გაზაფხული

ჩამოუქროლა
ქარმა ტყემლის ფეხმძიმე რტოებს,
შეტოკდნენ,
შეკრთნენ თოვლისფერი ნაზი კერტები,
ამოიმერცხლნენ,
ყვავილებად შეაწყდნენ კვირტებს, –
ასტკივდა ტყემალს
ნაზამთრალი, სველი ტერფები....

ღალი მაზმიშვილი



აზვირთებულო, მამულო ჩემო

აზვირთებულო, მამულო ჩემო,
იესოსავით გაკრულო ჯვარზე,
ცრუ დაპირებით ყველა რომ გჩემობს,
ველარ გავცილდით იუდას სამზერს!
ბოლო არ უჩანს ცრუ ლიპარიტებს,
დაჩოქებული აღარ მსურს გნახო,
ქართული მიწა ველარ დაიტევს
გაჩანაგებულ შენს სამოსახლოს!
ისევ თბილია ანწუხელიძის
საფლავის ქვაზე დაღვრილი ცვარი,
ჩვიდმეტი გმირის, იმ ჩვიდმეტი ძმის
დასაფიცარი კუბოს ფიცარი!
ხიდს იქით, ისევ ძმა გველოდება,
ილორის ციდან ცრემლები წვეთავს,
წლების მარწუნში, იმედიც კვდება,
უიმედობა ამარცხნებთ მძლეთაც!
საით მივდივართ, სამშობლოვ, ჩემო,
ამ განსაცდელში სიცოცხლე დნება,
ვის შეუძლია, რომ შეაჩეროს,
თავისუფლების ღვთიური ნება?!
ბაზალეთის ტბა ღელავს და ბორგავს,
ცაზე ვარსკვლავთა ირევა ბმული,
მინდა სამშობლო არ ჰგავდეს ბოგანს,
არ გახდეს მტრისგან სხვას შეწირული!
და ეკლესიის შეღებულ კართან
შევთხოვ ღვთისმშობელს, დღე გვილამაზოს,
ზღვა სიყვარულის დაგვბერტყოს კალთა,
შეგვკრას ერთ მუშტად, როგორც არასდროს!
აზვირთებულო მამულო, ჩემო,
იესოსავით გაკრულო ჯვარზე,
ცრუ დაპირებით ყველა რომ გჩემობს,
ველარ გავცილდით იუდას სამზერს!

2.11.2024

სანდრო უსტიაშვილი



ამაო ორომტრიალი

დღეები გაცრეცილი, ვით ძველი ფურცლები.
ყალბი პოზები და განსჯა.
სიცოცხლე წამიერი, სიკვდილი უცები.
მცდარი ნაბიჯი და დასჯა.

წუთები გაცდენილი, გრძნობები ფერმკრთალი.
მტრობა, სიხარბე და შური.
შეცდომა უამრავი, თვალები შემკრთალი.
ყოფა – სქელკედლება ჭური.

ვნებები – სასაცილო, ამაო ფაცური.
ჯობნის სურვილი და ჯიბრი.
ღირსება დაუცველი, ქონება – დაცული,
ღიმილს ტკივილში რომ გიბრის.

ცხოვრება, მე მგონია, არა ღირს ნამდვილად
წვალებად და ხეთქვად გულის.
მოვდივართ გაჭირვებით, მივდივართ ადვილად,
მიგვაქვს უთვალავი წყლული.

9.07.98

დედა

*პასუხი თემურ ჩალაბაშვილს კითხვაზე: –
დედამიწასაც ხომ ჰყავს დედა?*

ცა წაქცეული ნელა ირწევა.
მზე მღერის თითქოს სიმღერა გედის.
სამყაროს დაშლილს წყლებად, მიწებად
ვერ გავამთელეთ გარეშე დედის.
დრო წამისოფლობს და ჩვენ განვიცდით.
ვართ ტუსალები ცინიკოს ბედის.
წამი რა არის – თვითონ წამიც კი
არ წარმოქმნილა გარეშე დედის.
ამებუძურებს სულის იერსო
ლოცვა – გამხსნელი ღვთაებრივ ხედვის.
ვერ დაიბადა თავად იესოც –
უფალი ჩვენი, გარეშე დედის.
რას ნიშნავს დედა – წყარო ქველობის?
ამ ფუნდამენტის გვიჭირს შეცნობა.
ეს სიყვარულის და მზრუნველობის
და ქმნის სურვილის არის ერთობა...

23.12.2022

პირველ შვილს!

ქვეყნად შენს მოსვლას ვხვდებოდი თრთოლვით;
იყო ის წუთი – ღრუბლებში აჭრის.
ჩემთვის იყავი პირველი თოვლი,
პირველი თასი – ახალი მაჭრის.

ქვეყნად შენს მოსვლას ვხვდებოდი ისე,
როგორც დაწყებას ახალ ეპოქის.
როცა შენს ტიკტიკს და სიცილს ვუსმენ,
ვარ უმდიდრესი – ფულის ვერმქონიც.

ზღვის ტალღებს თავზე დაფრენს თოლია,
მას ზეცის ფერიც ჰყოფნის საკვებად.
ჰგავხარ თოლიას, ასე მგონია,
ქროლვის სურვილიც სულ არ გაკლდება.

ქვეყნად შენს მოსვლას ვიხსენებ თრთოლვით.
ვიცი, ცხოვრებას წრფელად გაივლი.
ჩემთვის ახლაც ხარ პირველი თოვლი,
ჩემი პირველი გულის ყვაილი.

13.09.2002

„მე ყურძენი ვარ“

ფრაზა სპექტაკლიდან „ფიროსმანი“

მე ყურძენი ვარ; მე ვარ შვილი ბებერი ვაზის,
სისხლით და ცრემლით ნაკვებ მიწას დღესაც
რომ შევინს;

მიწას, რომელსაც უკვდავების ბეჭედი აზის,
მიწას, რომელსაც ვაზის ხმობა არასდროს ელის.

მე ყურძენი ვარ და ვამაყობ ვაზის შვილობით –
ვაზის, რომელიც მუნღმოყრილი ლოცვად
დამდგარა.

დედავ, ჩვენს დაცვას სეტყვისგანაც ლოცვით
ცდილობდი,
ბევრჯერაც გჩეხდნენ შენ – დარჩენილს უფლის
ამარა.

ვარ ქარვისფერი, ფორმით ვგავარ ალესილ
მანვილს;
ჩემი მარცვლებით შეკრული ვარ ერთ მთლიანობად.
თუ მევენახე უგულოა, მასზეა ახი,
მტერი რომ მომწვდეს, დამირღვიოს ერთიანობა.

ვაზის რტოთაგან წმინდა თმებით შეკრული ჯვარი,
მას შემდეგ, რაც ის მირიანს და ნანას ენებათ,
ისევე ბრწყინავს, ჩვენთვის გზა და ნათელი არის,
ის მფარველია ქართულ მიწის, ფუძის და ზვარის,
გვაცოცხლებს, მან რომ მოგვანიჭა იმედი ხვალის;
მე ყურძენი ვარ და არ მელის გადაშენება!!!

20.01.2003

გოგლას დაბადება

რამდენ ქარიშხალს გაუძლო მიწამ...
ერმა გაუძლო ვაებას რამდენს!..
ლოცვა დავითის ფარივით გვიცავს –
უფლის ვედრებად ასული ცამდე.

ვერ გადარჩება მძლე იმპერიაც,
თუ ერის გენმა მცველი ვერ ნახა...
ქართული სული კრავს ივერიას –
აღმოცენებულს უკვდავ ვენახად.

ვიღაცამ უნდა მხრებით იტვირთოს
წინაპართ გენით შვილთა განმსჭვალვა.
დავითის სული ხარობდა დიდგორს,
როცა ინათა გოგლას ვარსკვლავმა!

გზაგასაყარზე საუკუნეთა
დეკემბრის ღამე თეთრად განათდა;
წყვილიანი, ბნელი და უკუნეთი
გააპო ლოცვამ მამა-პაპათა.

ეს შუქი ასე მძლავრად კრთებოდა,
წმინდა ნინოსი როცა ვიწამეთ.
დიდი ქართველი იბადებოდა
პატარძელის წმინდა მიწაზე!

იბადებოდა, რათა ილიას
შეშველებოდა სულის მტვირთველი.
„დავიცვათ ის გზა, ერს რომ გვივლია“, –
ეს იყო გოგლას ფიქრი პირველი.

წმინდა ღვთისმშობლის შეწევნა გვფარავს,
ვერ დაგვამარცხებს მტრის ძალა კრული,
რადგანაც გოგლა იდგება მარად
დიდ მეციხოვნედ ქართული სულის!!!

25.12.2018

ქაქუცას დაბრუნება

2005 წლის 21 ნოემბერს ქაქუცა
ჩოლოყაშვილის ნეშტი მშობლიურ
მიწას მიაბარეს.

თეთრი გიორგის წმინდა სხეული
ეშმას ბორბალმა როცა აკუნწა,
გადარჩა მხოლოდ გული – გრძნეული
და მისით იშვა გმირი ქაქუცა.

მიწყვივ გვესხმოდა ჯარი სატანის;
წინაპრებს ძენი მკერდით დაუცავთ.
ბაზალეთს ჩადგეს ოქროს აკვანი,
სად იზრდებოდა გმირი ქაქუცა.

სისხლმა გაჟლინთა მთაც და მინდორიც;
ბევრმა მტერთაგან პირი დამუწა.
მაინც გადარჩა წმინდა დიდგორი,
სად ფენს იღვამდა გმირი ქაქუცა.

მაინც გადარჩა დროშა და ხმალი,
მეფე დავითს რომ ომში გაუცვდა.
დროშა და ხმალი – იმედი ხვალის
შეისისხლხორცა გმირმა ქაქუცამ.

„წითლად“ დაგვიწყეს შეღებვა დროშის...
„წითელ ხუნდებით“ მისწვდნენ ნახულსაც...
„მტერ-მოძმეების“ უღელს და ბორკილს
ერკინა, ლეწა გმირმა ქაქუცამ.

შარავანდელი უკვდავი გმოსავს;
მონატრებიხარ ღმერთსაც, მამულსაც...
ოდისევსივით შენს გვიან მოსვლას
წმინდა გიორგიც ლოცავს, ქაქუცა!

23.11.2005

ბიჟუტერია

ნუ შემაჩჩებ ყალბ სამკაულებს,
უმორჩილესად გთხოვ.
ნუ დამაძალებ ქალღმრთის ფიფქებს,
თუ ხვავრიელად თოვს.

მინდორში ხორბლის თუ ღელავს ყანა,
ჭვავის ნუ მაჭმევ პურს.
ოქროს ბორკილებს ავიტან განა,
თუ სივრცეები მსურს?

მონის ქოლგას ნუ გამომიგზავნი,
კაცის თუ ვეძებ ქუდს.
გთხოვ, ბაღის მორწყვას ნუ დამპირდები,
როცა საწვიმრად ქუხს.

ღარიბს ძველ რჩევებს ნუ მომცემ, თუკი
ფული ჩეჩქივით გაქვს.
თუ ძაღლის ნაცვლად კატა იყეფებს,
სოროს არა გთხოვ თავს.

ვალიდოლის აბს ნუ მომცემ, გულს თუ
უსამართლობა ხრავს.
არცრა მჭირდება სინათლის მეტი,
ბნელთან არა ვდებ ზავს.

იუველირის მიტაცებს საქმე
ნაღდ ბრილიანტთა მდომს.
რომ არ ინანო, ყალბ სამკაულებს
ნუ შემაჩჩებ, გთხოვ!

3.01.2004

გიორგი აობალაძე



* * *
მტრედი მოფრენილა ცისა,
მადლი შემოსულა ღვთისა.
ზარებს დაუწყიათ რეკვა,
ტადრად დაწყებულა ლოცვა,
მრევლი სანთელივით დადნა,
ღმერთიც მათ გულებში გაჩნდა,
მადლმა მრისხანება შთანთქა,
სულში სიყვარული დარჩა.

* * *

ისევ უშენობა და კვლავ მარტობა,
არა, აღარ მინდა, მე ეს მწუხარება,
აღარც ძილი მსურდა და არც უძილობა,
მხოლოდ შენთან მინდა, მეტი არავისთან.

სული ობოლი

უსიყვარულოდ დაობლდა სული
და დამჩნევია სევდის იარა.
სევდას, რომელსაც ჩვენ ვერ გავუძლებთ,
სიყვარულია, სევდა კი, არა.
უსიყვარულოდ ტირის ბუნებაც,
ისევე როგორც თვალზე ცრემლები
და ამ ცრემლების გარდაქმნა მზერად,
მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულს ძალუმს.
ცხოვრების ენა სიყვარულია,
ენა, რომელიც ყოვლის მთქმელია
და ამ ენაზე უფრო ღვთიური,
ქვეყნად სხვა ენა, ვერ მიპოვია.


* * *

საათს მოაკლდა წამიო,
ღმერთი გველოდის ყველასო,
სანთელს დაადგა სხივიო,
ცაზე ვარსკვლავი მოწყდაო.
ანლა კი დადგა ჟამიო,
რომ შევეგებოთ ღმერთსაო.
უკანასკნელსა დღესაო,
ღვთის თვალს ცრემლი ჩნდებაო,
ბევრია პიროვნებაო,
ადამიანი ცოტაო.
მუზას კალამი მივეცი,
მელანმა თვითონ წერაო.

* * *

განსვენებისა დღესაო,
მიწა რომ დამძიმდებაო,
მესაფლავე და სამარე,
ორივე ატირდებაო.

პალვა მჯდღლიშვილი



ბავშვობის წლების მოსაგონარი

ო, ჩემო დედილო,
სათნო და კეთილო,
წიქარას ზღაპარი
მიაბზე, დედილო!
ოღონდ ნუ მიაბზობ
იმ ზღაპრის დასასრულს
თავს ვიგრძნობ სასტიკად
დატანჯულს, განძარცვულს!
სულ დენა, სულ დენა
ცრემლის და სისხლისა
დაჯიჯგნილ სულიდან!
ზოგჯერ თვით სიცოცხლევც,
სიცოცხლევც აღარ მსურს!
ო, ჩემო დედილო,
სათნო და კეთილო,
ოღონდ ნუ მიაბზობ
იმ ზღაპრის დასასრულს...

ნუ დაგვივიწყებთ!

სხვაც შეიძლებდა, სხვაც კიდევ განა
შმაგ შერკინებას შავ უკუნეთთან?!
წყვდიადი იყო უკიდევანო,
წყვდიადი შუა საუკუნეთა...

...არ დაგვივიწყოთ ქვესკნელის მკვიდრნი,
ვისაც ხასხასა სხივი გვეწადა,
გულს გვისუდრავდა, სუდარა ნისლის
და გრიგალები სულს გვიღეწავდა.

არ დაივიწყოთ სახელი მათი,
ვინც ჯოჯოხეთშიც – აქ თქვენზე ვწუხდით...
ვისაც ცისკარის უმწეო ნათლით
სურდა განფანტვა პოლარულ მწუხრის!

მხეცვრონი



„ამ ტილოს პროტოტიპი ჰყავს“...

მხატვარი ნინო გოგოლი (გოგოლიშვილი) ცხოვრობს ბათუმში. 2006 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. პროფესიით ინტერიერის დიზაინერია. ერთხანს სწავლობდა გერმანიაშიც. ცხოვრობს და მოღვაწეობს ბათუმში. საავტორო სტუდია „არტპოლიგლოტი“ პირველად გაიხსნა ებრუს – წყალზე ხატვის შემსწავლელი კურსები. არის წიგნის კლუბის დამფუძნებელი, აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში, ასევე – საერთაშორისო არტსიმპოზიუმებსა და პლენერებში. არის საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ჟურნალ „ანეულის“ ამ ნომრის გარეკანზე სწორედ მისი მხატვრობაა წარმოდგენილი. მან გამოგვიგზავნა ნახატი და ჩანახატი – „ვერცხლისფერნაწნავებიანი და ჭრელწინდებიანი ნენე“, რომელიც მოგვითხრობს აჭარულ ქალბატონზე და რომლის სერიაც შექმნა მხატვარმა.

„ეს არის იმ ნახატის ამბავი, რომელიც შევარჩიე. ნენე აჭარულად დიდი ბებიაა. როცა ვხატავ რაიმე სერიას შთაგონებით, ხშირად ისე ხდება, რომ იმ წუთასვე მოდის მუხტი და ნახატის მუხის ამბავსაც ჩანახატად ვყვები.“

ამ ტილოს პროტოტიპი ჰყავს – ნენე, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა და მინდა ასე მაინც იყოს ცოცხალი“.

ნაწყვეტი ჩანახატიდან:

„მისი თითები ნაოჭების მდინარეებით სავსე იყო. თითები, რომლებსაც კენაც გამოიბოდა თვალები. ვიჯექი შეშის ღუმელთან და მეტირებოდა. თითები საშინლად ექსპრესიული მანერით... გრძელი, თხელი თითები ნაოჭების აკიდობით... ცრემლების მრცხვენოდა და ვმაღავდი. ყელში რაღაც ბურთივით მქონდა მობჯენილი, რომელიც მაწვალებდა, მაგრამ გაუძედი. მეტიც – დავმაღე და გავიღიე კიდევ. ეს იყო სევდის ცრემლები. გამახსენდა გოდერძი ჩოხელის სევდა. მისი მოთხრობების პერსონაჟი ჩაჩაი რომ აგროვებდა დარდებს.“

მე ერთი სევდა-დარდი ვიპოვე. სული ამი-



თოთოლა მისმა უცნაურმა მხერამ.

ბებია, რომელიც 101 წლისაა, მაგრამ თვალებში ისევ უჩანს სიბრძნე. ის მოაზროვნეა. თითქოს ინდიელსაც ჰყავს, არადა აჭარელია. განსხვავებული მიმზიდველი და დასამახსოვრებელი. თითქოს პარანორმალური სამყაროდანაა, ფერადი წინდებით... ორი გრძელი ნაწნავით. ვერცხლისფერი ჭადრის სხივი როგორ უხდებოდა ამ ნაწნავებს. თურმე ისიც ხატავდა ერთ დროს. ეს ვიგრძენი კიდევ. მხოლოდ ყვავილებს ვხატავდი, შენსავით კი არაო, გაიღიმა.

ახლა ვზივარ სუფთა, ქათქათა ტილოსთან, შობის დადგომამდე რამდენიმე საათია და ემოციისგან მაჟრიალებს, სანამ დავამთავრებ მოყოლას, რომ დავიწყო ხატვა.

დავპირდი, რომ ისევ ჩავალ როდესმე და ტილოზე დახატულ მისი პორტრეტის ფოტოებს ვაჩვენებ... მანამდე კი...

ნეტავ რატომ ჰყავს შორეულ პერსონაჟებს? გაიშალა ვერცხლისფერი ტალღები და ზოლებად წამოსული ფოსფორის ანარეკლების დავარცხნა დაიწყე. ჯერ ერთი დაიწნა, მერე – მეორე, არ ყვარებია სხვისი დაწნული თმები.

მეც ასეთი განსხვავებული და სათნო ბებია მინდა ვიყო ოდესმე, რაღაცით განსხვავებული. მეც მინდა, ოდესმე მოვიდნენ ჩემთანაც და თითები გამითბონ. მეც მინდა, ვინმეს მუხა გავხდე ღრმა სიბერეში. ხშირად ვიმეორებდი, რომ არ მინდა ღრმა სიბერემდე მიღწევა, მაგრამ ახლა აღარ მეშინია.

ფორთოხლები ჩავუგორე კალთაში და ფოტოები გადავუღე, რომ მერე სახელოსნოში დამეხატა.

...და ასე ვისხედით დიდხანს, ხელისგულების ერთი პულსით, ხელისგულების ერთი სითბოთი. ჩუმი ჟრუანტელით, ჩუმი კანკალით... კუთხეში გაქცეული მზერის დაჭერით. უხმოდ, თვალების სხივით სათქმელის ამოკითხვის უნარით. მინდოდა მეტივე რაღაც, რაც ისედაც უსიტყვოდ იგრძნო, და მე ჭრელი შარფით მის გვერდით, უკვე გამთბარი და მუდმივად დასვრილი თითებით. მეტირებოდა ცალი თვალით. ბებოს მხარეს მიქცეულ სახის ნახევარზე ცრემლი რომ არ დაენახა, თუმცა არც ცრემლი იყო. უფრო ნამი იყო სულში, რომელიც ცუნამისხელა სითბოთი გავსებს და იმდეს გაძლევს, რომ შენც დაბერდები, შენი თითებიც დაიჭმუჭნება, მაგრამ სხვა გავითბობს“...



მხატვანი ჩიტა შამუგია



ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:

ლალი ასაბაშვილი, მია არაბული-მჭედლიშვილი, თამარ გაბროშვილი, მანანა გელაძე,
გულიკო ზუმბაძე, თამარ შაიშველაშვილი

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



მხატვარი
ნინო გოგოლიშვილი



ახეული – გაბაყბულის ხეული